პროფ. ნ ლომოური.

ჩემს წინ გადაშლილია ფრიად საინტერესო თემაზე დაწერილი თხელი წიგნი, რომლის სათაურია "ზუსტად დავადგინოთ Q ფონდის №877 ხელნაწერის რაობა, დამკვეთ-მომგებლისა და ავტორთა ვინაობა". ავტორია წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე, ქ. თბილისის № 1 აფთიაქი-მუზეუმის დირექტორი (თავისუფლების მოედანი №2, მერიის შენობა). ამ ენთუზიასტმა საფუძველი ჩაუყარა წამალთმცოდნეობის ისტორიის მუზეუმს, თუმცა, დასამალი არაა, მას გარკვეული წინააღმდეგობებიც შეხვდა. მე აღვნიშნე, რომ ეს „თხელი წიგნია", მაგრამ ნეტა ყველა წიგნს, მათ შორის, საკმაოდ სქელსაც, გააჩნდეს ისეთი შინაარსი და ღირებულება, როგორც ამას.

სოკრატ სალუქვაძეს მე იმ დროიდან ვიცნობდი, როდესაც იგი ვაკეში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე № 27-ე აფთიაქის დირექტორი იყო. ბევრი რამ გვაკავშირებს ერთმანეთთან, მაგრამ მაშინვე, მოულოდნელად ისიც აღმოვაჩინე, თურმე, ს. სალუქვაძე ჩემთან იმითაც არის ახლოს, რომ იგი შესანიშნავი ისტორიკოსია. დიახ, წამალთმცოდნეობასთან ერთად იგი საკმაოდ წარმატებული ისტორიკოსია. მისი ისტორიული კვლევა უშუალოდ უკავშირდება მის ძირითად სპეციალობას, საქართველოში წამალთმცოდნეობის ისტორიულ ანალიზს. ამ მიმართულებით არაერთი ახალი დასკვნით სერიოზული კვლევით, ისტორიული წყაროების ცოდნით, ხშირ შემთხვევაში სრულიად ახალ წყაროთა გამოვლენას ახერხებს.

მე შემიძლია დავასახელო ს. სალუქვაძის უდაოდ მნიშვნელოვანი გამოკვლევები, რომელთაც არაერთი ისტორიკოსი მოაწერს ხელს. აი, მაგალითისთვის მისი შესანიშნავი წიგნი: „ქ. თბილისის № 1 აფთიაქი-მუზეუმის ისტორია" (2004 წ.), ან ბევრად უფრო ადრეული (1979 წ.) „ვარძია წამლის სასახლე" და ა.შ.

...ეს მრავალი წლის წინ მოხდა. სტუმრები ჩამომივიდნენ მოსკოვიდან და გადავწყვიტე, უფლისციხეში წამეყვანა. იმ დროს იქ ხელოვნების მუზეუმი ატარებდა გათხრებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა დავით (დურსუნ) ხახუტაიშვილი, შემდგომში გამოჩენილი არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე. ჩვენ რომ უფლისციხეში ჩავედით, დურსუნმა გვერდზე გამიყვანა და მაჩვენა ახლადაღმოჩენილი თახჩებიანი კედელი. მე ვერ გავერკვიე, რა უნდა ყოფილიყო ეს ნაგებობა. დურსუნმა კი მითხრა: „საგანგებოდ იმიტომ გაჩვენე, რომ შენ იცნობ ერთ კაცს თბილისში, ვაკეში მდებარე აფთიაქის დირექტორს, რომელიც აქ იყო და აღტაცებაში მოსულა, რადგან ზუსტად ასეთი კედელი აღმოჩნდა კავთურას ხეობაში, მაღალაძეების ეკლესიის გვერდით და ის დარწმუნებულია, რომ ესაა აფთიაქი. ერთი გაუარე იმ დირექტორს და უამბე, რომ დღეს უკვე ბევრად დიდი კედელი აღმოჩნდა და მეც დავიჯერე, რომ ეს აფთიაქია."

მაშინ მე არაფერი მეთქმოდა. პირველად ვნახე ასეთი თახჩებიანი კედელი, თუმცა თეორიულად ჭკუაში დამიჯდა მისი აფთიაქად წარმოდგენა. და აი, ცოტა

ხანში ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ს. სალუქვაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გაითხარა და შემდეგ გამოიცა ნარკვევი კავთურას ხეობაში მაღალაძეების კუთვნილი ასეთივე თახჩებიანი აფთიაქის ნაშთების შესახებ. იგივე დადასტურდა სოფ. ნიჩბისში. ამ მონაპოვრის ანალიზის საფუძველზე დღეს უკვე შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს აღნიშნულ ნაგებობათა აფთიაქების ფუნქცია. ქართული კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის აღმომჩენი და პირველი შემფასებელ-შემსწავლელი სწორედ ს. სალუქვაძეა.

აღნიშნულ საკითხზე ს. სალუქვაძე უფრო დაწვრილებით საუბრობს ვარძიის წამლის სასახლისადმი მიძღვნილ წიგნში (1979 წ.), სადაც მას ეს შენობა XII საუკუნით აქვს დათარიღებული. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ მას თავის დროზე მხარი დაუჭირეს ხელოვნებათმცოდნეებმა, პროფესორებმა ი. ციციშვილმა, ნ. ზაქარაიამ და გ. აბაშიძემ, აგრეთვე რ. გვერდწითელმა. მე კარგად მახსოვს ნ. ზაქარაიას განწყობილება აღნიშნულ ნაგებობათა ფუნქციების შესახებ და შემიძლია მთლიანად დავადასტურო სპეციალისტთა მხარდაჭერა ს. სალუქვაძის კონცეფციისადმი, ხოლო დღეს სხვაგვარი აზრი, ვფიქრობ, სრულიად გაუმართლებელია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ს.სალუქვაძის მოსაზრება, რომელიც მან კარგა ხნის წინ გამოთქვა, ე.წ. „სამკურნალო წიგნი“-ს, ანუ კარაბადინის შესწავლის და ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა ანალიზის საფუძველზე. აშკარა გახდა, რომ ამ ნაშრომის ავტორად შეუძლებელია მივიჩნიოთ ზაზა ფანასკერტელი–ციციშვილი. მე უშუალოდ ამ პერიოდზე არ ვმუშაობ, ვერც ხელნაწერთა ანალიზს ვიკისრებ, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული დასკვნა გაიზიარეს ცნობილმა მეცნიერებმა ილია აბულაძემ, ვასილ კოპალიანმა, ლევან მენაბდემ და ზაზა კახიანმა. ეს არსებითად საკმარისია! მაგრამ მე მაინც მინდა დავუმატო: როგორც ისტორიკოსმა, შემიძლია გავიაზრო ეს კვლევა და სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ს. სალუქვაძის დასკვნა ფრიად დამაჯერებლად გამოიყურება. აშკარაა, რომ საკვლევი ხელნაწერის დამკვეთ-მომგებელი ყოფილა ზაზა ციცის ძე ასპაანიძე-ფანასკერტელი, ხოლო შემსრულებელი – მდივან-მწიგნობარი, ქადაგი და ჯვრისმტვირთველი მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძე. ვფიქრობ, ამ დასკვნის მხარდაჭერა სრულიად კანონზომიერია, ამასთან, უდაოდ მნიშვნელოვანია მეორე დასკვნა, რომ ფონდის № 877 ხელნაწერი არის დედანი, რაც მის მიმართ ნდობას კიდევ უფრო ზრდის. ჩვენი აზრით, სრულიად გამართლებულია ამ ნაშრომის „ფარმაკოპეა“-დ მოხსენიება. რაც შეეხება ზაზა ფანასკერტელის მონაწილეობას განხილულ პრობლემებში, აქაც სწორია დასკვნა, რომ ზაზა ციცის-ძე ასპაანიძე-ფანასკერტელი დამკვეთ-მომგებელი იყო და ხელნაწერის შედგენის ინიციატორი. ნარკვევში ვკითხულობთ პალეოგრაფიული ექსპერტიზის შედეგებს: ფარმაკოპეის 1368-გვერდიდან 1008 გვერდი მაღალაძეების ცნობილ კალიგრაფს, საეკლესიო მედიცინის წარმომადგენელს, მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძეს ეკუთვნის.

მართალია, ამ ხელნაწერის ტექსტში მედიცინის სხვადასხვა დარგებზეა საუბარი, ასე, მაგალითად: თერაპიაზე, ქირურგიაზე, ოტორინოლარინგოლოგიაზე, დერმატოლოგიაზე, უროლოგიაზე, გინეკოლოგიაზე, კოსმეტოლოგიაზე და ა.შ. ცხადია, შუა საუკუნეების კარაბადინებს უნივერსალური მოთხოვნები ჰქონდა წაყენებული. ავტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მას ჩაუტარებია შუა საუკუნეების ხელნაწერი კარაბადინების ტექსტების დეტალური ანალიზი. მართებულია ავტორის დასკვნა იმ მტკიცებულობასთან დაკავშირებით, რომ ამ ხელნაწერების საერთო ტექსტების 60-%-ზე მეტი უკავია

ფარმაკოლოგიურ საშუალებათა მომზადების ფარმაკოპეულ რეკომენდაციებს. ამის გარდა, ავტორი იშველიებს აღმოსავლეთმცოდნეთა ლექსიკონებს (იაგელოს,რუბინჩიკის, ბარანოვის, ასლანიანის, შუბოვის... რაც მთავარია "კარაბადინისა" და "ფარმაკოპეის" იგივეობა 1800 წელს ევროპელი მეცნიერებისათვის გერმანელ პროფესორს კურტ შპრენგელს გაურკვევია). ზემოთ ჩამოთვლილ არგუმენტების გარდა ავტორს, ს. სალუქვაძეს საკუთარი მოსაზრებების დასამტკიცებლად მოაქვს ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის პროფ. ილია აბულაძის განმარტება, რომელიც თანდართულია საქმედგამის მიერ 1950 წელს ამ ხელნაწერის II ნაწილის გამოცემისას თანდართული ლექსიკონის 478-ე გვერდზე: **"კარაბადინი 11,37 სამკურნალო წიგნია (საბა), წამლეულობის წიგნი – ფარმაკოპეა (ფარმაცევტული პრეპარატების დამზადების საშუალებათა აღწერა),** ამდენი არგუმენტების მოშველიების შემდეგ შეუძლებელია ავტორს არ დაეთანხმო. და მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ჩემს მიერ ზემოთ ნახსენებ თხელ წიგნში, ზემოთდასახელებულ ლექსიკოგრაფთა ლექსიკონების ტიტულების ფოტოპირებისა და შესაბამისი სიტყვების განმარტებათა გვერდების ფოტოპირებია დართული, როგორც იტყვიან, ასეთ დამაჯერებელ მსჯელობას მართლაც რომ წყალი არ გაუვა. ამ რეცენზიის სათაურში ამიტომაც გამოვიტანე **"ფარმაკოპეა საქართველოს კულტურის ისტორიაში".** დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ ქართული სახელმწიფო ფარმაკოპეის შესახებ მსჯელობა, მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის ნარკვევებს გარდა, სხვა ავტორთა მეცნიერულ შრომებში, ჯერჯერობით არ შემხვედრია.

რაც შეეხება იმას, ზაზა ასპაანიძე-ფანასკერტელი, დამკვეთ-მომგებელი და ხელნაწერის შედგენის ინიციატორი რომ ყოფილა, ამას პროფ. ილია აბულაძე მოგვახსენებდა. მკვლევარი ს. სალუქვაძე ახალგამოვლენილ პირველწყაროს მაღალააძეების ცნობილ კალიგრაფს, საეკლესიო მედიცინის წარმომადგენელს, მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძეს მიაკუთვნებს. აქ, ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზაზა ფანასკერტელის წინაპრები, ტაოს მხარეში ასპაანიძეთა გვარის მატარებელი რომ ყოფილა, ამის მიგნებაც მკვლევარ ს. სალუქვაძეს ეკუთვნის. აქამდე, თუ ზაზა ფანასკერტელი "კარაბადინის" ავტორად იყო მიჩნეული და მახარებელ "ივანიას-ძე" მაღალაძე მჩხრეკალ-გადამწერად, ფანიაშვილების სიგელ-გუჯრის კვლევა-ძიებაში შემოტანამ, მდგომარეობა დიამეტრალურად შეცვალა: მკურნალი ზაზა ფანასკერტელი დამკვეთ-მომგებელი ყოფილა, ხოლო მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძე, "პატრონის" დაკვეთის შემსრულებელი.

დასკვნაში დამაჯერებელი არგუმენტია მოშველიებული: ბრძენთმთავრისა და მკურნალის ზაზა ფანასკერტელის საფეოდალოში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სოფ. წინარეხშიც თახჩებიანი აფთიაქი იქნა აღმოჩენილი (XV ს.), და დიდი ზაზას შთამომავლის საფეოდალოში, სოფ. ნიჩბისში, ზაზას ციხეშიც თახჩებიანი აფთიაქი იქნა აღმოჩენილი (XVII ს), ისეთივე, როგორიც უფლისციხეში და ვარძიის ციხე-ქალაქში. "სამკურნალო წიგნის" "კარაბადინის", ანუ "ფარმაკოპეის" და თახჩებიანი აფთიაქების ურთიერთკავშირი მაღალაძეებისა და ასპაანიძე-ფანასკერტელების საფეოდალოში დამაჯერებელი არგუმენტებია, რომლის მიგნება და ანალიზიც მკვლევარ სოკრატ სალუქვაძეს ეკუთვნის.

რაც შეეხება ჩემს წინ გადაშლილი თეთრი წიგნის შინაარსს, ის უდაოდ, ჩვენი ისტორიისთვის მეტად მნიშვნელოვანია და ქართული კულტურის ერთ-ერთი დარგის სწორ და დამაჯერებელ შეფასებას შეიცავს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. ლომოური.

კომენტარები პროფესორ ნოდარ ლომოურის

რეცენზიაზე

დიდად ნასიამოვნები დავრჩი, როცა წავიკითხე ცნობილი მეცნიერის, პროფესორის ნოდარ ლომოურის წინამდებარე რეცენზია სათაურით: "ფარმაკოპეა საქართველოს კულტურის ისტორიაში". რეცენზია უდაოდ ღრმა მეცნიერული მრწამსით არის დაწერილი. სამართლიანად გაზიარებულია მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მეცნიერული მიგნებები და სიახლეები. ასე, რომ, მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის გამოკვლევებს ობიექტური შემფასებელი და მხარდამჭერი გამოუჩნდა. ასეთი ობიექტური გამოქომაგება ფარმაცევტული დარგის მნიშვნელოვანი მონაპოვარია, მეცნიერული დადასტურებაა. მე გახლავართ ამ წიგნის ერთერთი ავტორი და შემდგენელი რედაქტორი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. სავსებით ვიზიარებ რეცენზიაში გამოთქმულ მოსაზრებებს, თუნდაც იმიტომ, რომ ბატონი ნოდარი საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის სკოლის წარმომადგენელია და ქართული კულტურის პროპაგანდის თვალსაზრისით მას ბევრი რამ ისედაც დაეჯერება. ჩვენი ნოდარი, ბევრმა იქნებ არც კი იცის, ცნობილი საბავშვო პოეტისა და მწერლის ნიკო ლომოურის შვილიშვილია. ჩვენ ყველას გვახსოვს სკოლის მერხიდან, იაკობ გოგებაშვილის მიერ ბუნების კარში და დედა ენაში შეტანილი ამ ავტორის მოთხრობა "ყაყიტას ქურდი" და ლექსი "ყინვა და პატარა მოწაფე".

გარდა ამისა, პროფესიონალი ისტორიკოსი, ბატონი ნოდარ ლომოური ნიადაგმცოდნეობის, ანუ "პედოლოგიის" ერთერთი ფუძემდებლის, პროფესორ იულონ ლომოურის ვაჟიშვილია, ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ეს პიროვნება ბავშვობიდანვე მოწინავე მეცნიერ-ინტელიგენტთა წრესა და გარემოცვაში იზრდებოდა. ჩემმა თანაკურსელმა სოკრომ მკაცრი ოპონენტების მიმართ შეუპოვრობა გამოამჟღავნა, მოიმარჯვა არგუმენტები, ფაქტები და ლოგიკის საშუალებით გააქარწყლა ოპონენტების პრეტენზიები, რის გამოც ოპონენტებთან მოპაექრე უნებლიედ მოგვაგონებს პოეტ ნიკო ლომოურის გმირს ლექსიდან "ყინვა და პატარა მოწაფე", რომელმაც ყინვისა და ზამთრის სუსხის წინააღმდეგ შეუპოვრობა გამოიჩინა: "ჩემთან კერპობა შენ არ გაგივა, მალე გეცვლება წითელი ფერი, იცოდე, შენზე დიდებისათვის მომიგრეხია მწარედ კისერი". "პატარა მოწაფემ" დაამარცხა ყინვა და სუსხი, ხოლო მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ გამოიჩინა ოპონენტების მიმართ შეუპოვრობა და მათ პოლემიკა მოუგო, რასაც ადასტურებს პროფ. ნოდარ ლომოურის რეცენზიაც. დავაკვირდეთ მის რეცენზიაში ფრაზას: "ზაზა ფანასკერტელი ვერაფრით ვერ იქნებოდა კარაბადინის ავტორი" უეჭველად წამოიჭრება კითხვა: რატომ? რა ფაქტებს ემყარება ისტორიკოს-რეცენზენტის ასეთი პრინციპული დასკვნა?

საქმე შემდეგში გახლავთ: ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი კარაბადინი დედანია, მას ასლი – პირი არ გააჩნია. მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის წინამორბედი მკვლევარები, სამწუხაროდ, არ იცნობდნენ ძირითად საბუთს: მახარებელ ოქროპირისძე მაღალაძის

ხელით დაწერილ დედანს „ფანიაშვილების გუჯარს!“ იუსტიციის სამინისტროს თბილისის სამეცნიერო კვლევითი ექსპერტიზის ლაბორატორიაში ბატონი სოკრატის ინიციატივით ჩატარდა ექსპერტიზა, რომლის საფუძველზე ხელნაწერი კარაბადინის 1368 გვერდიდან 1008 საეკლესიო მედიცინის ქადაგს და კალიგრაფს მახარებელ ოქროპირისძე მაღალაძეს ეკუთვნის! ფაქტია, რომ ცდებოდნენ კარაბადინის პირველი მკვლევარები, როცა ზაზა ფანასკერტელი ავტორად აღიარეს, ხოლო მახარებელი “ივანიასძე” მაღალაძე ხელნაწერის გადამწერად. რა გამოდის? მახარებლის არა თუ როლისა და ღვაწლის საკითხი იყო საერთოდ გაგებული, არამედ მამის სახელიც კი არ იყო სწორად ამოცნობილი. “ივანიასძე” მახარებლის მამის სახელი კი არ იყო, არამედ უმემკვიდრეოდ გადაშენებული ივანიძეების ადგილ-მამულის ახალი მემკვიდრეები, ჩამბარებლები კავთურის ხეობაში იწოდებოდნენ “ახალ ივანიას-ძეებად”. მახარებლის მამის სახელი ოქროპირია, რაც აშკარად ჩანს თედო ჟორდანიას “ქრონიკების” მეორე ტომში.

დიდი მკურნალი ზაზა ფანასკერტელი ამ კარაბადინის დამკვეთ-მომგებელია და მახარებელ მაღალაძე მისი დაკვეთის შემსრულებელი – ამას მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე პალეოგრაფიული ექსპერტიზის შედეგებითაც ადასტურებს.

არაბულ-სპარსული ტერმინი “კარაბადინი” რომ ქართულად სამკურნალო წიგნია, ეს სულხან საბა ორბელიანმა განმარტა დაამტკიცა მე-17 საუკუნეში. კარაბადინი და ფარმაკოპეა რომ იდენტური ცნებებია ეს დაამტკიცა 1800 წელს მსოფლიო მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელმა, გერმანელმა პროფესორმა კურტ შპრენგელმა. სამკურნალო წიგნი (ქართულად), კარაბადინი – (არაბულად და სპარსულად) და ფარმაკოპეა (ბერძნულად და ლათინურად) რომ იდენტური ცნებებია, ეს დაამტკიცა ენათმეცნიერმა პროფ. ილია აბულაძემ 1950 წელს (იხ. ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნი – კარაბადინი, მეორე ნაწილი, გამომცემლობა “საქმედგამი” გვ. 478.).

ამ არგუმენტულ მოსაზრებებს მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ დაუმატა აღმოსავლეთმცოდნეთა მიერ შედგენილი 7 ავტორის ლექსიკოგრაფიული განმარტება შესაბამისი წიგნებიდან შესაბამისი გვერდების ფოტოპირები შემოიტანა თავის მონოგრაფიაში, რისი დაუნახაობა ყოვლად შეუწყნარებელია. სწორედ ამიტომაა პროფ. ნ. ლომოურის დასკვნა დამაჯერებელი “ფარმაკოპეა საქართველოს კულტურის ისტორიაში”. ასე, რომ მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მიერ მიღებულ დასკვნებს „წყალი არ გაუვა“ და მის მიერ მოძიებულ სიახლეებს დამაჯერებლობა ნამდვილად არ აკლია. ისიც სათქმელია, რომ არცერთ ქვეყანაში ამ საკითხზე დავა არ მიმდინარეობს.

გ. დეკანოსიძე.

შენიშვნა: ამ წიგნის თანაავტორები აკადემიკოს ბადურ რაჭველიშვილთან, პროფ. დურმიშხან ცინცაძესთან და ჩემთან ერთად თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ: მწერალი, მთარგმნელი და ჟურნალისტი გურამ გოგიაშვილი, პოეტი ზაურ ბოლქვაძე,

ჟურნალისტი ჩარიტა მამისეიშვილი, ცნობილი მეცნიერი პროფ. ნოდარ ლომოური, ჟურნალისტი ვილენ მარდალეიშვილი, პროფ. ყარამან ფადავა, პროფ. რ. მახარაძე, პროფ. ალიკო ბაკურიძე, პროფ. პავლე იავიჩი, ასევე კოლეგები თენგიზ მაისურაძე და მანანა მაისურაძე. პროფ. დიმიტრი კორძაია მათ ნააზრევს, პოეტურ ქმნილებებს, ინტერვიუს და მეცნიერულ რეცენზიებს ქვეთავებში გაეცნობა მკითხველი, რომლებშიაც იგრძნობა ძმური სიყვარული, მოკრძალებული პატივისცემა და მეცნიერული ამაგის დაფასება წამალთმცოდნე–მკვლევარ სოკრატ სალუქვაძისადმი, რისთვისაც ყოველ მათგანს დიდ მადლობას მოვახსენებ ამ წიგნის შემდგენელისა და ერთერთი თანაავტორ-რედაქტორის სახელით.

გენრი დეკანოსიძე,
ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.



მწვანე მდელოზე ჭაბუკი სოკრატ სალუქვაძე ისე უდარდელად წამოწოლილა თითქოს ყველა პრობლემა მოხსნილი ჰქონდეს და დიდი საქართველოს სველი ზაზღვარი ტრაპიზონის სამთავროს ჩათვლით აღდგენილი.

მსოფლიოს უძველესი აფთიაქის ნაშთები უფლისციხეშია

წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე საზოგადოებაში და სამეცნიერო წრეებში ცნობილია როგორც საქართველოს ისტორიოგრაფიის შემვსები წამალთმცოდნეობის ისტორიის გრიფით, რასაც ადასტურებს მისი ფუნდამენტური მონოგრაფია. ეს მნიშვნელოვანი წიგნი ჯერ კიდევ 1987 წელს გამოსცა "ხელოვნებამ". ამას გარდა, კიდევ 6 წიგნია გამოცემული ამ ავტორის მიერ წამალთმცოდნეობისა და მედიცინის ისტორიის საკითხებზე. მისი შრომები კარგად არის ცნობილი ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთაც: ბალტიისპირეთში, რუსეთში, უკრაინაში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვაგან.

ამჟამად ჩვენს ხელთ არის 75-გვერდიანი ფართო ფორმატის საერთაშორისო ჟურნალი "ალტერნატიული მედიცინა", რომელიც გამოდის გერმანიაში მასობრივი ტირაჟით გერმანულ ენაზე და ინგლისურზე. ამ ჟურნალში დაბეჭდილია მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის ვრცელი (8 გვერდიანი) სტატია, აქედან 4 გვერდი გერმანულ ენაზე და 4 გვერდი ინგლისურზე, რასაც ახლავს ავტორის სურათი ინგლისურ და გერმანულ ენებზე ავტობიოგრაფიული მონაცემებით, აქვეა გამოქვეყნებული უფლისციხის (მე-5 ს.) და ვარძიის (მე-12 ს.) აფთიაქების ნაშთთა ფოტოსურათები.

მსოფლიო მედიცინის ენციკლოპედიებიდან დღემდე ცნობილი იყო, რომ უძველესი აფთიაქი მოქმედებდა ერაყის დედაქალაქ ბაღდადში და იგი თარიღდება ახ. წ. მე- 8 საუკუნით. ამ სტატიის გაცნობით მილიონობით ევროპელმა მკითხველმა მიიღო ინფორმაცია, რომ 300 წლით ადრე უფლისციხეში მოქმედებდა აფთიაქი და აქ თახჩების ორი მწკრივი დღემდეა შემოჩენილი. ეს თახჩები რამდენიმე წლის წინათ აკადემიკოსმა დავით ხახუტაიშვილმა აღმოაჩინა და ვარაუდობდა, ბიბლიოთეკის ნაშთები ხომ არ იყოო? მისი რაობის დაზუსტების მიზნით ექსპერტად წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე მიიწვია. ავტორის მოსაზრებები გასათვალისწინებელი აღმოჩნდა. სახელდობრ, მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ, ანალოგიური თახჩებიანი ნაგებობები სოფ. წინარეხში (კასპის რ.) და სოფ. ნიჩბისში (მცხეთის რ.) აღმოაჩინა. ერთი მათგანი დათარიღებულია მე-15 საუკუნით, ხოლო მეორე მე-17 საუკუნით. მაღალაძეების თახჩებიანი ნაგებობისათვის აფთიაქის ფუნქციის მინიჭებას აძლიერებს ის ფაქტი, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში დღემდეა შემონახული სამკურნალო წიგნი – კარაბადინი, რომელიც მე-15 საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. ეს კარაბადინი – ფარმაკოპეა მაღალაძეთა გვარის წარმომადგენლის მახარებლის ხელით არის დაწერილი (1368 გვერდიდან 1008 საეკლესიო მედიცინის ქადაგს მახარებელს ეკუთვნის). ეს კი მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ პალეოგრაფიული ექსპერტიზით დაამტკიცა. რა გამოდის? დიდი მკურნალის ზაზა ფანასკერტელის მითითებათა საფუძველზე წამლების მომზადების წესების წიგნის – კარაბადინის – ფარმაკოპეის შედგენაში ვისაც მიუღია მონაწილეობა, მას საკუთარი აფთიაქიც ჰქონია ფეოდალურ გამგებლობაში. ეს ხელნაწერი კარაბადინი მომდევნო საუკუნეებში და სახელდობრ, მე-17 საუკუნეში ზაზა ფანასკერტელის უშუალო შთამომავლის ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილის საკუთრება ყოფილა და მის

საფეოდალოშიაც – “ზაზას ციხეშიც” ავტორმა სოკრატ სალუქვაძემ აღმოაჩინა თახჩებიანი ნაგებობა – აფთიაქი – წამლის სახლი.

საქართველოს პირველი ფარმაცევტული ყრილობის მონაწილეებმა, როცა ექსკურსიაზე ორი აფთიაქი დაათვალიერეს, მკვლევარ სოკრატს მიკრო გაგებით ქართველი “ჰენრიხ შლიმანი” დაარქვეს, ვინაიდან, წერილობითი საბუთი კარაბადინი, იგივე ფარამაკოპეა და ფეოდალური თახჩებიანი აფთიაქის ევრიკა მაღალაძეების და ასპაანიძე-ფანასკერტელის გვარს დაუკავშირდა. აფთიაქის შენობის ნაშთები (თახჩები) და კარაბადინ-ფარმაკოპეის ურთიერთკავშირი ძლიერი და უტყუარი არგუმენტია, რამაც ყველა სხვა მოსაზრება ამ ორიგინალური ნაგებობის პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრის თაობაზე ეჭვმიუტანლად გაფანტა. აქედან გამომდინარე, უფლისციხესა და ვარძიაში თახჩიანი ნაგებობები უყოყმანოდ აფთიაქებად იქნა მიჩნეული. ამიტომაც ორენოვან ჟურნალ “ალტერნატიული მედიცინის” რედაქციამ გაიზიარა მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მოსაზრებები. გაიმარჯვა ნათელმა აზრმა და სწორმა მეცნიერულმა დასკვნამ.

ჩვენი თანამემამულე აპირებს კვლავაც გააგრძელოს თანამშრომლობა ამ ჟურნალში და მოსალოდნელია რედაქციას მიაწოდოს სხვა საინტერესო მასალები საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხებზე. ასევე დასვას საკითხი ამ რედაქციის საშუალებით ალტერნატიული მედიცინის ადმინისტრაციის წინაშე (ცენტრი მდებარეობს კუნძულ ცეილონზე, ქალაქ შრი-ლანკაში) ალტერნატიული მედიცინის ემბლემის დაარსების თაობაზე, რომელიც მედეა კოლხელის სამედიცინო მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლიდან გამომდინარეობს.

ვილენ მარდალეიშვილი



უფლისციხის აფთიაქის ნანგრევები V ს.

ქართულ ალტერნატიულ სამედიცინო კულტურას ევროპა ცნობს და კარებს ფართოდაც უღებს ანუ ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის სოკრატ სალუქვაძის მეცნიერულმა გამოკვლევებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა

გაზეთ 'საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველს, ალბათ, კარგად ახსოვს ის ფაქტი, რომ გასული წლის 15 ნოემბერს ჩემი ხელმოწერით დაიბეჭდა სტატია სათაურით: 'მსოფლიოს უძველესი აფთიაქის ნაშთები უფლისციხეშია", ეს იყო საზღვარგარეთის, ანუ უცხოური ჟურნალის ფურცელზე გამოქვეყნებული მასალის (პრესის) მიმოხილვა იმის თაობაზე, რომ გერმანიაში გამოცემულმა ორენოვანმა (გერმანული და ინგლისური) ჟურნალმა „ალტერნატივე მედიცინამ" (რედაქტორი ანეტ მუნდი), დაბეჭდა წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების ცნობილი მკვლევარის, სოკრატ სალუქვაძის ვრცელი – 8 გვერდიანი სტატია, რომელსაც ახლდა უფლისციხესა (V ს) და ვარძიაში (XII ს) აღმოჩენილი უცნაური თახჩების ფოტოსურათები და ჟურნალის რედაქციამ დაადასტურა, რომ თუ დღეს საერთაშორისო ენციკლოპედიის რედაქციები ერთხმად აღიარებენ ახ.წ. VIII საუკუნეში უძველესი აფთიაქის არსებობას დღევანდელი ერაყის დედაქალაქ ბაღდადში, 300 წლით უფრო ძველი აფთიაქის ნაშთები (აღმოაჩინა აკად. დავით ხახუტაიშვილმა) დაფიქსირდა უფლისციხეში.

უდავოა, რომ ევროპის სპეციფიკურმა ჟურნალმა გაიზიარა ქართველი მკვლევარის სოკრატ სალუქვაძის სწორი ნააზრევი და ჟურნალში დადებითი შინაარსის სტატიის გამოქვეყნებით ქართულ კულტურას ობიექტურად მხარი დაუჭირა.

საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხებზე 30 წელზე მეტია წარმატებით მუშაობს მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე. მან ჯერ კიდევ 1977 წელს რუსულ-გერმანულ და გერმანულ-რუსულ სამედიცინო კავშირების საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც ქ. თბილისში ორბელიანების სასახლეში გაიმართა (და რომელშიც დღეს აშშ-ს საელჩოა განთავსებული), გააკეთა ასეთი განცხადება, მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას მედიცინა რომ ეწოდება, ეს ტერმინი კოლხეთის მეფის აიეტის ასულის მედეას სახელთან ეტიმოლოგიურად ხომ არ არის დაკავშირებულიო და გააგრძელა მოხსენების წაკითხვა გერმანულ-ქართული ფარმაცევტული კავშირების შესახებ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ როცა ქართველ ხალხს XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 10-იან და 20-იანი წლების დასაწყისამდე, სააფთიაქო ქსელის ეროვნული კადრები არ ჰყავდათ, მაშინ დახმარების მეგობრული ხელი გერმანელი ხალხის საუკეთესო სპეციალისტებმა გამოგვიწოდეს და ისინი მნიშვნელოვან კვალიფიციურ დახმარებას გვიწევდნენ მოსახლეობის წამალთმომსახურეობის საქმეში. ეს მოხსენება გერმანულად თარგმნა სიმპოზიუმის მონაწილემ, ბატონმა გოტჰარდ შტროჰმაიერმა და გამოაქვეყნა ბერლინის ჟურნალ „ფარმაცევტიშე პრაქსის" ფურცლებზე. 1979 წელს

მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ, მის კოლეგასთას, გივი საყვარელიძესთან ერთად (გამომც. „ხელოვნება“) გამოსცა სამედიცინო თემატიკაზე კედლის ვიზუალური კალენდარი და შესავალში დაურთო სტატია სამ ენაზე, ქართულად, რუსულად და ინგლისურად, სათაურით „წამალთმცოდნეობის და მკურნალობის საკითხები ძველ საქართველოში“, სადაც დაფიქსირებულია ასეთი მოსაზრება, რომ მკურნალობასთან დაკავშირებული საქმიანობა, მედიცინა რომ ჰქვია, ხომ შეიძლება მედეას სახელს უკავშირდებოდეს ისე, როგორც ასკლეპიოსის, იგივე ესკულაპის ქალიშვილის ჰიგიას სახელიდან დაარსებულია სამედიცინო მეცნიერული დისციპლინის მოძღვრება: სისუფთავის, ინფექციური დაავადებების თავიდან აცილებისა და ჯანმრთელობის დაცვის თაობაზე, რომელსაც **ჰ ი გ ი ე ნ ა** ეწოდება? ასევე „გალენიკა“ დიდი რომაელი ექიმის კლავიდიუს გალენიუსის სახელთანაა დაკავშირებული, ხოლო ბალახების, ყვავილების და სიყვარულის ქალღმერთის ვენერას სახელთან არის დაკავშირებული სამკურნალო მეცნიერების სახელწოდება, რომელიც სწავლობს ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების ინფექციური დაავადებების მკურნალობას – რომელსაც <u>ვენეროლოგია ეწოდება და ა.შ.</u> გასული წლის 15 ნოემბერს გაზეთში ამ სტატიის ბოლოს ვწერდი, რომ ჩვენი თანამემამულე (საუბარია სოკრატ სალუქვაძეზე. **ვ.მ.**) აპირებს კვლავაც გააგრძელოს თანამშრომლობა ამ ჟურნალში და მოსალოდნელია ამ რედაქციას მიაწოდოს სხვა საინტერესო მასალები საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხებზე. ასევე დასვას საკითხი ამ რედაქციის საშუალებით ალტერნატიული მედიცინის ადმინისტრაციის (ცენტრი მდებარეობს კუნძულ ცეილონზე, ქ. შრი-ლანკაში) ალტერნატიული მედიცინის ემბლემის დაარსების თაობაზე, რომელიც კოლხელი მედეას სამედიცინო მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლიდან დასაბუთებულად გამომდინარეობს და აი, დავდექით ფაქტის წინაშე. საქმემ წინ წაიწია, ჟურნალი დაგვეხმარა, ქართულმა წარმართულმა ალტერნატიულმა მედიცინამ და კულტურამ ევროპის ცენტრში, ორენოვანმა ჟურნალმა „ალტერნატივე მედიცინამ“ საკითხის დასმის წესით ყდაზე გამოიტანა დასანერგი ემბლემის რეალური ვარიანტის ორიგინალური ფოტოსურათი (იხ. იგი. **ვ.მ.**).

ასე, რომ მკვლევარ სოკრატ სალუქვაძეს 30 წლის წინათ აქვს მოსაზრება მედეას და მედიცინის ეტიმოლოგიური კავშირის არსებობის შესაძლებლობის შესახებ და ამ მოსაზრებაში მოზიარე, გარდა გივი საყვარელიძისა, არავინ ჰყავს, რასაც წლების მანძილზე ფიქრისა და ძიების შედეგად დაუმატა მოსაზრება – იდეა მედიცინის საერთაშორისო ემბლემის დაარსების თაობაზე. ნაბიჯ-ნაბიჯ ეს საქმე დღეს ბოლომდეა მიყვანილი, რასაც საერთაშორისო ჟურნალი ადასტურებს. ფაქტი სახეზეა. ამჟამად რედაქციაში ჩვენ ხელთა გვაქვს გასული წლის დეკემბერში გამოცემული ჟურნალი (№2) „ალტერნატივე მედიცინა“, რომლის ყდაზე ახატია ძალიან ლამაზი და ღრმა შინაარსიანი ორიგინალური საერთაშორისო ალტერნატიული მედიცინის სავარაუდო, დასანერგი ემბლემა. საქმე შემდეგში გახლავთ, ჯერ კიდევ 1964 წელს, გამომცემლობა „ნაკადულს“ გამოსაცემად, ცნობილმა მწერალმა და მეცნიერმა პროფ. ლევან სანიკიძემ, ჩააბარა დოკუმენტური პროზა სათაურით „ამბავი

კოლხი ასულისა“, რომელიც დასურათების მიზნით გამომცემლობამ გადასცა ცნობილ გრაფიკოს მხატვარს, ბატონ ელგუჯა ბერძენიშვილს. ბატონმა ელგუჯამ დახატა გრაფიკული შედევრი, საოცრად მიმზიდველი, არაჩვეულებრივ სამოსელში გამოწყობილი კოლხი მანდილოსანი. მედეა თითქოს გველივით დაკლაკნილ ცეცხლის ალზე ახმობს თუ აშრობს რომელიღაც სამკურნალო მცენარეს და, ამრიგად, ის დინამიურობაში, მიმანიშნებლად თითქოს წამლის ფორმის მომზადების პროცესშია წარმოდგენილი. ეს პორტრეტული შედევრი ნებისმიერ მკვლევარზე თუ ხელოვნებათმცოდნეზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს, რომელიც უდაოდ კლასიკური შედევრია გამორჩეული და ორიგინალურია. სწორედ ეს გახლავთ ემბლემად აღიარების იდეის მთავარი მიზეზი. თავდაპირველად ამ გრაფიკულ შედევრზე გამოჩნდა ლათინურენოვანი წარწერა „კურა მედიანა“,რასაც მედეას სამკურნალო ხელოვნებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, ვინაიდან „კურა“ ნიშნავს კურნებას, ხოლო ‘მედიანა“ – ‘საშუალოს“, ეს ლათინურენოვანი წარწერა სოკრატ სალუქვაძეს არ ეკუთვნის, საჭირო იყო უფრო გონივრული და შინაარსობრივად შესაბამისი ლათინურენოვანი წარწერა, რომელიც მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ მოიფიქრა და წარმატებასაც მიაღწია. კერძოდ, მედიცინის საერთაშორისო ემბლემის შექმნის იდეის ავტორმა სოკრატ სალუქვაძემ მიმართა ასევე კლასიკოს გრაფიკოს მხატვარს, ემირ ბურჯანაძეს, ელგუჯა ბერძენიშვილის გრაფიკული შედევრი მხოლოდ ლათინურენოვანი წარწერით დაემშვენებინა. და აი, შინაარსი ამ ლათინურენოვანი წარწერისა: „კოლხელი მედეას სამედიცინო მკურნალობანი ანუ მედიცინა“ და მკვლევარმა ამ ორიგინალურ ემბლემას მიუსადაგა შესაბამისი, ასევე ორიგინალურად შედგენილი მეცნიერულად გამოკვლეული ტექსტი, სადაც მთავარი უხერხულობა ის გახლავთ, რომ ქრისტეს შობამდე 1500 წლით ადრინდელ რომელ ენაზე არსებულ ლიტერატურულ წყაროზე უნდა მიეთითებინა მკვლევარს სქოლიო? ასეთი წყარო რომ აიეტის ეპოქასთან მიმართებაში არ არსებობდა, მსოფლიო წერილობითი წყაროების ლიტერატურაიდან გარდა არგონავტებზე თქმულებისა, არაფერი იყო ცნობილი (დაწერილი) მედეასა და მედიცინის ეტიმოლოგიური კავშირის თაობაზე. გაჭრილად რომ ვთქვათ, ეს საკითხი მეცნიერულად სოკრატ სალუქვაძემდე არავის უკვლევია და არც არავის მოუფიქრებია ასეთი შესაძლო ეტიმოლოგიური კავშირი. და ჩვენს მკვლევარს მაშინ მოაგონდა შოთა რუსთაველის აფორიზმი: „რა მისჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერსა.“ არავის გამოუკვლევია სოკრატ სალუქვაძემდე, რომ უპირველესი ქართველოლოგი არის ეროვნებით გერმანელი, მხოფლიო მედიცინის ისტორიის პირველი მიუკერძოებელი მკვლევარი და სისტემატიკოსი პროფ. კურტ იოახიმ პოლიკარპ შპრენგელი, რომელმაც მსოფლიო მედიცინის ისტორიის ხუთტომეულის პირველი ტომის პირველი ქვესათაური დაიწყო: „უძველესი კოლხური მედიცინის“ აღწერით-უვერტიურით. პროფ. კ. შპრენგელს არ უთქვამს, რომ მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას „მედიცინა“ ეწოდება და ეს ეტიმოლოგიურად მედეას სახელს უკავშირდებაო, მაგრამ მესოპოტამიურ-ბაბილონურ, ეგვიპტურ, ბერძნულ და რომაულ ცივილიზაციას წინ წაუმძღვარა უძველესი კოლხური მედიცინის ისტორია და ქვეცნობიერად კ. შპრენგელის მიერ მედეას სამკურნალო ხელოვნების

ტრადიციებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და ეს მოსაზრება პირველად ევროპაში 1792 წელს გახმაურდა ქ. ჰალეში, სადაც გამოიცა პროფ. კ. შპრენგელის ხუთტომეულის პირველი ტომი. მთავარი წყარო, სათავე, სოკრატ სალუქვაძის ინტუიციური მოსაზრების შესაბამისად, რომელზედაც თავის მოსაზრებას აფუძნებს ავტორი მედეა – მედიცინის ეტიმოლოგიურ კავშირზე აგებს, რომელიც გამართლებული მოსაზრება გამოდგა. მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის შთამაგონებელი, წინამორბედი, უდიდესი მეცნიერი პროფ. კ. შპრენგელი იყო და ამას ემატება 1984 წლის 21 ივნისს XX საუკუნის „არგონავტის“ ტიმ სევერინის განმეორებითი ლაშქრობა ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვამდე და რიონის დელტამდე, რაც ავტორისათვის სქოლიოს შესაბამისი უდიდესი ლიტერატურული წყაროა საკუთარი მოსაზრების დამოწმებისა და დამტკიცების თვალსაზრისით! მდინარე რიონში ჩაშვებული გემ „არგოს“ გემბანიდან არგონავტმა ტიმ სევერინმა მილიონობით ტელემაყურებლის წინაშე განაცხადა: „კაცობრიობას აწვალებდა ფიქრი, მითი არგონავტების შესახებ ზღაპარი იყო თუ სინამდვილე? ჩემი მოგზაურობა წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით ხორციელდებოდა, მიმდინარეობდა... ამიტომ უფლებამოსილი ვართ განვაცხადოთ: „მითი სინამდვილეს შეესაბამება“. ე.ი. ლეგენდები და მითები არგონავტების შესახებ, კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცებას და მეფე აიეტის ცხოვრებას რეალური საფუძველები ჰქონია. აქვე უნადა აღინიშნოს ქართველი მეცნიერების მიერ არაერთი მხარდამჭერი ღონისძიების შესახებ. ასე მაგ. 2002 წელს აკადემიკოს ალეკო ბაკურიძის ინიციატივით ქ. თბილისში ჩატარდა ფარმაცევტთა საერთაშორისო კონგრესი, რომლის ორგკომიტეტს წინადადება-თხოვნით მიმართა კონგრესის მონაწილემ სოკრატ სალუქვაძემ მედეას გრაფიკული შედევრის ალტერნატიული მედიცინის ემბლემად გამოცხადების თაობაზე. 12-მა ქართველმა ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორმა და საერთაშორისო კონგრესის 170-მა მონაწილემ პირადი ხელის მოწერით, ერთხმად მხარი დაუჭირა ასეთ წინადადებას. გარდა ამისა, ამ გრაფიკული შედევრის მედიცინის საერთაშორისო ემბლემად აღიარების თაობაზე ხუთმა ქართველმა მეცნიერმა დაწერა დადებითი რეცენზია და გაიგზავნა იგი იუნესკოში და ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაში. შუამდგომლობას ხელს აწერდა ძველი მსოფლიოს ისტორიის კომპეტენტური სპეციალისტი, მწერალი და მეცნიერი, პროფესორი, აწ განსვენებული ლევან სანიკიძე, შუამდგომლობის ტექსტის ძირითად ვარიანტზე ხელს აწერდნენ: აკადემიკოსი ბაადურ რაჭველიშვილი, აკადემიკოსი ჯანგირ მამალაძე, აწ განსვენებული აკადემიკოსები: ზაზა კახიანი და ირაკლი ჭუმბურიძე. საკითხის გადაწყვეტა ნელი ტემპით მაინც წინ მიიწევდა. მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მიერ გზადაგზა არაერთ ჟურნალში გამოქვეყნებულა ნარკვევი სათაურით: „უძველესი მედიცინის ემბლემა ახალი თვალსაზრისით ანუ მედიცინა-მედეა-მედიცინა“. რამდენიმე წლის წინ ეს მოსაზრება დაიბეჭდა აღნიშნული ემბლემითურთ გერმანულენოვან ჟურნალ „კავკაზიშე პოსტი“-ს (რომელიც გამოდის თბილისში) ფურცლებზე. ასევე ტექსტი ამ ბოლო დროს გაიგზავნა გერმანიაში ორენოვან ჟურნალ „ალტერნატივე მედიცინი“-ს ფურცლებზე გამოსაქვეყნებლად. კაცმა რომ თქვას, გერმანული ჟურნალების რედაქციები ერიდებიან დუბლირებული სტატიების

გამოქვეყნებას, მაგრამ ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ქალბატონმა ანეტ მუნდიმ სტატია რიგში ჩაუყენებლად გარეშე დაბეჭდა და ემბლემის ორიგინალური ესკიზი შესაბამისი ლათინურენოვანი წარწერით, ჟურნალის ყდაზე შთამბეჭდავად გამოიტანა... ტექსტი, როგორც ჩანს, პირველსავე გვერდზე მოათავსა, ამავე ჟურნალის დასაწყისში დაბეჭდა სტატიის ავტორის სოკრატ სალუქვაძის ფოტოსურათი, რასაც ახლავს ავტორის ანკეტური მონაცემები გერმანულ და ინგლისურ ენებზე, ანუ მოკლე ავტობიოგრაფიული ცნობები. ამრიგად ევროპის მედიცინის სპეციალისტებს საშუალება მიეცათ გაეცნონ მედეა-მედიცინას შორის შესაძლებელ ეტიმოლოგიურ კავშირს. ყოველივე ეს ქართული სამედიცინო კულტურის პროპაგანდის თვალსაზრისით საერთაშორისო დონეზე აღიარება და მხარდაჭერა გახლავთ.

ვულოცავთ მკვლევარ სოკრატ სალუქვაძეს საერთაშორისო არენაზე წარმატებას და აღიარებას, საკუთარი მეცნიერული მიგნებების დანერგვას.

ევროპულმა პრესამ გაიზიარა სოკრატ სალუქვაძის მეცნიერული გამოკვლევები ალტერნატიული მედიცინის ისტორიაში, რომელებიც დღეს საკმაოდ დიდი, მაღალი რეიტინგით სარგებლობს, რასაც ემატება კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი-ფაქტი. გასული წლის შემოდგომაზე თბილისში ჩამოვიდა ბერლინის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიის მაგისტრატურის სტუდენტი ქალბატონი ნადეჟდა პანტელი, რომელიც კათედრის გამგეს სამეცნიერო მივლინებაში გამოუგზავნია საქართველოში და მისთვის მაგისტრის ხარისხის მოპოვებისათვის შეურჩვიათ თემა: <u>"მედეა დღეს"</u> ანუ "მედეა ჰეუტე". დავალება მიუციათ, რომ ამ საკითხზე მუშაობისას კონსულტაციები მიეღო ქ. თბილისში მოღვაწე წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების მკვლევარ ბატონ სოკრატ სალუქვაძესთან, პირადად გაცნობოდა მას და მის მეცნიერულ შრომებს. ეს შეხვედრა შედგა გასული წლის ნოემბერში. ქალბატონ ნადეჟდა პანტელს სოკრატ სალუქვაძემ გადასცა საკმაო რაოდენობით თავისი მეცნიერული შრომები, მან თბილისის ისტორიის მუზეუმ – ქარვასლაში გამოფენა მოაწყო და იგი ბერლინში კმაყოფილი გაემგზავრა. ავტორს ბერლინელი სტუდენტი შეპირდა, რომ თავის სადისერტაციო გამოკვლევაში დიდ ადგილს დაუთმობდა ქართველი მკვლევარის მეცნიერულ შრომებს, ვინაიდან ბატონი სოკრატი ერთადერთი მკვლევრია, რომელიც მედეას მემკვიდრეობას მიიჩნევს ეტომოლოგიურ კავშირში მედიცინასთან და მედეა ამ თვალსაზრისით ისტორიული, რეალური პიროვნება იყო.

ველოდებით დადებით მეცნიერულ დასკვნას და ობიექტურ გამოძახილს ბერლინიდან.

გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ თურმე მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის შრომებს კარგად იცნობენ ბერლინში და მაგისტრის ხარისხის მოპოვებისათვის მასთან კონსულტაციების მიღების მიზნით ბერლინის უნივერსიტეტიდან მივლინებაში იგზავნება მეცნიერული ხარისხის მაძიებელი, ეს ფაქტიც ბ-ნი სოკრატის მაღალ რეიტინგზე მეტყველებს ევროპის ცენტრალურ ქვეყანაში – გერმანიაში.

ამ მუხლჩაუხრელ მკვლევარ-ენთუზიასტს კვლავ ახალი წარმატებებით ევლოს საერთაშორისო გზებზე. გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ საქართველოს

წამალთმცოდნეობის ისტორიის მკვლევარის, ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის სოკრატ სალუქვაძის სტატიას: „უძველესი მედიცინის ემბლემა ახალი თვალსაზრისით ანუ მედიცინა-მედეა-მედიცინა“, ჩვენს გაზეთში ქართულად, რომელიც თითქმის უცვლელად ორ ენაზე – გერმანულად და ინგლისურად უკვე გამოაქვეყნა ამ საერთაშორისო ჟურნალმა. ველოდებით თქვენს გამოხმაურებას, ვინაიდან ასეთი აღიარება სენსაციურია და იგი ქართული წარმართული სამედიცინო კულტურის ევროპის დონეზე მნიშვნელოვანი, ღირსშესანიშნავი მხარდამჭერი ღონისძიებაა.

ავტორთან საუბრობდა ვილენ მარდალეიშვილი სახელმწიფო პრემიის ლაურეანტი, ჟურნალისტი.

კოლხი მედეას გამოსახულება შესაძლებელია მსოფლიო მედიცინის ემბლემა გახდეს



აკადემიკოსი ბაადურ რაჭველიშვილი – მედიცინის ისტორიის საკითხების კვლევის კომპეტენტური სპეციალისტი, ბიოსამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თითოეული ერი ან რასა, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში სხვებისაგან გამორჩეული განსაკუთრებული ნიჭით არის ღვთისაგან დაჯილდოვებული.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას არაერთი საინტერესო ფაქტი ადასტურებს. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ ქართველებს გარდა მრავალი სხვა მემკვიდრეობით თანდაყოლილი ნიჭისა, უთუოდ ავადმყოფთა მკურნალობის ნიჭიც აქვთ, გამოყოლილი. ამის დასამტკიცებლად მრავალთაგან მხოლოდ ორ ფაქტზე შევჩერდებით.

თუ გავეცნობით ბერძნულ ისტორიულ ქრონიკებში, მითებსა და ლიტერატურულ ქმნილებებში გადმოცემულ ცნობებს, რომლებიც კოლხი მედეას მკურნალობის გასაოცარ ნიჭს შეეხება, და აგრეთვე იმას, რომ კოლხეთში

სპეციალური სამკურნალო მცენარეების მოსაშენებელი „ჰეკატას ბაღი“ არსებობდა, სადაც 40-მდე სამკურნალო მცენარე იყო კულტივირებული, ალბათ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ არგონავტები ძველ კოლხეთში მხოლოდ “ოქროს სარწმისის“ მოტაცების მიზნით არ გაემგზავრნენ. მათ, ალბათ, არანაკლებად აინტერესებდათ კოლხური მედიცინის გაცნობა და ათვისება. თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ, ალბათ შემთხვევით არ მოგვეჩვენება ის ფაქტი, რომ არგონავტებმა მედეა მოტყუებით თან წაიყვანეს საბერძნეთში.

ქართველი ხალხის დიდ თანდაყოლილ ნიჭს ავადმყოფთა მკურნალობაში აგრეთვე თვალსაჩინოდ ადასტურებს შუა საუკუნეებში დაწერილი მრავალი ქართული სამკურნალო წიგნი, რომელებიც, საბედნიეროდ, დღევანდლამდე შემოგვრჩა.

ზემოთაღნიშნულ სამკურნალო წიგნებში ენდოკრინოლოგიის ჩანასახების თვალსაზრისით მოტანილი მდიდარი ცნობებიდან საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: იაპონელმა მეცნიერმა აკინომ დათვის ნაღვლისაგან შექმნა პრეპარატი, რომელიც მსოფლიოში დიდი წარმატებით გამოიყენება ნაღვლკენჭოვანი დაავადებისა და ჰეპატიტების მკურნალობის დროს. ზემოაღნიშნულმა ავტორმა ამ პრეპარატით უდიდესი პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოში. მას ნობელის პრემია მიენიჭა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაღვლის ბუშტისა და ღვიძლის მკურნალობა დათვის ნაღველით რამდენიმე ასეული წლის წინ ქართულ სამკურნალო წიგნში იყო რეკომენდებული. ზემოაღნიშნული მსგავსი ფაქტების მოტანა კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი რეცენზიის ძირითად საკითხზე გადავიდეთ.

უპირველესყოვლისა, გვინდა მადლობის გრძნობით და დიდი პატივისცემით აღვნიშნოთ ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის სოკრატ სალუქვაძის დამსახურება, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში თავგამოდებით იღვწის, რათა დამტკიცოს მსოფლიო მედიცინის განვითარებაში კოლხური მედიცინის პრიორიტეტი. ამასთან, იგი იმოწმებს გერმანელ პროფ. კურტ იოახიმ პოლიკარპ შპრენგელს, რომელმაც მის მიერ დაწერილ მსოფლიო მედიცინის ისტორიის მრავალტომეულში პირველი თავი „უძველეს კოლხურ მედიცინას” მიუძღვნა, რითაც მიანიშნა, რომ იგი საფუძველთა-საფუძველია მსოფლიო მედიცინისა (ძვ. წ. XV-XIV ს.ს.).

ბატონი სოკრატ სალუქვაძის მეცნიერულმა აღმოჩენებმა საზღვარგარეთ უცხოელ მეცნიერთა ინტერესი გამოიწვია და ზოგიერთი მათგანი მის პუბლიკაციებს ცხოველი ინტერესით გამოეხმაურა. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ მისი გამოკვლევები დაიბეჭდა აშშ-ი, გერმანიაში და სხვაგან, როდესაც 1977 წელს თბილისში საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა, რომელიც გერმანულ-რუსული და რუსულ-გერმანული სამედიცინო ურთიერთკავშირებისადმი იყო მიძღვნილი, ბატონი სოკრატი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერი, სიმპოზიუმზე წარსდგა მოხსენებით, რომელიც გერმანულ-ქართული სამედიცინო და ფარმაცევტული კულტურული კავშირებისადმი იყო მიძღვნილი. აქ მან სრულიად ორიგინალური და უპრეცედენტო განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ მსოფლიოში

გავრცელებული ტერმინი „მედიცინა“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება კოლხეთის მეფე აეტის ქალიშვილის, გრძნეული მკურნალი ქალის მედეას სახელს. ამ საკითხზე მისი მსჯელობა ასე იყო წარმართული: “თუ ბერძნული სახელწოდებიდან „ჰიგია“ წარმოიშვა სამედიცინო ტერმინი „ჰიგიენა“, სიტყვა ვენუსიდან „ვენეროლოგია“, სახელიდან „გალენი“ “გალენიკა“, სახელიდან „მითრიდატე“ შხამის საწინააღმდეგო წამალი ანტიდოტი „მიტრიდატუმი“, სიტყვიდან “ფარმაკონ“–”ფარმაკოლოგია“, “ფარმაკოგნოზია”, “ფარმაკოპეა” და სხვა, რატომ არ შეიძლება სიტყვიდან „მედეა“ წარმოშიბილიყო ‘მედიცინა“?

იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ბერძნულად „მედიცე“ მკურნალს ნიშნავს, მედეა კი სწორედ დიდი მკურნალი ქალბატონი იყო“. „გონიერებითა და სიკეთით შემკული კოლხეთის მეფის აიეტის ასული მედეა (პროფ. მ. შენგელია).”

ბატონმა სოკრატმა დაასაბუთა, რომ ტერმინი „მედიცინა“ ბერძნულ ტერმინოლოგიაში არგონავტების მოგზაურობის შემდეგ გაჩნდა, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას მედეასა და მედიცინის ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი სოკრატის მოსაზრება სრულიად ორიგინალური იყო და მას მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში პრეცედენტი არ გააჩნდა.

ამრიგად, ბატონმა სოკრატმა პირველმა გამოთქვა ვარაუდი, რომ მსოფლიო სამედიცინო წრეებში გავრცელებული ტერმინი ‘მედიცინა” კოლხი მედეას სახელწოდებიდან წარმოსდგა.

ბატონმა სოკრატმა, ამასთან დაკავშირებით მედიცინის ემბლემად შემოგვთავაზა ელგუჯა ბერძენიშვილის მიერ შექმნილი იერსახე-ნახატი. იგი თავის მოსაზრებას უგზავნის კოლუმბიის ალტერნატიული უნივერსიტეტის რექტორს და სამეცნიერო საბჭოს, რათა კომპეტენტურმა სპეციალისტებმა მის მოსაზრებას მეცნიერული შეფასება მისცენ. ყოველივე ამას წინ უძღვის ის სასიამოვნო ფაქტი, რომ გერმანულ-ინგლისურენოვანმა ჟურნალმა „ალტერნატიულმა მედიცინამ” სატიტულო გვერდზე გამოიტანა-დაბეჭდა მხატვარ ე. ბერძენიშვილის მიერ დახატული გრაფიკული შედევრი „მედეა”, რომელსაც მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მიერ მოსაზრებული შემდეგი ლათინურენოვანი წარწერა ამშვენებს: „კოლხელ მედეას მკურნალობანი, ანუ ‘მედიცინა”. ამავე ჟურნალის სატიტულო გვერდზე მოთავსებულია წარწერა, სადაც აღნიშნულია, რომ „ზოგიერთ მკვლევართა აზრით მედიცინის ემბლემად უნდა იქცეს ეს ნახატი აღიარებული” ჟურნალის გარეკანზე მოთავსეუბლი კოლხელი მედეას საოცრად მიმზიდველი, შინაარსიანი სურათი, თვით ჟურნალში მოთავსებული ავტორის პორტრეტი და ტექსტი ანკეტური მონაცემებით გერმანულ და ინგლისურ ენაზე. ჟურნალის შესავალში დაბეჭდილია მისი სტატია, სადაც იგი დაწვრილებით განიხილავს მედეას და „მედიცინის“ ეტიმოლოგიური კავშირის შესაძლებლობის საკითხს და ხაზგასმით აღინიშნავს, იმოწმებს ინგლისელი მოგზაურის ტიმ სევერინის განმეორებით ლაშქრობას 35 საუკუნის შემდეგ. დასასრულს, აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბატონი სოკრატ სოლუქვაძის ზემოაღნიშნულმა გამოკვლევებმა და აგრეთვე მთელმა რიგმა სხვა სამეცნიერო შრომებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს და მათ ავტორს ბოლონიის უნივერსიტეტის დეკლარაციით

მას ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის წოდება მიენიჭა. იგი სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზაზა ფანასკერტელის სახელობის კომერციულ სამედიცინო ინსტიტუტში, უცხო ენების ინსტიტუტში და სხვაგან. მკლევარ სოკრატ სალუქვაძის მეცნიერული მიგნებით და რეკომენდაციით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ამშენებს ემბლემა.

ზემოაღნიშნული ემბლემა დაფუძნებულია არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილის ერთ-ერთ კოლექციაზე, სახელდობრ; გრანიტის ფილაზე-ბორცვზე ამოჩუქურთმებულია რელიეფურად დაკლაკნილი გველის-გამოსახულება. მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის აზრით, ეს დეტალი ახ.წ. V საუკუნეში სამედიცინო დაწესებულებას ამშეენებდა, ან სამედიცინო განათლების მქონე მკურნალის ბინის კვლელში იყო ჩაშენებული. მკლევარის აზრით, იგი ემბლემის დანიშნულებას ასრულებდა 1500 წლის წინათ. ბატონი სოკრატის მეგობარმა მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ სტილიზებურად მოხატა ემბლემა და ქართულენოვანი წარწერა გაუკეთა წრეში „თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტი". მაშინდელი რექტორის, აკადემიკოს რამაზ ხეცურიანის რეკომენდაციით და სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით ეს ორიგინალური და სტილიზებული ესკიზი სამედიცინო უნივერსიტეტის ემბლემად იქნა აღიარებული, დანერგილი. (იხილეთ შესაბამისი ფოტოსურათი. **ბ.რ.**) არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე აღმოსავლეთ საქართველოში, კასპის რაიონის სოფელ წინარეხში ავტორმა აღმოაჩინა 500 თახჩიანი წამლების სასახლე, ე.წ. „მაღალაძეების აფთიაქი", რომელიც XV საუკუნით დაათარიღა, ხოლო მცხეთის რაიონის სოფ. ნიჩბისში ისევ ინტუიციური არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე აღმოაჩინა ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილის თახჩებიანი აფთიაქი, რომელიც XVII საუკუნით დათარიღდა.

ყოველივე ეს ავტორის იმ მოსაზრებებს ადასტურებს, რომ მკურნალ-ენციკლოპედისტ ზაზა ფანასკერტელის და საეკლესიო მედიცინის კალიგრაფ-ქადაგს, ჯვარისმტვირთველ მახარებელ ოქროპირიძე მაღალაძეს დაახლოებით 500 წლის წინათ ერთობლივი კვალიფიციური შრომით შეუდგენიათ "სამკურნალო წიგნი" (ქართულად), რაც შეესაბამება სპარსულად და არაბულად კარაბადინს და ბერძნულად და ლათინურად ფარმაკოპეას, რომელიც დღესაც ინახება ქ. თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში. წერილობითი საბუთი ფარმაკოპეა და აფთიაქი ზაზა ასპანიძე-ფანასკერტელის და მახარებელ ოქროპირიძე მაღალაძის საგვარეულოებს დაუკავშირდა, რაც ძლიერი არგუმენტია. ბატონი სოკრატიც მიისწრაფვის იქითკენ, რომ სპონსორების დახმარებით კვლავ აღდგეს ამას წინათ თბილისში დახურული №1 აფთიაქი-მუზეუმი და მიზანშეწონილია დაარსდეს ალტერნატიული მედიცინის აკადემია, სადაც ამოქმედდება მედეას სამედიცინო მემკვიდრეობის მეცნიერულად შემსწავლელი ცენტრი.

აკადემიკოსი **ბაადურ რაჭველიშვილი,**

საქართველოს ბიოსამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

P.S. 2002 წელს თბილისში გაიმართა ფარმაცევტთა საერთაშორისო კონგრესი (ინიციატორი აკადემიკოსი ალეკო ბაკურიძე). ორგკომიტეტმა და კონგრესის ყველა მონაწილემ პირადი ხელმოწერით ერთხმად მხარი დაუჭირა მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის წინადადებას: მედეას გრაფიკული შედევრი სათანადო ლათინურენოვანი წარწერით აღიარებულ იქნეს მედიცინის საერთაშორისო ემბლემად (იხ. გვ. 70-73).

ჩვენი საბოლოო დასკვნა ასეთია: ნათლად ჩანს, რომ ბატონი სოკრატ სალუქვაძის მეცნიერული გამოკვლევები ალტერნატიული მედიცინისა და წამალთმცოდნეობის ისტორიაში თანდათან შეიძენს-მოიპოვებს საერთაშორისო აღიარებას ისე, როგორც დღეს ორენოვანმა ჟურნალმა „ალტერნატიულმა მედიცინამ" აღიარა – ყდაზე გამიტანე ემბლემისათვის გამიზნული მედეას ორიგინალური სურათი და პირველი ორი გვერდიც დაუთმო მედიცინისა და მედეას ეტიმოლოგიური კავშირის შესაძლებლობას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემბლემა (მხატვარი ემირ ბურჯანაძე). ემბლემა მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მეცნიერული კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს.



გველის რელიეფური გამოსახულებიანი ქვის ეს ჩუქურთმა მოთავსებული მაქვს ჩემი მონოგრაფიის 43 გვ. და მას 1500 წლის წინათ სამედიცინო ემბლემის პუნქცია მივანიჭე. დაუკვირდით ცენტრში ამობყრცული ქვის კოპს. ეა ნივთი ინახება ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ბატონი ემირ ბურჯანაძე ჩემი პუნდამენტური მონოგრაფიის „წამალთმცოდნეობა“ მხატვარი გახლავთ, რის გამოც მისგან საშვილიშვილოდ დავალებული ვარ.

ქალაქ თბილისის №1 აფთიაქ-მუზეუმის ინტერიერში თაღოვანი დაბოლოების სვეტის თავები (3 ადგილას) დედის ძუძუს მსგავსი ამ დეტალითაა დამშვენებული. კავთურას ხეობაში დედაღვთისას ეკლესიაში ესვენა მარმარილოში გამოქანდაკებული დედის მკერდი, ანუ „ძუძუს ხატი“, რომელიც რძენაკლები დედების სალოცავი იყო, რძის მომატების მიზნით. ამ დეტალს სხვანაირი ახსნა ჩვენ ვერ მოვუნახეთ.

ფოტოსურათი № 1. "ბრძენთმთავარი" და "მკურნალი" ზაზა ფანასკერტელი ყინწვისის ეკლესიის ფრესკაზე აღმაშენებლის პოზაში, ფრესკული წარწერა: „ფანასკერტელი ზაალი" „ციციშვილის" დამატებითი გვარის გარეშე;

ზაზა ასპანიძე-ფანასკერტელი ბრძენმთავარი, მკურნალი, პატრონი მოღვაწეობდა XV ს-ში. ფრესკა შემოგვინახა წმინდა მკურნალის, ნიკოლოზის სახ. ყინწვისის ეკლესიამ.



საეკლესიო მედიცინის ქადაგი, მღვდელი, ჯვარისმტვირთველი, კალიგრაფი მახარებელ ოქროპირისძე მაღალაძე მოღვაწეობდა XV საუკუნის მეორე ნახევარში. ფრესკა აღმოჩენილია სოკრატ სალუქვაძის მიერ მაღალაძეების საგვარეულო ეკლესიის დამატებით ექვდერში, ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და რენტგენოსკოპული სხივებით განათების შემდეგ. ფოტო იგორ გილგენდორფისა.



მახარებელი თავის ოთხ ვაჟიშვილთან ერთად. ფოტოსურათი გადაღებულია იგორ გილგენდორფის მიერ იმავე მეთოდით, როგორც ქადაგ მახარებლისა. ფრესკა მიგნებულია მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მიერ.



სამკურნალო წიგნის – ფარმაკოპეას გარეგანი ხედი. შედგენილია პატრონის, მკურნალ ზაზას და საეკლესიო მედიცინის ქადაგის მახარებელ ოქროპირისძე მაღალაძის ერთობლივი შრომის შედეგად.



მაღალაძეების საგვარეულო ეკლესიის შემოგარენში სოკრატ სალუქვაძის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია მაღალაძეების ფეოდალური აფთიაქი. თარიღდება XV საუკუნით. პატრონ ზაზას დაკვეთის საფუძველზე, ვისაც ფარმაკოპეის შედგენაში მიუღია მონაწილეობა, საკუთარ გამგებლობაში აფთიაქი-წამლის სასახლეც ჰქონია. ფარმაკოპეის და აფთიაქის ურთიერთ კავშირი ძლიერი და უტყუარი არგუმენტია ამ თახჩებიანი უცნაური არქიტექტურული, არქეოლოგიური შენობის პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრისათვის.



ფოტოსურათი №18. კარაბადინის 177-ე რექტო გვერდი და „ფანიაშვილების სიგელ-გუჯარის“ (დედნის) ურთიერთშედარებისას ანუ პალეოგრაფიული ექსპერტიზის ჩატარებით დადასტურდა კარაბადინის 1368 გვერდიდან 1008 გვერდის იდენტურობა, რამაც ჩვენ მოგვცა იმპულსი (ბიძგი) ამ კარაბადინის ისტორიის თავიდან დაწერისათვის. დიდი ზაზა ასპაანიძე-ფანასკერტელი დამკვეთ-მომგებელია, მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძე დაკვეთის შემსრულებელი ავტორია. სავარაუდოა, რომ მას ეხმარებოდა ძმა, საკუთარი შვილი, ან ძმისშვილი, რომელ გადამწერზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა კარაბადინის სახით ჩვენამდე დედანია მოღწეული და ამ ხელნაწერს ასლი-პირი, საერთოდ, არ გააჩნია?

P.S. სოკრატ სალუქვაძის ახალი მეცნიერული დასკვნებისათვის პირველი წყარო – ფანიაშვილების სიგელ-გუჯარი, დედანი. და კარაბადინის 177 რექტო გვერდი. ხელი კალიგრაფისა ერთი და იგივეა.



მუხრანის ბაგრატიონებმა, ეჭვიანობის ნიადაგზე, 1676 წელს სამეფო კარზე მოკლეს ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილი – მას, ბრძენთმთავარ ზაზას უშუალო შრომომაველს, ზაზას და მახარებლის სამკურნალო წიგნი – კარაბადინი – ფარმაკოპეა ბინაში ჰქონია შენახული, რომელსაც მეფის იასაულებმა კონფისკაცია გაუკეთეს "ზაზას ციხეში". არქეოლოგიური გათხრებით მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ აქაც აფთიაქი აღმოაჩინა. ისტორიული წერილებითი წყაროებით კასპის რაიონში, მდინარე კავთურას ხეობაში, „წალკოტში" სამკურნალო მცენარეების მოსაშენებელი ბაღი ყოფილა, ამ რეგიონში საეკლესიო მედიცინის კულტურის კერა მოქმედებდა 500 წლის წინათ, რასაც არაერთი უტყუარი არგუმენტით ამტკიცებს მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში.

I სურათების თანმიმდევრობა და მათი ანოტაციები

1. მსოფლიოში უძველესი აფთიაქის ნაშთები უფლისციხეში (V ს.) ექსპერტი სოკრატ სალუქვაძე, აღმოაჩინა აკადემიკოსმა დ. ხახუტაიშვილმა (იხ. გვ. 109).
2. კლდეში ნაკვეთ ციხე-ქალაქ ვარძიაში მკლევარ-მეცნიერთა მიერ (გიორგი ტყეშელაშვილი, 1947 წ.) დაფიქსირებულია 800 წლის წინანდელი თახჩებიანი აფთიაქი (იხ. გვ. 110).
3. მაღალაძეების აფთიაქი თარიღდება XV ს-ით, აღმოჩენილია სოკრატ სალუქვაძის მიერ. (იხ. გვ. 111).
4. ზაზა ასპანიძე-ფანასკერტელის (დამკვეთი-მომძებნელი) და შემდგნელის, საეკლესიო მედიცინის კალიგრაფის მახარებელ ოქროპირის ძე მაღლაძის მიერ. ხელნაწერი „სამკურნალო წიგნი“ - კარაბადინი ფარმაკოპეა, რომელიც შეიცავს 1368 გვერდს, თარიღდება XV ს-ით. ძლიერი დოკუმენტია აფთიაქის და ფარმაკოპეის Q ფონდი № 877 დაკავშირება მაღალაძეთა საგვარეულოსთან (იხ. გვ. 338).
5. შუა საუკუნეების დიდი ენციკლოპედისტი, მკურნალია ზაზა ფანასკერტელის ფრესკა წმინდა ნიკოლოზის სახ. ყინწვისის ეკლესიაში (XV ს. მეორე ნახევრით თარიღდება) (იხ. გვ. 336).
6. ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილის ფეოდალური აფთიაქი, თარიღდება XVII საუკუნით, აღმოჩენილია სოკრატ სალუქვაძის მიერ, აქაც აფთიაქი და ფარმაკოპეა ასპანიძე-ფანასკერტელი-ციციშვილების გვარს დაუკავშირდა, რაც ამ თახჩებიანი ნაგებობის ფუნქციის განსაზღვრისთვის ძლიერი და მთავარი არგუმენტია (იხ. გვ. 16).
7. ფეოდალი ზაზა მოკლეს მუხრანის ბაგრატიონებმა 1676 წელს ეჭვიანობის ნიადაგზე, თუმცა ზაზა არ იყო დამნაშავე. ეს სახლთუხუცესი XVII ს. მეორე ნახევარში მოღვაწეობდა, ამ დროისათვის კარაბადინი მისი ფეოდალური საკუთრება იყო, რომელიც მუხრანის ბაგრატიონების იასაულებმა წაართვეს (იხ. გვ. 338, 340).
8. ფანიაშვილების სიგელ-გუჯარი გაცემულია 1491 წელს მეფეთ-მეფე კონსტანტინე II ბაგრატიონის მიერ. დაწერილია მახარებელ მაღალაძის მიერ, დედანია, შეადარეთ კარაბადინის 177 სექტორ გვერდს. ხელნაწერი კარაბადინის 1368 გვერდიდან 1008 გვერდი მახარებლის ავტოგრაფის იდენტურია. მიაგნო და ეს დოკუმენტი კვლევა-ძიების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა სოკრატ სალუქვაძემ. იუსტიციის სამინისტროს ლაბორატორიაში ექსპერტიზა მანვე ჩაატარებინა, რითაც დაადგინა, რომ ჩვენ ხელთ გვიპყრია დედანი და მას ასლი არ გააჩნია (იხ. გვ. 339).
9. მახარებელ მაღალაძის ფრესკა აღმოაჩინა სოკრატ სალუქვაძემ ინფრაწითელი, ულტრაიისფერი და რენტგენოსკოპული სხივების განათების მეთოდით. ფოტო იგორ გილგენდორფისა (იხ. გვ. 337).

10. მახარებელ მაღალაძე ოთხ ვაჟიშვილთან: გერმანოზთან, მარკოზთან, ეგნატესთან და დიმიტრისთან ერთად. ფრესკას მიაგნო სოკრატ სალუქვაძემ. იგი ლიხტვაგენის განათებით იმავე მეთოდით გახლავთ გადაღებული იგორ გილგენდორფის მიერ (იხ. გვ. 337).
11. თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის გერბი. მხატვარი ემირ ბურჯანაძე. გერბი იდეურად მოსაზრებულია ს. სალუქვაძის მიერ (იხ. გვ. 335).
12. მეხუთე საუკუნის გრანიტის ფილა არქეოლოგ გალინე გობეჯიშვილის კოლექცია. ნაპოვნია 1946 წელს დასავლეთ საქართველოს სოფლების: გურიანთის, ბაილეთისა და ვაშნარის ტერიტორიებზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების წარმოებისას. ამ ნივთს ემბლემის ფუნქცია მიანიჭა მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ (იხ. გვ. 336).
13. თბილისის № 1 აფთიაქი - მუზეუმის კედლის ორნამენტი. შეადარეთ თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის ღერბს. მსგავსება ორივე ორნამენტთან აშკარაა (იხ. გვ. 70).



14. ფეოდალ მაღალაძე-მაღალაშვილების ღერბი. მიაგნო ს. სალუქვაძემ.

15. ფეოდალ მაღალაძე - მაღალაშვილების დროშა წმინდა გიორგის გამოსახულებით, რომელიც საინტერესო აღმოჩნდა საეკლესიო მედიცინის თვალსაზრისით, ამ ღერბს და დროშას სიძველეთა საცავებში მიაგნო სოკრატ სალუქვაძემ და სამეცნიერო კვლევა-ძიების მიმოქცევაში შემოიტანა.
16. ახ. წ. II ან III საუკუნის ფერადი მინის ჭურჭელი – დოზატორი სამი გველის რელიეფური გამოსახულებით, დიაფრაგმით და წერტილისოდენა ნახვრეტით. შეადარეთ მაიზელბახის ფირმის პრეპარატ ვოლოკარდინის ფლაკონს! დოზირების ტექნიკა საერთოა. შედარებითი ანალიზი და ექსპერტიზა სოკრატ სალუქვაძეს ეკუთვნის (იხ. გვ. 105).
17. 2002 წელს თბილისში ჩატარდა ფარმაცევტთა საერთაშორისო კონგრესი (ინიციატორი აკადემიკოსი ალეკო ბაკურიძე). ორგკომიტეტმა (22 წევრი) და 170 მონაწილემ ერთხმად, პირადი ხელმოწერით აღიარა სოკრატ სალუქვაძის წინადადება მედეას გრაფიკული შედევრის მსოფლიო ტრადიციული მედიცინის ემბლემად გამოცხადებისა და დანერგვის თაობაზე (იხ. გვ. 170-173).

წამალთმცოდნეობის ისტორიის მკვლევარი – აკადემიკოსი სოკრატ სალუქვაძე აცხადებს, რომ ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ეს ემბლემა – 1946 წლის 7 დეკემბრიდანაა დაარსებული და მთავარი ატრიბუტი ხმელ ჯოხზე დახვეული გველი, ძვ. წ. XII საუკუნეში მოღვაწე მკურნალ ასკლეპიოსის ცხოვრებიდანაა აღებული, ასევე ფართოდაა გავრცელებული მისი ქალიშვილის ჰიგიას სამედიცინო ემბლემა, როცა იგი ლამბაქიდან გველს რძეს ასმევს. მეცნიერებაში ქრონოლოგიური უპირატესობა დიდი პრივილეგიაა, რომლის შესახებ აქვე მოგახსენებთ:

თუ ხმამაღლა ნათქვამი არ გამომივა – ხმელ ჯოხზე დახვეულ გველს და ლამბაქიდან გველს რძეს რომ ასმევს მედეა. ამ თემატიკას მხატვრები 300 წლით ადრე ხატავდნენ. აქედან გამომდინარე, ისტორია კოლხური ცივილიზაციის პრიორიტეტზე მეტყველებს, რომელიც ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებით თარიღდება და

35 საუკუნის შემდეგ ტიმ სევერინის განმეორებითმა ლაშქრობამ, მითი არგონავტების შესახებ სინამდვილედ აქცია. ამ ფაქტს 100 ლიტერატურული არგუმენტირებული წერილობითი წყაროს მითითება სქოლიოში ვერ შეედრება!

ტიმ სევერინის განმეორებითი ლაშქრობის მნიშვნელობა მკვლევარ

სოკრატ სალუქვაძის მოსაზრებათა შესაბამისად

ვანის რაიონის მახლობლად, მდინარე რიონში ჩაშვებულ გემი „არგოს“ გემბანიდან მილიონობით ტელემაყურებლების წინაშე XX ს. არგონავტმა ტიმ სევერინმა განაცხადა: „კაცობრიობას აწვალებდა ფიქრი, მითი არგონავტების შესახებ ზღაპარი იყო თუ სინამდვილე. ჩემი მოგზაურეობა ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვამდე და რიონის დელტამდე წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით შეუფერხებლად განხორციელდა. ამჟამად უფლებამოსილი ვარ განვაცხადო: „**მითი სინამდვილეს შეესაბამება**“. XX საუკუნეში, 35 საუკუნის გასვლის შემდეგ, განმეორებითი ლაშქრობის დამთავრებისას ასეთი განცხადება, ისეთი მცირე ქვეყნის მისამართით, როგორიც საქართველოა, მართლაც ფასდაუდებელია: „**მითი სინამდვილეს შეესაბამებაო**“. ასეთი დასკვნა ჩვენი ეროვნული კულტურის წისქვილზე ასახამს წყალს: ვერც ერთი ლიტერატურული წყაროს სქოლიოს მითითება ვერ იქნებოდა ასეთი ძლიერი არგუმენტი, რომ ოქროს საწმისის გატაცების მითის თეორია თურმე სინამდვილეს შეესაბამება (!).

აკადემიკოსი **ბაადურ რაჭველიშვილი**

P.S. ამ რეცენზიაში მოყვანილი ფაქტები და ფოტოდოკუმენტები არგუმენტებად გვინდა მოვიშველიოთ და ამით დავამტკიცოთ, რომ მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე წამალთმცოდნეობის ისტორიის ფართო სპექტრის მეცნიერია და მისი იდეური მოსაზრებანი, მიგნებები, წინადადებები საყოველთაო მხარდაჭერას იმსახურებს.

მეგობრები: პოლკოვნიკი ვახტანგ ჩხიკვიშვილი, თბილისის დინამოს მწვრთვნელი ნოდარ ახალკაცი და ისტორიკოსი პროფესორი დურმიშხან ცინცაძე

თენგიზ მაისურაძე:

ჩვენს კოლეგას, ბატონ სოკრატ სალუქვაძეს ამაგი დავუფასოთ, ვინაიდან მისი მეცნიერული მიგნებები ამჟამად უკვე საერთაშორისო დონეზეა აღიარებული

ეს ამბავი გასული წლის ოქტომბერში მოხდა: ლესელიძის ქუჩაზე „მწვანე აფთიაქში“ უცხოელი ტურისტი შემოვიდა და დაიწყო ინტერიერის დათვალიერება. განსაკუთრებით მედეას სურათს მიაქცია ყურადღება, მხედველობიდან არ გამორჩენია საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების პლაკატი (ატლასის). შემდეგ მოგვიახლოვდა და საკუთარი თავი გაგვაცნო. იგი აღმოჩნდა ბერლინის უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტი ნადეჟდა პანტელი. საკვალიფიკაციო შრომის მეცნიერულად შესწავლის მიზნით სამეცნიერო მივლინებაში თბილისში ჩამობრძანებულა ხელოვნებათმცოდნეობის და ისტორიის, მეცნიერების მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მოპოვების მიზნით. მას გადაუწყვეტია კოლხელი მედეას მემკვიდრეობის მეცნიერულად შესწავლა! როგორც საქმის ვითარებიდან გაირკვა მას მეფე აიეტის ქალიშვილის მედეას მემკვიდრეობა აინტერესებდა ფართო სპექტრით, ანუ როგორც ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერების, ასევე მედიცინის ისტორიის საკითხების თვალსაზრისით. მთხოვა მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის კოორდინატები. მახსოვს, ხუთშაბათი იყო და სოკრატ სალუქვაძესთან გამოვცხადდით 20 m^2 ფართობის მქონე ოფისში. ქალბატონ ნადეჟდა პანტელს თან ახლდა ახალგაზრდა კაცი. ამრიგად ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიკოსის მაგისტრის ხარისხის მაძიებელსა და ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს სოკრატ სალუქვაძეს შორის საინტერესო საუბარი გაიმართა.

კოლხელი მედეას მემკვიდრეობის შესწავლით დღეს ბევრი მეცნიერია დაინტერესებული. ასეთ მკვლევართა შორის გერმანიაში ცნობილი ყოფილა ჩვენი თანამემამულე წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე. ბერლინელი მაგისტრატურის სტუდენტი სწორედ ამ მიზნით ეწვია მას. რაოდენ სასიამოვნოა, რომ წამალთმცოდნეობის ისტორიის თბილისელ მკვლევარს იცნობენ ბერლინის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიის კათედრაზე და თავიანთ სტუდენტს სადიპლომო ნაშრომის შესრულების მიზნით ურჩევენ საინტერესო თემას, რომელიც კოლხელ მედეას მრავალმხრივ მემკვიდრეობის შესწავლას და მეცნიერულ დონეზე გაშუქებას ისახავს მიზნად, თანაც აუცილებლად მიიჩნევენ კომპეტენტური მკვლევარის, ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის ბატონ სოკრატ სალუქვაძის მეცნიერული გამოკვლევების შესწავლას. სოკრატ სალუქვაძემ და ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტმა სამუშაო მაგიდასთან სამახსოვრო სურათი გადაიღეს (მარცხნივ სოკრატ სალუქვაძე, მარჯვნივ – ნადეჟდა პანტელი). ჩვენმა თანამემამულემ მადლობა შეუთვალა ბარლინის იმ პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთაც თავიანთ სტუდენტს დაავალეს ქართველთა

3500 წლის წინანდელი წინაპრის კოლხი მედეას მემკვიდრეობის შესწავლა და საამისო კონსულტაციების მისაღებად სოკრატ სალუქვაძესთან გამოაგზავნეს. რაც მთავარია, ნადეჟდა პანტელმა ბატონ სოკრატს გადასცა ჟურნალ „ფარმაცევტ-ულ მაცნე-მედეას“ ფურცლები, სადაც გამოქვეყნებულია სოკრატ სალუქვაძის სტატია მედეას სამედიცინო მემკვიდრეობის შესახებ და ავტორს სთხოვა ამ სტატიის გერმანულ ენაზე თარგმნისა და გამოქვეყნების ნებართვა-უფლება. ბატონი სოკრატი სიამოვნებით დათანხმდა. ამ სტატიაში ლაპარაკია იმაზე, რომ ელგუჯა ბერძენიშვილის გრაფიკულ შედევრს „მედეას“ ბატონი სოკრატის თხოვნით მხატვარმა-გრაფიკოსმა, ბატონმა ემირ ბურჯანაძემ გაუკეთა ლათინურენოვანი წარწერა: „კოლხელი მედეას სამედიცინო მემკვიდრეობა (ანუ მედეა) მედიცინა“ (იხ. ეს ემბლემა). ასეთი ემბლემა დანერგვის თვალსაზრისით საქართველოს სამედიცინო აკადემიისათვის ავტორმა შესთავაზა აკადემიკოს, ბატონ რამაზ ხეცურიანს და ემბლემად ადიარების თაობაზე დახმარება სთხოვა, რაზედაც ბატონი რამაზი სიამოვნებით დათანხმებულა. „ფარმაცევულ მაცნე-მედეაში“ საუბარია მეორე ემბლემაზე, რომელიც მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მიგნებაზე და იდეაზეა დაფუძნებული. სახელდობრ, ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება გრანიტის ფილა, რომელზედაც რელიეფურად გველია გამოსახული. არქეოლოგიური ნივთი ეკუთვნის არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილის კოლექციას, თარიღდება ახ. წ. V საუკუნით. მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ გრანიტის ამ ფილას მიანიჭა ემბლემის ფუნქცია და გამოთქვა მოსაზრება, რომ იგი ალბათ ამშვენებდა V საუკუნეებში სამედიცინო დაწესებულებას, ან ჩაშენებული იყო სამედიცინო განათლების მქონე ფეოდალის სახლის კედელში. ეს საინტერესო მოსაზრება გაითვალისწინა მხატვარმა



ქალაქ ბერლინის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ნადეჟდა პანტელი, მუშაობს რა თემაზე “მედეა დღეს”, ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად მეცნიერ-ხელმძღვანელის სპეციალური დავალებით კონსულტაციებისთვის ჩამოვიდა მკვლევარ სოკრატ სალუქვაძესთან.

სურათზე: ნადეჟდა პანტელი და სოკრატ სალუქვაძე.

ემირ ბურჯანაძემ და სტილისტურად მოხატა ემბლემა. მაშინდელი რექტორის, აკადემიკოს რამაზ ხეცურიანის რეკომენდაციით ეს მოსაზრება გაიზიარა რექტორატის დიდმა სამეცნიერო საბჭომ და ერთხმად აღიარა ეს ესკიზი თბილისის სახ. სამეცნიერო უნივერსიტეტის ემბლემად, რომლის თემატური მსგავსება არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილის კოლექციის გრანიტის ფილაზე რელიეფურად გველის გამოსახულების ანალოგიურია. ამ ფილას ემბლემის ფუნქცია რომ ჰქონდა მინიჭებული ჯერ კიდევ V საუკუნეში, მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ ასეთი მოსაზრება დაასაბუთა. ემირ ბურჯანაძის ეს შედეგი დიდი სამეცნიერო საბჭოს თანხმობით და აკად. რამაზ ხეცურიანის რეკომენდაციით ემბლემად იქნა აღიარებულ-დანერგილი. ასე რომ, ორი ემბლემის დანერგვისა და აღიარების იდეა მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მეცნიერული მიგნებების უშუალო შედეგი გახლავთ!

ეს ყველაფერი ბერლინელმა სტუდენტმა ჩაიწერა და შეპირდა თავის კონსულტანტს, სოკრატ სალუქვაძეს, თავისი შრომის ტექსტში პოატიოსნად მოიხსენიებს და სქოლიოშიც მიუთითებს ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ წყაროებს. ბერლინელ სტუმარს გადაეცა ჟურნალ „კავკაზიშე პოსტის“ გვერდების ქსეროასლები, სადაც გაანალიზებულია მთავარი აზრი, რომ თუ მეცნიერული დისციპლინის „ჰიგიენის“ დაარსება ეტიმოლოგიურად ასკლეპიოსის ქალიშვილის ჰიგიას სახელთან არის დაკავშირებული, ასევე სამედიცინო სამეცნიერო დისციპლინა „ვენეროლოგია“,რომელიც კაცისა და ქალის სასქესო ორგანოების ინფექციური დაავადებების მკურნალობის მეთოდებს გვასწავლის, ეტიმოლოგიურად რომაული წყაროებით ბალახების, ყვავილებისა და სიყვარულის ღვთაების ‘ვენერას“ სახელთან არის დაკავშირებული, მაშასადამე, ანალოგიის მიხედვით რატომ აღარ შეიძლება „მედიცინა“ კოლხელი მედეას სახელს უკავშირდებოდეს? ბატონმა სოკრატმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ზოგიერთი ტენდენციური მკვლევარი აცხადებს, რომ მედეას ფენომენი და მისი ისტორიული მემკვიდრეობა, საერთოდ, ჩამოაშორონ ძველ კოლხეთს, საქართველოს და ის სკვითად ან სხვა ეთნოსის წარმომადგენლად გამოაცხადონ, რაც ტენდენციური და არაობიექტურია – მედეა ქართული (კოლხური) ეთნოსის წარმომადგენელია. მედეას ძეგლი ჩვენ, ქართველებმა დავდგით ბიჭვინთაში, ქართველი მხატვრები ხატავენ მედეას სხვადასხვა ვარიანტებს და არაერთი ქართველი დედაც თავის ქალიშვილს სახელად მედეას არქმევს! ეს შემთხვევითი ხასიათს არ უნდა ატარებდეს! მედეას მემკვიდრეობის შესწავლა იძენს საერთაშორისო დატვირთვას და მას საქართველოდან იწყებენ. ევროპელი მკვლევარი ამას აღრმავებს და უფრო პოპულარულს ხდის მას. გერმანულენოვან ჟურნალში „კავკაზიშე პოსტში“, გამოქვეყნებულია სოკრატ სალუქვაძის სტატია მედეას ემბლემური სურათი სტატიის სათაურია „მედიცინა-მედეა-მედიცინა“, რასაც დაემატა გერმანიაში დაბეჭდილი სპეც ჟურნალი ‘ალტერნატივე მედიცინა“ №2, რომელშიც ინგლისურ და გერმანულ ენებზე უკვე დაიბეჭდა თურმე. ეს სიახლე ქართველ მკითხველს გააცნო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე (2007 წლის 15 ნოემბერს) ჟურნალისტმა ვილენ მარდალეიშვილმა სათაურით

‘მსოფლიოს უძველესი აფთიაქის ნაშთები უფლისციხეშია“. ამ საკითხზე ყურადღებას ადარ შევაჩერებთ, მაგრამ ერთს დავამატებდი, მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მეცნიერულმა ნაშრომებმა ნამდვილად შეიძინა საერთაშორისო აღიარება და იგი ცნობილი გახდა არა მერტო ევროპელებისათვის ორენოვანი ჟურნალის საშუალებით, არამედ აშშ-ში ჟურნალ „სოვიეტ ლაიფის“ საშუალებითაც. ოკეანის გაღმით მცხოვრებ მკითხველისათვის ცნობილი გახდა, რომ ქართული წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხები ერთ-ერთი უძველესია პროგრესული კაცობრიობის ისტორიაში და ამ საპატიო საქმის პროპაგანდაში მუხლჩაუხრელი სამსახური ჩვენ კოლეგას სოკრატ სალუქვაძეს ეკუთვნის... აქვე დავძენდი: ორენოვანი ჟურნალის „ალტერნატივე მედიცინის“ №2-ში შარშან დეკემბერში მედეას სამედიცინო მემკვიდრეობის შესახებ გამოქვეყნდა სოკრატ სალუქვაძის სტატია და ჟურნალის ყდაზე დაიბეჭდა მედეას ემბლემა – გრაფიკული შედევრი ჩვენი სოკრატის მიერ შერჩეული ლათინურენოვანი წარწერით ‘კოლხელი მედეას სამედიცინო მემკვიდრეობა ანუ მედიცინა“. ე.ი. მედიცინა მედეას სახელს ეტიმოლოგიურად უკავშირდება.

გარდა ქართველი მკვლევარის საერთაშორისო წარმატებისა და აღიარებისა, რასაც ავტომატურად მოსდევს ეროვნული წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების პროპაგანდა საერთაშორისო ასპარეზზე, მარტო ის რად ღირს, რომ ქ. ბერლინის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიის კათედრის პროფესორი მაგისტრის ხარისხის მოპოვებისათვის თავის სტუდენტს ურჩევს სადისერტაციო თემატიკას ფართო სპექტრით შესწავლისა და დამუშავების მიზნით, რომლის სათაურია ‘მედეა დღეს“ და მას მივლინებაში აგზავნის კონსულტაციების მისაღებად ჩვენს კოლეგასთან სოკრატ სალუქვაძესთან, რომელსაც დღეს სამსახური თავისი პროფილის შესაბამისად, საერთოდ, არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, ქალბატონი ნადეჟდა პანტელი იღებს მისთვის საჭირო ლიტერატურას, ბატონი სოკრატ სალუქვაძე მას უწევს კვალიფიციურ კონსულტაციებს(!) ასეთი ფაქტებით საბჭოური წყობის დროს მაინცდამაინც განებივრებული არ ვიყავით! საერთაშორისო მეცნიერული კონტაქტები დღეს ძალიან გაადვილებულია, რასაც ემატება საერთაშორისო ელექტრონული ფოსტა ინტერნეტის საშუალებით. ასეთი მნიშვნელოვანი მეორე ფაქტი მე ნამდვილად არ შემიძლია დავასახელო! აქვე მინდა აღვნიშნო ერთი ფაქტის შესახებაც: ქართველი მეცნიერები და ქართველი ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორები მუდამ მხარს უჭერენ მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მიერ შემოთავაზებულ მეცნიერულ სიახლეებს. ასე, მაგალითად: 2002 წელს, ქ. თბილისში აკადემიკოს ალეკო ბაკურიძის ინიციატივით ჩატარდა ფარმაცევტთა საერთაშორისო კონგრესი. ჩვენმა მკვლევარმა კონგრესის ორგკომიტეტისა და ყველა მონაწილის წინაშე დასვა საკითხი, მხატვარ ელგუჯა ბერძენიშვილის გრაფიკული შედევრი ‘მედეა“ სოკრატის მიერ შერჩეული ლათინურენოვანი წარწერით: “MEDEA KOLCHIKA MEDIKARE SEU MEDICINA“ გამოცხადებულიყო ალტერნატიული მედიცინის საერთაშორისო ემბლემად. 12-მა ქართველმა ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორმა და 170-მა კონგრესის მონაწილემ

ერთხმად ხელი მოაწერეს და მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას. კოლხელი მედეას ეპოქა 300 წლით წინ უსწრებს, უფრო ძველია ძვ.წ. XII საუკუნეში მოღვაწე ასკლეპიორის, იგივე ესკულაპის ეპოქასთან და 1000 წლით უფრო ძველი და უხუცესია მედიცინის მამამთავრად აღიარებული ჰიპოკრატეს (460-377 წ.წ.) ეპოქასთან შედარებით. მეცნიერებში ქრონოლოგიური უპირატესობა, წინსწრება, ხომ უდიდესი პრივილეგია გახლავთ. ამის შესახებ ევროპელი მკვლევარისათვის ინგლისურ და გერმანულენოვანმა ჟურნალმა დაბეჭდა სოკრატ სალუქვაძის სტატია მედიცინისა და მედეას ეტიმოლოგიური კავშირის შესაძლებლობის შესახებ, ჟურნალ „ალტერნატივე მედიცინას“ ყდაზე-გარეკანზე მოათავსა ემბლემის სახით მედეა-კოლხელის გამოსახულება, როცა გველივით დაკლაკნილი ცეცხლის ალზე მედეა თითქოს ტრუსავს, ახმობს თუ აშრობს სამკურნალო მცენარეს. ჩვენი სახელით და თქვენი სახელით, ძვირფასო კოლეგებო, სულით და გულით ვულოცავ საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების მკვლევარს, სოკრატ სალუქვაძეს ამ საერთაშორისო აღიარებას და მისგან შემოთავაზებულ ორენოვან სამედიცინო ჟურნალ „ალტერნატივე მედიცინის“ ყდაზე ამ ემბლემის დაბეჭდვას. ეს ჩვენი კულტურის უდაოდ დიდი გამარჯვებაა (იხ. შესაბამისი ფოტოდოკუმენტი). ფაქტია, რომ მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის კონსულტაციებმა ბერლინელი ნადეჟდა პანტელის მისამართით მაღალ დონეზე ჩაიარა, მაგისტრის ხარისხის მაძიებლის დიდი მადლობა დაიმსახურა და კმაყოფილება გამოიწვია. ჩვენ არ ვიქნებით ობიექტურნი, თუ ქალბატონი ნადეჟდა პანტელის მოღვაწეობას ჩვენს დედაქალაქ თბილისში მხოლოდ ბატონ სოკრატ სალუქვაძესთან მეცნიერული კონსულტაციებით შემოვფარგლავთ. ამ ქალბატონის მისია ქ. თბილისში უფრო ფართო სპექტრის მომცველი ყოფილა. მან, ასევე კონსულტაციები მიიღო ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებთან. სოკრატ სალუქვაძემ მას მიუთითა მეცნიერ ქალბატონ ნინო ლორთქიფანიძის შესახებ, რომელმაც დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიაში მედეას მემკვიდრეობის მეცნიერულად შესწავლის თვალსაზრისით. იგი დააკავშირა ასევე ქალბატონ ნიკი ბაქანიძეს და არაერთ მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელს. ამ მუზეუმში ქალბატონმა ნადეჟდა პანტელმა გაშალა თავისი თემატიკა „მედეა დღეს“ “მედეა ჰეუტე“ და მოამზადა სიონის ტაძრის მახლობლად ქარვასლის შენობაში „მედეა დღეს“ – გამოფენა, რომელიც თანამედროვე გერმანულ-ქართული კულტურული ურთიერთობის თვალსაზრისით მრავლის მთქმელია, როგორც გერმანულ-ქართული ტექსტების, ასევე ფოტოდოკუმენტების თვალსაზრისით. გამოფენა, რომელიც გასული წლის ნოემბრის ბოლოს გაიმართა ორენოვანი იყო – ქართული და გერმანული. გამოფენა გახსნა ხარისხის მაძიებელმა ნადეჟდა პანტელმა, ხაზი გაუსვა მედეას, როგორც მკურნალი ქალის მნიშვნელობას. გერმანელმა მოქალაქემ თბილისში გახსნილ „მწვანე აფთიაქს“ „ალტერნატივე მედიცინის“ ცენტრი შეარქვა და დახლზე დაწყობილ ჟურნალ-გაზეთში მედეას სურათზე შეაჩერა მზერა, მან აღნიშნა კოლხეთის დაბლობზე სამკურნალო მცენარეების ე.წ. ჰეკატეს თუ მედეას ბაღის არსებობის ფაქტი,

სადაც სამკურნალო მცენარეების მოშენებით იყვნენ დაკავებული მეფე აიეტის ოჯახის წევრები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 'მწვანე აფთიაქიდან" წაღებული საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მეცნიერების ფერადი პლაკატი-ატლასი. მომხსენებელმა აღნიშნა კოლხური კულტურის მტკიცე კონტაქტი დასავლეთ ევროპასთან. ქართულ და გერმანულ ენებზე შესახებ ასეთი ტექსტი იყო წარმოდგენილია: „წამალთმცოდნეობის ისტორიის მკვლევარი იმ ადამიანებს მიეკუთვნება, რომლებიც განსაკუთრებით ცდილობენ მედეა ხალხური მედიცინის დამფუძნებლად აღიარონ. მისი თეორია (ე.ი. სოკრატ სალუქვაძის კონცეფცია, თ.მ.) ასაბუთებს, მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას მედიცინა რომ ეწოდება, ეტიმოლოგიურად ეს სახელწოდება მედეას სახელს უკავშირდება, რაც საკმაოდ პოპულარულ მოძღვრებად იქცა ამ ბოლო პერიოდში. ევროპის არაერთი ჟურნალი, საკითხის დასმის წესით, ასეთ მოსაზრების შესაძლებლობის მიზნით ბეჭდავს სტატიებს, თუმცა მეცნიერული თვალსაზრისით თითქოს დასაბუთება აკლია ასეთ მოსაზრებას და მასზე სქოლიო არ გახლავთ მითითებულიო. მედგარი და შეუპოვარი ჩვენი სოკრატი ასე პასუხობს: ჯერ ერთი, არ ვიცით, ქრისტეს შობამდე 1500 წლით ადრე იყო თუ არა მოქმედებაში ასომთავრული ან სხვა რომელიმე დამწერლობა, ამიტომ რომელიმე ენაზე სქოლიოს სახით წყაროზე მითითება შეუძლებლად მიმაჩნიაო. მედეას სახელს რომ ეტიმოლოგიური კავშირი აქვს მედიცინასთან, ეს სამკურნალო პროცედურებით მტკიცდება. რაც მთავარია, მსოფლიო მედიცინის ისტორიაში არა ერთი ანალოგიური ფაქტი მოგვეპოვება. ეს ეტიმოლოგიური კავშირები ურთიერთშორის დავას არ იწვევს და ჩემი მეცნიერული სქოლიოები სწორედ ეს ანალოგიური ფაქტები გახლავთ, – ამბობს თავისი მოსაზრებების მეცნიერულად დასაბუთების მიზნით ქართველი მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე. გარდა ამისა, აგრძელებს ავტორი თავის მოსაზრებას, მედეას ფენომენი ჯერჯერობით სრულყოფილად არ არის, ან ვერ არის შესწავლილიო, თორემ დავას არც ის უნდა იწვევდეს, რომ მედეა ფიტოქიმიის და ფარმაკოგნოზიის ფუძემდებლებლადაც რომ წარმოვადგინოთ – ამის მტკიცებულების არგუმენტებიც არსებობს. მით უმეტეს, ზოგადად მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას „მედიცინა" რომ ეწოდება, ეს მედეას სახელს უკავშირდება. დღეს XX საუკუნის მედიცინის ისტორიას არ აკლია ისეთი მკვლევარები, რომლებიც მედეას არა ქართველად, არა კოლხელად, არამედ სკვითების წარმომადგენლად მიიჩნევენ. ასე, მაგალითად, ამას დუმკა აცხადებს, – წერს სოკრატ სალუქვაძე. მაგრამ ამ საკითხის გაქარწყლებაში ქართველ ავტორს ეხმარება გერმანელი მაგისტრის ხარისხის მაძიებელი ქალბატონი ნადეჟდა პანტელი. საგამოფენო სტენდზე გამოფენილია სტატისტიკური მასალა: დღევანდელ საქართველოში 9000 მოზარდი გოგონა და ქალბატონია, რომლებსაც სახელად მედეა ჰქვია, ხოლო 5000 მანდილოსანი სახელად 'მედიკოს" ატარებს, ეს მაშინ, როცა სხვა ეროვნების მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა შორის მედეას არავის ეძახიან. ასე, რომ მედეა კოლხელია, იგი ქართველთა წინაპარია.

მანანა მაისურაძე

ბერმანელი მეცნიერის და მოქალაქის ნადეჟდა პანტელის ქარვასლაში მოწყობილი გამოფენის დევიზით 'მედეა დღეს" მნიშვნელობა

ქ. ბერლინის უნივერსიტეტის მაგისტრარტურაში სამეცნიერო ხარისხის მაძიებლის ქალბატონ ნადეჟდა პანტელის მისია გერმანულ-ქართული კულტურული კავშირების გაშუქების თვალსაზრისით გაცილებით უფრო დიდი მასშტაბისაა, ვიდრე კოლხელი მედეას მემკვიდრეობის შესწავლა მხოლოდ სამკურნალო ხელოვნების თვალსაზრისით. ამიტომ იმის განცხადება, რომ ეს მეცნიერი და მოქალაქე მხოლოდ მკვლევარ სოკრატ სალუქვაძესთან მეცნიერული კონსულტაციებისთვის ჩამობრძანდა საქართველოს დედაქალაქ თბილისში, ანუ მარტო ამ კუთხით თუ მივუდგებით მის მეცნიერულ მივლინებას, სწორი არ ვიქნებოდით! ქარვასლას შენობაში მოწყობილი გამოფენის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ინიციატორ მკვლევარის მიერ დამუშავებულია მედეას ფენომენის მემკვიდრეობის შესწავლის მიზნით თითქმის ყველა იმ ავტორთა შემოქმედებას მოიცავს,რომლებსაც ევრიპიდეს შემდეგ დაუწერიათ დრამატული პიესები, სცენარები, თუ ნარკვევები ეს იქნება ეროვნებით გერმანელი, ფრანგი თუ ქართველი ავტორები.

ყურადღებას იმსახურებს გამოფენაზე ქალბატონ ნადეჟდას შესავალი სიტყვა, სადაც ვლინდება საქართველოში მისი ვიზიტის მიზნები. იგი გაცილებით ფართო სპექტრისაა. „ამ გამოფენის დევიზია „მედეა დღეს", მიზანი: კოლხი ქალი, მკურნალი (პირველ რიგში 'მკურნალი" მ.მ.) უცხო ქვეყანაში ის ღალატის მსხვერპლი, შვილების მკვლელი და მოღალატეა. აქვს კი მას ადგილი ჩვენს საზოგადოებაში?" ასე მკაცრად აყენებს კითხვას მკვლევარი ნ. პანტელი. შემდეგ განაგრძობს: „როდესაც სამი თვის წინ გერმანია დავტოვე, მედეას თემა საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო და ევრიპიდეს დრამა-პიესა ქვეყნის ყველაზე დიდ სცენაზე იდგმებოდაო". ამით ავტორი შეგვახსენებს, რომ მედეას ფენომენის შესწავლისადმი ინტერესი საყოველთაო ზრუნვის საგანია თანამედროვე ევროპული ქვეყნის ცენტრში – გერმანიაში. ქალბატონი ნადეჟდა პანტელიც უდიდესი ცნობისმოყვარეობის გრძნობით მოემგზავრება მედეას სამშობლოში. ეს მაშინ, როდესაც გერმანიაში მედეას თემა ათწლეულების მანძილზე აქტუალობას არ კარგავს, მისი სახე მუდმივ ცვალებადობას განიცდის: იგი ხან ველური ბარბაროსია, ხან კაცებისგან ღალატის ობიექტი, შურის მაძიებელი... ჩემი აზრით, მედეას სახე საქართველოში გაცილებით კომპლექსურია, აქ მედეა არსებობს ევრიპიდეს მიღმა. ქართველი მედიცინის მუშაკებისთვის სავსებით საკმარისია პანტელისეული შეფასება „მედეა, როგორც სამკურნალო ხელოვნების სიმბოლო", როგორც ხიდი ევროპის ცივილიზაციისკენ. მთავარი მაინც ის არის, რომ „ძველ თემებზე მუშაობა აწმყოში აირეკლება, ვინაიდან ყველა ეპოქა წარსულს ახლებურად აღიქვამს". ამით სიმბოლურად დაადასტურა ქალბატონმა ნადეჟდა პანტელმა გამოფენის მოწყობის

აუცილებლობა სწორედ მედეას სამშობლოში. მედეას მკვლევარი მიიჩნევს გამადიდებელ შუშად, რომლის საშუალებითაც იგი აკვირდება საქართველოს და დასავლეთ ევროპის საზოგადოებებს. მხოლოდ ამის შემდეგ უცხოელი მკვლევარი ქართველებს მოგვიხმობს, ცალი თვალით მაინც შევხედოთ გერმანული თეატრების რეპერტუარში როგორ აირეკლება მედეას პირადი ცხოვრების ტრაგედია და როგორია მისი მოქმედებების განსჯა და შეფასება თანამედროვე გერმანული ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით, როგორ

მაგისტრის ხარისხის მაძიებელი ქალაქ ბერლინიდან ნადეჟდა პანტელი ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლის ნიკი ბაქანიძის ქალიშვილთან.

მეტამორფოზულ ცვლილებებს განიცდის იგი. ასე, მაგალითად, დრამატურგ დეა ლოერის „მანჰეტენის მედეა" წარმოშობით კოლხელი – კოსოვოელად იქცევა, ხოლო კორინთი – ნიუ-იორკად, ამიტომ კაპიტალისტურ საოცრებათა ქვეყანაში მედეა და იაზონი უკეთეს ცხოვრებას ეძებენ, მაგრამ ვერაგობას და მკვლელობას ვერც ერთი ვერ აცდება... დრამატურგი დეა ლოერი ბერტოლდ ბრეხტის ხაზის მიმდევარი ყოფილა და მისი პიესები წარმატებით იდგმება გერმანიის დიდ დრამატურ თეატრებში. კრისტა ვილფის პიესამ „მედეას ხმები" მედეა ამ პიესაში საკუთარი შვილებს და იმეორებს ქართველი მწერლის ლევან სანიკიძის ვერსიას მედეას გრძნეულების შესახებ.

კრისტა ვილფის (1929 წ. დაიბ.) აღნიშნული პიესა ამჟამად ფრაუბერგის სცენაზე იდგმება და საკმაო წარმატებითაც!

2004 წლის ზაფხულში თბილისის ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის ეზოში გერმანელი მექანიკოსის ჰანს შაიბის და ქართველი მხატვრის გოჩა ღულელარის ინიციატივით მხატვარ-მოქანდაკეებმა მოაწყვეს ხეში და სხვა მასალებისგან შექმნილი მედეას სკულპტურულ გამოსახულებათა გამოფენა. ფანს შაიბის გამოსახულება გახლავთ „შავი მედეა", ანუ მედეა შავია, შავკანიანი აფრიკელია, ფრანგის ქალია კოლხელის ნაცვლად, ხოლო აფხაზიშვილის „მედეა" სხვადასხვა მედეას გამოსახულებას შორის დამსახურებული, განსხვავებული სახეა. ქარვასლის გამოფენაზე ნ. პანტელის მიერ წარმოდგენილია ცნობილი ფრანგი რომანტიკოსი ჟან ანუი თავის „მედეა"-ში (1940 წ), სადაც იაზონი მედეას ეუბნება, სახელი მედეა მხოლოდ შენ ერთადერთს გქვიაო. მედეა მეორე არ არსებობს. დღეს მედეა – მედიკო 1400 მოზარდ და სრულასაკიან ქართველ მანდილოსანს ჰქვია. სამეგრელოს მოქალაქე მედეა შეროზია აძლევს ინტერვიუს იმის თაობაზე, თუ რატომ დაარქვეს მას ეს სახელი, ხოლო დღევანდელი სამეგრელოს, ანუ ძველი კოლხეთის მოქალაქე მედეა წინწელია განმარტავს: საქართველოში ორი უძველესი სახელი – მედეა და ნინო ხშირად მოიხსენიება. მედეა სასტიკ ქალთან ასოცირდება. მას ასეთი სახელი ევრიპიდემ შეუთხზა, ხოლო ნინო კაბადოკიელი ქრისტიანობის გავრცელების თვალსაზრისით წმინდანად აღიქმება. იმ გამოფენაზე ფიგურირებს ლიანა და ანზორ შონიების მოსაზრება: „ანტიკური კოლხეთი და დღევანდელი სამეგრელო ჩვენთვის ქართული კულტურის აკვანია". ამის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ სახელი მედეა ჩვენთან ამდენი ხანია პოპულარულია: „მედეას შვილები არ მოუკლავს, მკვლელობა მას დააბრალეს!" გამოფენაზე წარმოდგენილია ნინო ხარატაშვილის 2007 წელს დაწერილი პიესა „მედეა", რომელიც გერმანული თეატრის სცენაზე იდგმება. დიალოგი მედეას და იაზონს შორის ქართულ და გერმანულ ენებზე მიმდინარეობს, რათა გასაგები იყოს როგორც ქართველი, ასევე გერმანელი მოქალაქეებისთვის. ნინო ხარატიშვილის „მედეა" იდგმება ქ. ჰამბურგის თეატრის სცენაზე. გამოფენაზე მოტანილია მედეასა და იაზონის სურათები, წარმოდგენილია პასკალ დურაპინის „მედეა" – ოპერისათვის (საშა ვალტცის ქორეოგრაფია). ამოსავალი სასაუბრო ტექსტი ჰაინერ მიულერის პიესა "მედეა-მარლაში" – ევრიპიდეს „მედეას" მიხედვით არის. დასათაურება კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. საშა ვალტცის ინსცენირებული ოპერის ნახვა ამჟამად ბერლინის სახელმწიფო თეატრის სცენაზეა შესაძლებელი. აქვე წარმოდგენილია პირადი შეხედულება მსახიობ ნინა ჰორისა, რომელიც 2007-2008 წლებში ბერლინის გერმანულ თეატრში ევრიპიდეს დრამაში „მედეა" ასრულებდა მედეას როლს. ნინა ჰორის ამ როლის შესრულებისათვის მიუღია ჯილდო გერტრუდ ეისოტისა და სცენიდან წარმოუთქვამს სამადლობელი სიტყვა „მედეა იბრძვის". მსახიობი ნინა ჰორი ცდილობს გადმოსცეს საკუთარი ფსიქოლოგიური განცდები ამ ტრაგიკული კოლხელი ქალის ხვედრის გამო. ცხადია, როლი, რომლის შესრულება მას ევალება, უპირველესად თვითონვე უნდა გაითავისოს და საკუთარ თავში

გაამართლოს მშობელი დედის მიერ საკუთარი შვილების დახოცვის შესაძლებლობა. „მე პირველ რიგში, – ამბობს მედეას ტრაგიკული როლის შემსრულებელი ნინა ჰორი, – ძალიან ღრმად ტრამვირებულ, მოსიყვარულე ქალთან მქონია საქმე, ქალთან, რომელმაც ყველაფერი დათმო: თავისი სამშობლო, თავისი ოჯახი და, რაც მთავარი და არც თუ უმნიშვნელოა, მდგომარეობა. იგი ხომ კოლხეთის მეფის ასული იყო. ადამიანი, რომელიც ნაჩვევი იყო, რომ თავისით მიეღო გადაწყვეტილებები. და ეს ადამიანი, ეს ქალი ხვდება საზოგადოებაში, რომლისთვისაც ის არაფერს ნიშნავს, არაფერს აღარ წარმოადგენს, – ის სრულიად უცხოა, ბარბაროსი. ერთადერთი, რაც რაღაც როლს ანიჭებს, ეს დედობაა, მისი ერთადერთი საყრდენი კი იაზონის სიყვარულია. და იაზონი ამ სიყვარულს ართმევს, ატყუებს და როდესაც მას ქვეყნის ხელმწიფე აძევებს, არარაობად იქცევა. რისი ძალა დარჩა მას? იგი იბრძვის... ამ ბრძოლასა და უკომპრომისობაში ჩემთვის მედეა განსაკუთრებულია!" – ამბობს ნინა ჰორი.

ქარვასლის გამოფენაზე ფართო ადგილი აქვს დათმობილი თანამედროვე გერმანული დრამატურგის ბოტო შტრაუსის პიესას „დრო და ოთახი", რომელიც 1989 წელსაა დაწერილი. ერთი შეხედვით არც პიესის სათაურით და ალბათ არც შეინაარსით ამ ავტორს, ბოტო შტრაუსს საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს მედეა კოლხელის ტრაგიკულ ბედთან, მაგრამ მედეას ცხოვრება და მისი დამოკიდებულება იაზონთან გათანამედროვებულია მედეას როლს გერმანელი მარია შტროიბერი ასახიერებს (დგას ზურგით კედლისკენ), ხოლო იაზონის როლს რუდოლფი თამაშობს. მარია შტროიბერის იდალი მედეა გახლავთ. სცენაზე სხვადასხვა შეხედულებების თანამედროვე გერმანელი ცოლ-ქმარია – ამ გზით გამონახულია მეთოდი. ტრაგედია მიმდინარეობს თანამედროვე ერთ-ერთ გერმანულ ოჯახში და პიესას ამიტომაც ჰქვია „დრო და ოთახი". როგორც ირკვევა, გერმანიაში თეატრალური რეპერტუარების მიხედვით მედეა უფრო პოპულარულია, ვიდრე ჩვენთან, საქართველოში.

აქვე უნდა შებნიშნოთ, რომ იაზონი ბერძენი კი არა, პელაზგი იყო. ეს მხედველობაში არ აქვს მიღებული მკვლევარს და ხელოვნების ისტორიის სპეციალისტს ნადეჟდა პანტელს. მედეა გერმანელი ქალის როლშიც არის წარმოდგენილი და სხვადასხვა ვარიანტებში შექმნილია მისი ტრაგიკული სახე. ამით ირკვევა, რომ ევროპაში ძნელია დასახელდეს მეორე ქვეყანა, სადაც ასე პოპულარული იყოს კოლხელი ქალის დრამატული სახე, უძღვნიან თანამედროვე უცხოელი დრამატურგები. ძმები ელგუჯა და მერაბ ბერძენიშვილები და მათი შვილები მხედველობიდან გამორჩენილია – გამოფენაზე მათი შემოქმედება არ ფიგურირებს. მიუხედავად ამისა, ისტორიკოსი და ხელოვნებათმცოდნე ნადეჟდა პანტელი ევროპაში ქართული კულტურის დიდი პოპულარიზატორია, რაც იმსახურებს საყოველთაო ყურადღებას. გვიმრავლოს უფალმა ასეთი თავდადებული ადამიანები! მკვლევარი ქალბატონი ნადეჟდა პანტელი ქართულ-გერმანული კულტურული კავშირების მეცნიერულად გაშუქების კაშკაშა ვარსკვლავია!

პატივისცემით მანანა მაისურაძე

სოკრატ სალუქვაძე – საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის კვლევის უუძემდებელია

ამ რამდენიმე თვის წინ ქ. თბილისის №1 აფთიაქი – მუზეუმის დირექტორმა სოკრატ სალუქვაძემ გადმომცა ჟურნალ „ფარმაცევტული მაცნე – მედეას“ დამატება №2, 2000 წ. სათაურით „ზუსტად დავადგინოთ **Q** ფონდის № 877 ხელნაწერის რაობა, დამკვეთ-მომგებლისა და ავტორთა ვინაობა“ ეს პუბლიკაცია დაბეჭდილია ავტორის ხარჯით და იქვეა მოწოდება-თხოვნა ჟურნალის წამკითხველებისადმი, „**თქვენი მოსაზრებები წარმოადგინეთ რედაქციაშიო**“. საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხები მე უშუალოდ არ მეხება, მაგრამ ისტორიული ხასიათის გამოკვლევების მართებულობის შესახებ, თავს უფლებას ვაძლევ, პროფესიონალი ისტორიკოსის პოზიციებიდან გამომეთქვა ჩემი მოსაზრება. დაუფარავად უნდა გავნაცხადო, რომ ასეთი შინაარსის სიახლეების გამოქვეყნებებზე უარს არ იყტოდა არც შუა საუკუნეებისა და არც გვიანი შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტები. არაფრით არ შეიძლება იმის თქმა, რომ მკვლევარს რაიმე ზერელე დასკვნები შესაფასებლად აქვს სამსჯავროზე გამოტანილი. ყოველი სიახლე და დასკვნა შესაბამისი პირველწყაროთი გახლავთ არგუმენტირებული. ავტორს მიუგნია ჩვენს სიძველეთსაცავებში ისეთი დოკუმენტებისათვის, რომლებიც მედიცინის ისტორიის სხვა სპეციალისტებისათვის არ იყო ცნობილი. ასეთებია ცნობილი კალიგრაფებისა და მდივან-მწიგნობრების, ქადაგ-მგალობლების მაღალაძეების საგვარეულოთა წარმომადგენლების მიერ დაწერილი სიგელ-გუჯრების ტექსტები და პირველ რიგში მათი ურთიერთთან-შეჯერება, რითაც დადგენილია, რომ XIV-XV საუკუნეებში სამი მახარებელი მოღვაწეობდა – დედნები ავტოგრაფები სახეზეა და შემდეგ ნაწარმოებია ამ შუა საუკუნეების საბუთების შედარება ცნობილი დიდი მკურნალისა და ბრძენმთავრის ზაზა ფანასკერტელის კარაბადინთან. ეს ხელნაწერი **Q** ფონდის № 877 დღემდე ზაზას ავტორობით ცნობილი ხელნაწერი კარაბადინი იყო. მახარებელ მაღალაძის დედანი (პირველი თარიღდება 1401 წლით, მეორე დედანი 1441 წლითაა დათარიღებული და რაც მთავარია, დედანი საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის დედნების ფონდი №1448, საბუთი №63 „**ფეოდალ ფონიაშვილის**“ სიგელ-გუჯარით დაწერილია მახარებელ ოქროპირისძე მაღალაძის ხელით, რომელიც პალეოგრაფიული ექსპერტიზის ჩატარების შედეგების მიხედვით იდენტური აღმოჩნდა **Q** ფონდის №877-ის 1368 გვერდიდან 1008 გვერდთან. **ეს პატარა მნიშვნელობის სიახლე არ გახლავთ, თუნდაც იმიტომ, რომ ზაზას კარაბადინის ხელნაწერის სახით ჩვენამდე დედანია მოღწეული და მას ასლი, საერთოდ არ გააჩნია. მეორე ასეთი ძეგლი არ გვაქვს**. ამ ფაქტის დარეგისტრირების შემდეგ მკვლევარს გაბედული მოსაზრება გამოუტანია. ზაზა ფანასკერტელი დამკვეთ-მომხმარებელია, ხელნაწერის შექმნის ინიციატორია, ასედაც აღიარებდა პროფ. ილია აბულაძე, რომ „**ეს კარაბადინი ზაზას**



პროფ. დ. ცინცაძე

სახელოვანი ქართველები: პროფესორი დურმიშხან ცინცაძეზე, ლოტბარი სიმღერის პროფესორი ანზორ ერქომაიშვილი, ფეხბურთის "პროფესორი", თბილისის "დინამოს" ყოფილი კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე

ხელმძღვანელობითა და ინიციატივით შექმნილი ხელნაწერიაო" და მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე ამბობს ხელნაწერი მახარებელ ოქროპირისძე მაღალაძეს „პატრონის" ზაზას დაკვეთის შემსრულებელიაო. ასეთი მოსაზრება დაფუძნებულია პალეოგრაფიული ექსპერტიზის შედეგებზე – მახარებლის ავტოგრაფზე – კარაბადინის ფურცლებთან მიმართებაში. აწ განსვენებული პროფ. ლევან მენაბდე,რომელიც ს. სალუქვაძის შრომების პირველი დადებითად შემფასებელი იყო აცხადებდა, რომ მკვლევარ ს. სალუქვაძის მიერ გამოვლენილი პირველწყაროებ-დედნებისა, რომლებიც მაღალაძეთა საგვარეულოს კალიგრაფებს ეკუთვნის – ანგარიშგასაწევია და ამ მიმართულებით ავტორმა უნდა გააგრძელოს კვლევა-ძიებაო... სოკრატ სალუქვაძის ამ ნაშრომს გულდასმით გავეცანით, ავტორს გავესაუბრეთ კიდეც და ვკითხეთ თუ ხელნაწერი მახარებელ მაღალაძისაა დიდი ზაზა ფანასკერტელი შთამომავლობის წინაშე დამცირებული არ გამოდის-მეთქი?! შეკითხვაზე სოკრატ სალუქვაძე მპასუხობს", დიდი 'მკურნალი" და 'ბრძენმთავარი" ზაზა ასპაანიძე-ფანასკერტელი რომ არ ყოფილიყო ეს ხელნაწერი, საერთოდ, არ გვექნებოდა, რომელიც ძველქართული კარაბადინებს შორის ყველაზე ვრცელი და სრულყოფილია და ამიტომ მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ზაზა წმინდანად უნდა შერაცხოს. საკითხი დასმულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქთან, უწმინდესსა და უნეტარესთან ილია მეორესთან. შთამომავლობამ ჯეროვანი პატივი უნდა მიაგოს საეკლესიო მედიცინის ქადაგს, ჯვარისმტვირთველს და მღვდელს, მახარებელ მაღალაძეს, რომელსაც კარაბადინის კომპილაციური წესით შედგენაში ლომის წვლილი მიუძღვის"... ასეთი სიახლეებისათვის არგუმენტების მიგნებას, რომელიც მკვლევარ სოკრატ სალუქვაძეს ეკუთვნის არ შეიძლება არ დავეთანხმოთ. მით უმეტეს ჭეშმარიტება, უნდა ვაღიაროთ და დადებითად შევაფასოთ!

არის თუ არა ტერმინები: **სამკურნალო წიგნი**, **კარაბადინი** და **ფარმაკოპეა** იდენტური ცნებები შუა საუკუნეების ევროპის კულტურის და საქართველოს კულტურის ისტორიაში? აქაც ჩემი მოსაზრების გამოთქმა მიმაჩნია აუცილებლობად.

დიდი ყურადღებით გავეცანი პროფ. ნოდარ ლომოურის სტატიას გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ სათაურით „**ფარმაკოპეა საქართველოს კულტურის ისტორიაში**“. ამ სადაო საკითხის გადაწყვეტისას აცხადებს „**არ შეიძლება ავტორს არ დაეთანხმო, მით უმეტეს ამას ლექსიკონები ადასტურებენო**“. ამიტომ კარაბადინისა და ფარმაკოპეის იგივეობაზე საგულისხმოა ავტორის მიერ ხელნაწერის ტექსტის ანალიზი და ლექსიკონური განმარტება გასათვალისწინებელია! აქვე მოვიყვანოთ ერთი ფაქტი, რომ აკადემიკოსმა დავით ხახუტაიშვილმა ადრე მოიწვია სოკრატ სალუქვაძე ექსპერტად უფლის ციხეში აღმოჩენილი თიხაჩეჩიანი ნაგებობის რაობის დასადგენად. ეს არ გახლავთ უსაფუძვლო ფაქტი. ეს მკვლევრის აღიარებაა და ამიტომ მისი წერილობითი დასკვნა ანგარიშგასაწევია.

ასევე ჩვენ, ვიზიარებთ სოკრატ სალუქვაძის მოსაზრებას კავთურას ხეობაში და ნიჩბისში ისეთი თახჩებიანი ნაგებობების აფთიაქების აღმოჩენებს სავსებით ვეთანხმებით, ვინაიდან როგორც ვარძიაში XII საუკუნეში იყო და იგი, ასეთი თახჩები წამლის სახლად – აფთიაქად არის მიჩნეული – “ასეთ გრილ ადგილებში თახჩებზე ჩვენი წინაპრები, ალბათ, წამლის მოსამზადებელ კომპონენტებს ინახავდნენ, იმ დროს, როცა ხელოვნურად ტემპერატურის დაწევა არ შეიძლებოდა. აქაც ვერ ვფარავ განცვიფრებას. როგორ მოახერხა სოკრატ სილაგაძემ ჯერ იმის დამტკიცება, რომ მახარებელი გადამწერი კი არა, არამედ ზაზას დაკვეთის შემსრულებელია – ეს როგორ? 60 წელი ასე არ იყო დაკანონებული? ამას ფანიაშვილების სიგელ-გუჯრის კვლევა-ძიების მიმოქცევაში შემოტანა ადასტურებს და შემდეგ ამ მიდამოებში არქეოლოგიური ძიებით თახჩებიანი ნაგებობის აფთიაქის აღმოჩენა ავტორის მიერ სავსებით დადასტურდა. ეს ისეთი ურთიერთდამთხვევის ფაქტია აფთიაქისა და კარაბადინისა, რომ ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ასეთი ინტუიციური კვლევა-ძიების დადებითი შედეგები რჩეულთა ხვედრია. ეჭვები გაფანტულია.

მე, როგორც ისტორიკოსი მაგიდასთან სამუშაოდ მაშინ დავჯდები თუ იქვე მიდევს უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი და თანაც არაერთი, სხვადასხვა ენაზე. წარმოუდგენელიცაა, დღეს, რომელიმე დარგის მეცნიერმა ლექსიკონით სარგებლობის გარეშე, რაიმე კვალიფიციური გამოკვლევა დაწეროს და ამიტომ გაუგებარია რა დააშავა სოკრატ სალუქვაძემ?! თავისი პოზიცია ლექსიკონური განმარტებით რომ განამტკიცა! ამ თემაზე მეცნირებაში პოლემიკა ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია. ჩემს მაგიდაზე დევს უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი და იქ ამოვიკითხე „ფარმაკოლოგია, ბერძნულია, „ფთიკონ“ წამალია „ლოგოს“ ცოდნა, „რეციპე“ ლათინურია ქართულად „აიღე“-ს ე. ი. მოამზადე წამალიო „ფარმაკოპეია“ ბერძნულია „ფარმაკონ“ წამალია „პოიაო“ ვაკეთებ და ვუყოთ ისეთ საცნობარო წიგნს, რომელიც გვაძლევს რეკომენდაციას წამლის მომზადების შესახებ წამალი ხომ სამკურნალოდ არის გამიზნული? ასეთ ცნობარს ქართულად **„სამკურნალო წიგნი“**, რომ, ეწოდება ესეც ხომ უდაო ფაქტია? „ფარმაკოლოგია“, როგორც მეცნიერება დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბდა, მაგრამ თავისი განვითარების ზენიტს XX საუკუნეში მიაღწია. საქართველოში ფარმაკოლოგიის განვითარებას საინტერესო ისტორია გააჩნია, გვქონდა ჩავარდნებიც, გვქონდა აღზევების ეპოქაც, რომლებიც პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას უშუალოდ უკავშირდებოდა. დავუშვათ ვინმემ მოინდომა ამ წარსულის შესწავლა. იმთავითვე მჯერა, ფართო დიაპაზონისა და ანალიზის უნარის გარეშე ამას ვერავინ გააკეთებს... აუცილებლად

მიმაჩნია არა ერთი უცხო ენის ცოდნა, მითუმეტეს ლექსიკონით სარგებლობის უნარი აუცილებელია და თანაც არაერთი მეცნიერული დისციპლინის ღრმად ცოდნის გარეშე, რაიმე წარმატება გამორიცხულია წამალთმცოდნეობის (ნახეთ როგორი კარგი სიტყვებია ერთი მეორესთან დაკავშირებული წამლები და მისი ცოდნა დ. ც.) ერთადერთი მკვლევარი ამ დარგში გახლავთ სოკრატ სალუქვაძე, ნამდვილად ვერ იტყვი, რომ მას ანალიზის უნარი არ ააქვს, რასაც წერს მას დამაჯერებლობა არ აკლია და თუ რაიმეში ეჭვი ეპარება გამორიცხულია მისგან გადაუმოწმებელი დასკვნები საზოგაოდების სამსჯავროზე გამოიტანოს.

მე არ შემიძლია დავასახელო სააფთიაქო დარგის მკვლევარი ფარმაცევტული განათლებით, რომელსაც თედო ჟორდანიას ქრონიკების მეორე ტომში კორექტურის შეტანა, რომ შეეძლოს. 1470-72 წლებით გამოქვეყნებულ სიგელ-გუჯარში თედო ჟორდანია ასახელებს ოქროპირ მაღალაძეს, რომელსაც 7 ვაჟიშვილი ჰყავს, სოკრატ სალუქვაძემ ხელნაწერთა ინსტიტუტში მიაგნო საბუთს, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ოქროპირს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა მახარებელი, ალექსანდრე და ზოსიმე, ხოლო ცალკე სხვა საბუთში ვკითხულობთ მახარებელს ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდა: გერგანოზი მარკოზი, ეგნატი და დიმიტრი. ამ სიგელ-გუჯრის ტექსტი გამოქვეყნებულია „**ქართული სამართლის ძეგლების მესამე ტომში**“ 213-214-გვერდებზე და მახარებელის შვილები თედო ჟორდანიას მეორე ტომში ჩათვლილია ოქროპირის შვილებად. ე. ი. შვილიშვილების ხარჯზე თითქოს ოქროპირს 7 ვაჟიშვილი ჰყავდა, მაშინ როცა, მას მხოლოდ სამი შვილი ჰყავდა, უფროსი მახარებელი იყო. მკვლევარმა მიაგნო ფრესკას, სადაც ჟამთასვლას შემოუნახავს მღვდელი მახარებლის და მისი 4 ვაჟიშვილის ფრესკული სურათები მამასთან მახარებელთან ერთად. აქვე ვეხებით ‘წიგნი სააქიმო ს“ შესაძლოა გადამწერის ამოცნობის მცდელობას სოკრატ სალუქვაძის მიერ. ‘წიგნი სააქიმო “ XV-XVI საუკუნის მიჯნაზეა გადაწერილი და მეექვსე გვერდზე აღნიშნულია ფაქსიმილიური წარწერა „**არქიმანდრიტი გერმანე**“. ეს თანამდებობა მაღალაძე – მაღალაშვილებს საუკუნეების მანძილზე ტრადიციულად ერგებოდათ, ამ არქიმანდრიტს, რომ გერმანე ერქვა ამას ისტორიული წერილეობითი წყარო ადასტურებს. მამის სახელი რომ მახარებელია ესეც ცნობილი ფაქტია, კარაბადინის შედგენის თუ გადაწერის ტრადიციების კვალს მაღალაძე-მაღალაშვილების საგვარეულოებისკენ მივყავართ. დამწერლობის ნუსხა-ხუცური ვარიანტით ბერები სარგებლობდნენ. ეს სადაო არ არის ქართული პალეოგრაფიის ისტორიაში. „წიგნი სააქიმო “ გადაწერილია ნუსხა-ხუცური ვარიანტით და გერმანე მახარებელისძეს ვარაუდობს და როგორი ფრთხილი მკვლევარია ჩვენი სოკრატი, რადგანაც მას ხელთ არ აქვს გერმანე მაღალაძის ავტოგრაფი – დედნის ნუსხახუცური ვარიანტი. იგი თავს იკავებს დაბეჯითებით იმის მტკიცებულებაზე, რომ „წიგნი სააქიმო “-ს გადამწერი – გინდა თუ არა არქიმანდრიტი გერმანე მახარებელისძე მაღალაძეაო! ხოლო ზაზა ფანასკერტელის კარაბადინის ავტორობისას პირდაპირ აცხადებს დიდი ზაზა ასპანიძე ფანასკერტელი დამკვეთ-მომხმარებელია, ხოლო მახარებელი ოქროპირისძე მაღალაძე „პატრონის“ ზაზას დამკვეთის შემსრულებელიაო, რაც მახარებელის ავტოგრაფ დედანთან პალეოგრაფულ ექსპერტიზას იმყარება. ასეთი დედანი ხელთ რომ ეპყრას მკვლევარს, არქიმანდრიტ გერმანე მაღალაძისა მაშინ დაბეჯითებით იტყოდა „წიგნი სააქიმო “ არქიმადრიტი გერმანე მახარებელისძე მაღალაძის გადაწერილიაო. ამ ეტაპზე მისი ფრესკის მიგნებაც მამასთან და ძმებთან ერთად პატარა საქმე ნამდვილად არ არის! ეს ყველაფერი ავტორმა გამოაქვეყნა საიუბილეო კრებულში, რომელიც მიძღვნილია ‘წმინდა ექვთიმე ღვთისკაცისადმი“ (თაყაიშვილისადმი) 2005 წელს.

სოკრატ სალუქვაძეს შეხვდებით ბიბლიოთეკებში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, არქივში, რედაქციებში, გამომცემლობებში, მისი ბევრი გამოსვლებიც მომისმენია. ვერ გეტყვით, რომ დამაჯერებლობა აკლდეს მის გამოსვლებს. ეს პიროვნება საკუთარ თავს სხვებზე მეტს თხოვს. იგი ხომ დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიური სოფელ ლიხაურიდანაა

წარმოშობით, ზოგჯერ შემიმჩნევია უმძიმს ცილის წამების ატანა და უვიცად მონათვლის მცდელობაც.

ვერ გეტყვით რამდენი აფთიაქი იყო საქართველოში კომუნისტური წყობის დროს, ამჟამად 1730-ზე მეტია. და ეს ერთადერთი პიროვნება ჩანს ჩვენი წარსულის ხორცის შესხმით დაინტერესებული. ეს ცხადზე ცხადია, მას გამხნევება და მხარდაჭერა სჭირდება.

მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე დიდი ხანია იძიებს წამალთმცოდნეობის და მედიცინის ისტორიის საკითხებს და საკმაოდ მარჯვედაც. ყველა აფთიაქში იყო გამოფენილი მის მიერ შედგენილი და გამოცემული პალკატები, კედლის ვიზუალური, სამედიცინო თემატიკაზე შედგენილი კალენდრები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მის მიერ დაწერილი ფუნდამენტური მონოგრაფიაა 46 თაბახის მოცულობისაა, რომელსაც ახლავს შავ-თეთრი და ფერადი კარგი დასურათება, რეცენზენტებიც საკმაოდ კარგი ავტორიტეტები არიან: პროფესორები იოსებ ქურჩიშვილი, ავთანდილ გელაშვილი, ზურაბ შენგელაია. კარგად ვიცნობდი პროფ. ავთანდილ იოსელიანს, შვილიც რომ ყოფილიყო, ჩემი კოლეგა, ბატონი ავთანდილი დაუსაბუთებელ რეცენზიას არ გასცემდა, ასეთივე გახლდათ პროფ. შოთა ხანთაძე, აკადემიკოსები: იური კაჭარავა, ვახტან ბერიძე, ედიშერ ხოშტარია-ბროსე და სხვები. ამჟამად დიდებულ რეცენზიას წერს ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მიხეილ ქავთარია. არაკომპეტენტურ მკვლევარს მერწმუნეთ ვერ ნახავთ სოკრატ სალუქვაძის გვერდით და მუხლჩაუხრელ, წამალთმცოდნეობის ისტორიის პროპაგანდისტს, ქების ნაცვლად ნუღარ ვლანძღავთ? წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების ლაბა ხარივით უღლის გამწევ მკვლევარს უკადრებელი არ უნდა ვაკადროთ. 7 წიგნის გამოცემას დრო, მონდომება, კვალიფიკაცია, დარგის სიყვარული კარნახობს ავტორს და ყოველივეს უარყოფა ხელის ერთი მოსმით შეუძლებელია. ჩემს შთაბეჭდილებას ამ მკვლევარის შესახებ აქვე მოგახსენებთ, **თუმცა ზედმეტი პანეგირიკისაგან თავი მინდა შევიკავო**. ბატონი სოკრატ სალუქვაძე თავის სპეციალობაში რომ კარგად ერკვევა ეს მისი წიგნებიდან ჩანს, მაგრამ ზოგადად ისტორიის შესაშური მცოდნეც გახლავთ, თუ შეიძლება ასე ითქვას მას უყვარს 'საკითხის ფაფარში" ხელის ჩავლება და შემდეგ შენობის ისე აგება მშენებელსაც რომ შეშურდება. ისტორიულ წყაროს 'ქართული სამართლის ძეგლებში" მიაგნო, რომ დავით კათალიკოსმა მახარებელ მაღალაძეს რომელ გუჯარითაც კავთურის ხეობაში ნაჩუქარ ადგილ-მამულში 'წალკოტი" იყო ნახსენები. ამ ერთ სიტყვას გასდია ბოლომდე, მკვლევარმა გაშიფრა ეს ერთი სიტყვა ქართულ ლექსიკონში, შემდეგ 'ქართლის ცხოვრებიდან" მოიტანა 'წალკოტის" სრული 'ნომენკლატურა" მოიძია ამ რეგიონში სარწყავი სისტემა 'წალკოტის" მორწყვის მიზნით, აღმოაჩინა აქვე აფთიაქი, ჩაატარა რეგიონის ფარმაკობოტანიკური საექსპედიციო შესწავლა. მიაგნო მახარებელ მაღალაძის ფრესკას მის ოთხ ვაჟიშვილთან ერთად, მიაგნო რუსი მხატვრის გ. გ. გაგარინის ცნობილი ფრესკა „პაპუა მაღალაძე და მისი ოჯახის წევრები", დაასაბუთა, რომ 600 წლის წინ კავთულის ხეობაში მნიშვნელოვანი საეკლესიო მედიცინის კერა მოქმედებდა, აქ იყო: 1. მუნის სამკურნალო ეკლესია.

2. ტბა თვალოდი, სადაც წურბელების მოსაშენებელი ადგილი იყო.

3. ძუძუს ხატი რძენაკლები დედების სალოცავად და ბოლოს, ამას ყველაფერს ვინც ხელმძღვანელობდა ის ბერი მახარებელი, დაამტკიცა, რომ იგი ზაზა ფანასკერტელის დაკვეთის შემსრულებელია, ხელნაწერი კარაბადინის 1008 გვერდი მისი ხელითაა დაწერილი. ეს აქსიომაა.

აბა ისტორიული ცნობები თარმანიძეების შესახებ, მათი ფრესკების აღმოჩენა! კარგით, ბატონებო! მიბრძანეთ რომელი სადოქტორო დისერტაცია წაგიკითხავთ ასე დიდი რაოდენობის სიახლეებით, რომ იყოს დატვირთული.

დამიჯერეთ, სოკრატ სალუქვაძე არ გახლავთ ადვილად ხელწარმოსაკრავი მკვლევარი, ჩემის აზრით ის მემატიანეა წამალთმცოდნეობაში. ისტორიის შესაშური მცოდნეა, მას დიდებულად აქვს შესწავლილი ქართული წამალთმცოდნეობის ისტორია და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ქართულ ენაში ისეთი მოხდენილი სიტყვა ამოატივტივა

და დაამკვიდრა, უდაოდ უცხო სიტყვის „**ფარმაკოლოგიის**“ ნამდვილი, ჭეშმარიტი შესატყვისი არის. ამ სფეროში მე ჯერ არ შემხვედრია მონოგრაფია კი არა ბროშურაც კი, სოკრატ სალუქვაძე წარმატებული წამალთმცოდნეა. სამწუხარო და სავალალო ის არის რომ, ზოგიერთები მას შეგნებულად ხელს უშლის ამ საშვილიშვილო საქმეების კიდევ უფრო გაღრმავებაში. დამისახელეთ სააფთიაქო დარგის მუშაკი, რომელსაც ფილმი ჰქონდეს გადაღებული წამალთმცოდნეობის და მედიცინის ისტორიაში, ეს პიროვნება მტრობას ნამდვილად არ იმსახურებს.

სოკრატ სალუქვაძის ოპონენტების საყურადღებოდ ვამბობ, რომ ისინი სათანადოდ ვერ ხედავდნენ და ვერც ამჟამად ხედავენ, ვერც აფასებენ ობიექტურად მის მიერ გაწეულ შრომას და ღვაწლს წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხის შესწავლაში... დროა საღი თვალით შევხედოთ ცხოვრებას და დააფასოთ ის მოკრძალებული ღვაწლი და მისი მაღალკვალიფიციური მეცნიერული გამოკვლევები წამალთმცოდნეობაში, რომელიც მან გასწია დაუზარებლად.

ბარაქალა ამ შესანიშნავი მამულიშვილის ნაღვაწს, ამას იმიტომ ვამბობ, რომ დაკანონდეს ის ფაქტი, რომ სოკრატ სალუქვაძე – საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის კვლევის ფუძემდებელად აღიარონ.

საინტერესოა სოკრატ სალუქვაძის დღიურები, რომლის სათაურია ‘მოგონებები ჩემი მძიმე, ხელოვნურად გართულებული წარსულის ცხოვრებიდან“.

„ჩემი არამხიარული ბავშვობა მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობას დაემთხვევა: იყო შიში, შიმშილი, ქურდობა, ტირილი, კივილი.

დედაჩემთან მოვიდა ერთი აჭარელი ქალბატონი, მას ვარდო ერქვა, რაღაცეებზე იყო ლაპარაკი კარტი – ფსონის ქაღალდი გაუშალა. შემდეგ დავინახე ამ ქალბატონმა დედაჩემის პალტო წაიღო, რომელიც დღევანდელ „დუბლიონკას“ შეიძლება შევადაროთ... სტუმრის წასვლის შემდეგ დედაჩემი მიეყრდნო სახლის სვეტს და მწარედ იტირა... თურმე ეს პალტო მამაჩემის მიერ ნიშნობის დროს იყო მოტანილი და ამიტომ მისი გაყიდვა უბრალოდ გაუჭირდა. მეორე დღეს, კარგად მახსოვს, ე. წ. „გროზნოს“ ყვითელი თუ მოწითალო გამომცხვარი მჭადის, ნაცვლად თეთრი სიმინდის ფქვილისაგან გამომცხვარი მჭადი მაჭამეს სადილადო“ იგონებს ობოლი ბიჭი.

სხვა დღიურ-მოგონებაში ჩვენი წამალთმცოდნე წერს: „1949 წელს მეზობლის გოგონებს: თინას და გუგულის 800 მანეთის ობლიგაციები (ორას-ორასი მანეთიანები) გაატანა დედაჩემმა, გაზეთში გათამაშების ცხრილი იყო გამოქვეყნებული. გახარებული გოგონები შემოიჭრნენ ჩვენს ეზოში. ლუბა... დეიდა... შენმა ერთმა ობლიგაციამ 5000 მანეთი მოიგოო... ამ თანხით სული მოვითქვით, სკოლის მოსწავლის ფორმა მიყიდა დედაჩემმა ფეხსაცმელი, ქუდი და ჩანთა. სოფელში მაშინ პატიოსნება და სიყვარული სუფევდა. დედაჩემმა, გოგონებს ორთავეს ჭრელ-ჭრელი კაბები უყიდა.

შემდეგი დღიური დათარიღებულია 1985 წლის 10 მაისით. აი, რას ვკითხულობთ ამ მოგონებაში: საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედებდა ექიმთა დახელოვნების თბილისის მეცხრე საავადმყოფოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (დირექტორი აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი). ჯანდაცვის ორგანიზაციისა და ჰიგიენის კათედრას განაგებდა, პროფ. იოსებ ქურჩიშვილი, ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელი. ამ პროფესორმა იმავე წლის მაისის თვეში ჩაატარა საკავშირო სამედიცინო ინსტიტუტების მედიცინის ისტორიის კათედრების წამყვანი სპეციალისტების თანამონაწილეობით თეორიული კონფერენცია, მე გამოვედი მოხსენებით „**ახალგამოვლენილი ძველი ქართული საეკლესიო მედიცინის კერა კასპის რაიონის სოფ. წინაარეხში, მდინარე კავთურას ხეობაში**“. ამ კონფერენციაში მონაწილეობდა რუსი მეცნიერი, მედიცნის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, აკადემიკოსი ბორის დიმიტრისძე პეტროვი. კონფერენციის მონაწილენი სტუმრებთან ერთად ავტობუსით და მსუბუქი მანქანებით კონფერენციის მეორე დღეს გავემგზავრეთ სოფელ წინარეხში, თან გვახლდა ტელეგადამღები ჯგუფი. ჟურნალ ‘**საბჭოთა მედიცინის**“ რედაქტორი ჯანგირ მამალაძე. მოკლე ინფორმაცია მეორე

დღეს გადაიცა ტელეეთერში და აკადემიკოსმა ბორის პეტროვმა დადებითად შეაფასა ახალგამოვლენილი საეკლესიო მედიცინის კულტურის კერის არსებობა და აფთიაქის გამოვლინება აღიარა თახჩებიანი ნაგებობა აფთიაქი უნდა ყოფილიყო აბა სხვა რა იქნებოდაო? ეს მაშინ, როცა ამ შენობის ფეოდალური მფლობელი სასულიერო პირი მახარებელი მაღალაძე ყოფილა, რომელსაც დიდი მკურნალის ზაზა ფანასკერტელის მითითებათა საფუძველზე კარაბადინის შედგენაში თუ გადაწერაში მიუღია მონაწილეობაო.

მესამე დღეს სტუმრების დელეგაცია ვარძიაში გაემგზავრა. იქედან დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ ჩვენი სტუმრები. შემდეგ რუს მეცნიერს გადავეცი ჩემი ფუნდამენტური მონოგრაფია 'წამალთმცოდნეობის ისტორიაზე", რომელსაც ახლდა რეზიუმეები: რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. რუსმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ბორის პეტროვმა მოსკოვიდან მომწერა:



107120, Москва, Б-120
ул. Обуха, д. 12
ВНИИ социальной гигиены и организации здравоохранения им. Н. А. Семашко МЗ СССР

380030, Тбилиси 79,
пр. И. Чавчавадзе 50, аптека № 27,
провизору
С.С. САЛУКВАДЗЕ.

Проф. Б.Д. ПЕТРОВ

С.С. Салуквадзе

Глубокоуважаемый Сократ Степанович!

Благодарю Вас за Ваш подарок, за книгу и поздравляю Вас с выходом ее из печати. Она дает хорошее представление еще об одной странице богатейшей истории медицины Грузии.

Всего Вам доброго.

Проф. Б.Д. Петров

ამის შემდეგ ქართველმა პროფესორმა დამიწერა **„დასკვნა"** რომ ეს თახჩებიანი ნაგებობა აფთიაქი კი არა არამედ მოწესეთა გვამის კრემაციის შედეგად მიღებული ფერფლის ურნების შესანახი დასალაგებელი თახჩები უნდა იყოსო, ან მტრედების გამოსაზრდელი კოლუმბარიუმიო! თანაც ეს აფთიაქი მდებარეობს არა მაღალაძეთა ეკლესიასთან ახლოს, არამედ, თითქოს ქვათახევის ეკლესიიაშიო, ვინაიდან იქ მონღოლებმა დაწვეს ქრისტიანი მოწესენი და მათი ფერფლის შესანახად უნდა იყოს ეს თახჩები აშენებულიო.

ეს მაშინ როცა ეს თახჩიანი ნაგებობა ჩემს მიერ აღმოჩენილია ქვათახევის ეკლესიიდან 5 კმ-ის დაშორებით. მაღალაძეების ეკლესიასთან ძალიან ახლოს.“

„რა გამოდის ასეთი მსჯელობით? რწმენით ებრაელი პროფესორი იოსებ გურჩიშვილი გვერდში მიდგას, მეხმარება, ქართული ქრისტიანული კულტურის შესწავლაში. ამ კულტურის კერის გასაცნობად მოყავს ტელევიზიიდან ჯგუფი, ჟურნალ ‘საბჭოთა მედიცინის“ რედაქცია, აქვეა ყოფილი საკავშირო სამედიცინო ინსტიტუტების მედიცინის ისტორიის კათედრების წამყვანი სპეციალისტები, ძეგლის დადებით შეფასებას გვაძლევს რუსი მეცნიერი აკადემიკოსი ბორის პეტროვი და ქართველი ქრისტიანი ‘**მეცნიერი**“ ახშობს ქართული საეკლესიო მედიცნის კულტურის კერის არსებობის პროპაგანდას და დამამტკიცებელი არგუმენტების საწინააღმდეგოს ყვება“... მხოლოდ იმიტომ, რომ „უჩემოდ ვით იმღერეთო.”

შევეხოთ კიდევ ერთ დღიურს მეტს აღარ გავაგრძელებთ;

აი, რას წერს წამალთმცოდნეობის ისტორიის მკვლეევარი სოკრატ სალუქვაძე, ყინწვისის ეკლესიის შესახებ

„შუა საუკუნეების დიდმა ენციკლოპედისტმა მკურნალმა და ბრძენთაბრძენმა ზაზა ფანასკერტელმა თავის სამოღვაწეო სარბიელად მკურნალ წმინდა ნიკოლოზის სახელობის ყინწვისის ეკლესია აირჩია. ეს უნდა ყოფილიყო სამედიცინო განათლების მისაღებად თავისებური კერა – ყინწვისის ეკლესია იმითაც არის ცნობილი, რომ აქ კედელზე ყინწვისის წმინდა ანგელოზის ფრესკაა გამოსახული, ხოლო დამატებით ეგვტერში კედელზე ზაზა ფანასკერტელის ფრესკაა გამოსახული აღმაშენებლის პოზაში – ხელშივე უპყრია ეკლესიის მაკეტი. ფრესკის მიმდებარე კედელზე არაერთი სამკურნალო მცენარის გამოსახულებაა, მათ შორის ბროწეული, ოქროს ვენახი, ყურძნის მტევნებით დამშვენებულ სიცოცხლის ხეზე, აქვეა ვარდკაჭკაჭა და დამაძინებელი ყაყაჩოს ხაშხაშის გამოსახულება. ზაზას ფრესკის გაგრძელებაზე, კედელზე გამოსახულია წმინდა ბერი შარავანდედით, ხელთ უპყრია პანარიონი – წამლების ყუთი და წამლის მისაღები კოვზი, აქვეა ქარაგმული ასომთავრული წარწერა. ეს უნდა იყოს მკურნალ წმინდა ნიკოლოზის ფრესკა, მოპირდაპირე მხარეს ‘**სნეულთა მკურნალი**“ წმინდა გიორგის ფრესკაა კედელზე გამოხატული და რაც მთავარია ხელნაწერ კარაბადინში ზაზას მახარებელი ამკობს ეპითეტებით: ‘პატრონის“, ‘მკურნალის“ და ‘ბრძენთმთავრის“... ბრძენთმთავარი ლათინური პრეზიდენტის ტოლფასი გამოთქმა უნდა იყოს.

ჩვენ აქ ჩავიყვანეთ საქართელოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფოტოლაბორატორიის გამგე იგორ გილგენდორფი, რომელიც ფრესკებს იკვლევდა ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და რენტგენოსკოპული განათებით. კედელზე დაფიქსირდა არაერთი სასულიერო პირის ფრესკული გამოსახულება, შუაში ბრძენმთავარი ზაზა დგას, გვერდით მახარებელი მაღალაძე უნდა იყოს, აქვეა შემოკლებითი ქარაგმული წარწერები, რომლებიც ისტორიული სასულიერო პირების ვინაობის მიმნიშნეველი უნდა იყოს. აქვე უნდა იყოს ზაზას ძვალშესანახი, რომლის არქეოლოგიური შესწავლა აუცილებლად მიმაჩნია. იქნებ საფლავის ქვაზე იყოს დაფიქსირებული ზაზას გარდაცვალების თარიღი, რაც დღემდე უცნობია (!). მაგრამ ზაზას საფლავი გაძარცვულია და ამიტომ არავინ იცის არის თუ არა საფლავის ქვა ადგილზე დღემდე შემორჩენილი!!!

ძვირფასო მკითხველო! დღემდე ბევრი მკვლევარი და ხელოვნების მუშაკი სტუმრებია ყინწვისის ეკლესიას, მაგრამ წამალთმცოდნეობის და მედიცინის ისტორიის კუთხით ეს დეტალები ვინმემ შეამჩნია ამ საკულტო დაწესებულებაში? ამიტომ ვამბობ: არავის უცდია.

საინტერესოა, რომ მომდევნო გვერდზე ჩნდება დღიური: თბილისში 2000 წელს

ჩატარებულა ფარმაცევტთა საერთაშორისო კონგრესი (ინიციატორი აკადემოკოსი ალიკო ბაკურიძე). კონგრესის წინაშე მკვლევარ სოკრატ სალუქვაძეს დაუყენებია საკითხი, რომ ელგუჯა ბერძენიშვილის და ემირ ბურჯანაძის ერთობლივი ნამუშევარი გრაფიკული შედევრი 'მედეა" და შესაბამისი ლათინურენოვანი წარწერა „**მედეა კოლხიკა მედიკარე სეუ მედიცინა**" აღიარებულ იქნას. მედიცინის ერთ-ერთ პარალელურ საერთაშორისო ემბლემად, ვინაიდან ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის არსებულ ემბლემის ელემენტებს: ხმელ ჯოხზე დახვეულ გველს, რომელიც დაფნის რტოებში არის ჩასმული უდაოდ საინტერესოა, მაგრამ მეფე აიეტის და მისი ქალიშვილის მედეას ეპოქა (ძვ. წ. XV-XIV საუკუნე) 300 წლით წინ უსწრებს ასკლეპიოსის, იგივე ესკულაპის ეპოქას და რადგანაც მეცნიერებაში ქრონოლოგიური უპირატესობა დიდი პრივილეგიაა, **ამიტომ საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს უძველესი ემბლემის ახლებურ გააზრებაზე და დანერგვაზე პირადი ხელმოწერებით მხარი დაუჭერიათ.**

ჩვენ ვადასტურებთ, რომ სოკრატ სალუქვაძეს ეკუთვნის ორი აფთიაქის აღმოჩენის ფაქტი. ერთი, უშუალოდ უკავშირდება მაღლაძეთა საგვარეულოს და მეორე ეკუთვნის დიდი ზაზა ფანასკერტელის შთამომავალს ზაზა პაპუნას ფანასკერტელს-ციციშვილს სოკრატ სალუქვაძემ მიაგნო სიძველეთა საცავებში მაღალაძე-მაღალაშვილების საგვარეულო ღერბს და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მაღალაძეების საგვარეულო დროშას და ისინი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა. არც ეს არ არის პატარა საქმე.

მესამე საკითხი. დღეს ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს ამშვენებს ორიგინალურად მოხატული ემბლემა, რომელიც გამოხმობილია ადრეული ფეოდალური ხანიდან და გრანიტის ფილის დეტალების მიგნება ეკუთვნის არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილს იგი ინახება ოზურგეთის მუზეუმში. სოკრატ სალუქვაძემ ამ არქეოლოგიური ნივთს იმთავითვე სამედიცინო ემბლემის ფუნქცია მიანიჭა ახ. წ. V საუკუნეში, რომელიც ნიჭიერად მოხატა მხატვრამა გრაფიკოსმა ემირ ბურჯანაძემ. წამალთმცოდნის ნააზრევი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ ემბლემად დანერგა. ამას არ დასჯერდა მკვლევარი. საქართველოს სამედიცინო აკადემიას სთავაზობს მხატვარ ელგუჯა ბერძენიშვილის გრაფიკულ შედევრს 'მედეა" შესაბამისი ლათინურენოვანი წარწერით, რომელიც მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ მოხატა და ამ სამედიცინო ემბლემას ავტორი აძლევს მსოფლიო დატვირთვას... საკითხს იუნესკოში და ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებში, შრი-ლანკის ქ. კოლომბოს ალტერნატიულ უნივერსიტეტში სვამს. ალტერნატიული მედიცინის ემბლემად აღიარების თაობაზე. ესეც ხომ მკვლევარის პატრიოტული გატაცებაა

ავიღოთ ხელში მისი ფუნდამენტური მონოგრაფია.

მომაქვს ქსერო ასლი ამ წიგნის სარჩევისა და 60-მდე ქვეთავი, რაც მთავარია რეზიუმეები: რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. ამ წიგნში იმდენი სიახლეა, რომ მე გამიჭირდება დავასახელო ნებისმიერი დარგის, რომელიმე სადოქტორო დისერტაცია, სადაც ამდენი სიახლეები იყოს ჩამოთვლილი. სოკრატ სალუქვაძის ეს მონოგრაფია ორ სადოქტორო დისერტაციას ეყოფოდა თავისუფლად. მართლაც, რომ ბატონი სოკრატი ცდილობს ქართული წამალთმცოდნეობის კულტურას შესძინოს საერთაშორისო რეზონანსი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის
სამინისტროს მთავარი საფთიაქო სამმართველო

სოკრატ სალუქვაძე

ბალნეოთერაპია ძველი საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები

ფეოდალური ხანიდან XX საუკუნემდე

გამომცემლობა „ხელოვნება“
თბილისი — 1987

სარჩევი

წინასიტყვაობა 3
შესავალი 11
წამალთმცოდნეობის საგანი და ამოცანები 15
არქეოლოგიური მასალების სამედიცინო ასპექტები 19
მცენარეული წარმოშობის სამკურნალო ნედლეულის გამოყენება წამალთმცოდნეობაში და სამკურნალო მცენარეების კულტივაცია კოლხეთის დაბლობზე — ჰეკატეს ბაღში — წალკოტში, ძ. წ. II ათასწლეულში 50
„გამოყენებითი სამკურნალო ხელოვნების ცდის ისტორია“ და „უძველესი კოლხური მედიცინა“ 51
წამალთმცოდნის კომენტარი კურტ იოახიმ პოლიკარპ შპრენგელის „უძველესი კოლხური მედიცინის“ ქართული თარგმანის გამო 61
ცხვრის სიმბოლიკა და ძველი ქართული მედიცინისა და ფარმაციის ისტორიის ზოგიერთი საკითხი 68
ირმის სიმბოლიკა და ძველი ქართული მედიცინისა და ფარმაციის ისტორიის ზოგიერთი საკითხი 84
სატაძრო და საეკლესიო მედიცინის დამახასიათებელი ფაქტები საქართველოში . . 114
ARBOR VITAE და სამკურნალო მცენარეები ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზე 131
ცოტა რამ ქანანელის, ჭყონდიდელისა და ხოჯაყოფილის შესახებ 152
მაღალაძეების ვინაობისა და ისტორიულ სარბიელზე მათი გამოჩენის თარიღისათვის . 159
დასკვნა 165
ქართული თქმულება მაღალაძეების ეკლესიის ქვეშ განძის არსებობის შესახებ . . 166
მაღალაძეები — მდივან-მწიგნობარ-განმანათლებლები — ქართული მედიცინის მოღვაწენი 168
მასალები კავთურას ხეობაში წალკოტის, ანუ ედემის ბაღის არსებობაზე . . . 174
მახარებელ მაღალაძის კოშკში შემორჩენილი უნიკალური ფრესკის მნიშვნელობისათვის . 194
ქართული ხელნაწერების კალიგრაფი — კარის მწიგნობარი — მახარებელი I მაღალაძე . 195
საეკლესიო მედიცინის ქურუმი და სამედიცინო ხელნაწერების კალიგრაფი — მახარებელ ოქროპირისძე მაღალაძე 203
სამედიცინო ხელნაწერის „სამკურნალო წიგნის — „კარაბადინის“ შექმნაში მახარებელ მაღალაძის მონაწილეობის საკითხისათვის 220

„მჩხრეკელისა“ და „მშრომლის“ ეპითეტების სწორად გაგებისათვის საქართველოს მედიცინის და ფარმაციის ისტორიაში 231
ანდერძი პაპუა მაღალაძისა (1681 წლისა) 245
ვინ არის ვამეყ ერისთავის შეწირვის წიგნის კალიგრაფი? 268
ვინ არის „იადიგარ დაუდის“ კალიგრაფი? 270
რას წარმოადგენს დაუდ ხანის „იადიგარ დაუდი“? 298
ერთხელ კიდევ ფარმაკოპეა-კარაბადინის ავტორთა ვინაობის შესახებ 299
„ბრძენთმთავრისა“ და „მკურნალის“ ზაზა ფანასკერტელის მოღვაწეობის თარიღის დადგენისათვის და მისი სამედიცინო მემკვიდრეობის მნიშვნელობისათვის . . 303
„მკურნალი ზაზა ფანასკერტელი“ იხსენიებოდა თუ არა XV საუკუნეში „ციციშვილის“ დამატებითი გვარით? 324
ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულო წიგნთსაცავის ისტორიიდან 329
აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი და საქართველოს შუა საუკუნეების მედიცინის ისტორიის ზოგიერთი საკითხი 340
ბერძნული სიტყვა „აპოტეკა“-ს ქართული შესატყვისის დადგენისათვის . . . 344
„კარაბადინისა“ და „ფარმაკოპეის“ იდენტურობის საკითხის გარკვევისათვის საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში 351
დასკვნა 367
ენოთერაპიის საკითხები ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერ კარაბადინებში . . 369
ლენინგრადში დაცული ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერები მკვლევარს ელოდება 387
წამალთფორმები, მათი შემადგენელი კომპონენტები და მომზადების ტექნოლოგიური პროცესები ძველ ქართულ კარაბადინებში 391
წამლის ფორმების ნაირსახეობა „სამკურნალო წიგნ-კარაბადინში 424
ძველ ქართულ კარაბადინებში ზომა-წონის საკითხისათვის 440
მოწამვლის საწინააღმდეგო — ანტიდოტების, ანუ თრეაყების მომზადებისა და მკურნალობის მიზნით მათი გამოყენების საკითხები ძველ ქართულ კარაბადინებში . . 443
გენეტიკის ზოგიერთი საკითხი ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში . . . 453
ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი დიდი მოურავის გიორგი სააკაძის თანამებრძოლი . . 455
ქართული სამედიცინო ჰერალდიკის ქურუმი — ნიკოლოზ მაღალაძე 457
მაღალაშვილების მოღვაწეობა ვახტანგ VI მიერ დაარსებულ პირველ ქართულ სტამბაში 473
მესხიშვილებისა და მაღალაშვილების შთამომავლები — პროფესიონალი მედიკოსები . 479
მაღალაშვილებისა და მესხიშვილების ურთიერთთანამშრომლობა ქართულ ხელნაწერებზე 480
გენერალ პ. ციციანოვის — იგივე პ. ციციშვილის ზრუნვა ქ. თბილისში აფთიაქის გახსნის თაობაზე 484
ჩვენი კომენტარი ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი ფონდი A — 904-ის შესახებ 490
ხელნაწერი ფონდი H — № 1053-ის კომენტარი 491
ძველი ქართული საიდუმლო, ანუ კრიპტოგრაფიული კარაბადინები 492
ისტორიული ცნობები საქართველოში ყვავილის აცრის შესახებ 501
ისტორიული ცნობები თურმანიძეების შესახებ 504
ახალგამოვლენილი ძველი ქართული საეკლესიო მედიცინის კერა კავთურას ხეობაში . 509
ცნობა — იურიდიული დასკვნა ფანიაშვილების გუჯრისა და კარაბადინის 177-ე რექტო გვერდის იდენტურობის შესახებ 517

ეკლესია და მედიცინა 525
ლ. კოტეტიშვილი საეკლესიო მედიცინის შესახებ 527
ბოლოთქმა და ისევ სამტრედის, კოლუმბარიუმის და წამლის სასახლის — აფთიაქის შესახებ 537
ქართული მედიცინისა და წამალთმცოდნეობის ისტორიის ზოგიერთი პრობლემების გამო (პროფ. ა. იოსელიანი) 550
დასკვნა-რეცენზია პროვიზორ ს. სალუქვაძის ნაშრომზე „ახალი მასალები მახარებელ მაღალაძის შესახებ“ (პროფ. ლ. მენაბდე) 569
დასკვნები 572
Аннотация 590
Резюме 591
Annotation 617
Kurze Inhaltsancabe 618
Annotation 626

გარეკანის მეოთხე გვერდზე მოთავსებულია XII საუკუნის დასასრულიდან ივანიძეების, ხოლო XIV საუკუნის მიწურულიდან მაღალაძეების საგვარეულო ეკლესიის (ქართული ხუროთმოძღვრული იშვიათი ძეგლი) ქვის ორიგინალური ჩუქურთმის ფოტოპირი. ამ რეგიონში დადასტურებულია ძველი ქართული საეკლესიო მედიცინის კერის არსებობა შუა საუკუნეების საქართველოში.

მეცნიერული სიმართლის თვალსაზრისით ზოგიერთი რამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს. საბჭოურ – კომუნისტური წყობის დროს მკაცრად იდევნებოდა ხალხური, ანუ ალტერნატიულ-ტრაციდიული მედიცინა და მათი მსახური ენთუზიასტები. ტერმინოლოგიის თვალსაზრისითაც ყოველივე ამას კრძალავდა მთავლიტი - ცენზურა, ამ სფეროს მკურნალებს ექიმბაშებსა და შარლატანებს უწოდებდნენ. აშკარად იდევნებოდა კაცობრიობის გამოცდილება და სიბრძნე ავადმყოფთა განკურნების თვალსაზრისით.

მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტრადიციულ-ალტერნატიული მედიცინის ტერმინს კარგად შეუფარდა, მიუსადაგა მკურნალობის თვალსაზრისით ბევრის მომცველია ტერმინი – „წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხები“, რაც ერთადერთ სწორ გამოსავლად უნდა ჩავთვალოთ. ამ მხრივ დიდ მიღწევად მიგვაჩნია ავტორის აღიარება ევროპის ორენოვანი ჟურნალის „ალტერნატივე მედიცინის“ რედაქციის დონეზე ბატონ სოკრატ სალუქვაძის მიერ მახვილგონივრული მოსაზრებები და მიგნებები. მედეა - მედიცინის ეტიმოლოგიური მსგავსების შესახებ! ფაქტიურად, ევროპამ ეს კონცეპცია აღიარა და მხარიც დაუჭირა.

მაშასადამე, ქართული, იგივე კოლხური ტრადიციული მედიცინა ცნო ევროპამ და ორენოვანი საერთაშორისო ჟურნალის ფურცლებზე ამ ჭეშმარიტებას კარები ფართოდაც გაუღო.

ინტერესით გავეცანი მედიცინის ისტორიის კომპეტენტური სპეციალისტის, კლინიცისტის, მეცნიერისა და მოქალაქის, ბატონ ბაადურ რაჭველიშვილის სტატია-რეცენზიას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე 2008 წლის 25 მარტს რომ გამოქვეყნდა. ეს რეცენზია ღრმა მეცნიერული კვალიფიკაციით არის დაწერილი. საქმე იმაში გახლავთ, რომ 1977 წელს, როცა ქ. თბილისში თავად ორბელიანის სასახლეში გამართულა გერმანულ-რუსული და რუსულ-გერმანული საერთაშორისო სიმპოზიუმი, დასწრებია ბატონი ბაადურ რაჭველიშვილი, როცა ახალგაზრდა მეცნიერი საჯარო მოხსენებით გამოსულა იქ პირველად გაუჟღერებია თავისი მოსაზრება მედეა-მედიცინის ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ ანალოგიური ფაქტების ანალიზის შედარებისა და შესაძლებლობის თაობაზე. ასე, ჰიგია-ჰიგიენა, ვენერა - ვენეროლოგია, თოთი „ფარმაკონ“-ფარმაცია, ფარმაკოგნოზია, ფარმაკოლოგია, ფარმაკოპეა და ა.შ. აკადემიკოსი ბაადურ რაჭველიშვილი აცხადებს: „ბატონი სოკრატ სალუქვაძე ერთადერთი მოქალაქეა ასეთი მოსაზრების გამოთქმის თვალსაზრისით“ ეს მომხდარა 31 წლის წინათ ქ.

თბილისში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე! სიტყვას შესაბამისი სტენოგრამით დაფიქსირებულია კიდეც მომხსენებლის გამოსვლის შესაბამისად. ამიტომ ასეთი მოსაზრებების საჯაროდ გამოქვეყნების თვალსაზრისით მკვლევარ ს. სალუქვაძეს ალტერნატივა, ანალოგი არ მოეპოვება, იგი პირველი მკვლევარია, ვინც ეს საკითხი მეცნიერულად გააჟღერა და გაახმაურა. გერმანულ და ინგლისურ ორენოვანმა საერთაშორისო ჟურნალმა „ალტერნატივე მედიცინამ“ დიდად დააფასა ქართული წარმართული კულტურა და შთამბეჭდავი ის არის, რომ ქართველი მკვლევარის, ბატონი სოკრატ სალუქვაძის მოსაზრება მედეა-მედიცინის ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ არა მხოლოდ გაიზიარა, არამედ დასვა საკითხი პროგრესული კაცობრიობის წინაშე: დაარსდეს ტრადიციული მედიცინის ემბლემა. ორიგინალური ესკიზი შესაბამისი ლათინურენოვანი წარწერით, დღის წესრიგში დააყენა და **<u>მიანიშნა</u>**, რომ **<u>“ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრების თანახმად ასეთი უნდა იყოს ტრადიციულ-ალტერნატიული მედიცინის ემბლემა(!)“</u>** რომელიც სულაც არ გახლავთ უბრალო საქმე, დღის წესრიგში საკითხის დასმის ავტორი მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე რომ არის, ვინაიდან მეცნიერებაში დიდი პრივილიეგია გახლავთ თარიღობრივი წინსწრება - სიძველე, ვინ იყო პირველი და ვინ არის შემდეგი (!)

კაცობრიობის უძველესი ისტორიიდან ცნობილია, რომ დიდი პოეტი და ფილოსოფოსი ჰომეროსი ძვ. წ. VIII საუკუნეში მოღვაწეობდა, ხოლო ჰომეროსამდე 400 წლით ადრე – მედიცინის ლეგენდარული პერსონაჟი ბერძენი მკურნალი ასკლეპიოსი. რომის იმპერიაში ესკულაპის სახელით მოიხსენიებდნენ. ასკლეპიოსს ლეგენდის მიხედვით მკვდრის გაცოცხლებაც შეეძლო, რისთვისაც მოშურნეებმა მას თავში კეტი ჩაარტყეს და სიცოცხლეს გამოასალმეს, ხმა, ჭორი გაავრცელეს, თითქოს მეხი დაეცა და იმან მოკლაო, ასკლეპიოსის სახელის ხსენება 1000 წლით აკრძალული იყო. შემდეგ კი ნელ-ნელა ტაბუ მოიხსნა.

ცნობილია, რომ კოლხეთის მეფე აიეტი და მისი ქალიშვილი მედეა ჰომეროსთან შედარებით 700 წლით უფრო ადრე მოღვაწეობდნენ, ანუ ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებში. რომ კოლხეთის სამეფოში იცნობნენ ძვირფასი მეტალის – ოქროს მოპოვების წესს, თანაც, კოლხეთის დაბლობზე სამკურნალო მცენარეების ბაღიც იყო გაშენებული. ფაქტიურად, კოლხეთის ასეთი ცივილიზაცია 700 წლით უფრო ძველია ბერძენ ჰომეროსის ეპოქასთან შედარებით, ხოლო მედიცინის მამამთავარ ჰიპოკრატეს ეპოქა (ძვ. წ. 460-377 წ.წ.) აიეტის და მედეას ეპოქასთან შედარებით 1000 წლით უფრო ახალგაზრდაა. მედეას ეპოქა უფრო ხნიერი, უფრო ძველი გამოდის. მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას დღეს „მედიცინა“

რომ ეწოდება, ეს ფაქტი ეტიმოლოგიურად მედეას სახელს რომ უკავშირდება, ანალოგიური ფაქტების ანალიზისა და შედარების საფუძველზე მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ დაამტკიცა-დაასაბუთა. ლიტერატურული სქოლიოს და ისტორიული წყაროს მითითების მაგიერ ინგლისელი მოგზაურის ტიმ სევერინის 35 საუკუნის შემდეგ განმეორებით დაშქრობაზე მიუთითა, ვინაიდან - მდინარე რიონში ჩაშვებული გემი „არგოს“ გემბანიდან ქალაქ ვანის მიდამოებში ტიმ სევერინმა განაცხადა: „მითი არგონავტების ლაშქრობის და კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცების თაობაზე სინამდვილეს შესაბამებაო“. ტიმ სევერინის ასეთი განცხადების მოშველიება მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მიერ საკუთარი მოსაზრებების დასამტკიცებლად ერთ-ერთი უტყური და ძლერი არგუმენტია. ასე, რომ თუ მედეას ეპოქა (აქ სათუო აღარაფერია „მითი სინამდვილეს შეესაბამება“ **დ.ც.**) ასკლაპიოსის ეპოქაზე 300 წლით უფრო ძველია და ჰიპოტრატეს ეპოქასთან შედარებით 1000 წლით უფრო ძველია, სიძველე კი ქართული წარმართული კულტურის თვალსაზრისით აშკარად მეფე აიეტის და მედეას ეპოქის მხარეზეა! ჩვენ ვიცით, რომ სიძველის მიხედვით წინსწრება მეცნიერული ლოგიკის თვალსაზრისით უდიდესი პრივილეგია გახლავთ. ასეთი პრივილეგია მეფე აიეტსა და მედეას ეპოქას მიეკუთვნება და ამიტომ ობიექტურად განაწყობს ექსპერტებს, მსოფლიო მედიცინის ისტორიის სპეციალისტებს – მსოფლიო მედიცინის ემბლემის დაარსების თაობაზე. მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მიერ შემოთავაზებული კონცეფცია ობიექტური შეფასებით უნდა განიხილონ იმ წარდგენილი ესკიზით და მის მიერ მოსაზრებული ლათინურენოვანი წარწერით **„კოლხი მედეას მკურნალობანი ანუ მედიცინა“**.

აქვე აღსანიშნავია გერმანულ და ინგლისურენოვან ჟურნალში „ალტერნატივე მედიცინის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მეცნიერულად დასაბუთებული სტატია, რასაც ახლავს ავტორის მიერ შერჩეული და ემბლემად შეთავაზებული მედეას მიმზიდველი ფოტოსურათი და მისივე (სოკრატ სალუქვაძის) ფოტოსურათი ანკეტური მონაცემებით ორივე ეს ფაქტი არ გახლავთ მხოლოდ ავტორის მეცნიერული მოსაზრებების აღიარება, ეს კოლხური ცივილიზაციის სიძველის აღიარებაცაა. ამ დამსახურებას თავის რეცენზიაში ბატონი სოკრატ სალუქვაძის მისამართით ხაზგასმით აღნიშნავს მედიცინის ისტორიის კომპეტენტური სპეციალისტი, აკადემიკოსი ბაადურ რაჭველიშვილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე! ჩვენ, რასაკვირველია, ხმას ვუერთებთ სოკრატ სალუქვაძის ამ არნახულ წარმატებას, აღიარებას და ვხედავთ, ქართულ წარმართულ კულტურას მწვანე შუქი გაეხსნა ევროპაში. ვიმედოვნებთ, ასეთ დასაბუთებულ

მეცნიერულ მოსაზრებას, რომელიც უშუალოდ კაცობრიობის ცივილიზაციის სიძველესთან არის დაკავშირებული, გაიზიარებს და აღიარებს პროგრესული კაცობრიობას ექსპერტები. თუ ობიექტური ექსპერტი მეცნიერული დასკვნის შედეგად მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მიერ შეთავაზებულ ემბლემას მიანიჭებს საყოველთაო აღიარებას, იგი აუცილებლად დაინერგება (მოხატვა ბატონ ელგუჯა ბერძენიშვილს ეკუთვნის, ხოლო შესაბამისი ლათინურენოვანი წარწერა მხატვარ ემირ ბურჯანაძეს). ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ოლიმპიური სიმშვიდით დაველოდოთ შრილანკის ქ. კოლომბოს ალტერნატიული უნივერსიტეტის რექტორატის და სამეცნიერო საბჭოს წევრების მეცნიერულ დასკვნას და დადებითი შეფასების შემთხვევაში ქართული კულტურის განუმეორებელი ზეიმი – დღესასწაული კაცობრიობის საყოველთაო ზეიმადაც იქნება მიჩნეული. ამიტომ ვამბობთ, რომ ბატონი სოკრატ სალუქვაძე თავისი ორიგინალური მეცნიერული მიგნებებითა და გამოკვლევებით ქართული ეროვნული სამედიცინო კულტურის მუხლჩაუხრელი პროპაგანდისტი და მკვლევარია! თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ბ-ნ სოკრატ სალუქვაძე ევროპის დონეზე აღიარებულ მოღვაწედ მაინც დარჩება ჟურნალ „ალტერნატივე მედიცინის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სენსაციური სტატიით. იქნებ მაშინ დაგვიჯეროს ზოგიერთმა სკეპტიკოსმა ოპონენტმა, რომ სოკრატ სალუქვაძე ჩვენი ეროვნული წამალთმცოდნეობის კვლევის ფუძემდებელია. ასეც რომ არ მოხდეს, როგორც უკვე ზემოთ მოგახსენეთ, ბატონ სოკრატს რაც შეეძლო, ის უკვე გააკეთა, რისთვისაც მადლობის მეტი რა გვეთქმის?

წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძის გამოუქვეყნებელი ნაშრომებია:

1. „მედიცინა და ეკლესია – ქრისტეს მხედარი – წმინდა გიორგი – სნეულთა მკურნალი”.

2. „მაღალაძე-მაღალაშვილები – ქართველი ერის სახელოვანი მამულიშვილები”.

3. „დავამკიდროთ წამალთმცოდნეობის ტერმინები, ემბლემები და მეცნიერული მოსაზრებები”.

4. „საქართველო ჰუმანური, ტოლერანტული ქვეყანა იყო, არის და იქნება”.

5. „მიმართვა პროგრესულ კაცობრიობას: ქართული კულტურა და ხელოვნება იმსახურებს საერთაშორისო აღიარებას და მხარდაჭერას”.

6. „უძველესი მედიცინის ემბლემა ახალი თვალსაზრისით ანუ მედიცინა-მედეა-მედიცინა”.

7. „გავხსნათ მატენადარანის „ძვირფასი და საინტერესო წიგნის“ ხელნაწერის საიდუმლოება, ანუ ვინ იყო სამცხელი აქიმი გრიგორ ვაჩე”?

8. უცხოურ ენციკლოპედიაში დასაბეჭდია “საქართველოს წამალთმცოდნების ისტორიის აქტუალურ საკითხები”ხუთას ექვსი გვერდი.

9 .“პასუხი ოპონენტებს, ანუ რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია”.

10. "არქეოლოგია და მედიცინა", "სიცოცხლის ხის ანუ Arbor Vitae –ს გამოსახვის ფაქტები ქართულ მატერიალურ კულტურის ძეგლებზე".
11. გამოსაცემია ჟურნალი „წამალთმცოდნეს" რამდენიმე ნომერი მაინც.
12. „გერმანულ ქართული სამედიცინო და ფარმაცევტული კულტურული კავშირები".
13. სამკურნალო წიგნის (ქართულად), კარაბადინის (სპარსულად და არაბულად) და ფარმაკოპეის (ბერძნულად და ლათინურად) იგივეობის საკითხის გარკვევისათვის საქართველოს წამალმცოდნეობისა და მედიცინის ისტორიაში.
14. აღვადგინოთ საქართველოს კონსოლიდაციის ჯვარ-ხატობის ზეიმი-დღესასწაული. ოცდაათი ივლისი.
15. მოფიქრებულია დასაწერად „ქრისტეს მიმდევარი წმინდანები – საეკლესიო მედიცინის მკურნალები".

სულ ეს გვინდოდა გვეთქვა სოკრატ სალუქვაძის დამსახურების შესახებ ყოველგვარი გაზვიადების გარეშე.

დურმიშხან ცინცაძე
პროფესორი, თბილისი,
ვარდობისთვის 25 2007 წელი.

განსხვავებული აზრი თუ პრინციპული ანტაგონიზმი?

საზოგადოებამ ორივე მხარეს უნდა მოუსმინოს და სიმართლე სემდეგ დაადგინოს. ასე, რომ მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის პასუხი აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს!

2007 წლის ივნის-ივლისის ჟურნალმა "ფარმაცევტულმა მაცნემ" გამოაქვეყნა სტატია სათაურით "კარაბადინი და ფარმაკოპეა", რომელსაც ხელს აწერს სარედაქციო საბჭო. საქმე იმაშია, რომ ამ საბჭოს წევრი რიგით მეათე გახლავთ წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე. იგი აცხადებს, რომ ამ სტატიაზე მას ხელი არ მოუწერია. მაშასადამე, საბჭოს ყველა წევრის ხელმოწერით ამ სარედაქციო წერილის გასაღება სიცრუეა. წერილის შესავალშივე ვკითხულობთ, რომ "ავტორთა უმეტესობა ამტკიცებს, კარაბადინი და ფარმაკოპეა შინაარსობრივად იდენტური ნაშრომი ნამდვილად არ არის, თუმცა კი ერთ-ერთი ავტორი ალბათ სოკრატ სალუქვაძეა რომელიც მოითხოვს, უარგუმენტოდ ვაღიაროთ კარაბადინისა და ფარმაკოპეის იდენტურობა". ასეთი მოსაზრების გამოთქმა, ჩემი ღრმა რწმენით, სინამდვილეს არ შეეფერება. გავეცანი მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის ამ საკითხთან დაკავშირებით საპასუხოდ გამზადებულ წერილს. მისი დასკვნა გამომდინარეობს ხელნაწერი კარაბადინების კონტექსტების დეტალური ანალიზიდან. რაც მთავარია, მეცნიერებაში უცხო სიტყვათა განმარტების ერთადერთ საშუალებად დღემდე ითვლება შესაბამისი უცხო სიტყვათა ლექსიკონი, რომელიც ძლიერი და უტყუარი არგუმენტია. გარდა ამისა, დამატებით მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე წერს, რომ შუასაუკუნეების ხელნაწერ

კარაბადინებში **„ასახულია ფარმაკოლოგიურ საშუალებათა მომზადების ფარმაკოპეული რეკომენდაციები". თურმე ასეთ საკითხებს კარაბადინების ტექსტების 60%-ზე მეტი უკავია.** ასე, რომ მკვლევარს არ უნდა დავაბრალოთ "სიახლეებს არგუმენტების გარეშე გვთავაზობსო", ასეთი ბრალდება ცილისწამებაა და სხვა არაფერი, ამას მე ნათლად ვხედავ პროფესიონალი პროვიზორის პოზიციებიდან. უსამართლობა ისაა, რომ ამ წერილზე კრიტიკის ადრესანტს განმარტებითი პასუხის დაბეჭდვაზე უარს ეუბნებიან ამავე რედაქციის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ასეთი ტენდენციურობა ეწიააღმდეგება ჰელსინკის კავშირის, პარიზის ქარტიის და ჟენევის კონვენციის დადგენილებებს სიტყვის თავისუფლების საკითხებზე. არა და მე გავეცანი ზემოთ ნახსენებ ჟურნალში სარედაქციო წერილის ტექსტს, სადაც ვკითხულობთ, რომ "ფარმაკოპეის (ალბათ XX საუკუნის სახელმწიფო ფარმაკოპეების ტექსტები იგულისხმება. **გ.დ.**) შედარება კარაბადინების შუასაუკუნეების ტექსტებთან და „იმის მტკიცება, რომ კარაბადინი ფარმაკოპეის იდენტურია, ნამდვილად უსაფუძვლოა და რეალურად კარაბადინის დაკნინება გახლავთო". სამწუხაროდ, წერს სოკრატ სალუქვაძე, ჩემს ოპონენტს მხედველობიდან რჩება მთავარი: შუასაუკუნეებში კარაბადინებს წაყენებული ჰქონდათ უნივერსალური მოთხოვნები, იგი მოიცავდა მედიცინის ყველა დარგს მცირე-მცირე რაოდენობით და ძირითადი აქცენტი მაინც წამლის მომზადების ფორმების მომზადების ხელოვნებაზე იყო გადატანილი, რაც დაკვირვებულ მკვლევარ-ანალიტიკოსს არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან. გარდა ამისა, შუასაუკუნეების კარაბადინები სხვა დონეა თანამედროვე სახელმწიფო ფარმაკოპეებთან შედარებით და ეს მეცნიერების კომპლექსია. ხატოვნად თუ ვიტყვით, იგი ევერესტია – მწვერვალია და ამის დაუნახაობა და ჩემს მიმართ იმის დაბრალება, რომ მე თითქოს რეალურად კარაბადინების დაკნინებას ვაწარმოებ, უსაფუძვლოა თუნდაც იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სულ სხვა დონეა შუასაუკუნეების კარაბადინები დღევანდელ ფარმაკოპეებთან შედარებით. „კარაბადინების დაკნინებას" ამ უსამართლო და მართლაც უარგუმენტო ცილსწამებას ასეთნაირად პასუხობს ბატონი სოკრატ სალუქვაძე: „დიდად პატივცემულო ბატონო ბიძინა! თქვენ უნაღლესი სამეცნიერო ხარისხისა და ტიტულის მფლობელი ბრძანდებით და ჩემი დიდი მისწრაფება და სურვილია განვმარტო შემდეგი: XX საუკუნის ფარმაკოპეა მეცნიერების უმაღლესი მწვერვალია (ნაშრომებია). ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფო ფარმაკოპეებში მოცემულია ყველაფერი, XXI საუკუნემდე აღმოჩენილი ყველა საკითხი და მეცნიერულად დასაბუთებული სიახლეები, შესაბამისი მეთოდები. თქვენი მცდარი შეხედულება, რომელიც პირუთვნელად რომ ვამხილო, თანამედროვე მეცნიერულ სახელმწიფო ფარმაკოპეებთან შედარებით სრულებითაც არ ვამტკიცებთ შუასაუკუნეების ხელნაწერი კარაბადინების უპირატესობას, ვინაიდან ისინი ისედაც კნინობითი ფორმებია თაამედროვე მეცნიერული მიღწევების თვალსაზრისით, როგორ გითხრათ, მაგრამ კარაბადინები შარლ პეროს ზღაპრებს მოგვაგონებენ. ამ პასუხს, თქვენ რომ გიყვართ სიტყვა "არგუმენტი", სწორედ რომ არგუმენტებით და ფაქტებით დაგიდასტურებთ. აქ სიმკვეთრისათვის მოგიყვანთ არაერთ მაგალითს. შუა საუკუნეების ნებისმიერი ქვეყნის კარაბადინი და მათ შორის ქართული რედაქციით შედგენილი ასეთი შინაარსის ხელნაწერი ძეგლის კარაბადინების შემდგენელი

ავტორები არ იცნობდნენ სამკურნალო მცენარეების შემცველ იმ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების თანამედროვე სახელწოდებებს, რომლებსაც მეცნიერული ფარმაკოგნოზია ითვალისწინებს ტერმინოლოგიის თვალსაზრისით. აი, მათი ზოგიერთი სახელი: ალკალოიდი, გლიკოზიდი, საგულე გლიკოზიდები, სტეროიდული საპონინები, ტრიფერმენტული საპონინები, ტანიდები ანუ მთრიმლავი ნივთიერებები, კუმარინები, კატეხინები, ვიტამინები, ანტრაქინონები და მათი წარმოებულები, ცხიმოვანი და ეთეროვანი ზეთების და სხვა, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების არათუ სახელწოდებებს არ იცნობდნენ შუა საუკუნეების ხელნაწერი კარაბადინების შემდგენელი ავტორები, არამედ ისინი არ იცნობდნენ ამ ნივთიერებების ემპირულ და სტრუქტურულ ფორმულებს. წარმოდგენა არ ჰქონდათ მთელ რიგ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე და არ იცოდნენ, ასკილი თუ 15%-მდე ასკორბინის მჟავას, ვიტამინ C-ს შეიცავდა, ბუნებრივია, არ იცოდნენ ვერცხლის სარკის რეაქცია ამ ვიტამინის იგივეობის რეაქციაზე. წარმოდგენა არ ჰქონდათ დრაგენდორფის რეაქტივზე და საერთოდ არაფერი იცოდნენ იგივოების რეაქციებზე, წარმოდგენა არ ჰქონდათ თვისებით და რაოდენობით განსაზღვრის მეთოდებზე, არგენტომეტრიაზე, იოდომეტრიაზე, პოლარიმეტრიაზე, ასევე, როგორ უნდა მოვთხოვოთ შუა საუკუნეების კარაბადინების შემდგენელ ავტორებს რაიმე წარმოდგენა მენდელეევის ელემენტების პერიოდულ სისტემაზე, თუნდაც ბერცელიუსის მარილწარმომქმნელ ჰალოგენებზე: ბრომზე, იოდზე, ქლორზე და მათ რთულ შენაერთებზე. შუა საუკუნეებიდან XIX და XX საუკუნის მეცნიერ ენთუზიასტებმა გაამდიდრეს კაცობრიობის ისტორია პერმანენტულად სამეცნიერო აღმოჩენებით. მკურნალმა ფარმაკოლოგებმა დანერგეს სამკურნალო პრაქტიკაში ახალ-ახალი აღმოჩენის შედეგები, ეს მაშინ, როცა კააბადინების ავტორებს წარმოდგენა არ ჰქონდათ ანტიბიოტიკებზე, ვიტამინებზე, სტერილურ ხსნარებზე, ამპულებზე. სისხლის შემცველ პრეპარატებზე პროსტაგლანდინებზე და სხვა ისეთ მეცნიერულ სიახლეებზე, რომლებითაც სავსეა XX საუკუნის სახელმწიფო ფარმაკოპეები. თქვენ ამბობთ, რომ მე, სოკრატ სალუქვაძე, ვაკნინებ შუა საუკუნეების ხელნაწერ კარაბადინებს? ეს ხელნაწერები ხომ ისედაც დაბალი დონეა თანამედროვე ფარმაკოპეასთან შედარებით. შუა საუკუნეების კარაბადინები თითქოს უფრო მეტი ღირებულებისაა თანამედროვე ფარმაკოპეასთან შედარებით? ამას სრულ ჭკუაზემყოფი მეცნიერი ჟურნალში დაწერს? რამდენად უნდა გძულდეს მართლის მთქმელი თქვენი ყოფილი სტუდენტი სოკრატ სალუქვაძე? მითხარით, შეიძლება შევადაროთ თანამედროვე ფარმაცევტულ ინდუსტრიული ენდოკრინული პრეპარატების არსენალს შუა საუკუნეების ორგანო თერაპიისა და ენდოკრინოლოგიის ჩანასახები? აქედან თქვენ გამოიტანეთ დასკვნა, რამდენად სწორია მეცნიერულად, შუა საუკუნეების კარაბადინების და თანამედროვე ფარმაკოპეის რედაქციის ურთიერთთან შედარება შუა საუკუნეების პრიმიტიულ კარაბადინებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. უხეშად რომ ვთქვათ, შეიძლება ველოსიპედისა და ბალისტიკური რაკეტის ურთიერთთან შედარება? ბატონო ბიძინა, ჟანგბადს იცნობდნენ შუა საუკუნეების კარაბადინების შემდგენლები. ეს მე ვაკნინებ შუა საუკუნეების კარაბადინებს თუ თქვენ ბერავთ საპნის ბუშტს? თქვენ ნახევარ საუკუნეზე მეტია, ფარმაცეფტული ქიმიის (თქვენ ისიც არ იცით, რომ ფარმაცევტული ქიმია წამალთმცოდნეობის ქიმია გახლავთ **ს.ს.)** კათედრაზე

მოღვაწეობას ეწევით, ვფიქრობდი, რომ ფარმაკოპეის რაობა და მეცნიერული ფასეულობები მაინც იცოდით! თურმე ამ სტანდარტების სახელმწიფო კრებულზე წარმოდგენა არ გქონიათ და უფრო მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო შუა საუკუნეების კარაბადინები ყოფილა! რა უბედურებაა ჩვენს თავზე?" ჩემო აღმზრდელო ბატონო ბიძინა! ამას გიწერს თქვენ თქვენი აღზრდილი, ყოფილი სტუდენტი, და ვფიქრობ, რომ საფუძვლიანადაც გეკამათება!

პასუხი მართლაც გაღიზიანებული ტონით არის დაწერილი და ამიტომ ამ საკითხზე ობიექტური კომენტარისაგან თავს შევიკავებ. თუმცა საკითხავია, რამდენად სწორია ფრაზა: "როცა მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე აკნინებს შუა საუკუნეების კარაბადინებს XX საუკუნეში უმაღლეს მეცნიერულ დონეზე შედგენილ სახელმწიფო ფარმაკოპეებთან შედარებით". ზემოთ მოყვანილი კონტრასტული შედარებები ფარმაცევტული დარგის სპეციალისტებმა შეაფასონ. ამ საქმეში ჩემი ჩარევა და აზრის გამოთქმა განხილვა-დისკუსიის შემდეგ შეიძლება. ჩემი ღრმა რწმენით და საერთაშორისო იურიდიული კანონმდებლობით, წესით და რიგით კრიტიკულ წერილზე ჯერ პასუხი უნდა დაიბეჭდოს, ვინ ვინ არის, იქ გამოჩნდება. ეს მინდოდა მეთქვა და სხვა არაფერი.

უფლისციხესა და ვარძიაში თახჩიანი ნაგებობები უყოყმანოდ აფთიაქებად იქნა მიჩნეული. ამიტომაც ორენოვან ჟურნალ "ალტერნატიული მედიცინის" რედაქციამ გაიზიარა მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მოსაზრებები. გაიმარჯვა ნათელმა აზრმა და სწორმა მეცნიერულმა დასკვნამ წერდა.

გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 2007 წლის 15 ნოემბერი, „მსოფლიოს უძველესი აფთიაქის ნაშთები უფლისციხეშია". ავტორი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ცნობილი ჟურნალისტი ვილენ მარდალეიშვილი.

მოსალოდნელია ერთი ყელასათვის არასასიამოვნო მოვლენა. დავუშვათ, მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ თარგმნა თავისი საპასუხო რეცენზია და ევროპის რომელიმე ქვეყნის ჟურნალში გერმანულ, ინგლისურ, ან ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა და ულმობლად და ობიექტურად ამხილა თავისი ტენდენციური ოპონენტების დაბალი კვალიფიკაცია. სახელდობრ: ქართველი მეცნიერები უგულებელყოფენ ლექსიკოგრაფიულ განმარტებას, ვერ ერკვევიან განმარტებითი ლექსიკონებით სარგებლობაში და არ იციან, საერთოდ ლექსიკონის დანიშნულება! ვინც ლექსიკონით არ სარგებლობს,მას მეცნიერი შეიძლება უწოდოს კაცმა? ან მედიცინის ისტორიის კათედრიდან კითხულობენ ლექციებს პროფესორ-მასწავლებლები და თვითონვე ვერ გარკვეულან ფარმაკოპეის და კარაბადინის იდენტურობაში? ერთიმეორისაგან ვერ არჩევენ ფარმაკოლოგიურ ადაპტაციას და მიკრობიოლოგიურ ფენომენს – იმუნიტეტს? ან სხვა ასეთ ელემენტარული საკითხების გამოქვეყნება ევროპის დონეზე ქართველ მეცნიერთა თავის მოკვეთის ტოლფასი არ იქნება? სად გინდათ, ასეთი ფაქტების მხილების შემდეგ თავი გამოყოთ! მე უნდა ვთხოვო ბატონ სოკრატს, ეს არ ჩაიდინოს, თავი შეიკავოს ასეთი სამარცხვინო

პუბლიკაციის საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნებისაგან(!). სხვა შემთხვევაში სადაო საკითხების არბიტრობისგან ვარჩევ თავი შევიკავო, მორიგების გზა ავირჩიოთ ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა, ჭეშმარიტების გზაზე მშვიდობიანი მორიგება სჯობს, ვინაიდან ნათლად იგრძნობა, შუასაუკუნეების კარაბადინი ვერაფრით შეედრება თანამედროვე მეცნიერულ სახ. ფარმაკოპეას შემდეგ.

ხარისხის მიმნიჭებელი ფარმაცევტული საბჭოს წევრები: დოქტორები და პროფესორები, ამავე დროს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ყარამან ფაღავა ერთხმად აღიარებენ დისერტანტ სოკრატ სალუქვაძის გამოკვლევების სისწორეს, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დისერტანტმა დაამტკიცა შუა საუკუნეებში სამეფო კარზე შესრულებული ხელნაწერი კარაბადინები ასრულებდნენ სახელმწიფო ფარმაკოპეის დანიშნულებას და ამას ავტორი ამტკიცებს არაერთი არგუმენტით და განსაკუთრებით შვიდი აღმოსავლეთმცოდნე ლექსიკოგრაფის განმარტებებიდან. დამტკიცებულია, რომ კარაბადინები შუა საუკუნეებში წამლის ფორმების მომზადების თვალსზრისით ისეთივე სარეკომენდაციოს წესების წიგნი იყო, როგორც დღეს მე-20 საუკუნის სახელმწიფო ფარმაკოპეა და რა თქმა უნდა 400 და 1000 წლის წინათ შედგენილი შუა საუკუნეების კარაბადინები სიტყვასიტყვით ის არ იქნება, რასაც დღეს მე-20 საუკუნის სახელმწიფო ფარმაკოპეა მიგვითითებს. ერთი რამ აშკარაა, რომ, შუა საუკუნეების ხელნაწერი კარაბადიბნები გვაძლევდა წამალთფორმების მომზადების ფარმაკოპეულ რეკომენდაციებს და ჩემთვის როგორც ცნობილია, ხარისხის მიმნიჭებელმა სამეცნიერო საბჭომ (ყველა წევრმა) 15 დადებითი ხმა მისცა ხარისხის მაძიებელ სოკრატ სალუქვაძეს და დისერტაციის დაცვიდან რამდენიმე წლის შემდეგ სარედაქციო საბჭოს წევრების სახელით სრულიად საპირისპირო რეცენზიას უწერს რედაქცია. ისე რომ, სოკრატ სალუქვაძეს პასუხის გაცემის საშუალებას არ აძლევენ. ეს კი უნდა ავხსნათ გულმავიწყობით და ალოგიკურობით, ვინაიდან ის კონცეფციები, რასაც სამეცნიერო საბჭოზე დადებითი ხმა მიეცა და მკვლევარ სოკრატ სალუქვაძეს სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა, 2007 წლის ივნის-ივლისის ჟურნალ "ფარმაცევტულ მაცნეში" სრულიად საპირისპირო განცხადებაა გამოქვეყნებული,რაც ლოგიკასთან და ჭეშმარიტებასთან აბსოლუტური დაშორებაა. მიუხედავად ამისა, ბატონი სოკრატი აპირებს ჯვრის მონასტერში ჩაფრენას და ზოგიერთი ტენდენციური ოპონენტის ცოდვების მონანიება შესთხოვს უფალს.

გენრი დეკანოსიძე

„DIE GESCHICHTE DER ANWENDUNG VON ANTIDOT-„MITHRIDATUM“, EINER ARZNEI DES ALTERTUMS“

Von Sokrat Salukwadse, Lehrstuhl der Medizingeschichte und Biomedizinethik der Nach-Diplom Ausbildung an der Staatlichen Medizinakademie.

Prof. J. Mamaladse (Tbilissi), Lehrstuhlleiter

König Mithridates VI. Eupator von Ponto, Hauptstadt des Königtums Sinopi, ein Philosoph und Heerführer, regierte in den Jahren 132-63 v.Ch..

Er richtete ein alchemistisches Labor ein und erforschte die Nutzbarmachung des Antidot-„Mithridatum“.

Auf Seite 410 im georgischen „Ustsoro Karabadini“ („Einmaliges Karabadin“) aus dem X. Jahrhundert und auf Seite 88 im „Medizinischen Buch“ aus dem XII. Jahrhundert, ist „Mithridatum“ erwähnt, ebenso wie im „Heilungsbuch-Karabadin“ aus dem XV. Jahrhundert. Auf dessen Seiten 112-113 ist ausführlich die Art der Herstellung dieser Arznei beschrieben. Im Antidot-„Mithridatum“ sind 59 pflanzliche und 2 Komponente aus tierischen Drüsensekreten als Heilmittel bei Vergiftung beschrieben. Schon mit Beginn des XVII. Jahrhunderts wurde Antidot-„Mithridatum“ in englischen, deutschen und französischen Arzneibüchern ausführlich beschrieben und von europäischen Arzneimittelherstellern in großen Mengen produziert. So ging es bis zur zweiten Hälfte des XIX. Jahrhunderts. In den medizinischen Aufzeichnungen von Gilbert Watson und William Culpeper wurde die Herstellung von „Mithridatum“ aus 36 verschiedenen Bestandteilen überliefert.

Mithridates VI. EupatorKönig von Pontus, 132-63 v. Chr.

DAS FRAGMENT DES „PHARMAKOPEA“ – DES ÄLTESTEN ARZNEIBUCHS DER WELT, IST IN TBILISSI AUFBEWAHRT

Ein Fragment aus Pharmakopea

In der Geschichte der Wissenschaft von den Heilmitteln und der Medizin gibt es unterschiedliche Meinungen zur Anerkennung dieses uralten Arzneibuches Pharmakopea.

Nach Aussage des deutschen Wissenschaftlers Ebers soll das Arzneibuch ungefähr 1800 Jahre v. Ch.. während der Regierungszeit des Königs Amenopheles auf ägyptischem Papyrus geschrieben worden sein, die sogenannte „Pharmakopea von Reserka –die Heilung aller menschlichen Krankheiten, von den Haaren bis zu den Fußnägeln“. Im Jahre 502 v.Ch. hat in China eine aus 22 Pharmazeuten gebildete Kommission das s.g. chinesische „minibelus Pharmakopea“ geschaffen.

Nach Feststellungen des bekannten Chronisten S. Cramer beginnt die Geschichte bei „Sumerern“. Dort wurden bei archäologischen Ausgrabungen keramische Platten mit Schriftzeichen entdeckt. Mit deren Entschlüsselung wurde festgestellt, dass es sich um die bisher „älteste Pharmakopea der Weltgeschichte“ handelt. Unser zeitgenössischer georgischer Wissenschaftler, Prof L. Mudschiri besitzt ein analoges keramisches Fragment, das von dem georgischen Schumerologen, J. Scharaschenidse entziffert wurde. Eine Veröffentlichung der Inschriften erfolgte in der Zeitschrift der russischen Akademie „Westnik“ sowie in der Zeitschrift der georgischen Akademie „Mazne“. Die Publikationen haben wir mit den entzifferten Texten des alten Pharmakopeas aus der Monographie von S. Cramer verglichen und auf Grund dieses Vergleichs konnten wir feststellen, dass die Funde identisch sind. So kamen wir zu dem Ergebnis, dass es um das keramische Fragment eines aus dem II. Jahrtausend v. Ch. stammenden Pharmakopeas handelt.

ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა: მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ ფარმაცევტთა საერთაშორისო კონგრესზე გააკეთა მოხსენება ანტიდოტ მათროდიტოსის მაჯუნზე, ანუ საჩინო წამალზე, შემდეგ ეს შრომა გააფართოვა და გამოაქვეყნა საერთაშორისო ჟურნალ "Kavkazische Post"-ის ფურცლებზე, სადაც დაამტკიცა, რომ ინგლისურ- გერმანულ და ფრანგულ სახელმწიფო ფარმაკოპეებში მათროდიტოსის მაჯუნი ინტენსიურად შეჰქონდათ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, ხოლო ასეთი ანტიდოტი შვიდასი, ხუთასი და 200 წლით ადრე შეჰქონდათ ქართული რედაქციით შედგენილ "კარაბადინებში". მაგალითისთვის მოიყვანა, რომ ინგლისურ სახელმწიფო ფარმაკოპეაში მათროდიტოსის მაჯუნი შეცავს 37 კომპონენტს, ხოლო ზაზას და მახარებლის კარაბადინში 57 კომპონენტს. გამოდის, რომ ფარმაკოლოგიური სინერგიზმის თვალსაზრისით ქართველ მკურნალებს უფრო ეფექტური ფარმაკოლოგიური ანტიდოტი მოუმზადებიათ. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს სოკრატ სალუქვაძის არგუმენტებით მისი უპირატესობა პოლემიკაში მისივე ოპონენტებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ XVII საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისურ სახელმწიფო ფარმაკოპეას ამშვენებს 37 კომპონენტიანი ანტიდოტი, და ქართულ კარაბადინებში 57 კომპონენტიანი ანტიდოტი ქართული სამედიცინო წერილობითი ძეგლი, რადგანაც კარაბადინის სახელწოდებით მოიხსენიება, იგი თურმე ფარმაკოპეა არ ყოფილა? ზემოთმოხსენებული ანალოგიური ფაქტებისა და ლექსიკონების მოშველებით ეს საკითხი აქსიომის დონეზე გამოიყურება ამიტომაა ეს გერმანულენოვანი ნაშრომი მნიშვნელოვანი. ამავე დროს, ამავე შრომაში მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე გვაწვდის ერთ მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო ცნობას, რომ კაცობრიობის უძველესი ფარმაკოპეის ფრაგმენტი, კერამიკული ფირფიტა ინახება ქალაქ თბილისში, პროფ. ლევან მუჯირის ბინაში. როგორც ჩანს, მისი პაპა ექიმი მიხეილ მუჯირი გემზე მსახურობდა და ამჟამად უცნობი გზით მან მოიპოვა ეს მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ცნობილი დოკუმენტალისტის სემიუელ ნოა კრამერის განმარტებით კაცობრიობის ყველაზე ძველი ფარმაკოპეის ფრაგმენტია შუმერებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული. მისი ასაკი 4300 წლით განისაზღვრება.

გენრი დეკანოსიძე
ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

P.S. სიმკვეთრისათვის აქ მოვიყვანოთ სადისერტაციო საბჭოს ექსპერტების წერილობითი დასკვნა, რომელიც ჩვენ მეცნიერულად და ობიექტურად შეფასების თვალსაზრისით ჭეშმარიტებად გვესახება.

გავეცნოთ ჩვენი კოლეგის სოკრატ სალუქვაძის დღიურების შინაარს, შევაფასოთ ობიექტურად იქ წამოჭრილი პრობლემები და შევისწავლოთ განაწყენების მიზეზები რომელიც უნდა განვიხილოთ ფარმაცევტული ასოციაციის მორიგ სხდომაზე.

ერთ-ერთ რედაქციაში (გაზეთ „თბილისი") ბატონ სოკრატ სალუქვაძეს მიმართეს ასეთი ტრადიციული კითხვით: რაზე ოცნებობთ, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები? წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების მკვლევარი ასე პასუხობს: "მინდა ჩავჯდე საერთაშორისო თვითმფრინავში მეგობარ კინოოპერატორთან ერთად, რომელსაც მომარჯვებული ექნება ვიდეო კამერა, ჩავფრინდეთ იერუსალიმში და ვეწვიო ჯვრის მონასტერს, აღსავლის კარებთან უფალს შევავედრო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის – საქართველოს გადარჩენა გლობალიზაციის ამ შეუქცევად პროცესებში, ვილოცო ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის გადარჩენისათვის. შემდეგ დავდგე მონასტერში იმ სვეტის წინ, რომელზედაც, ზემო მხარეს შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ფრესკაა გამოსახული და წავიკითხო მისივე პოემა ვეფხისტყაოსნიდან ქვეთავი "მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცვისა".

კორ: ბოდიში, რომ გაწყვეტინებთ და, რატომ არა "ავთანდილის ანდერძი"?

ჩვენი სოკრატი იქვე ასე პასუხობს: "საქმე ძალიან ბევრი მაქვს გასაკეთებელი და ამიტომ ჯერჯერობით "ანდერძისათვის" ვერ ვიცლი, თანაც ჩემი უკომპრომისო ბრძოლა და ობიექტური პასუხები ტენდენციური, ცილისმწამებლური ოპონენტების მიმართ ზუსტად მაგონებს ტარიელის რაინდულ ბრძოლებს ლომ-ვეფხის დახოცვის საქმეში, განსხვავება იმაშია რომ მე ისინი კი არ დამიხოცავს, არამედ ხალიჩაზე ბეჭებით გავაკარი არგუმენტირებული და ლოგიკურად დასაბუთებული პასუხებით. შოთა რუსთაველის ფრესკიდან გადავინაცვლო ღმრთისმშობლის ხატთან და უფალს შევევედრო, მიუტევოს ჩემს ოპონენტებს თავიანთი ცოდვები, რომლებმაც გამომიცხადეს ინკვიზიციური დევნა და ჯვარცმა, მხოლოდ იმისათვის, რომ განვიზრახე საქართველოს ისტორიოგრაფია შემევსო წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების გრიფით. უფალს ვევედრები, მიუტევოს მათ ცოდვები, ცილისწამებები, თუნდაც იმიტომ, რომ მე, ბუნებით კაი გვარიან ზარმაცს, არ მომცეს მშვიდი ძილისა და მოსვენების საშუალება და თითქოს წინდის საქსოვი ჩხირის ჩხვლეტით თუ ხიცინით (თქვენვე განსაზღვრეთ სადისერტაციო ნაშრომის წართმევა, "ხიცინად" თუ ჩაითვლება?), ხელის მტევანზე თითებდაგლეჯილი მარჯვენათი 20 მონოგრაფია (ჯერჯერობით, ამ დროისათვის **გ.დ.**) დამაწერინეს! გმადლობთ, უფალო, რომ თქვენი შეწევნით მე, მწირსა და მიუსაფარს ეს შემაძლებინე... შევეშვათ ურთიერთ ქიშპობას არაობიექტური რეცენზიების გამოქვეყნებას და მივაგოთ ვეზირს ვეზირისა და კეისარს კეისრისა.

ჩვენი კოლეგის სოკრატ სალუქვაძის ერთ-ერთი მოგონება თარიღდება 1975 წლის 21 ოქტომბრით.

გავეცნოთ ამ დღიურსაც: „1975 წლის 21 ოქტომბერს თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის დიდ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დანიშნული იყო ჩემი მეუღლის, მერი მუჯირის დისერტაციის დაცვა, 8 დღით ადრე ამ თარიღამდე ორმა ჩემმა აღმზრდელმა პროფესორმა: ა. მშვიდობაძემ და ბ. ჭუმბურიძემ ახალდანიშნული, რექტორის პროფ. კ. ვირსალაძის სახელზე შეიტანეს განცხადება-საჩივარი, რომ დისერტაციის დაცვა შეჩერდეს, გამოიცვალოს გრიფი, გადაბარდეს საკანდიდატო მინიმუმის საგანი, გადაიბეჭდოს

ავტორეფერატი და შემდგომ იქნეს დისერტაცია დაშვებული საჯარო განხილვაზეო“. ამ დროს იყო, პრორექტორი, სამეცნიერო საბჭოს წევრი ბატონი ვაჟა ოკუჯავა და საჩივრის ავტორებს უპასუხა: ‘ბაქოდან ჩამოსულია ერთ-ერთი ოპონენტი პროფ. აფეზ ალიევი და თქვენი განცხადების შინაარსი განხილულ იქნება დისერტაციის დაცვის პროცესშიო (არსებობს ოფიციალური სტენოგრამა პროფ. აფეზ ალიევის გამოსვლიდან). ‘ჩემამდე მოსულია ხმები, რომ თითქოს დისერტაცია არ შეესაბამება ფამაცევტული ქიმიის გრიფს, რომ იგი ეკუთვნის ფარმაკოგენოზიის გრიფს, არავითარი ასეთი, მე გახლავართ სამკურნალო მცენარე ძველის სუროს ალკოლოიდების მკვლევარი და ჩემი სადოქტორო შრომა ფარმაცევტული ქიმიის დარგში სწორედ ამ გრიფით მაქვს დაცული, ამიტომ შემოვდივარ ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წინაშე დისერტანტ მერი მუჯირის დისერტაცია სავსებით შეესაბამება იმ გრიფს, რომლითაც შრომა შემოსულია სამეცნიერო საბჭოზე განსახილველად და ვშუამდრომლობ სამეცნიერო საბჭოს წევრების წინაშე ხარისხის მაძიებელს მიენიჭოს ფარმაცევტული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

“უფალო იესო ქრისტე! დაილოცა სახელი შენი ცათა შინა. ქართველი მართლმადიდებელი ჩემი და ჩემი მეუღლის აღმზრდელი პროფესორები ხელს მიშლიან როცა განვიზრახეთ მეცნიერებაში კარის შედება. ცოტა მოვძლიერდეთ ეკონომიკურად და აზერბაიჯანიდან ჩამოსული მაჰმადიანი პროფესორი აფეზ ალიევი გულწრფელად მეხმარება. შეიწყალე უფალო ყველა ცდომილი შენი შვილი (კომენტარი ზედმეტია **გ. დ.**)

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, თავი მოვუყაროთ ო. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიურ ცენტრში (დიმიტრი უზნაძის №14 სახლში). გავაგზავნოთ არქეოლოგიური ექსპედიციები ოთხთავე მხარეს სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე; აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით დავაწესოთ პრემიალური პრიზი, თუნდაც ერთი მილიონი ამერიკული დოლარი, ვინც აღმოაჩენს ულისციხეში, ვარძიაში, წინარეხში და ნიჩბისში არსებული თანხჩებიანი აფთიაქის მსგავს ნაგებობას და ამ ოთხი ორიგინალური თახჩებიანი ნაგებობიდან სოფლებში წინარეხში და ნიჩბისში – აღმოჩენილი აფთიაქების მიგნება ინტუიციით ვარაუდზე, ხომ სოკრატ სალუქვაძეს ეკუთვნის? რა ვიცოდით ამაზე? გვყავს ასეთი მეორე თავდადებული მკვლევარი, რომელსაც ინტუიციამაც გაუმართლა და ეს აფთიაქები აღმოაჩინა? მხოლოდ ასეთი მნიშვნელოვანი ევრიკა ეყოფოდა ერთ მკვლევარს საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად! ხომ ასეა? და რა მესმის!!! ქ. თბილისის ენციკლოპედიაში გამოქვეყნებულია სტატია პროფესორების ხელმოწერით და იქ არაა აღიარებულია, რომ ეს აფთიაქები სოკრატ სალუქვაძის მიერ არის აღმოჩენილი! კომენტარი მართლაც რომ ზედმეტია. არავითარი სიკეთე მტრობას არ მოაქვს. უდავოა რომ ზარალდება ორთავე მხარე და საერთო ჯამში ჩვენი ფარმაცევტული დარგი, რომელიც განადგურებულია „უკუღმართი ხვნა და თესვის“ გამო.

ჩვენი სოკრატი არავისგან არაფერს მოთხოვს. მხოლოდ ცილს ნუ დამწამებთო და ჩემს საწინააღმდეგო კოალიციას ხელოვნურად ნუ შექმნითო! ჭეშმარიტებას ჯეროვანი პატივი მიაგეთო! განა ასეთ მოქმედებას შეხსენება უნდა ჭირდებოდეს.

როგორც ზემოთ დავინახეთ ჩვენი კოლეგა სოკრატ სალუქვაძე გულნატკენია თავისი აღმზრდელების არაობიექტური მოქმედების გამო, ამიტომ მოაწყოთ განხილვა-დისკუსია ამ საკითხებზე და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და ყველას დამსახურებისამებრ თავისი ადგილი მივუჩინოთ. ნუ ვიქნებით ტენდენციური თანამოკალმეთა მიმართ.

პატივისცემით
გენრი დეკანოსიძე

ს. სალუქვაძის სადისერტაციო ნაშრომის „წამალთმცოდნეობა შუა საუკუნეების საქართველოში X-XVI ს-ში" სადისერტაციო საბჭოს დასკვნა

პროვიზორ ს. სალუქვაძის მიერ სადისერტაციო საბჭოზე განსახილველად წარმოდგენილი ნაშრომი "წამალთმცოდნეობა შუასაუკუნეების საქართველოში" ეძღვნება ჩვენი ეროვნული ისტორიოგრაფიის აქტუალურ საკითხებს, კერძოდ X-XVI საუკუნეების სამედიცინო წერილობითი ძეგლების შესწავლას. მოცემულია დღემდე შემონახულ კარაბადინებში წამალთმცოდნეობის განვითარების ანალიზი. ახალგამოვლენილი ისტორიული პირველწყაროებით ნავარაუდევია, რომ ბრძენმთავარი ზაზა ფანასკერტელის ხელმძღვანელობით საეკლესიო მედიცინის ქადაგი მახარებელ ოქროპირის-ძეს მაღალაძე **"სამკურნალო წიგნ-კარაბადინის" მექანიკურ მჩხრეკელ გადამწერთან ერთად, მისი შედგენის თანამონაწილეც უნდა ყოფილიყო.**

ძველი ქართული კარაბადინების ტექსტუალური ანალიზის საშუალებით ავტორი ადასტურებს შუა საუკუნეების საქართველოს წერილობითი ძეგლების კარაბადინების თანამედროვე ფარმაკოპეის მსგავს დანიშნულებას.

დისერტანტ ს. სალუქვაძის მიერ საარქივო მასალის კვლევა-ძიების შედეგად მიმოქცევაში შემოტანილია მედიცინის ისტორიისათვის დღემდე უცნობი "ფანიაშვილების გუჯარი", მაღალაძეების დროშა-გერბი (რაც ჰერალდიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საბუთია); "წყალობის წიგნი დავით კათალიკოსისა მახარებელ მაღალაძისადმი". ეს უკანასკნელი კავთურას ხეობაში გაშენებულ "წალკოტ" – ლამაზ ბაღში, ბახჩა-ბოსტნეულთან ერთად, სამკურნალო მცენარეების მოყვანის ფაქტს ადასტურებს. ეთნოგრაფიული მასალებით დადგენილია, რომ შუა საუკუნეების საქართველოში კავთურას ხეობაში და რკონში საეკლესიო მედიცინის კერა მოქმედებდა.

მაღალაძეების ეკლესიის მახლობლად აღმოჩენილია თახჩებიანი ნაგებობა წამლის სასახლე-აფთიაქი. დამტკიცებულია, რომ ზაზას მრავალი სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულება დაუარსებია; მზოვრეთში ციების ეკლესია აუშენებია, ხოლო ყინწვისის ეკლესიასთან სამედიცინო განათლების მისაღები კერა დაუარსებია.

ნაშრომის პრაქტიკული მხარეა ისიც, რომ ავტორი არგუმენტირებულად აყენებს საკითხს იუნესკოსა და ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის წინაშე მედიცინის დღევანდელი ემბლემის "მედეა-კოლხიკა-მედიკარე სეუ მედიცინა"-თი შეცვლის შესახებ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე გამოფენილია არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ქართული წამალთმცოდნეობის ამსახველი ისტორიული მასალები.

დისერტაციის მასალების მიხედვით გამოქვეყნებული 11 სამეცნიერო ნაშრომი სრულად ასახავს შრომის კურსს. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. დასრულებულ სამეცნიერო გამოკვლევას წარმოადგენს და დისერტანტის ერუდიციასა და მაღალ პროფესიულ დონეს ასახავს.

ამრიგად, სადისერტაციო საბჭომ განიხილა მაძიებელ ს. ს. სალუქვაძის სადისერტაციო ნაშრომი: "წამალთმცოდნეობა შუასაუკუნეების საქართველოში" და დაადგინა, რომ ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს ფარმაციის ისტორიაში. აღმოჩენილია ახალი ისტორიული წყაროები და დადგენილია ახალი ფაქტები, რომელთაც აქვთ, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომი შეესაბამება სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ დისერტაციისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და მის ავტორს სოკრატ სალუქვაძეს შეიძლება მიენიჭოს ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი სპეციალობით 15.00.01 "წამალთა ტექნოლოგია და ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია".

სადისერტაციო საბჭოს წევრები, პროფესორები : 1. რომან მახარაძე,
2. ალეკო ბაკურიძე,
3. პავლე იავიჩი.

ბატონო ბიძინა ექსპერტთა საბჭოს ამ დასკვნას თქვენ დადებითი ხმა მიეცით და ჟურნალში სარედაქციო საბჭოს სახელით სულ სხვა დასკვნაა გამოქვეყნებული.

გამოხმაურება

სოკრატ სალუქვაძის სადისერტაციო მაცნეზე, ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად – "წამალთმცოდნეობა შუასაუკუნოვან საქართველოში X-XVI ს-ში"

პირველ რიგში დადებითად მინდა შევაფასო თვით სარეცენზიო შრომის შექმნის ფაქტი. ქართული მედიცინისა და ისტორიისადმი მიძღვნილი სამეცნიერო გამოკვლევები არც თუ ისე მრავალრიცხოვანია, ხოლო გასაჭრელი ყამირი კი მრავლადაა.

“წამალთმცოდნეობა შუასაუკუნოვან საქართველოში” კომპლექსური ხასიათის ნაშრომია. ძველი კარაბადინების შესწავლის შედეგად დადგენილია მრავალი წამლის მომზადების მეთოდები და პრაქტიკული რეკომენდაციები. თუ გავითვალისწინებთ საყოველთაო ინტერესს სახალხო მედიცინის მიღწევებისადმი, არ არის გამორიცხული, რომ ავტორის მიერ მოპოვებული მასალა საფუძვლად დაედება ახალი ეფექტური სამკურნალო პრეპარატების შექმნას. მკაფიოდაა გამოკვეთილი მაღალაძეების საგვარეულოს ღვაწლი შუასაუკუნოვან მედიცინასა და ფარმაციაში. <u>დასაბუთებულია მაშინდელ საქართველოში სამკურნალო წიგნებისა და კარაბადინების იმდაგვარი მნიშვნელობა, თანამედროვე სახელმწიფო ფარმაკოპეისას რომ შეესაბამება ესაა ობიექტური მეცნიერული დასკვნა და ჟურნალში კი სულ სხვას ვკითხულობთ (გ. დ.).</u>

სადისერტაციო მაცნეში წარმოდგენილი ლიტერატურული მიმოხილვის ძირითადი დებულებები სრულყოფილად ასახავს ამ დარგში არსებულ ცოდნას, ფრიად ინფორმატიულია და ძალზე საინტერესოც.

სავსებით ვეთანხმები პრაქტიკულ რეკომენდაციებს ქართული ფარმაციის ისტორიის ამსახველი მასალების ფართო პოპულარიზაციის აუცილებლობის შესახებ.

არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ითქვას ავტორის – ბატონ სოკრატ სალუქვაძის პიროვნების შესახებ: პატრიოტი, შესანიშნავი პროფესიონალი, თვალსაჩინო მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, მრავალი წელია, ინტენსიურად, მუხლჩაუხრელად იღვწის ეროვნული წამალთმცოდნეობის სათავეების გამოვლენისა და პოპულარიზაციის ასპარეზზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული უფლებას მაძლევს დავასკვნა, რომ მკვლევარ ს. სალუქვაძის დისერტაცია “წამალთმცოდნეობა შუასაუკუნოვან საქართველოში” სავსებით პასუხობს საკანდიდატო დისერტაციისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, მისი ავტორი კი იმსახურებს ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას.

ყარამან ფაღავა,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის პედიატრიისა და
მოზარდთა მედიცინის კათედრის გამგე,
მედ. მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

1998. 17. VI

ღია წერილი

საქართველოს ფარამცევტული ასოციაციის პრეზიდენტს

ბატონ რომან მახარაძეს

გაცნობებთ, რომ 1987 წელს გამომცემლობა "ხელოვნების" მიერ დასტამბული მონოგრაფია სათაურით: „წამათლმცდონეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზების უძველესი დროიდან XX საუკუნემდე" ამ სფეროში ჯერჯერობით ერთადერთი მონოგრაფიაა და სხვა პუბლიკაცია, თუნდაც ერთი თაბახი მოცულობისა რომ იყოს, არ ჩანს. დღეის შემდეგ, წამალთმცოდნეობის გრიფით რომ გამოიცეს დამოუკიდებელი მონოგრაფია, თარიღობრივად ჩემი 46-თაბახიანი ეს ნარკვევი „წამალთმცოდნეობასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე" ქრონოლოგიურად მაინც პირველი წიგნი იქნება. მიკვირს, ძალიან მიკვირს ამ ისტორიულ სინამდვილეს რატომ არ აღიარებს 12 ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი (თქვენი ჩათვლით) და 30-ზე მეტი (იქნებ კარგად ვერ დავთვალე. **ს.ს**) ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი. ასეთ დაუნახაობაზეა ნათქვამი: „საქართველოში, მხარეში, სადაც მგელსაც არ თვლიან ხანდახან ძაღლად", მესმის, პროფ. ბ. ჭუმბურიძემ გამყიდა „ფიროსმანის საადგომო კრავივით", ოფიციალურ ოპონენტად დაიხმარა პროფ. ა. მშვიდობაძე და 1978 წლის 8 ივნისს მოხერხდა ჩემი უმოწყალოდ გაძარცვა! იმ დახურულ „სამეცნიერო" საბჭოს სხდომას თქვენც ესწრებოდით, მაგრამ ჩემს დასაცავად ხმა არ ამოგიღიათ, თუმცა, რომც გეცადათ გამოქომაგება, მაინც არაფერი გამოგივიდოდათ, ვინაიდან ყველფერი თავიდანვე არაკეთილსინდისიერი ბიძინა ჭუმბურიძის მიერ უნამუსოდ იყო ჩაწყობილი.

ბატონო რომან! საქართველოს უმაღლესი სასამართლოს არქივში ინახება 'განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის მიერ საქმე №6103 - 74" ბრალდების საქმე პეტრე გედევანის ძე გელბახიანის და სხვათა მიმართ". ეს ტომზე მეტი მიძღვნილია საბრალდებო დასკვნების ტექსტებისათვის. მინდა თქვენ წარმოიდგინოთ ის, რაც მე მტკიცედ მჯერა: მიუხედავად არაერთი უმძიმესი ეპიზოდისა, პეტრე გელბახიანი, ჩემი აღმზრდელი პროფესორი, არასოდეს იკადრებდა იმას, რაც იმ დღეს იკადრეს სამეცნიერო საბჭოს 18-მა წევრმა და ჩემმა ყოფილმა ლექტორებმა: ბ.ჭუმბურიძემ და ა.მშვიდობაძემ. გთხოვთ მერწმუნოთ, დამიჯეროთ ამას არასოდეს იკადრებდა პეტრე გელბახიანი - თავისი ყოფილი სტუდენტი საჯიჯგნად სხვა უწყებისათვის მიეგდო. იმ დღეს მე რაღაც ბურთივით ყელში მეჩრებოდა და მახრჩობდა. დისერტაციის დაკარგვა არაფერია, მეორეს დავწერ და ჩემი საყვარელი ლექტორების მუხანათურმა ღალატმა ტვინში სისხლი კინაღამ ჩამიქცია, მაგრამ კიდევ კარგი, რომ 1975 წლის 13 ოქტომბერს, როცა 21 ოქტომბერს, სამედიცინო ინსტიტუტის დიდ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ჩემს მეუღლეს, ქალბატონ - მერი მუჯირს გველის სუროს ალკალიოდებზე დისერტაცია რომ უნდა დაეცვა, რვა დღით ადრე ჩემმა ორმა აღმზრდელმა პროფ. ბ. ჭუმბურიძემ და პროფ. ა. მშვიდობაძემ განცხადება-საჩივრით მოითხოვეს დისერტაციის ავტორეფერატის გადაბეჭდვა, გრიფის შეცვლა და საკანდიდატო მინიმუმის გადაბარება. ფაქტიურად დისერტაციის დაცვის ჩაშლა და ერთი წლით გადადება. ჩამოვიდა ბაქოდან მაჰმადიანი პროფ. აფეზ მამედ-ოღლი ალიევი და ოფიციალური სტენოგრამის მოშველიებით მინდა მოგახსენოთ, რომ მაჰმადიანი, ბაქოდან ჩამოსული

პროფესორი დამეხმარა და ქრისტიანმა მართლმადიდებელმა პროფესორებმა ხელის შეშლა სცადეს. ამას ჰქვია კაცობა და ქრისტიანობა? შემდეგ კი 21 ოქტომბერს დიდი საბჭოს 33-ივე წევრმა ერთხმად მიანიჭა ქალბატონ მერი მუჯირს სამეცნიერო ხარისხი. მე ამაზე დღემდე გული მტკივა და დამრჩა მოუშუშებელი იარა. ერთ რამეზე ხშირად მიფიქრია, სახელდობრ, რომელიმე თქვენგანის წინაშე ბ. ჭუმბურიძე ასე უსამართლოდ რომ მოქცეულიყო, მაინტერესებს, რა გუნებაზე დადგებოდით? ყოველ შემთხვევაში, მის ადვოკატობაზე ხელს მაინც აიღებდით!

ნათქვამია: „დაღვრილი წყალი არ აიხვეტებაო“, და როგორც ხედავთ ვაგრძელებ ამ ჩამწარებულ ყოფას. ვიტან ბევრ უსამართლობას. ამას წინათ, თქვენი თამადობით ლხინი რომ გაიმართა, თქვენ მე მიწოდეთ **„განათლებული ინტრიგანი“!** სად გაგონილა უსამართლობასთან ბრძოლა და წინააღმდეგობის უნარი ამავე დროს სიმართლის ფარად და მახვილად მოშველიება „**ინტრიგანობად**“ ჩავთვალოთ? თქვენგან მიკვირს ასეთი, თუნდაც ოხუნჯობა!

იმ საღამოს ბიძინამ კარგად იმღერა რომანსი „მხოლოდ შენ ერთს“, ბატონი გურამ ცაგარეიშვილიც კარგად აყვა. ბიძინა მღეროდა „საფლავშიაც იქაც აქაც, შენთან ერთად, შენთან ერთად“-ო. ნაღველასავით ჩამწარებული ჩემი ცხოვრება ბიძინასაგან მე ისედაც არ მეყოფოდა? და მე საფლავშიაც ბიძინასთან ერთად ვიყო? თქვენ კი მისაყვედურეთ, ბიძინას სიმღერაზე აჰყევით და თან ადღეგრძელეთო! კარგია ასეთი მოწოდება, მაგრამ რა გულით?

ბატონო რომან! მთელი 40 წელიწადი, ბ. ჭუმბურიძეს ჩემო მტრობის მეტი არაფერი გაუკეთებია და რა გულით უნდა ვადღეგრძელო ასეთი ყოფილი ლექტორი? რაც მოხდა, მოხდა, მაგრამ წინამდებარე განცხადებით იმიტომ მოგმართავთ, რომ ჟურნალ „ფარმაცევტულ მაცნეში“ ორმა ავტორმა ერთდროულად შემომიტია და სიტყვის თავისუფლების ჟენევის კონვენციის, ჰელსინკის კავშირის და პარიზის ქარტიის საფუძველზე მე ნება უნდა მომცეთ პასუხი გავცე ტენდენციურ, ანტიმეცნიერულ ცილისწამებას. ამჟამად ანონსის სახით პროფ. რამაზ სურმანიძესა და ქალბატონ ლიანა სამყურაშვილს, თითოეულს რამდენიმე გვერდიანი პასუხი უნდა გავცე და გთხოვთ, ჟურნალის უახლოეს ნომერში გამოაქვეყნოთ იგი. ძალიან შემცირებულად 6-გვერდიანი ლანძღვა-გინებაში 2 გვერდი დამიბეჭდეთ, მაგრამ... ამის გარდა გაზეთ ‘ლიტერატრული საქართველოს“ რედაქციამ მიმდინარე წლის 7 ივლისს გამოაქვეყნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ნ. ლომოურის მნიშვნელოვანი სტატია სათაურით: **„ფარმაკოპეა საქართველოს კულტურის ისტორიაში“**. უმორჩილესად გთხოვთ ჟურნალ „ფარმაცევტულ მაცნეს“ უახლოეს ნომერში, გამოაქვეყნოთ იგი შეუმცირებლად. აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ უცხო სიტყვათა განმარტებისას შესაბამისი ლექსიკონის იგნორირება პირწავარდნილი პროვინციალიზმია და ასეთი ტენდენციური საქციელის გამომჟღავნებისას, ნებისმიერი დარგის დოქტორი და პროფესორი პასტირ-პასტორალის დონეზეა დაცემული. ჯერ კიდევ 1981 წელს ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ ფურცლებზე საკადრისი პასუხი გავეცი მეცნიერთა ტენდენციურ პასკვის, რომლებმაც საზოგადოებას თვალში ნაცარი შეაყარა. 25 წლის ინტერვალის შემდეგ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ორმა ავტორმა შემომიტია და თუ საშუალებას მომცემთ, პასუხი მზადა მაქვს, პოლემიკას დიდი უპირატესობით მოვიგებ (მოვიგე კიდეც, ტექსტის შემცირების მიუხედავად. **ს.ს.**), რასაც მე, ყოველივე ამას, დარგის სიყვარულითა და უმრავლესობის ინტერესებიდან გამომდინარე ვაკეთებ. არც ეს ღია წერილი შეამციროთ და ეს ხუთგვერდიანი მასალა გთხოვთ თქვენთან შეთანხმებით დაბეჭდოს მთავარმა რედაქტორმა, ქალბატონმა ნინო ხარაზიშვილმა,

რასაც აუცილებლად უნდა დაემატოს პროფ. ნ. ლომოურის ოთხგვერდიანი ობიექტური, მეცნიერული და ვაჟკაცური რეცენზია. არ გეწყინოთ მე მხოლოდ სიმართლეს ვწერ და სიმართლის გაწირვა კარგს არავის მოგვიტანს!

პატივისცემით,
წამალთმცოდნე **სოკრატ სალუქვაძე**

P.S. ბატონო რომან! ჯერ კიდევ 27 წლის წინ ინტუიციური ვარაუდით, კასპის რაიონის სოფელ წინარეხში აღმოვაჩინე და XV საუკუნით დავათარიღე 500-თაღჩიანი მაღალაძეების აფთიაქის ნანგრევები, ხოლო ერთი წლის შემდეგ XVII საუკუნით დათარიღებული ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილის აფთიაქის ნანგრევები აღმოვაჩინე სოფელ ნიჩბისში. თბილისის ენციკლოპედიაში გამოჩნდა სტატია „აფთიაქი“ და ტექსტში ერთხელაც არ არის ნახსენები, რომ ამ აფთიაქების ევრიკა მე მეკუთვნის. სტატიას ხელს აწერენ პროფესორები: ვლ. აბაშიძე და ბ. ჭუმბურიძე. რა დავარქვათ ამას? კომენტარი გააკეთოს 12 ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორმა და 30-ზე მეტმა ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატმა. აქვე შეგახსენებთ, რომ ფარმაცევტული ყრილობის დღეებში ჩემი ფილმიდან ამოჭრეს მნიშვნელოვანი კადრები და მავანმა და მავანმა საკუთარ აქტივში ჩაიწერა ისინი. ეს მაშინ, როცა ჩემი წიგნიდან გაკეთებული ტელეფილმის ‘მითი და რეალობა“ ყრილობის დელეგატებისათვის უნდა გვეჩვენებინა, ვინაიდან ამაზე მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა საანგარიშო პერიოდში, არც შემდეგ და ამ თვითნებობით უხეშად დაირღვა ჩემი საავტორო უფლებები. რატომ? რატომ? რატომ?

სიკვდილი ყველას უნდა გვახსოვდეს... ცას ვერავინ გამოეკერება, ამიტომ სადაო საკითხები თემიდას სისწორით უნდა ავწონ-დავწონოთ! ასეთი უკანონო, თავგასული მოქმედებებით უხეშად ირღვევა ჩემი საავტორო უფლებები და ხდება ჩემი ინტელექტუალური საკუთრების უხეშად მიტაცება. დროა, „კეისარს მივაგოთ კეისრისა და ვეზირს ვეზირისა“. სიმართლე არ უნდა გავწიროთ მკვლევარ სოკრატ სალუქვაძესთან დამოკიდებულებაში. ამას მე საწყენად არ ვამბობ.

ღია წერილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ თამაზ გამყრელიძეს

იცით, სინამდვილეში რა მომხდარა, ძვირფასო პრეზედენტო, ბატონო თამაზ!

ბერი მარქარის მიერ ნათარგმნი ხელნაწერის ისევ ქართულად ნათარგმნ ტექსტს დღემდე ვერ ვეღირსეთ მატენადარანიდან! საქმე შემდეგში ყოფილა:

მატენადარიდან საქართველოს დედაქალაქ თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში გასული საუკუნის 60-იან წლებში პროფ. ილია აბულაძეს და მაშინ მედიცინის ისტორიის სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტს ბატონ ბაადურ რაჭველიშვილს „**ჩამოუტანიათ**“ მიკროფირზე გადაღებული ბერი მარქარის მიერ 1462-1466 წლებში ნათარგმნი სამცხელი აქიმის გრიგორ ვაჩეს სამედიცინო ხელნაწერი! ჩვენ მიზნად დავისახეთ ამ მიკროფილმის პოზიტივიდან ნეგატივის გადაღება, კომპიუტერში მოთავსება და გადიდება, იმისათვის, რომ სომხური ენის სპეციალისტისთვის საქმე გაგვეადვილებინა, მეც გვერდში მივჯდომოდი სპეციალური ტერმინების თარგმანში დახმარების აღმოჩენის მიზნით და თუ ამ გზით მოვიპოვებდით ბერი მარქარის სომხური ტექსტის ქართულ თარგმანს, პირველ რიგში უნდა გაგვერკვია რომელი საუკუნის ხელნაწერი თარგმნა ბერმა მარქარმა XV ს-ნის მეორე ნახევარში, საერთოდ, ვინ იყო სამცხელი აქიმი გრიგორ ვაჩე? იმის გარკვევაც აუცილებლად მიგვაჩნდა, ეს ხელნაწერი თავიდან ქართულად იყო დაწერილი თუ რომელიმე სხვა უცხო ენიდან არის ნათარგმნი. პრობლემის გადაწყვეტაზე თანხმობა ანუ დახმარების სურვილი განაცხადა სომხური ენის კომპეტენტურმა სპეციალისტმა, აკადემიკოს ზაზა ალექსიძემ. პირველ რიგში ნეგატივი მოვათავსეთ კომპიუტერში, მაქსიმალურად გავადიდეთ და კვლევა-ძიებას შევუდექით იმის გარკვევისათვის, თუ რას წარმოადგენდა 215-გვერდიანი ეს სომხური ხელნაწერი, რომელიც არაპროფესიონალი კალიგრაფის მიერ ძალიან ცუდი, უხარისხო ხელით დაწერილი აღმოჩნდა. დავრწმუნდით, რომ ამ ხელნაწერიდან (წვრილი ასოებით დაწერილი, ძნელად გასარჩევი ტექსტიდან) ვერაფერს გავარკვევდით – შეუძლებელი იყო ამ გზით ქართული ტექსტის მიღება. საქმეს ისიც ართულებდა, რომ სომეხ ფოტომხატვარს, მატენადარანის თანამშრომელს, ფოტოაპარატის ობიექტივის ფოკუსი არ გაუსწორებია, რის გამოც ხელნაწერის ფურცლების გვერდებიდან ტექსტი ხან მარჯვენა მხარეს იყო ‘**შეჭმული**“ ხან მარცხენაზე ჩამოჭრილი, ამის გამო ამ სომხური ხელნაწერიდან (ტექსტიდან) ქართულად ნათარგმნი ტექსტის მიღება ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა! რაღა ვქნათ? საბოლოოდ ჩავიქნიოთ ხელი ბერი მარქარის სომხურად ნათარგმნი ხელნაწერის შინაარსის მიღებაზე, რომლის ავტორად ექიმ ლადო კოტეტიშვილს ქართველი სამცხელი აქიმი გრიგორ ვაჩე მიაჩნდა და სომეხი მკვლევარი პროფ. ა. ოგანეზოვი წერდა: „ეს ძვირფასი და სასარგებლო წიგნიაო“. სამწუხაროდ, ქართული დედანი ამ ხელნაწერისა დაკარგულად ითვლება! ჩვენი ღრმა რწმენით, „ძვირფასი და სასარგებლო წიგნის“ უპატრონოდ მიტოვება არ მიმაჩნია

გამართლებულად, არა და არ ჩანს პერსპექტივა უსპონსოროდ ამ სომხური ხელნაწერიდან ქართულად გადმოთარგმნის და ქართული ტექსტის მიღების თაობაზე. ბატონ ზაზასთან კომპიუტერში გადიდებულ ეკრანზე დავაკვირდით მატენადარანიდან ჩამოტანილი ხელნაწერის ნეგატივს და შევნიშნეთ, რომ ეს ხელნაწერი №412-ია. მან გადაფურცლა ახლახან ერევნიდან ჩამოტანილი მატენადარანის ხელნაწერების სომხური ცნობარი. №412 ხელნაწერი არის მეჩვიდმეტე საუკუნის უსათაურო ძეგლი, თანაც ორი სხვადასხვა ნაწყვეტი ხელნაწერის მექანიკურად გაერთიანებული რაღაც უმნიშვნელო ხუროგატი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ბერი მარქარის მიერ ნათარგმნ ხელნაწერთან. XV საუკუნის მეორე ნახევრის ნათარგმნი ძეგლის ტექსტის ნაცვლად ერევნიდან გამოუტანებიათ XVII საუკუნის მეორე ნახევრის ხელნაწერი. ამჟამად მე იმას ვერ მოგახსენებთ, რომ ეს შეცდომა მექანიკური ხასიათისაა თუ სომხებმა შეგნებულად დაგვიმალეს ბერი მარქარის **„საინტერესო და ძვირფასი წიგნი“** სამცხელი აქიმის გრიგორ ვაჩეს ხელნაწერი! საქმეს ისიც ართულებს, რომ № 413, № 414, № 415 და მომდევნო ხელნაწერების ცნობარი სომხურად ჯერჯერობით გამოცემული არ არის, რომ გავარკვიოთ, რომელია სამცხელი აქიმის გრიგორ ვაჩეს ხელნაწერი, ამიტომ რამდენიმე ხნით ამ ხელნაწერის გადმოთარგმნა და მისი ქართველი მკვლევარის მიერ მეცნიერული კომენტარებით გამოცემა (რამდენიმე ხნით) შეჩერდა, გადაიდო! ერთი სიტყვით ყველაფერი თავიდანაა გასაკეთებლი, მით უმეტეს, ამ „**საინტერესო და ძვირფასი წიგნი**“ ხელნაწერის უყურადღებოდ მიტოვება, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გამართლებულად არ მიმაჩნია.

რაც შეეხება ქართული „უსწორო კარაბადინის“ სომხურად თარგმნის საკითხს, პროფ. ილია აბულაძეს გამოქვეყნებული აქვს შრომა ჟურნალ „საბჭოთა მედიცინაში“ იმის თაობაზე, რომ XVII საუკუნეში უცნობი სომეხი მთარგმნელის მიერ ეს უძველესი ქართული ხელნაწერი სომხურად უკვე გადათარგმნილია.

ასე, რომ ბერი მარქარის მიერ სომხურად ნათარგმნი სამცხელი აქიმის გრიგორ ვაჩეს ხელნაწერის ისევ ქართულად გადმოთარგმნა და მისი მეცნიერული კომენტარებით გამოცემა კიდევ უფრო საინტერესოდ რჩება როგორც ქართველი მკვლევარების, ასევე ქართული მედიცინის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ ქართველი მკითხველებისათვის, თუ ბოლოს და ბოლოს მოვიპოვეთ ამ ხელნაწერის ქართული თარგმანი, ხომ კარგი! გარდა ამისა, ჩვენთვის საინტერესო იყო „წიგნი სააქიმო ს“ (ხელნაწერის) ასლის გადაღება XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ვის მიერ იყო შესრულებული? მიპასუხოს ვინმემ – ამ საკითხებში დახმარების აღმოჩენის ნაცვლად ჟურნალში ლანძღვა-გინებით აღსავსე რეცენზიის გამოქვეყნება მეკუთვნოდა? არა ბატონებო! ეს რეცენზია დემაგოგებისა და პროვოკატორების მიერ დაწერილი გახლავთ! თანაც, არაკვალიფიციური ავტორების მიერ (პროფ. რამაზ სურმანიძე და ფილ. მეცნ.კანდიდატი ლიანა სამყურაშვილი). სამწუხაროა, საქმის კეთების ნაცვლად ერთმანეთს უსაფუძვლოდ ვლანძღავთ, თორემ, დასაბუთებული, სამართლიან კრიტიკას არავინ (ჩემდა თავად **ს.ს.**) გაურბის!

რეცენზია-გამოძახილი

წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძის ნაშრომის "ზუსტად დავადგინოთ Q ფონდის № 877 ხელნაწერის რაობა, დამკვეთ-მომგებლისა და ავტორთა ვინაობა"-ს გამო

პროფ. დიმიტრი კორძაია

ყურადღებით გავეცანი ჟურნალ "ფარმაცევტული მაცნე-მედეა"-ს დამატებაში (№2, 2006 წ.) გამოქვეყნებულ წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძის ნაშრომს "ზუსტად დავადგინოთ ფონდის № 877 ხელნაწერის რაობა, დამკვეთ-მომგებლისა და ავტორთა ვინაობა."

უპირველეს ყოვლისა, მინდა განვაცხადო, რომ ავტორის მიერ ჩატარებულია უდიდესი კომპლექსური სამუშაო დოკუმენტური, პალეოგრაფიული და არქეოლოგიური მასალის, ფრესკული მხატვრობისა და წარწერების მოძიების, გაანალიზების და შეჯერების საქმეში.

აქედან გამომდინარე, მკვლევარის დებულებები, მიუხედავად იმისა, გაზიარებელი აღმოჩნდება თუ უარყოფილი, წარმოადგენს დიდ ფაქტობრივ მასალაზე დაფუძნებულ დასკვნებს.

ინტერესს ამძაფრებს ის გარემოება, რომ კვლევა ეხება ქართული მედიცინის ისტორიის, მეტიც, საზოგადოდ, ქართული კულტურის გამორჩეულ მარგალიტს – ზაზა ფანასკერტელის "კარაბადინს".

ახლა უფრო კონკრეტულად.

მკვლევარის მიერ წამოყენებული დებულებები შეიძლება ასე დალაგდეს:

1. "კარაბადინი" იგივე "ფარმაკოპეაა".
2. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის გვარს უნდა ჩამოშორდეს "ციციშვილი" და საგვარეულო ისტორიის გათვალისწინებით მიემატოს

“ასპანიძე” – “ზაზა ასპანიძე-ფანასკერტელი”.

3. XV საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სამედიცინო აზროვნების მეთაური ზაზა ფანასკერტელი არის “კარაბადინის” დამკვეთ-მომგებელი, მისი შექმნის ინიციატორი, მაგრამ არა უშუალოდ ავტორი.

4. “კარაბადინის” ავტორი (მდივან-მწიგნობარი, კალიგრაფი, მჩხრეკალი) არის მახარებელი ოქროპირის-ძე მაღალაძე.

პირველ და მეორე დებულებასთან ფსიქოლოგიური თუ ემოციური კუთხით სადაო თითქოს არაფერი უნდა იყოს. სახელწოდებათა და გვარ-სახელთა დაზუსტება ჩვეულებრივი მოვლენაა ისტორიულ მეცნიერებაში.

მე არ ვარ ამ დარგის სპეციალისტი და, ამდენად, გამიჭირდება ტექსტუალური ანალიზის სისწორე-სიმცდარის პირუთვნელი შეფასება. თუმცა, ლოგიკურად ყოველივე დამაჯერებლად მოჩანს. ამასთანავე, ვფიქრობ, ოპონენტთა მხრივ ს. სალუქვაძის დებულებების უარყოფა და საწინააღმდეგოს მტკიცება ასევე უნდა იყოს ფაქტობრივი მასალითა და არგუმენტებით განმტკიცებული.

ვვარაუდობ, უფრო პრობლემური იქნება მე-3 და მე-4 დასკვნების გაზიარება.

ტრადიციულად (თუმცა ამ ტრადიციას ჩვენს სინამდვილეშივე ჩაეყარა საფუძველი) “კარაბადინის” ავტორად ზაზა ფანასკერტელი მიიჩნევა. ასე აქვს ეს დამახსოვრებული ერის ცნობიერებას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ სოკრატ სალუქვაძის კვლევის შედეგები აბსოლუტურად არ აყენებს ეჭვქვეშ ზაზას განსწავლულობას, ქართული სამედიცინო აზროვნების ლიდერობას, მის უდიდეს დამსახურებას ქართული მედიცინისა და საერთოდ, სახელმწოფოს წინაშე. მეტიც, მკვლევარი განსაკუთრებული პატივისცემითაა განმსჭვალული ამ პიროვნების მიმართ.

მაგრამ თურმე “კარაბადინის” “დამკვეთ–მომგებელი”, “მესვეური”, თუნდაც “რედაქტორი”, მაგრამ არა ავტორი!

ტრადიციულად ძნელია ასეთი “სიახლის” მიღება და გათავისება. მაგრამ მკვლევარის არგუმენტაციაც რომ სრულიად დამაჯერებელი ჩანს, ეჭვის ადგილსაც თითქოს რომ არ ტოვებს!

აქ სიტყვა სპეციალისტებს ეკუთვნით, მათ დასტურზე ან ასევე დოკუმენტურად დადასტურებულ კონტრარგუმენტებზე იქნება დამოკიდებული საბოლოო **“განაჩენი”**.

მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებაც:

თუკი ზაზა ფანასკერტელის უმნიშვნელოვანესი ფიგურის შარავანდედს,

“ავტორობიდან” “დამკვეთ-მომაგებლად” გადანაცვლებისას, მაინც შეიძლება აკლდებოდეს გარკვეული სიკაშკაშე, მკვლევარის წამოყენებული დებულების სისწორის შემთხვევაში, გაცილებით დაჩაგრულად გამოიყურება მეორე პიროვნება - მახარებელ მაღალაძე. მოკვლეული მასალების მიხედვით იგი ფრიად განსწავლულ და საქართველოს მედიცინის ისტორიაში ფრიად გამორჩეულ საეკლესიო პიროვნებად წარმოგვიდგება, რომლის ღვაწლიც აბსოლუტურად დაუფასებელი რჩება შთამომავლობის მიერ.

მოსალოდნელია, რომ ს. სალუქვაძის დებულებების დადსტურება, შეიძლება ამ პიროვნებისა და მისი საგვარეულოს თაობაზე ახალი კვლევა–ძიების სტიმულად იქცეს. **“საქართველოვ, შენ სადა გყავს შვილი დასაკარგავი”**. . . .

ყველა შემთხვევაში, სოკრატ სალუქვაძის ნაშრომი სპეციალისტებისაგან სერიოზულ მეცნიერულ განსჯას და შეფასებას მოითხოვს. აქ წამოჭრილი დებულებების მნიშვნელობა და მათი დასაბუთების არგუმენტაცია ნამდვილად არ არის წასაყრუებელი და ამ გზით უარსაყოფი.

როდესაც მე-20 საუკუნის შუა წლებში პავლე ინგოროყვამ არმაზში ქრისტიანობამდელი ქართული დამწერლობის ნიმუშების (სულ 5 ასო) გაშიფვრა გამოაქვეყნა, მეცნიერები ამ ნაშრომს დუმილით შეხვდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მისადმი საზოგადოების ინტერესი დღესაც არ განელებულა. შედეგად, პ. ინგოროყვას ეს აღმოჩენა არც დადასტურდა, მაგრამ არც უარყოფილი იქნა. ამან კი, ქართული ანბანის ისტორიის კვლევას არაფერი შესძინა, დაკლებით კი, ვფიქრობ, ბევრი დააკლო!

ნამდვილად არ ვისურვებდი, რომ ბატონ ს. სალუქვაძის ამ ნაშრომმაც იგივე ბედი გაიზიაროს.

გულწრფელი ინტერესით ველოდები მედიცინის იტორიის სპეციალისტ მკვლევართა არგუმენტირებულ შეფასებას.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. კორძაია

ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

27.06.08

ადამიანური ღირსებები უპირველეს ყოვლისა

სოკრატ სალუქვაძე დღევანდელ საზოგადოებაში აღიარე-ბულია კოლორიტულ პიროვნებად. საკუთარი თვისება-ღირ-სებებით, ქცევის სოკრატისეული მანერებით, კომუნიკაბე-ლურობით, მოქალაქეობრივი აქტიური პოზიციით, მამულიშვი-ლობით, განსწავლულობით გამორჩეული კაცია. მან პიროვ-ნული მრავალმხრივობით, დაუღა-ლავი შრომით, შეუპოვრობით, სამართლიანობისათვის ბრძოლის სულისკვეთებით შექმნა საკუთარი ბიოგრაფია და დროის შესაფერისი ხიბლით ამდიდრებს მას.

შემინიშნავს, რომ ბატონ სოკრატს დროის მკაცრ ცვლილებებთან ადაპტირების საოცრად მომადლებული ნიჭი და დროის გაკეთილშობილების მაღალი შინაგანი კულტურა და უნარიც გააჩნია. ეს ნიჭის განსაკუთრებული ნაირსახეობაა. ასეთი რამ ერთეულთა ხვედრია მხოლოდ. ჩემი აზრით, აღნიშნული თვისება განაპირობებს იმას, რომ ბატონი სოკრატი საზოგადოების ყველა ფენაში ნიჭიერ, ანგარიშგასაწევ და მომხიბლავ პიროვნებად არის მიჩნეული. იგი გუნებით ლიდერია, თუმცა განსხვავებული შტრიხით გამორჩეული ლიდერი. მხედველობაში მაქვს ის, რომ დღევანდელი საზომით ლიდერი სხვათა ძალების (უნარის) კონსოლიდაციას ცდილობს საკუთარი მიზნებისათვის. ბატონი სოკრატი კი - უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ნიჭის, ადამიანური პოტენციალის კონცენტრაციის იშვიათი უნარით ცდილობს მაქსიმუმი მისცეს ადამიანებს, საზოგადოებას, საერთოდ ქვეყანას. ეს კი ახალი ტიპის, დღეს რომ ქვეყანას სჭირდება ლიდერის (წინამძღოლის) თვისებაა. ამიტომაა, რომ იგი ხაზგასმული პატივისცემით სარგებლობს.

ბატონ სოკრატის ნიჭიერება სოლიდური განათლების ფონზე მუდმივად იწრთობა და მასშტაბურად ფართოვდება მისი თვალსაწიერი. წარმოიდგინეთ კაცი, რომელმაც კარგად იცის კაცობრიობის წარსული, განვითარების ეტაპების თავისებურებანი, საკუთარი ხალხის ისტორია, კულტურა, ლიტერატურა, ფოლკლორი, მსოფლიო მედიცინის განვითარებაში ქართული ფენომენის როლი და მნიშვნელობა. ამ მხრივ იგი იღბლიანი კაცია: მის ნიჭს, ყოველთვის ჰქონდა ზრდის, აღზევების, წრთობის გარემო, არა გარედან შემოთავაზებული, არამედ ბატონ სოკრატის შინაგანი პოტენციალით განსაზღვრული და ფორმირებადი.

ბატონი სოკრატი ძლიერია ქვეყნის მომავლისათვის რწმენით, ალალია და გულდაჯერებულიც, შეუპოვარიცაა და შემწყნარებელიც, საჭიროებისას უკანდახევის (ჭკვიან კაცთა თვისება) და ჯიქურ წინსვლის უნარიც აქვს.

სწორედ ამიტომაა იგი კოლორიტული პიროვნება.

ნოდარ ჭითანავა, პროფესორი

18.10.2008წ.

სოკრატ სალუქვაძე ასკლეპიოსის ხმელ ჯოხზე „პასოხაზე“ შემოხვეული გველითუთრთ

ჩემი მოსაზრებები სოკრატ სალუქვაძის შესახებ

ყოველთვის გაოცებული და ახლის მოლოდინში ვარ, როდესავ სოკრატ სალუქვაძის გამოსვლას ვისმენ ტელევიზიით. ამ პიროვნებაში სხვა დადებით თვისებებთან ერთად არის განსაკუთრებული ‘ალგორითმი ჩადებული”, რომელიც უნივერსალურ რეჟიმში მუშაობს. უპირველესად წამალთმცოდნეობაში და საერთო საკითხებშიც სოკრატ სალუქვაძე, მწყობრი სისტემით იწყებს ყველაზე რთული საკითხების გადმოცემას, რასაც საოცრად პროფესიულად და, რაც მთავარია, საკითხის არსის გადმოცემის მარტივი და ამასთან ზუსტად შერჩეული სიტყვებითა და წინადადებებით ახერხებს ისე, რომ არ იგრძნობა არც ძალდატანება და არც სიტყვათა მოძიების უხერხული პაუზა. მახსოვს მისი ტელეფილმიდან პირდაპირი სატელევიზიო ვირტუოზული რეპორტაჟები საკოლმეურნეო ბაზრიდან, როდესაც ის მიდიოდა დახლთან, იღებდა გარკვეულ სოფლის მეურნეობის პროდუქტს ან მწვანილს და იწყებდა იმის განმარტებას თუ რა შემადგენლობის იყო იგი, რა სასარგებლო თვისებებით ხასიათდებოდა ეს პროდუქტი და ამ საუბარს ისტორიული მასალების გადმოცემითაც ამდიდრებდა. ეს არის არა მარტო მცოდნე პიროვნების, არამედ თავის სპეციალობის მიმართ უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის განსჯა, რომელსაც დიდი იმპროვიზაციის უნარიც ახლდა. და როცა იმპროვიზაციას ვეხებით, უპირობოდ უნდა აღინიშნოს ბატონ სოკრატ სალუქვაძის ნიჭი და ფანტაზია პოეზიასთან დამოკიდებულებაში. ძნელია მოიძებნოს პოეტი, თემა და რითმი, რომელიც ბატონ სოკრატს გათავისებული არ ჰქონდეს და, რაც მთავარია, იგი ამ ლექსთა წყობას საკუთარი ინტერპრეტაციით არ გადმოსცემდეს. ეს ყველაფერი, ალბათ, უზადო ნიჭის წყალობით ხდება!

ჩვენს გვერდით არის პიროვნება სოკრატ სალუქვაძე, რომელიც ორიგინალური და განუმეორებელია და ამას დაფასება უნდა, თუმცა საზოგადოებაში ეს პიროვნება მაღალი რეიტინგითა და ავტორიტეტით გამოირჩევა.

ელგუჯა მეძმარიაშვილი,

პირველი ქართველი კოსმოსური სამყაროს კვლევის გენერალური კონსტრუქტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გენერალ მაიორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის, ღირსების ორდენების კავალერი და კიდევ სხვა ბევრი საერთაშორისო ღირსების ერთპიროვნული მონოპოლიების მფლობელი

P.S. ბატონი ელგუჯა მეძმარიაშვილი უკვდავებას კოსმოსში დაეძებს და იპოვა კიდეც, მე კი მწირი და მიუსაფარი უკვდავებას კასპის რაიონის სოფელ წინარეხის მაღალაძეების აფთიაქის თახჩებში და მცხეთის რაიონის სოფ. ნიჩბისის ზაზას ციხის აფთიაქის თახჩებში დავეძებ. თუ გაამართლა კოლხი მედეას სურათის ემბლემად გამოცხადების საკითხმა და იგი დაინერგა, უკვდავება ნაწილობრივ განაღდებული იქნება. ბატონი ელგუჯა მეძმარიაშვილი ქართველი ხალხის ღირსებების და ნიჭიერების ემბლემური განსახიერებაა. უფალმა გვიმრავლოს ასეთი სახელოვანი მამულიშვილები.

გმადლობთ, ბატონო ელგუჯა, თქვენი მშობლები ნამდვილად იტყოდნენ ალბათ, შვილი შეგვეძინა და გავზარდეთო.

ქებათა-ქება საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის კაშკაშა ვარსკვლავს, რომელსაც გენერალ-მაიორი *ელგუჯა მეძმარიაშვილი* ჰქვია

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის და მისი გენერალური კონსტრუქტორის ბატონი ელგუჯა მეძმარიაშვილის სახელი და დიდება ძალიან ძნელია ერთ სათავგადასავლო სტატიაში ჩაატიო.

ელგუჯა მეძმარიაშვილი – პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი არის მეცნიერი კოსმოსური და სამხედრო საინჟინრო კომპლექსების დარგში, გენერალ-მაიორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი. დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით, ღირსების ორდენით და, ასევე, საქართველოს, საბჭოთა კავშირის, რუსეთის და საერთაშორისო ორგანიზაციების ორდენებითა და მედლებით.

იგი დაიბადა ბათუმში 1946 წლის 17 აგვისტოს, სადაც ოქროს მედლით დაამთავრა №1 საშუალო სკოლა, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და ასპირანტურა სივრცითი კონსტრუქციების განხრით. ელგუჯა მეძმარიაშვილი შეთავსებით იყო "ლითონის კონსტრუქციების" კათედრის დოცენტი, "სამშენებლო კონსტრუქციების" და "სპეციალური ნაგებობების" კათედრების გამგე, პროფესორი.

მან შექმნა "საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი" (1979-2006) და იყო მისი გენერალური დირექტორი და გენერალური კონსტრუქტორი; მისი ავტორობით 1982-1989 წლებში აიგო საგურამოს კოსმოსურ კონსტრუქციების გამოცდისა და აწყობის მიწისზედა სასტენდო კომპლექსი; მან დაარსა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია (1996-2006) და იყო აკადემიის პრეზიდენტი; მისი ინიციატივით 2006 წელს მოხდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის** ჩამოყალიბება, სადაც იგი არის გენერალური კონსტრუქტორი.

1977-1989 წლებში მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამხედრო-სამრეწველო კომისიის გადაწყვეტილებით, თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დავალებით, საინჟინრო ჯარების სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის შეკვეთებით, რადიომრეწველობის და სხვა სამინისტროებთან თანამშრომლობით ელგუჯა მეძმარიაშვილის საქმიანობის ძირითად მიმართულებად განისაზღვრა: ტრანსფორმირებადი სისტემების ფორმათწარმოქმნის თეორიის საფუძვლების შექმნა; კოსმოსური და სპეციალური საინჟინრო კომპლექსების აგება; რაკეტსაწინააღმდეგო პასიური და აქტიური, სტაციონალური და მობილური მიწისზედა რადიოტექნიკური კომპლექსების საინჟინრო უზრუნველყოფა; ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის კოსმოსური სისტემის შექმნა; დიდგაბარიტიანი რეფლექტორის ბაზაზე ავტონომიური სამხედრო თანამგზავრების აგების ახალი პრინციპების დამუშავება და მრავალი სხვა კოსმოსური და მიწისზედა პროგრამების განხორციელება.

1990 წლიდან დღემდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, გერმანული კომპანიის "დაიმლერ ბენც აეროსპეისის", იტალიური კომპანიის "ალენია აეროსპაციოს" და ევროპული კოსმოსური სააგენტოს სამუშაოებში ელგუჯა მეძმარიაშვილს შექმნილი აქვს გასაშლელი სამხედრო ხიდები, ახალი თაობის კოსმოსური ანტენის შექმნის ძირითადი პრინციპები და ევროპული თანამგზავრის დიდი სტრატეგიული რეფლექტორის კონსტრუქციები.

1999-2003 წლებში იგი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. მას გამოქვეყნებული აქვს 260 სამეცნიერო შრომა – მონოგრაფიების, სტატიებისა და გამოგონებების სახით. მათ შორის აღსანიშნავია მონოგრაფიები – "ტრანსფორმირებადი სისტემები კოსმოსში და დედამიწაზე", გამოცემული გერმანიაში 1996 წელს და "საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები", გამოცემულია 2006 წელს საქართველოში. ელგუჯა მეძმარიაშვილი არის ავტორი ისტორიაში **პირველი ქართული კოსმოსური ობიექტისა**, იგი შეყვანილია მრავალი ქვეყნის ბიბლიოგრაფიულ გამოცემებში, მათ შორის, ამერიკის "Who's Who in Science and Engineering". U.S.A. 2007; "Who's Who" Amerika, 2008; "Who's Who" World, 2008; კემბრიჯში ინტერნაციონალური ბიბლიოგრაფიული ცენტრის მიერ იგი დასახელდა 2008 წლის მსოფლიოს 100 საუკეთესო მეცნიერთა შორის.

ახლა კი ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შესახებ.

როდესაც საქართველოში იყო ძნელბედობა და ძმათა შორის შეიარაღებული დაპირისპირება, არავინ ელოდა იმას, რაც 1999 წლის 23 ივლის მოხდა. საქართველოს ტელევიზიამ შეწყვიტა პროგრამით გათვალისწინებული გადაცემები და სპეციალური გადაცემით გავიდა ეთერში – ყველასათვის მოულოდნელად ქართველებმა ორბიტაზე გაიყვანეს პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – რეფლექტორი. ორბიტალურ სადგურზე, მიუხედავად ადგილობრივი რთული პირობებისა და არასაშტატო ვითარებისა, კოსმოსური ობიექტის – 6,4 მეტრის გაბარიტის მქონე ოფსეტური რეფლექტორის გამოცდა წარმატებით წარიმართა. იგი მთლიანად გაიშალა, მიაღწია საექსპლოატაციო პარამეტრებს და სრულიად დააკმაყოფილა პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა. 1999 წლის 28 ივლის, ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ჩამოსცილდა კოსმოსურ სადგურ "მირ"-ს და გადავიდა დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე.

1999 წლის 16 ივლის 19 სთ. 37 წუთზე, ბაიკანურის კოსმოდრომიდან რაკეტა-მატარებელმა "სოიუზ– " № 667 განახორციელა სტარტი კოსმოსური ხომალდის "პროგრეს -42" № 242 კოსმოსურ ორბიტაზე გაყვანისათვის. კოსმოსური ხომალდის "პროგრეს -42"-ის ბორტზე ირიცხებოდა სამეცნიერო ტვირთი – პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – "რეფლექტორი". 1999 წლის 18 ივლის 20 სთ. 58 წთ და 21 წამზე, "პროგრეს -42" წარმატებით შეუპირისპირდა ორბიტალურ სადგურ "მირ"-ს, სადაც იმყოფებოდა კოს-

მონავტების ინტერნაციონალური ჯგუფი. ამ მომენტისათვის ორბიტალური სადგურის ორბიტის დახრა შეადგენდა 51,684⁰, პერიგეა 348,8 კმ-ს და აპოგეა 365,1 კმ-ს. 1999 წლის 23 ივლის 14 საათსა და 16 წუთზე კოსმონავტებმა გახსნეს ლუკი და რეფლექტორი გაიტანეს ღია კოსმოსურ სივრცეში, სადაც მოხდა მისი კონსტრუქცია "სოფორა"-ზე მიმაგრება, ავტონომიური რეჟიმით გახსნა და წარმატებით ჩატარდა სრულმასშტაბიანი ექსპერიმენტი. რეფლექტორის პარამეტრები შეადგენდა: დიამეტრი დაკეცილ მდგომარეობაში – =0,6 მ; დაკეცილი პაკეტის სიმაღლე – $_1$=1,2 მ; გაშლილ მდგომარეობაში ამრეკლი ეკრანის მაქსიმალური გაბარიტი – $_{\text{მახ}}$ = 6,4 მ; ამრეკლი ეკრანის მინიმალური გაბარიტი – $_{\text{მინ}}$ = 5,2მ; რეფლექტორის განივკვეთის მაქსიმალური სიმაღლე – = 1,1 მ; რეფლექტორის გაშლის დრო – ტ = 11 წუთი; რეფლექტორის ეკრანის მაქსიმალური გადახრა საპროექტო ნიშნულიდან – "$_{\text{მახ}}$= ± 0,25 სმ.





პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – რეფლექტორის კოსმოსში გატანა და წარმატებული გამოცდა აღიარებულია ლიტერატურაში, როგორც ახალი ტექნოლოგიების დასაწყისი მსოფლიო კოსმონავტიკაში, ხოლო მისი განხორციელების თარიღი შეტანილია კოსმონავტიკის ღირსშანიშნავ ქრონიკათა ჩამონათვალში. საქართველოში ყოველი წლის 23 ივლისი აღინიშნება "პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ". რეფლექტორის ორბიტაზე გატანასა და მის წარმატებულ გამოცდას, როგორც ისტორიულ მოვლენას საქართველოსათვის, მიეძღვნა საფოსტო მარკების გამოცემა. კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორია **ელგუჯა მეძმარიაშვილი**.





იყო დრო საქართველოში უნივერსიტეტის გახსნას აფერხებდნენ, მიზეზი: თითქოს ქართველები კრეტინები არიან და უნივერსიტეტის უმაღლეს პროგრამას ვერ აითვისებენო. ამჟამად, უნივერსიტეტს საერთოდ მგონი ხურავენ! ამ დროს გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას გენიალური ელგუჯა მეძმარიაშვილი ქართველთა ნიჭიერების ემბლემური განსახიერებაა, ამიტომ გიამბეთ ასე დაწვრილებით მის შესახებ და მართალი გითხრათ თითოეული სიტყვა, მის მიერ ჩემი მისამართით თქმული, ისეთნაირადვე გამემრათლებინოს, როგორც ამას უნიჭიერესი ქართველი წერს ყოველის მხრიდან დაჩაგრულ სოკრატ სალუქვაძის შესახებ.

სოკრატ სალუქვაძე

ქ. კოლომბოს ალტერნატიული უნივერსიტეტის
რექტორს, დოქტორ, პროფესორს ჯიტანჯან მენდისს

პრორექტორს სამეცნიერო ნაწილში,
დოქტორ ასოკა იაისენას

პრორექტორს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში
დოქტორ მასანაკა ვატანაბეს მ.დ.-ს

ძვირფასო კოლეგებო!

საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემია გაცნობებთ, რომ ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე არჩეულია აკადემიის ნამდვილ წევრად (იხ. საბუთი № 298) იმ განსაკუთრებული დამსახურებისათვის, რომელიც მან გამოიჩინა საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების შესწავლის საქმეში. იგი ამჟამად 7 წიგნის ავტორია და 12 წიგნი დაწერილი აქვს გამოსაცემად. ავტორია 40-ზე მეტი მეცნიერული შრომისა. მისი მონოგრაფიებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 'სოკრატ სალუქვაძე – წამალთმცდონეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე", რომელიც მოიცავს 675 გვერდს და მასზე დართულია დასკვნა-რეზიუმეები ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. ამ დასკვნებს გადმოგიგზავნით ელექტრონული ფოსტით, რომელიც კარგ წარმოდგენას შეუქმნის ქ. კოლომბოს ალტერნატიულ უნივერსიტეტს და მის სამეცნიერო საბჭოს წევრებს, ეს მონოგრაფია იმსახურებს '**ჰონორის კაუზას**" წესით ალტერნატიული ანუ ტრადიციული მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის დიპლომის გაცემას ისტორიის გრიფით,რომელიც თქვენს ალტერნატიულ უნივერსიტეტში, მტკიცედ გვჯერა, ასეთი გრიფი აუცილებლად იქნება დაარსებული ანუ გათვალისწინებული, ვინაიდან ამ ბოლო წლებში ტრადიციული მედიცინა ზღაპრული გრძელი ნაბიჯებით მიიწევს წინ, მწვერვალების დასაპყრობად. მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე ამ მონოგრაფიით სამართლიანად ითვლება წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების კვლევის ფუძემდებლად საქართველოში, რითიც ავტორი იმსახურებს საერთაშორისო პროფესორის წოდების მინიჭებას. მისი მეცნიერული შრომები გამოქვეყნებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ჟურნალების ფურცლებზე, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებსა (1982 წ.) და გერმანიაში (2007 წ.) და სხვაგან. საქართველოში სხვა ავტორს ამ სფეროში ერთი თაბახი მოცულობის ბროშურაც კი არა აქვს გამოქვეყნებული. ამიტომ, ამ ეტაპზე ფაზისის მეცნიერებათა აკადემია და მისი მთლიანი შემადგენლობა მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით გაითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს, აკადემიკოს სოკრატ სალუქვაძეს მეცნიერული კვლევა-ძიებით და დამაჯერებელი მეცნიერული არგუმენტებით დასაბუთებული აქვს კაცობრიობის ალტერნატიული ანუ ტრადიციული მედიცინის ემბლემის დაარსების აუცილებლობა! ხელოვან მხატვრებთან საქმიანი შემოქმედებითი კონტრაქტების საფუძველზე, შემუშავებულია ორიგინალური, შთამბეჭდავი ემბლემის ესკიზი, რომელსაც ამშვენებს მედიკოსთა საერთაშორისო ლათინურენოვანი წარწერა: 'კოლხელი მედეას მკურნალობანი ანუ მედიცინა". ამ საკითხის მეცნიერულად დასაბუთებაზე ავტორი 30 წელზე მეტია მეცნიერულ კვლევა-ძიებას აწარმოებს და შედეგები ნამდვილად შთამბეჭდავია, თანაც განზოგადების ღირსი იმითაც, რომ ამ ორიგინალური ემბლემის დაარსება სიძველითად (ემბლემის თემატიკა ნამდვილად უძველესია) იმსახურებს მხარდაჭერას. წინამდებარე

ჩვენს შუამდგომლობას თან ახლავს ავტორის მიერ მეცნიერულად დასაბუთებული 5-გვერდიანი ტექსტი და საერთაშორისო ორენოვანი ჟურნალის (ინგლისური და გერმანული ენები გვაქვს მხედველობაში) 'ალტერნატივე მედიცინის" რედაქციის მიერ გამოქვეყნებული ავტორის მიერ მეცნიერული გამოკვლევა (ტექსტი), რომელიც ეხება მედიცინისა და მედეას ერთიანობის ეტიმოლოგიურ კავშირს, ამავე ჟურნალის ყდაზე მოხატული ემბლემისათვის გამიზნული ნამდვილად ორიგინალური,მიმზიდველი და ლამაზი ესკიზი (მხატვარი ელგუჯა ბერძენიშვილი), რომელსაც ავტორი კაცობრიობის (მსოფლიო) ალტერნატიული მედიცინის ოფიციალური ემბლემის დაარსების მიზნით გვთავაზობს, სიტყვა ქ. კოლომბოს ალტერნატიული უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, სამედიცინო საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს ეკუთვნით.

ნიმუშად გიგზავნით აკადემიკოს სოკრატ სალუქვაძის მეცნიერული შრომების ორ პუბლიკაციას: ერთი ამერიკაშია დაბეჭდილი და მეორე გერმანიაში.

ამ შუამდგომლობას თან ერთვის კომპეტენტური სპეციალისტის, მედიცინის ისტორიის დარგში, დადებითი დასკვნა-რეცენზია (იხ. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოსის ბაადურ რაჭველიშვილის დასკვნის ტექსტი ამჯერად გერმანულ ენაზე. მალე ინგლისურენოვან ტექსტსაც გადმოგიგზავნით!).

პატივისცემით ფაზისის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **ცოტნე მირცხულავა**

ვიცე-პრეზიდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი **ნუგზარ ნადარაია**

აკადემიის სწავლული მდივანი,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკადემიკოსი **ლიანა წურწუმია**

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ბიოსამედიცინო
აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი **ბაადურ**
რაჭველიშვილი

P.S. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ემბლემის თემატიკას,ასკლეპიოსის ატრიბუტს, ხმელ ჯოხზე დახვეული გველს, კოლხეთის მეფე აიეტისა და მედეას სამედიცინო ასპექტების ტრადიციები 300 წლით წინ უსწრებს ანუ 300 წლით უხუცესია! ეს ფაქტი სიძველის სახით მისაღები, გასათვალისწინებელი არგუმენტია ამ ემბლემის დაარსებისას მედიცინა - მედეა - მედიცინა.

ჩვენი პლანეტის ალტერნატიული ანუ ტრადიციული მედიცინის ემბლემის დაარსების აუცილებლობის დასაბუთება

ღია წერილი

ქ. კოლომბოს ალტერნატიული უნივერსიტეტის რექტორს დოქტორ ჯიტანჯან მენდისს, პრორექტორებს, სამეცნიერო საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს

ძვირფასო კოლეგებო!

დიდი ხანია ვმუშაობ ტრადიციული მდეიცინის ისტორიის საკითხებზე და ამ გრიფით დაცული მაქვს დისერტაცია, ვარ ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ქ. ბოლონიის დეკლარაციის შესაბამისად. საბჭოურ-კომუნისტური წყობის ცენზურა და მთავლიტი მკაცრად კრძალავდა ალტერნატიული ანუ ტრადიციული ხალხური მედიცინის პროპაგანდას, მაგრამ მოვნახე გამოსავალი და ამ სფეროს წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების კვლევა დავარქვი.

ჯერ კიდევ 1987 წელს, გამოვეცი 675-გვერდიანი ფუნდამენტური მონოგ-რაფია საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე ქართული, რუსული, გერმანული, ინგლისური და ფრანგული რეზიუმეებით. საერთოდ, 7 წიგნი მაქვს გამოცემული და 12 მზად მაქვს გამოსაცემად.

თავს უფლებას ვაძლევ დავარღვიო თქვენი მყუდროება, მხოლოდ მონოპოლიის პრეტენზია არ გამაჩნია. თქვენ ისიც კარგად მოგეხსენებთ, რომ ემბლემების დაარსებაზე ლიმიტი არ არსებობს, მაგრამ ნებისმიერი ემბლემა საფუძვლიანად უნდა იყოს მოფიქრებული, თანაც მეცნიერული არგუმენტებით დასაბუთებული და კარგია, როცა ყოველივე ქრონოლოგიური უპირატესობით სიძველით და წინსწრებით არის გამაგრებული, მაშინ ლიცენზია-ნებართვა ადვილი მოსაპოვებელია!

ამ საკითხზე ჯერ კიდევ 1977 წელს ქ. თბილისში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე დევიზით: ‘რუსულ-გერმანულ და გერმანულ-რუსულ სამეცნიერო კულტურული კავშირების“ მსვლელობისას, პირველად გავაჟღერე ჩემი მოსაზრება ანალოგიური ფაქტების მოშველიებით! სახელდობრ, თუ ‘ჰიგიენა“ და ჰიგია, ‘ვენეროლოგია“ და ვენერა, ‘პანაცეა“ და პანაცეა, თოთი ‘ფარმაკონ“ - ფარმაცია, ფარმაკოლოგია, ფარმაკოგნოზია, ფარმაკოპეა და სხვა სამედიცინო დისციპლინები შესაბამისი დასახელების სიტყვების ფუძესთან ეტიმოლოგიურად არის დაკავშირებული, რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას ‘მედიცინა“ რომ ეწოდება, ეს ტერმინი კოლხეთის მეფის აიეტის ასულის, მკურნალი ქალის, მედეას სახელს ეტიმოლოგიურად რომ უკავშირდებოდეს? ამ პრობლემატური საკითხის შესწავლას მე ინტენსიურად ვაწარმოებდი და მივუძღვენი არაერთი მეცნიერული სტატია ქართულ ენაზე. მეცნიერულ ლიტერატურაზე წყაროს სქოლიოში მითითება შეუძლებელი იყო, ვინაიდან 3500 წლის წინათ ანბანთმცოდნეობის თვალსაზრისით არგუმენტების მოშველიება გამორიცხული ჩანდა! ამ დროისათვის ქართული დამწერლობა იყო თუ არა ჯერჯერობით დაუჯერებელი ჰიპოთეზის დონეზეა!

გერმანელი მეცნიერის, პროფ. კურტ შპრენგელის შრომებს გავეცანი და განსაკუთრებით მიიქცია ჩემი ყურადღება პირველი ტომის პირველმა ქვესათაურმა ‘უძველესი კოლხ-

ური მედიცინის“ შინაარსმა: კოლხეთის მეფე აიეტის ოჯახს კოლხეთის დაბლობზე (ლეგენდარული თქმულების მიხედვით) სამკურნალო მცენარეების მოსაშენებელი ბაღი ‘ წალკოტი“ ჰქონდა მოშენებული და ამ კონცეფციის დასაბუთებისას ავტორს არაერთ ენაზე 84-მდე სქოლიოში მიუთითებია, ჯერ 7 და შემდეგ 12-გვერდიანი გამოკვლევის დაწერისას. ეს ფაქტი ანგარიშგასაწევი აღმოჩნდა, ვინაიდან მკვლევარმა და სისტემატიკოსმა: მესოპოტამიურ-ბაბილონურ,ეგვიპტურ და ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციას უვერტურის სახით წინ ‘უძველესი კოლხური მედიცინა“ წარუმძღვარა. პროფ. კ. შპრენგელი სწორი აღმოჩნდა, რადგან ეს კონცეფცია ორმა არქეოლოგიურმა ევრიკამ სავსებით დაადასტურა, სახელდობრ: დმანისის არქეოლოგიური ევრიკის მიხედვით მზიასა და ზეზვას თავის ქალების ასაკი საერთაშორისო ექსპერტებმა აფრიკულ ჰომონიდებთან შედარებით 1.800.00 წლით დაათარიღეს, ხოლო ქ. ფესტოსის არქეოლოგიური ნივთის, თიხის **‘ფესტოსის დისკოს“** აღმოჩენიდან 100 წელი ვერავინ გაშიფრა კაცობრიობის დამწერლობის წინა პერიოდის პირობითი ნიშნები, რომელიც ახლახან, 40 საუკუნის წინანდელი ეს პირობითი ნიშნები, გაშიფრა ახალგაზრდა მეცნიერმა, **გია კვაშილავამ,** რაც სენსაციური აღმოჩნდა! ავტორს ამ საიდუმლოების ამოხსნაში დაეხმარე **პელაზგურ-კოლხური ენის ცოდნა** და ‘ფესტოსის დისკო“ კაცობრიობის უძველესი ცივილიზაციის კარიბჭე და უვერტურა აღმოჩნდა, ვინაიდან პელაზგები და კოლხები ქართველთა წინაპრებს უშუალოდ უკავშირდება!

პროფ. კ. შპრენგელის პირველი ტომის პირველივე ქვესათაურის ‘უძველესი კოლხური მედიცინის“ შინაარსს, როცა გულდასმით გავეცანი, არგუმენტირებულ წყაროდ ჩავთვალე, მეფე აიეტის და მისი ოჯახის წევრების მიერ კოლხეთის დაბლობზე სამკურნალო მცენარეების რეალურად მოსაშენებელი ბაღის არსებობა და ამ ‘**წალკოტში**“ არაერთი სამკურნალო მცენარის მოშენების ფაქტმა ძლიერ ჩამაფიქრა. გაირკვა, რომ პროფ. კ. შპრენგელს შემთხვევით არ დაუწყია მსოფლიო მედიცინის ისტორია ‘უძველესი კოლხური მედიცინის“ აღწერით. ამ ფაქტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემს ცნობიერებაზე და ამ ფუნდამენტზე ავაგე ის დასკვნები, რომლებსაც სიახლეების თვალსაზრისით თქვენ გთავაზობთ. სამკურნალო მცენარეების მოშენების ფაქტს მოსამზადებელი წინა პერიოდი ხომ ექნებოდა?

ინგლისელი მოგზაურის, XX საუკუნის არგონავტის, ტიმ სევერინის განმეორებითმა ლაშქრობამ, განამტკიცა პროფ. კ. შპრენგელის მოსაზრებები, მაგრამ ეს ყველაფერი ხდებოდა საბჭოურ-კომუნისტური წყობის დროს და ტიმ სევერინის განმეორებითი სენსაციური ლაშქრობის მნიშვნელობა და რეზონანსი მიფუჩეჩდა, ვინაიდან საყოველთაოდ აღიარებული ფორმულაა, ფაქტია, რომ დამპყრობელი იმპერიალისტური ქვეყნის ადმინსტრაცია დაპყრობილი ქვეყნის კულტურის პროპაგანდით მაინცა და მაინც თავს არ იცხელებს (მხედველობაში მაქვს რუსეთის იმპერია. ს.ს.), თორემ გავკადნიერდები და აქვე აღვნიშნავ, რომ კოლხი მედეა ბერძენი რომ ყოფილიყო მაშინ ასკლეპიოსის, იგივე ესკულაპის და ჰიპოკრატეს წინამორბედ ფენომენად აღიარებდნენ,ეს მაშინ როცა პირველზე მედეას ეპოქა 300 წლით უხნესია, ხოლო მეორეზე 1000 წლით, თუმცა ტერმინი ‘მედიცინა“ მაინც ბერძნულ ცივილიზაციის წიაღში და მეტყველებაში ჩაისახა და აღმოცენდა არგონავტების ლაშქრობის და ოქროს საწმისის გატაცებიდან რამდენიმე ათეული წლების შემდეგ!

ასეთი ბრწყინვალე ისტორიული ფურცლების წარმოჩენა არ აწყობდა მავანს და მავანს 208 წლის წინათ კოლონიად ქცეული დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა დაკარგული უძველესი კულტურის მქონე საქართველოს შესახებ. ამიტომ მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ 35 საუკუნის შემდეგ ტიმ სევერინის განმეორებით სპორტულ

დაშქრობას. ეს უდიდესი არგუმენტია.

ვანის რაიონის მახლობლად, მდინარე რიონში ჩაშვებულ გემი 'არგოს" გემბანიდან მილიონობით ტელემაყურებლების წინაშე, XX ს. არგონავტმა, ტიმ სევერინმა განაცხადა: 'კაცობრიობას აწვალებდა ფიქრი მითი არგონავტების შესახებ ზღაპარი იყო თუ სინამდვილე. ჩემი მოგზაურობა ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვამდე და რიონის დელტამდე წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით შეუფერხებლად განხორციელდა. ამჟამად უფლებამოსილი ვარ განვაცხადო: '**<u>მითი სინამდვილეს შეესაბამება</u>**". XX საუკუნეში 35 საუკუნის გასვლის შემდეგ განმეორებითი ლაშქრობის დამთავრებისას ასეთი განცხადება,ისეთი მცირე ქვეყნის მისამართით, როგორიც საქართველოა, მართლაც ფასდაუდებელია: '**<u>მითი სინამდვილეს შეესაბამებაო</u>**" ასეთი დასკვნა ჩვენი ეროვნული კულტურის წისქვილზე ასხამს წყალს და ვერც ერთი ლიტერატურული წყაროს სქოლიოში მითითება ვერ იქნებოდა ასეთი ძლიერი არგუმენტი, რომ ოქროს საწმისის გატაცების მითის თეორია თურმე სინამდვილეს შეესაბამება (!). მითი რეალობად იქცა!

დღევანდელი საქართველო, ოდესღაც წინააზიის უძველესი და უძლიერესი სახელმწიფო იყო ევრაზიის საზღვარზე მდებარე ქვეყანა და ამ მოხერხებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, ჩვენ ქართველები ცივილიზაციას ვიღებდით როგორც აზიელებისაგან, ასევე ევროპელებისაგან!

ორენოვანმა ევროპულმა ჟურნალმა 'ალტერნატივე მედიცინამ" მეტად მნიშვნელოვანი საქმე წამოიწყო, ჩემი მეცნიერულად დასაბუთებული სტატიის გამოქვეყნების გამო (იხ. იგი ს.ს.). როგორც ვიცი მსოფლიოს ალტერნატიულ ანუ ტრადიციულ მედიცინას დღეს (ამჟამად), საერთაშორისო ემბლება არ გააჩნია, მაშინ როცა ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას 1946 წლის 7 დეკემბრიდან დანერგილი აქვს '**<u>დასაბუთებული</u>**" საერთაშორისო ემბლემა, რომლის ძირითადი ატრიბუტი ასკლეპიოსის ხმელ ჯოხზე დახვეული გველია. ეს თემატიკა სამედიცინო თვალსაზრისით 300 წლით მერმინდელია, უფრო ახალგაზრდაა კოლხეთის მეფე აიეტისა და მედეას ეპოქასთან შედარებით.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ ქრონოლოგიური უპირატესობა მეცნიერებაში დიდი პრივილეგია გახლავთ, მაგრამ არა უშავს, მთავარია ეს ახალი, ჩემი წინადადება თქვენი მხარდაჭერით მოგვარდეს, თორემ ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ემბლემას, შესაძლებელი იყო, მედეას სამედიცინო მემკვიდრეობის არგუმენტებს და ატრიბუტებს მისადაგებოდა! **<u>აქვე უნდა აღვნიშნო, უფრო სწორად, გავხსნათ ჩვენი წინადადების - საერთაშორისო ალტერნატიული მედიცინის ემბლემის დაარსების აუცილებლობის ძირითადი კვანძი.</u>** დღევანდელი კლასიკური-მეცნიერული მედიცინის ისტორია იწყება ალტერნატიული ანუ ტრადიციული მედიცინის ისტორიის ფესვებით. თქვენვე განსაჯეთ, რადგან მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას '**<u>მედიცინა</u>**" ეწოდება ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად მედეას სახელს უშუალოდ როცა უკავშირდება, ჩემი ღრმა რწმენით და შესაბამისი მეცნიერული დასკვნით ლოგიკურიც და სამართლიანიც იქნება: მედეა დინამიურობაში წარმოდგენილი გველივით დაკლაკნილი ცეცხლის ალზე აშრობს, ახმობს თუ ტრუსავს სამკურნალო მცენარეს, მაშასადამე, მედეა წამლის ფორმის მომზადების, კეთების პროცესშია წარმოდგენლი, რასაც ახლავს ჩვენ მიერ შედგენილი საერთაშორისო სამედიცინო ლათინურენოვანი წარწერა: 'კოლხელი მედეას მეთოდებით მკურნალობები ანუ მედიცინა"! და ამიტომ ამ ემბლემის დანერგვა,აღიარება,დაარსება ლოგიკურად მიმაჩნია პროგრესული კაცობრიობის წინაშე და უდაოდ სამართლიანადაც.

2002 წელს საქართველოს დედაქალაქ თბილისში, აკადემიკოს ალეკო ბაკურიძის ინიციატივით, ჩატარდა ფარმაცევტთა საერთაშორისო კონგრესი, რომლის ორგკომიტეტს წინადადებით მივმართე საერთაშორისო ალტერნატიული მედიცინის ემბლემის დაარსე-

ბის თაობაზე. კონგრესის 170 მონაწილემ და თვით ორგკომიტეტის 22 წევრმა, ერთხმად პირადი ხელმოწერით დაადასტურა ჩემგან წარმოდგენილი მედიცინის ემბლემის აღიარება, დაარსება. მათი ხელმოწერები ჩემს პირად არქივში ინახება და ვურთავ წინამდებარე შუამდგომლობას! გთხოვთ იქნებ მიიღოთ სათანადო სამართლიანი გადაწყვეტილება (ჩემი სიცოცხლე თან ახლავს ამ იდეის განხორციელებას) ამ ემბლემის დაარსების თაობაზე და აქვე მოგახსენებთ, ქართველი ექსპერტის, მედიცინის ისტორიის კომპეტენტური სპეციალისტის აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილის მიერ დაწერილია დადებითი დასკვნა–რეცენზია, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ გერმანულ ენაზეა თარგმ-ნილი და თქვენი მოთხოვნისთანავე ოპერატიულად წარმოვადგენთ საერთაშორისო ინგლისურენოვან თარგმანის ტექსტს! თქვენი დათანხმების შემთხვევაში სტარტზე გვყავს საერთაშორისო დონის ჭედური ხელოვნების მხატვარი, რომელიც ლატუნზე მოჭედავს იმავე გრაფიკულ შედევრს, რომელსაც, ალბათ, თქვენ უკვე გაეცანით ჟურნალ 'ალტერნატივე მედიცინის" გარეკანზე – ყდაზე! მოჭედილ ემბლემას მხატ-ვარი საფუძვლად დაუდებს ფერადი ხის მასალას და გამზადებულ ორიგინალურ ემბლემას მოგართმევთ ქ. კოლომბოში. საქმიან წრეებს მივმართავთ თხოვნით საჰაერო ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით და მზად ვიქნებით ქ. კოლომბოში გავმართოთ ქართული ხელოვნებისა და კულტურის ზეიმი-ფესტივალი თანახმად დევიზისა: 'მეცნიერება, ხელოვნება და ჯანმრთელობა ამეგობრებს ევრაზიისა და მსოფლიოს ერებს!" ისმინეთ ჩემი სამართლიანი ვედ-რება, ნუ მოგ-ვაკ-ლებთ ამ სიამოვნებას, მით უმეტეს ემბლემის თაობაზე, თუ იგი მეცნიერულად დასაბუთებულია, ლიმიტი გამორიცხულია და ლიცენზიას თქვენგან მოველით.

ჩემთვის საკმარისია თქვენი ერთმარცლოვანი ერთი სიტყვა 'ჰო"... ანუ თანხმობა, დასტური!

ქართველი ერის ამ ზეიმდღესასწულში, რომელიც ავტომატურად კაცობრიობის ალტერნატიული მედიცინის ზეიმ-დღესასწაულად გარდაიქმნება, მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო დონის მომღერალთა გუნდი 'რუსთავი", 'სუხიშვილების" განთქმული ქართული ბალეტის ანსამბლი და ეროვნული-ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი 'ერისიონი". ამ ანსამბლების ხელმძღვანელები ბატონები: ანზორ ერქომაიშვილი და ჯემალ ჭკუასელი, ჩემი ახლო მეგობრები არიან, ესაა რომ თენგიზ სუხიშვილი უდროოდ გარდაიცვალა, მაგრამ სუხიშვილი უმცროსი ყოჩაღად აგრძელებს პაპისა და მამის დაწყებულ ტრადიციას.

მოკრძალებით, პატივისცემით და თქვენი თანხმობის დიდი იმედით.

საერთაშორისო ალტერნატიული მედიცინის
ემბლემის დაარსების თაობაზე წინადადების ავტორი,
ფარმაცევტული მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის
ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი **სოკრატ სალუქვაძე**

P.S. ქ. კოლომბოს ალტერნატიული უნივერსიტეტის დიდად პატივცემულო რექტორო, ბატონო პროფ. ჯიტანჯან მენდის! თუ თქვენი სურვილი-თანხმობა იქნება, ქართველ ახლაგაზრდა მოქანდაკე ლევან სალუქვაძეს შეუძლია ჩამოასხას პროფესორ ანტონი იასურიას ბრინჯაოს ბიუსტი და გადმოგცემთ უნივერსიტეტის ვესტიბულში ან მისივე სახელობის კაბინეტში დასადგმელად.

კაცობრიობის ალტერნატიული-ტრადიციული მედიცინის ემბლემის დაარსების წინადადების შესახებ ტექსტზე თანდართული სურათების მოკლე ანოტაციები

1. საქართველოში დმანისის რაიონის არქეოლოგიური ევრიკის შედეგად აღმოჩენილი თავის ქალები (მზიას და ზეზვას) საერთაშორისო ექსპერტებმა 1,800,000 წლის ასაკით დაათარიღეს.

2. ქ. ფესტოში აღმოჩენილი თიხის ფირფიტა 'ფესტოსის დისკო" 100 წელი ვერავინ გაშიფრა. ახლახან ახალგაზრდა მეცნიერმა, გია კვაშილავამ ამოიცნო 'ფესტოსის დისკოს" საიდუმლოებები. იგი 40 ათასი წლის წინანდელი კაცობრიობის ცივილიზაციის კარიბჭე და უვერტურა აღმოჩნდა. მკვლევარს ძალიან დაეხმარე საიდუმლოების აღმოცნობაში პელაზგური-კოლხური ენის ცოდნა, რომლებიც ქართველების შორეული წინაპრები იყვნენ.

3. მსოფლიო მედიცინის ისტორიის კვლევის და სისტემატიკოსის გერმანელი პროფ. კურტ შპრენგელის სურათი.

4. მისი წიგნის ტიტული - ფოტოპირი

5. 'უძველესი კოლხური მედიცინის" ტექსტის ფოტოპირი.

6. ინგლისელი მოგზაურის, ტიმ სევერინის გემი 'არგო" შავ ზღვაში.

7. XX საუკუნის არგონავტი, ტიმ სევერინი ესაუბრება ქართველ მეცნიერს, არქეოლოგ პროფ. ოთარ ლორთქიფანიძეს და საქართველოს სპროტკომიტეტის თავმჯდომარეს რამაზ გოგოლაძეს.

8. 2002 წელს საქართველოს დედაქალაქ თბილისში ჩატარდა ფარმაცევტთა საერთაშორისო კონგრესი, რომელმაც დაამტკიცა ჩვენი წინადადებით წარმოდგენილი კაცობრიობის ტრადიციული მედიცინის ემბლემის ესკიზი (იხ. მათი პირადი 170 მონაწილის ხელმოწერები).

9. გერმანიაში გამოცემულმა ორენოვანმა ჟურნალმა 'ალტერნატივე მედიცინამ" პირელსავე გვერდზე დაბეჭდა ჩემი მეცნიერულად დასაბუთებული გამოკვლევა მედეასა და მედიცინის ეტიმოლოგიურ კავშირის შესახებ და ყდაზე ემბლემად გამიზნული სურათი (იხ. ამ ემბლემის ესკიზი).

10. ჩემი იდეური მოფიქრებით და წინადადებით თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტს უკვე ამშვენებს ორიგინალური ემბლემა (იხ. იგი მხატვარი ემირ ბურჯანაძე).

11. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ემბლემა დაარსებულია 1946 წლის 7 დეკემბრიდან, რომელსაც ამშვენებს ასკლუპიოსის ატრიბუტი: ხმელ ჯოხზე დახვეული გველი, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ასეთი ატრიბუტებით 300 წლით ადრე ხატავდნენ კოლხ მედეას, თუნდაც როცა იგი ფიალიდან გველს რძეს ასმევდა!

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
‘ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარეს,
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური
დოქტორის, დროებით უმუშავრის,
წამალთმცოდნის სოკრატ სალუქვაძის

განცხადება

დიდად პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ!

ყოველგვარი დრამატიზირების გარეშე მინდა გულწრფელად სიმართლე მოგახსენოთ! არ ვეკუთვნი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას და ვარ ნეიტრალური პატრიოტი მოქალაქე.

შეიძლებოდა ყველაფერი დაწვრილებით და ვრცლად მომეხსენებინა, მაგრამ უმჯობესად ვთვლი კონკრეტულ მოსაგვარებელ პრობლემებზე ვისაუბროთ. ვარ ყოველი მხრიდან უკანონოდ დაჩაგრული პიროვნება, რამეთუ ჩამომართვეს დედაქალაქის 128 წლის № 1 აფთიაქი-მუზეუმი ისე, რომ სანაცვლოდ ექვივალენტური ფართობიც კი არ შემომთავაზეს ‘პრიხვატიზატორებმა“. ამის შემდეგ როგორ ვიქნები თქვენთვის ადვილად გასაგებია! ევგენი კარლ ზემელს, როცა 1921 წლის 15 მაისს ვერის დაღმართზე აფთიაქი ჩამოართვეს 64 წლის ასაკში, ამის შემდეგ მხოლოდ 6 თვე იცოცხლა და ჯავრით გარდაიცვალა. მე ჯერჯერობით ვსუნთქავ.

პირველი საკითხი. იქნებ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი ‘ქართუ“ დასვამს საკითხს, ბატონ ***ბიძინა ივანიშვილთან*** და დედაქალაქში სადმე მუშა ადგილას (ცენტრში), დაუშვათ ი.ჭავჭავაძის პროსპექტზე მშენებარე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე № 7 სახლში, პრიმა აფთიაქი-მუზეუმის გახსნის მიზნით შეიძენს ოფისს, მაქსიმუმი 500მ², მინიმუმი 250მ² ფართობს, სადაც გაიხსნება ბატონი ***ბიძინა ივანიშვილის*** სახელობის საქველმოქმედო აფთიაქი-მუზეუმი, რომელიც დაექვემდებარება საპატრიარქოს და მე გადავცემ საჩუქრად ჩემს მიერ შეგროვილ სამუზეუმო ექსპონატებს, ამავე დროს ვუხელმძღვანელებ პრიმა აფთიაქ-მუზეუმის გახსნას და მომეცით ამისათვის მიზერული ხელფასი იმდენ ხანს, რამდენი პარასკევიც დამრჩენია ამ უხანო წუთისოფელში! (არ დამცინოთ (!), ხომ გაგიგონიათ: **‘გაჭირვეული კაცი ხავსს ეჭიდებოდაო“.** დღეს ყოველი ქართველი კაცის ცხოვრება **‘გლახაკი და ქილა ერბოს“** იგავ-არაკს მოგვაგონებს. აფთიაქი საასისტენტოთი იმუშავებს ტრადიციული წამლის ფორმების დამზადებაზე. ასეთი აფთიაქები მოსპეს, გააუქმეს, ამიტომ მოგებაც იქნება! (ს.ს.)

აქვე მოგახსენებთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II დაინტერესებული იყო № 1 აფთიაქი-მუზეუმის მერიის ბალანსიდან საპატრიარქოს ბალანსზე გადატანით, მზად იყო ამერიკაში ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაცია მილიონობით მედიკამენტები რომ გადმოგ-ზავნილიყო უფასოდ ამ აფთიაქში, თუ მის გაცემას მრევლზე ჩემი მეშვეობით და საპატრიარქო გააკონტროლებდა! საპატრიარქო მიცნობს და ჩემისთანა პროფესიონალი მართლმადიდებლურ ეკლესიას ჰაერივით სჭირდება. დაიწერა ამ საკითხზე თხოვნა-შუამდგომლობა საქართველოს პრეზიდენტთან, რომელმაც პატრიარქის შუამდგომლობას დააწერა რეზოლუცია ქალაქის მერის ჭიაბერაშვილის მისამართით: **‘განიხილეთ და დაეხმარეთო“!,** მერმა ჭიაბერაშვილმა აფთიაქის ფართობის

ნახევრის ჩამორთმევა და იქ ტურისტების ბიუროს ცენტრის გახსნა მოისურვა. ასე დაიკარგა ამერიკიდან მილიონობით გადმოსაგზავნი უფასო მედიკამენტები და შემდეგ აფთიაქიდან უპირობოდ გა-მოგვასახლეს – ამიტომ უსამართლობით <u>გულმოჭეჭკილი</u> კაცი ვარ! დამეხმარეთ! ვინაიდან სამასხროდ ამიგდეს!!!

მეორე საკითხი. ხომ არ შეიძლება რაიმე მიზერული მინიმალური გრანტის გამოყოფა, რათა ჩამოისხას ქართული სამედიცინო კულტურის დიდი მოამაგისა და დამფასებლის **<u>უპირველესი ქართველოლოგის</u>** პროფ. კურტ შპრინგელის 5 ბიუსტი ბრინჯაოში: ერთი დაიდგას ქ. თბილისში მისივე სახელობის ახლად დაარსებულ ქუჩაზე (აქვე მოგახსენებთ ამ საქმეზე მე დიდი ხანია ვმუშაობ. ფრანგებმა ფოტო-ხელოვნება 1839 წელს გამოიგონეს. კ.შპრენგელი 1833 წელს გარდაიცვალა, მაგრამ შორსმჭვრეტელ გერმანელებს პროფ. კ. შპრენგელის პროფილის გამოსახულება ლითონგრა-ვიურაზე შემოუნახავთ, ეს გამოსახულება მე გამოვიწერე გერმანიიდან, შემზადებული მყავს დიდი მოქანდაკის ბატონ მერაბ ბერძენიშვილის შეგირდი მოქანდაკე ლევან სალუქვაძე, რომელიც პირველი ქართველოლოგის ბიუსტს ჩამოასხამს, მაგრამ სამი შვილის მამას, რაღაც მიზერული თანხა გრანტის სახით სჭირდება ამ წუთისოფელში არსებობისათვის! პროფ. კ. შპრინგელის სურათი ჩაბარებული მაქვს მისთვის, მაგრამ მასალის - ბრინჯაოს ღირებულების და შრომის ანაზღაურებას მინიმალური პრეისკურანტით თხოულობს (ს.ს.).

<u>მეორე ბიუსტი</u>, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა დაიდგას გერმანიის ქ. ჰალეში, სადაც ძირითადად მოღვაწეობდა პროფ. კ. შპრენგელი. სწორად გამიგეთ, ქართველი ხალხი ვალში ვართ კ. შპრენგელის ამაგის წინაშე! ეს იქნება ცოტაოდენი ხურდის დაბრუნება იმ ავანსისა, რომელიც 1792 წელს მივიღეთ კ.შპრენგელის პირველი ტომის პირველი ქვესათაურის საშუალებით.

<u>მესამე ბიუსტი</u> უნდა დაიდგას ქ. ლონდონის მსოფლიო მედიცინის ისტორიის მუზეუმის ფოიეში (დირექტორი, დოქტორი პაროლდ კუკი), ვინაიდან პროფ. კ. შპრენგელმა პირველმა შეისწავლა და სისტემაში მოიყვანა მსოფლიოს მედიცინის ისტორია მრავალტომეულში და პირველი ტომის პირველი ქვესათაური მიეძღვნა '**<u>უძველეს კოლხურ მედიცინას"</u>** **<u>(იხ. შესაბამისი ფოტოსურათი ამ ქვეთავისა ს.ს.)</u>**. რა გამოდის პროფ. კ. შპრენგელის კლასიფიკაციის თანახმად? მესოპოტამურ – ბაბილონურ,ეგვიპტურ,ბერძნულ და რომაულ სამედიცინო ცივილიზაციას **უვერტურის** სახით წინ '**<u>უძველესი კოლხური მედიცინა"</u>** წარუმძღვარა და 13 გვერდი ნარკვევის დაწერისას რამდენიმე ენაზე დაწერილი 84 სქოლიო მოიშველია.

გეკითხებით ბატონო ირაკლი! არ ეკუთვნის ამ კაცს ქართველებისგან ძეგლის დადგმა, რომელმაც 1792 წელს ძეგლი აგვიგო პროგრესული კაცობრიობის ისტორიაში? დიდია ამ მეცნიერის მიუკერძოებელი დამსახურება ქართველი ერის ისტორიაში, რომელმაც მოწინავე ერების გვერდით საპატიო ადგილი მიგვიჩინა!

<u>მეოთხე ბიუსტი</u> უნდა დაიდგას კოლომბოს ალტერნატიული უნივერსიტეტის შენობის ფოიეში (რექტორი დოქტორი ჯიტანჯან მენდისი), ვინაიდან მსოფლიო ტრადიციული მედიცინის ცენტრი დღეს კოლომბოს უნივერსიტეტია. ამ უნივერსიტეტის ექსპერტებმა და რექტორატმა უნდა დაარსოს კაცობრიობის ტრადიციული მედიცინის ემბლემა ჩემი წინადადებით! და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრიმა აფთიაქი-მუზეუმი ჩვენს დედაქალაქში თუ გავხსენით ერთი ბიუსტი (მეხუთე) ამ აფთიაქის მოსაცდელ დარბაზშიც უნდა იქნეს დადგმული, თუ ეს 'აში ხაროს" იგავ-არაკს არ მოგვაგონებს? არ დამცინოთ! ვინაიდან არ არის კოლოსალურ ხარჯებთან დაკავშირებული ამ ბიუსტების ჩამოსხმა და სარგებლობას

საერთაშორისო არენაზე ნამდვილად დიდს მოიტანს. როგორც ხედავთ ჩემთვის პირადად არაფერს ვთხოულობ!

დიდად პატივცემულო ბატონო ირაკლი!

აქ ცოტაოდენი გადახვევა უნდა მაპატიოთ. პროფ. კ. შპრენგელის შრომებიდან გამომდინარე მოვიფიქრე და 30 წელზე მეტი ხნის პერმანენტული კვლევის შედეგით მივედი იმ დასკვნამდე, რომ მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას 'მედიცინა" რომ ეწოდება ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად კოლხეთის მეფე აიეტის ასულის მედეას სახელს უკავშირდება. ამ საკითხზე გასული წლის დეკემბერში გერმანიაში გამოიცა ორენოვანი ჟურნალი 'ალტერნატივე მედიცინა" და ყდაზე გამოტანილია კაცობრიობის ტრადიციულ მედიცინის ემბლემებად გამიზნული მედეას სურათი ჩემს მიერ მოფიქრებული წინადადება. სურათის ქვეშ არის გერმანულ და ინგლისურ ენებზე განმარტება: **<u>'ზოგიერთი მეცნიერის (ეს მე გახლავართ ერთადერთი) ვარაუდით ასეთი უნდა იყოს კაცობრიობის ტრადიციული მედიცინის ემბლემა"</u>** ჟურნალის პირველსავე გვერდზე დაბეჭდილია გერმანულ და ინგლისურ ენებზე ჩემს მიერ მეცნიერულად დასაბუთებული სტატია **<u>მედიცინისა და მედეას ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ</u>** (გთავაზობთ ამ სურათს და თუ იკადრებთ, გთხოვთ თქვენს კაბინეტში გამოფინოთ. ს.ს.) და საკითხი დასმულია კოლომბოს ალტერნატიული უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სამეცნიერო საბჭოს ექსპერტიზის წინაშე ემბლემის დამტკიცების თაობაზე! იმედი მაქვს საკითხი დადებითად გადაწყდება, თუნდაც იმიტომ, რომ დღეს ალტერნატიული მედიცინის უწყებას ემბლემა, საერთოდ, არ გააჩნია და როცა მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას მედიცინა ეწოდება და ასეთი ტერმინი მედეას სახელს უკავშირდება, აბა თქვენვე მიბრძანეთ ამ ჭეშმარიტების აღიარებას წინ რაღა უნდა დაუდგეს? თუმცა უცხო ენებზე კომპიუტერში ტექსტის ასაწყობი სახსრებიც არ გამაჩნია! და საქმე როცა 'წკიპზეა" მიყვანილი,ამჟამად უკან დახევა აღარ ღირს! შეიძლება ბედმა გაგვიღიმოს და შორს აღარ იყოს ქართული კულტურის ზეიმი - დღესასწაული, მშვიდად დაველოდოთ მოვლენებს. ემბლემა ელგუჯა ბერძენიშვილის გრაფიკულ შედევრზეა დაყრდნობილი,რომელიც მხატვარმა პროფ. ლევან სანიკიძის დოკუმენტური პროზის 'ამბავი კოლხი ასულისას" მიხედვით მოხატა, რომელიც მიმზიდველია და ორიგინალური!.

ემბლემას ამშვენებს ჩემს მიერ მოფიქრებული ლათინურენოვანი წარწერა 'Medea Colhica Medicare seu Medicina", ასე რომ მინდა გჯეროდეთ ქართული წარმართული კულტურის წარმოჩინების მიზნით მსოფლიო რეზონანსის მქონე უმძიმესი ტვირთი უკვე ადგილიდან დავძარი, ვიმეორებ ევროპის ორენოვანმა ჟურნალმა მხარი დამიჭირა - დაბეჭდა რა, ჩემი მეცნიერულად დასაბუთბული სტატია და რაც მთავარია ქრონოლოგიური უპირატესობა 35 საუკუნე ჩვენს მხარეზეა. ქრონოლოგიური წინსწრება დიდი პრივილეგია გახლავთ მეცნიერებაში და პრივილეგია ტიმ სევერინმაც დაგვიდასტურა 1984 წლის 21 ივლისს ვანის რაიონის მახლობლად მდინარე რიონში ჩაშვებული გემი '<u>**არგოს**</u>" გემბანიდან მილიონობით ტელემაყურებლის წინაშე განაცხადა: 'მითი არგონავტების შესახებ სინამდვილეს შეესაბამებაო". ეს კი ას ლიტერატრულ სქოლიოზე უფრო ძლიერი არგუმენტია! ვნახოთ, იქნებ სიმართლემ გაიმარჯვოს!

მესამე საკითხი. ემბლემად გამოსაცხადებელი, ჩემ მიერ მოფიქრებული ლათინურენოვანი წარწერით 'მედეა კოლხიკა მედიკარე სეუ მედიცინა". ამ ხარჯების გრანტი არ უნდა იყოს კოლოსალური თანხა! ასე რომ მინდა გჯეროდეთ ქართული კულტურის წარმოჩინების მიზნით მსოფლიო რეზონანსის მქონე მძიმე ტვირთს ვარ

შეჭიდებული, რომელიც ადგილიდან უკვე დავძარი და ევროპის ორენოვანმა ჟურნალმა ‘ალტერნატივე მედიცინამ“ დაბეჭდა მეცნიერულად დასაბუთებული ჩემი სტატია მედეას და მედიცინის ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ! საქმეს კარგი პირი უჩანს! ლატუნზე - ლითონზე ემბლემას მხატვარი კობა გურული მომიჭედავს,ურთხელის ხეს ფაქტურად, საფუძვლად დაუდებთ და გამზადებულ ემბლემას რექტორს, დოქტორს ჯიტანჯან მენდესს გაუგზავნი ან ჩაუტანთ ქ. კოლომბოში!

მეოთხე საკითხი. ჩემს მიერ დაწერილია 12 წიგნი - მონოგრაფია (დღემდე მხოლოდ 7 წიგნის გამოცემა შევძელი), რომელიც სპონსორს ელოდება, ვინაიდან ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში ამჟამად არავითარი სახელმწიფო გამომცემლობა და სტამბა არ არსებობს. ცოდვის კითხვა იქნება ამ წიგნების გამოუცემლობა, რომელთა შორის უმეტესობა იმსახურებს უცხო ენებზე გამოცემას.

წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძის პრობლემები: გამზადებული წიგნების სათაურები თორმეტამდეა და თუ მათ სპონსორი გამოუჩნდა შეიძლება ამ წიგნებმა იხილოს მზის სინათლე! აი, მათი ჩამონათვალი:

1. ‘მედიცინა და ეკლესია“ - <u>ქრისტეს მხედარი – წმინდა გიორგი – სნეულთა მკურნალი</u>.

2. მაღალაძე- მაღალაშვილები ქართველი ერის სახელოვანი მამულიშვი-ლები.

3. დავამკიდროთ წამალთმცოდნეობის ეროვნული ტერმინები, ემბლემები და მეცნიერული მოსაზრებები.

4. საქართველო ჰუმანური, ტოლერანტული ქვეყანა იყო, არის და იქნება.

5. მიმართვა პროგრესულ კაცობრიობას: ქართული კულტურა და ხელოვნება იმსახურებს საერთაშორისო აღიარებას და მხარდაჭერას.

6. უძველესი მედიცინის ემბლემა ახალი თვალსაზრისით ანუ მედიცინა-მედეა-მედიცინა.

7. უცხოურ ენციკლოპედიაში დასაბეჭდია ხუთასი გვერდი <u>“საქართველოს წამალთმცოდნების ისტორიის აქტუალურ საკითხები”</u>, ანუ სოკრატ სალუქვაძის წამალთმცოდნეობის და მედიცინის ისტორიის საკითხების მცირე ენციკლოპედია.

რომლის ინგლისურად თარგმნისთვის და რედაქტირებული ტექსტის გამოცემისათვის 15 000 დოლარს თხოულობენ! ეს თანხა მე ერთად არასოდეს მინახავს.

8. პასუხი ოპონენტებს, ანუ რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია კვალიფიციური და პრინციპული პოლემიკა.

9. არქეოლოგია და მედიცინა” “სიცოცხლის ხის ანუ Arbor Vitae –ს გამოსახვის ფაქტები ქართულ მატერიალურ კულტურის ძეგლებზე!

10. გამოსაცემია ჟურნალი “წამალთმცოდნე” რამდენიმე ნომერი მაინც!

11. გერმანულ ქართული სამედიცინო და ფარმაცევტული კულტურული კავშირები. წიგნი ქართულ და გერმანულ ენებზე.

12. <u>სამკურნალო წიგნის</u> (ქართულად), <u>კარაბადილის</u> (სპარსულად და არაბულად) და <u>ფარმაკოპეის</u> (ბერძნულად და ლათინურად) იგივეობის საკითხის გარკვევისათვის საქართველოს წამალმცოდნეობისა და მედიცინის ისტორიაში.

13. მოფიქრებულია დასაწერად: აღვადგინოთ საქართველოს ტერიტო-რიული და პოლიტიკური კონსოლიდაციის – ჯვარ-ხატობის ზეიმი-დღესასწაული - 30 ივლისი.

14. მოფიქრებულია დასაწერად: <u>‘უფლისა ჩვენისა წმინდა იესო ქრისტეს მიმდევარი წმინდანები- საეკლესიო მედიცინის მკურნალები“.</u>

15. გავხსნათ მატენადარანის ბერი მარქარის ნათარგმნი ხელნაწერის საიდუმლოება, ანუ ვინ იყო სამცხელი აქიმი გრიგორ ვაჩე? მაშასადამე, საქართველოს დავუბრუნოთ 'საინტერესო და ძვირფასი წიგნი"! ასე უწოდებს სომხურ თარგმანს მკვლევარი პროფ. ლ. ოგანეზოვი, რომლის დედანი დაკარგულია და შინაარსი სომხურმა თარგმანმა შემოგვინახა!

მეხუთე საკითხი. მცირე ტავტოლოგიით! ჩემს მიერ დაწერილია, როგორც უკვე ზემოთ მოგახსენეთ, საქართველოს წამალთმცოდ-ნეობისა და მედიცინის ისტორიის საკითხებზე მეცნიერული 500-გვერდიანი გამოკვლევები ინგლისურ ენციკლოპედიაში გამოსაქვეყნებლად 'სოკრატ საულქვაძის მცირე ქართული ენციკლოპედია -სრულიად ახალი და ორიგინალური მასალები, მათ შორისაა ორი აფთიაქი (ერთი XV ს.) და მეორე XVII საუკუნით დათარიღებული ჩემს მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი, ასევე ჩემი იდეური მიგნებით ემირ ბურჯანაძის მიერ მოხატულია თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის ემბლემა და თუ ბედმა გამიღიმა და ექსპერტებმა მხარი დამიჭირა, იქნება კაცობრიობის ალტერნატიული მედიცინის ემბლემა ჩემი მეცნიერული მიგნებებიდან გამომდინარე განხორციელდეს, აღიარებულ იქნეს, დაინერგოს! ჩემი მონოგრაფია მოიცავს 675 გვერდს და იგი ფუნდამენტურია, ვინაიდან დღემდე საქართველოში ერთი თაბახი მოცულობის ბროშურაც კი არ იყო გამოცემული და არც შემდეგ გამოუცია ვინმეს რაიმე ამ სფეროში. გარდა ამისა საქმიანი წრეების წარმომადგენლები ინგლისურენოვანი ენციკლოპედიის რედაქციაში ჩემი სტატიების ინგლისური თარგმანებისა და რედაქციული ჩასწორებებისათვის და გამოქვეყნებისათვის (დაბეჭდვისათვის) 15 ათასი ამერიკული დოლარს თხოულობენ, რომელიც მე ერთად არასოდეს დამსიზმრებია! კარგი წამოწყებაა მაგრამ... კაცს ასანთის ფული რომ არა აქვს რა უნდა ჰქნას? ერის სიყვარულმა და უმწეო მდგომარეობაში ყოფნამ დამაწერინა ეს განცხადება, თორემ მე თავმოყვარეობა არასოდეს მაკლდა, ამიტომ არ დამცინოთ!

მეექვსე საკითხი. უახლოეს მომავალში განსაზღვრული მაქვს მსოფლიო მედიცინის ისტორიის მუზეუმში,რომელიც ლონდონში მდებარეობს და დირექტორი გახლავთ ჰაროლდ კუკი, მივმართო თხოვნით გამოგვიყოს თუნდაც ჯერჯერობით 10 m^2 ფართობი საქართველოს სამუზეუმო ექსპონატების გამოსაფენად, სადაც იქნება ექსპონირებული ჩემს მიერ ინგლისურ ენაზე უკვე გამოცემული პლაკატები და სამედიცინო კალენდარი, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი: ბრინჯაოს, კერამიკის, თიხის, მინის ჭურჭლები და მედტექნიკის სხვა იარაღები! (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდი) ყოველივე ეს საჭიროებს კოდაკის ფირებს, ფოტოგრაფიულ მასალებს, ფოტოქაღალდს ფოტოდოკუმენტების დასამზადებლად და შესაბამის ინგლისურ ენოვან ანოტაციური ტექსტების მიწერას, რომლებიც დღემდე უსახსრობის გამო ვერ გამიმზადებია. ამ დროს ვარ 80 ლარიან პენსიაზე, აქედან 30 ლარი ანტიდიაბეტური გლუკოვანსის შესაძენად მჭირდება და '**ვცხოვრობ**" 50 ლარით (!).

მე და ჩემი მეუღლე მერი მუჯირი ვართ ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორები და უსახსრობის გამო ფიზიკურად ვიღუპებით, სიძე საგზაო ინჟინერია, სამსახური არ გააჩნია, ამიტომ იქნებ რაიმე სტიპენდია მოგვცეთ, ვინაიდან თქვენ უკვე ხედავთ, რომ 1730 აფთიაქის დირექტორებს შორის 7 წიგნი გამოცემული მაქვს, 12 გამოსაცემად უკვე დაწერილია. სხვებისგან ცოტათი განსხვავებული მაძიებელი მკვლევარი ვარ!!! უმაღლესმა კომერციულმა სასწავლებელმა, სადაც ლექციებს ვკითხულობდი,

აკრედიტაცია ვერ გაიარა და დაიხურა! –ახალი ნაკადი სტუდენტებისა ვეღარ ჩარიცხეს! ამიტომ ვარ სრულიად უმუშევარი.

იქნებ რაიმე საქველმოქმედო სტიპენდიას დამინიშნავდით?

ზემოთ ჩამოთ-ვლილი იდეების რეალიზაციაზე იქნებ იმსჯელებდით და აღმომიჩენდით დახმარებას? ვინაიდან მე ძირითადად საერთაშორისო და ეროვნული ღონისძიებების განხორციელების მიზნით ვარდვევ თქვენს მყუდროებას.

1. განცხადებას თან ერთვის აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილის რეცენზიაც, სადაც ეს ავტორი 'აზრხვავრიელ და ხელხვავრიელ მკვლევარს" მიწოდებს, ეს ტექსტი უკვე გადათარგმნილია უცხო ენაზე, ქ. კოლომბოს უნივერსიტეტში გასაგზავნად!

2. ჩემი სტატია **<u>'მედეა - მედიცინის"</u>** ეტიმოლოგიური კავშირის მეცნიე-რულად დასაბუთებულობის შესახებ და გერმანელი რედაქტორის მხარდაჭერა კაცობრიობის ემბლემის დაარსების თაობაზე (ქსეროასლი თან ერთვის ამ განცხადებას).

3. ჟურნალი '**<u>თბილისური უწყებანი</u>**". ორი ნომერი, სადაც ჩვენი ეროვნული იდეები ღაღადებენ! უსაქმოდ გაჩერება არ შემიძლია, ვინაიდან შრომას ვარ შეჩვეული!

4. თქვენ ბატონო ირაკლი, თქვენს კაბინეტში გამოსაფენად გადმოგცემთ კაცობრიობის ემბლემად გამიზნულ მედეას ფერად სურათს, სათანადო ლათინურენოვანი წარწერით, **<u>ერთ-ერთ ვარიანტს სოფ. ჭორვილელ, თანამედროვე დიდ აღმაშენებელს თუ მიაწოდებთ, იქნებ იდეის რეალიზაციაზე შედეგებზე დაფინანსებაზე დაინტერესდეს</u>**! ამაზე კარგი იდეების მოფიქრებაც კი შეუძლებლად მიმაჩნია, საკითხები ნამდვილად ეროვნულია, ჰაერივით აუცილებელია ჩვენი ერის მომავლისათვის.

ასევე დასაარსებელია პრიმა აფთიაქ-მუზეუმთან კოლხელი მედეას სამედიცინო მემკვიდრეობის მეცნიერულად შემსწავლელი ცენტრი - მედეას მემკვიდრეობა კი - ჩვენი უძველესი ცივილიზაციის უტყუარი მაცნეა, რომელიც ტიმ სევერინის განმეორებითი სპორტული ლაშქრობითაც დადას-ტურდა, რომ **<u>'მითი სინამდვილეს შეესაბამება"!</u>**

არაფერი გაგიკვირდეთ ბატონო ირაკლი! ჩემს პიროვნებაში ეჭვი არ შეგეპაროთ და ზერელე მკვლევარად არ მოგეჩვენოთ! ჩემი, ჩემთვის საინტერესო, ალბათ, ერისთვის უფრო სასარგებლოა მეცნიერული კვლევის **<u>თემატიკა,</u>** ასეთი რამ ჯერჯერობით დღის წესრიგში დაყენებული არაფერი ყოფილა. ტრადიციული სამედიცინო აკადემიის დაარსებაც შეიძლება, შენ დაფინანსება და შენობა მითხარი თორემ!

5. დიდად პატივცემულო ბატონო ირაკლი! .... დაბოლოს, თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ერთ გარემოებას! 1946 წლის 7 დეკემბრიდან ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ემბლემად დანერგილია ხმელ ჯოხზე დახვეული გველი ასკლეპიოსის, იგივე ესკულაპის ატრიბუტი დედამიწის ფონზე, რომელიც ჩასმულია დაფნის რტოებში, ხოლო უდაოდ ამავე მხატვრის ნახატი ხმელ ჯოხზე დახვეული გველის გარეშე წარმოდგენიზლია იგივე ესკიზი **<u>გაეროს</u>** **<u>ემბლემად</u>**!

მეცნიერებაში პრივილეგია გახლავთ სიძველე, წინსწრება! და ასეთი სიძველე კოლხური ცივილიზაციის მხარეზეა ე.ი. კოლხეთის მეფე აიეტის და მედეას ეპოქა 300 წლით უფრო ძველია ასკლეპიოსის (ბერძნულად) იგივე ესკულაპის (ლათინურად) ეპოქასთან შედარებით, ე.ი. თუ ასკლეპიოსი ძვ. წ. XII საუკუნეში ჰომეროსამდე 400 წლით ადრე მოღვაწეობდა აიეტი და მედეა ჰომეროსამდე 700 წლით უფრო ადრე მოღვაწეობდნენ, ანუ ასკულეპიოსის ეპოქას მედეას ეპოქა 300 წლით უწინდელი იყო, იგი უფრო ძველია! ე.ი. ძვ. წ. XV-XIV საუკუნეში მოღვაწეობდა მედეა! ამ დროს ალტერნატიულ, ანუ ტრადიციულ მედიცინას დღეს (ამჟამად), ემბლემა არ აქვს (!) ამიტომ მჯერა, რომ იდეურ გამარჯვებას

მივაღწევ, მით უმეტეს მედიცინა - მკურნალობასთან დაკავშირებული საქმიანობას, რომ ეწოდება, ეს მედეას სახელიდან გამომდინარეობს ეტიმოლოგიურად! თუ საქმე სხვაგვარად არის, მაშინ მკურნალობასთან დაკავშირებული საქმიანობას რატომ არ ეწოდება 'ჰიპოკრატიცინა"?,რომლის ეპოქა 1000 წლით მერმინდელია მედეას ეპოქასთან შედარებით და რატომ არ ეოწდება მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას '**ასკლეპიოსიცინა**" ან '**ესკულაპიცინა**"? ამ ლეგენდარული ბერძენი მკურნალის ეპოქა ხომ 300 წლით ახალგაზრდაა, მერმინდელია აიეტის და მედეას ეპოქასთან შედარებით! **ამიტომ გამარჯვების იმედი მაქვს! მედეა ყველაზე უძველესია ჩვენს პლანეტაზე**. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ქართველებს ბევრი დაგვეჯერება საერთაშორისო არენაზე, თუნდაც ამიტომ, რომ ჩვენ გვაქვს 1,800,000 წლის წინანდელი თავის ქალები (მზიას და ზეზვას) დმანისის არქეოლოგიური ევრიკის (აღმოჩენის) შედეგის მიხედვით და ახლახან ახალგაზრდა მეცნიერმა გია კვაშილავამ გაშიფრა **'ფესტოსის დისკოს"** ანუ კაცობრიობის დამწერლობის წინა პერიოდის დაქარაგმებული აღნიშნვები, რომელთანაც 40 საუკუნე გვაშორებს! ამ დისკოს ქარაგმები 100 წელი ვერავინ გაშიფრა და ეს ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა შეძლო, იმიტომ, რომ მას კოლხური ენის ცოდნა დაეხმარე საიდუმლოებების ამოხსნაში.

აქვე მოგახსენებთ, რომ შარშან შემოდგომაზე ბერლინიდან ჩემთან ჩამოვიდა მაგისტრის ხარისხის მაძიებელი სტუდენტი ნადეჟდა პანტელი, რომელიც მის მეცნიერ ხელმძღვანელს, კათედრის გამგეს, ჩემთან გამოუგზავნია კონსულტაციების მისაღებად, ვინაიდან სამეცნიერო ხარისხის მაძიებელს აინტერესებდა ჩემი მეცნიერული შრომები მედეას სამედიცინო მემკვიდრეობის შესახებ. იგი იკვლევს პრობლემას **"მედეა დღეს".** ამით მე ის მინდა გითხრათ, რომ ევროპაში თურმე მიცნობენ, როგორც მკვლევარს, ტრაბახში არ ჩამომართვათ, ეს რეალურად იყო შარშან ნოემბერში! ნამდვილად არა ვარ ფეხბურდღა ყოფილი აფთიაქის გამგე! რაღაცეები სხვებზე მეტი მაქვს გაკეთებული. ამ დროს სამსახურიდან დამითხოვეს, ინტერნეტით და ელექტორნული ფოსტით სხვადასხვა ქვეყნებში თუ სამეცნიერო დაწესებულებებში ინფორმაციები რომ გავაგზავნო, კომპიუტერში ერთი თაბახი ტექსტის ამწყობი თანამშრომელიც აღარ მყავს! ჩამოშორებული ვარ ყოველივე ასეთ შესაძლებლობას, საერთაშორისო კონტაქტები რომ დავამყარო სამეცნიერო აკადემიებთან და მოვიპოვო საერთაშორისო აღიარება! ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, იქნებ სტიპენდიის დანიშვნით გავაძლიერო ასეთი ეროვნულ-ქართული კულტურული საერთა-შორისო კავშირები. მოგახსენებთ, რომ საქართველოში 779 აფთიაქის პრივატიზება მოხდა, მე კი აფთიაქის პრივატიზების გარეშე დამტოვეს 780-ე ანუ № 1 აფთიაქი თავისთვის დაიტოვეს '**პრიხვატიზატორებმა**".

დამეხმარეთ! მწყურია სამშობლოს სამსახური!

პატივისცემით

სოკრატ სალუქვაძე

ღია წერილი

ქ. ლონდონის მსოფლიო
მედიცინის ისტორიის მუზეუმის
დირექტორს,
პროფესორ ჰაროლდ კუკის

Professor Harold Cook

Photo: Chris Clunn

Professor Hal Cook is the Director of The Wellcome Trust Centre for the History of Medicine at UCL, helping to promote the discipline throughout the world as making fundamental contributions to the understanding of the human condition. In his academic work, he continues to investigate subjects related to early modern English medicine, but now gives most of his energy to medicine and natural history in the Dutch Golden Age in an attempt to reassess the relationships between the beginnings of a world-wide trading system and a world-wide exchange of information about nature. He is also co-editor of the journal *Medical History,* serves on many advisory boards and professional bodies, and has been elected to an honorary Fellowship of the Royal College of Physicians.

h.cook@ucl.ac.uk

დიდად პატივცემულო, პროფესორო ჰაროლდ!

ჩემი ღრმა რწმენით კაცობრიობა უდიდეს მადლობას უნდა მოახსენებდეს ინგლისელი ხალხს და პირადად თქვენ ბატონო ჰაროლდ, ვინაიდან ქ. ლონდონში მოქმედებს მსოფლიო მედიცინის ისტორიის მუზეუმი. დიდი ხანია ვმუშაობ წამალთ-მცოდნეობისა და მედიცინის ისტორიის კვლევის საკითხებზე და ამიტომ ჩემი ოცნების საგანია თქვენთან საქმიანი კონტაქტების დამყარება პირადად გაცნობა-გასაუბრების შემდეგ.

ქართველი ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ უძველესი კულტურის მფლობელია, 208 წელია ჩამოშორებულია მსოფლიო ცივილიზაციის შარაგზას და სახელმწი-ფოებრიობის და დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ვეღარ ვახერხებდით საერთაშორისო ჟურნალ-გაზეთებში და გამომცემლობებში თანამშრომლობას ქართული კულტურისა და სახელ-დობრ, სამედიცინო ისტორიული წარსულის თვალსაზრისით.

ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიც იყო აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი ხელოვნები-სა და ისტორიის საკითხებზე მეცნიერულ გამოკვლევებს რუსულ და ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ფელეტონების რუბრიკით აქვეყნებდა!

კომუნისტური რეჟიმის დროს მთავლიტი კიდევ უფრო მკაცრად კრძალავდა საერთა-შორისო მეცნიერულ კონტაქტებს და თუ ვინმე, მთავლიტში რეგისტრაციის გარეშე, საზღ-ვარგარეთის ჟურნალში დაიბეჭდებოდა, მას თავისუფლების აღკვეთა და ციმბირში გადა-სახლება გარანტირებული ჰქონდა! ამჟამად, როცა თითქოს საქართველო დადგა დამოუკიდე-

ბლობის გზაზე და თავისუფლების რელსებზე, მიმდინარე წლის 9 აგვისტოს ახალი ძალით იფეთქა რუსეთის იმპერიის აგრესიამ და საოკუპაციო ჯარების შემოჭრამ!

ქართველ ხალხს ისტორიული კულტურული წარსულის წარმოჩინების თვალსაზრისით დიდი სამსახური გაგვიწია ინგლისელმა მოქალაქემ ბატონმა ტიმ სევერინმა 1984 წლის ივლისში არგონატვების სპორტული ლაშქრობის განმეორებით და მან გემ 'არგოს" გემბანიდან განაცხადა **<u>'მითი არგონავტების შესახებ სინამდვილეს შეესაბამებაო"</u>**, თუმცა ამ ფაქტის მიჩქმალვა-მიფუჩეჩებას შეეცადა საბჭოური კომუნისტური პრესა, ჩვენ კი უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ინგლისელი მოქალაქის ამ შესანიშნავ თაოსნობას. დავწერე ახალი გამოკვლევა უძველესი მედიცინის და, სახელდობრ, კოლოხური მედიცინის ისტორიის შესახებ. ანალოგიური ფაქტებით ვამტკიცებ, რომ მედეა და მედიცინა ურთიერთ ეტიმოლოგიურ კავშირშია. ამ საკითხზე გერმანიაში ჟურნალმა 'ალტერნატივე მედიცინამ" დაბეჭდა ჩემი გამოკვლევა და მხარი დაუჭირა მსოფლიო ტრადიციული მედიცინის ემბლემის დაარსებას. კომპეტენტურმა სპეციალისტმა მედიცინის ისტორიაში, აკადემიკოსმა ბაადურ რაჭველიშვილმა დაწერა დადებითი რეცენზია ამ მნიშვნელოვანი გამოკვლევის თაობაზე, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ქართულ პრესაში გამოქვეყნდა. ფაზისის აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ცოტნე მირცხულავამ, ვიცე პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნუგზარ ნადარაიამ და აკადემიკოს სწავლულმა მდივანმა ლიკა ჭანტურიამ კომპეტენტური სპეციალისტის მედიცინის ისტორიაში აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილის რეცენზიის თან დართვით შუამდგომლობა გაუგზავნა ამ საკითხზე შრი-ლანკაში, ქ. კოლომბოს ალტერნატიული უნივერსიტეტის რექტორატში რეაგირებისა და ექსპერტების მიერ შეფასების შემდეგ მხარდაჭერისათვის და ობიექტური დასკვნით უნდა დაარსდეს კაცობრიობის ტრადიციული მედიცინის ემბლემა ჩემი წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად **<u>'მედეა კოლხიკა მედიკარე სეუ მედიცინა" 'კოლხელი მედეას მკურნალობანი ანუ მედიცინა"</u>** პასუხი-დასკვნა ჯერჯერობით არ ჩანს. ქ. კოლომბოს ალტერნატიულ უნივერსიტეტში გაგზავნილი შუამდგომლობის ტექსტის ასლს თქვენ გიგზავნით და თუ ტერმინი 'მედიცინა" ჰიგიენაზე ადრე 300 წლით უხნესია და თვით სახელწოდება მედიცინა მედეას სახელიდან მომდინარეობს. ძვ. წ. XII საუკუნიდან ასეთი მოსაზრება, ჩემი აზრით, ცნობილი უნდა იყოს პროგრესული კაცობრიობისათვის, რაშიც თქვენი მხარდაჭერა ჰაერივით საჭიროა, აუცილებელია. გარდა ამისა 30 წელზე მეტია ვაგროვებ წამალთმცოდნეობის და მედიცინის ისტორიის საკითხებზე სამუზეუმო ნივთებს, ექსპონატებს ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ძვლის, მეტალის და მინისაგან დამზადებული გველის გამოსახულებიანი ჭურჭლის და სამედიცინო ტექნიკის იარაღებს, თუ თქვენ ძველი ქართული მედიცინის ისტორიის ასეთი სამუზეუმო ნივთების გამოფენისათვის გამოყოფთ რამდენიმე კვადრატულ მეტრ ფართობს, ან ერთ ოთახს, მე ვიქნები თქვენი მუზეუმის დონორი და მოგაწოდებთ ძალიან საინტერესო მასალებს ტრადიციული და მეცნიერული მედიცინის ისტორიისთვის ფოტოსურათებს ინგლისურენოვანი ანოტაციებით, ნაწილი ასეთი საინტერესო ექსპონატებისა თან ერთვის ამ წერილს და ძალიან მოხარული ვიქნები ჩემი გამოკვლევების ტექსტებს, აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილის რეცენზიას და ქ. კოლომბოს ალტერნატიულ უნივერსიტეტში გაგზავნილ ტექსტებს თუ გამოაქვეყნებთ, დაბეჭდავთ მსოფლიო მედიცინის ისტორიის მუზეუმის მოამბეში ან ბიულეტენში.

დიდი მოკრძალებით, პატივისცემით და დახმარების აღმოჩენის იმედით ვწერ ამ ღია ბარათს თქვენი მისამართით.

ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
აკადემიკოსი **სოკრატ სალუქვაძე**

პასუხი ჭირვეულ, არაკვალიფიციურ და ულოგიკო ოპონენტს ანუ ორიოდე სიტყვა შეშლილი „აკადემიკოსის“ არაერთ უარგუმენტო, დაუსაბუთებელ ცილისწამებაზედა!

30 წელზე მეტია გრძელდება ტენდენციური, არაკვალიფიციური, ულოგიკო და ჭირვეული რეცენზიების სახით გამონათქვამები ჩემი შრომების წინააღმდეგ პროფ. ბიძინა ჭუმბურიძის მიერ, რომელსაც ბოლო არ უჩანს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩემი პასუხისა და ლოგიკის ძალა არაერთხელ იგემა ამ ტენდენციურმა ოპონენტმა და ამიტომ ცდილობს ჯგუფურად, თანაავტორთა გაერთიანებული ძალით შემომიტიოს, ალბათ ფარმაკოლოგიური სინერმიზი აქვს მხედველობაში. ასე მაგალითად: ჟურნალ „საბჭოთა მედიცინაში“ ერთდროულად სამმა ოპონენტმა შემომიტია (ორმა დოქტორმა და ერთმა მეცნიერების კანდიდატმა). მომიძღვნეს რა ცილისმწამებლური, არაობიექტური რეცენზია საეჭვო სათაურით: ‘მეცნიერბაში მეტი სიზუსტისა და კეთილსინდისიერებისათვის“, მაგრამ თუ მოჭიდავის ენაზე ვისაუბრებთ, საპასუხო რეცენზიაში სამთავენი მე, რიგითმა პროვიზორმა (იმჯერად მეცნიერული ხარისხის არმქონემ. **ს.ს.**) ხალიჩაზე ბეჭებით გავაკარი და საზოგადოებისთვის აშკარად ცნობილი გავხადე, რომ მათი „რეცენზია“ იყო ცილისწამება და პრივილეგირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი, სამწუხაროდ, ეს იკადრეს! სამი ოპონენტის ჭკუას მე ერთის ჭკუით ვაჯობე! ამის შემდეგ ეს ჯგუფი შეეცადა ღია პრესაში განმეორებითი რეცენზია დაბეჭდილიყო ისე, რომ ჩემთვის პასუხის გაცემის საშუალება არ მოეცათ! რა ჰქვია ამას? სახელი თქვენ გამოუნახეთ! ამის შემდეგ, როცა ბატონმა პროფესორმა იგრძნო ჩემი კალმის ძალა, უკან დაიხია, ბრძოლის მეთოდი შეცვალა, თვითონ ვითომ იმდენად „**ღრმა მეცნიერია**“, საპაექროდ თავი აღარ გამიყადრა და საბრძოლო არენაზე – ფალავნად თავისი ყოფილი სტუდენტი მოავლინა, თუმცა რეცენზიის ტექსტის დაწერაში მანვე, პროფ. ბ. ჭუმბურიძემ მიიღო აქტიური მონაწილეობა. რასაც იქედანვე ვადგენ, რომ იგივე შეცდომები განმეორდა, რასაც დაუშვებდნენ წამალთმცოდნეობის და მედიცინის ისტორიაში ჩაუხედავი დილეტანტები – არასპეციალისტები. ჟურნალში დაიბეჭდა არაკვალიფიციური, შეცდომებით აღსავსე სტატია. რეცენზიაში ამოვიკითხე, რომ „ფარმაკოპეის წინასახე თურმე კარაბადინი ყოფილა (!)“ საერთოდ, ასეთი დაბალი კვალიფიკაციის რეცენზიის ავტორთან საუბრის გაგრძელება აღარც იყო საჭირო, მაგრამ ნათქვამია „მტყუანს მიყევი კარამდეო“. ამ მეცნიერულ უზუსტობებზე მე გამეცინა და საპასუხო რეცენზიაში განვმარტე, რომ პირველი კარიბადინი ახ.წ. 840 წელს არაბულ ენაზე (ზოგი მონაცემებით – სპარსულ ენაზე. **ს.ს.**) დაიწერა, ხოლო არაბეთის ყველა აფთიაქისათვის უფრო სრულყოფილი კარაბადინი XII საუკუნეში შექმნა ქ. ბაღდადის ქრისტიანული სკოლის ეპისკოპოსმა აბულ ჰასან ჰებატოლაჰ იბნ თალმილმა. ამის შემდეგ გადავხედოთ უძველესი ფარმაკოპეების ასაკობრივი თანმიმდევრობით დაწერის თარიღებს და ადვილად დავრწმუნდებით, როგორ შეიძლება

წარმოვიდგინოთ კარაბადინები ფარმაკოპეების წინასახეებად, ეს მაშინ, როცა ყველაფერი პირიქითაა – ფარმაკოპეებია პირველადი და მეორადია კარაბადინები! გერმანელმა მეცნიერმა, პროფ. ებერსმა ეგვიპტურ პაპირუსზე აღმოაჩინა უძველესი ფარმაკოპეის ხელნაწერი – იგი ქრისტეს შობამდე 2000 წლით ადრინდელია. ცნობილმა დოკუმენტალისტმა შუმეროლოგმა, სემიუელ ნოა კრამერმა კაცობრიობის უძველესი პრიმიტიული ფარმაკოპეა (კერამიკულ ფირფიტაზე დაწერილი 13 რეცეპტი) <u>დაათარიღა ძვ. წ. 2300 წლით</u> (იხ. ს. კრამერის „ისტორია იწყება შუმერიდან“, გამომც. „ნაკადული“, თბილისი, 1988 წ.). მეცნიერებაში მიღებული და აღიარებულია, რომ უძველესი ფარმაკოპეა 4140 წლით უხნესია, უხუცესია კაცობრიობის უძველეს მაჰმადიანურ კარაბადინზე, რომელიც ახ.წ. 840 წელსაა დაწერილი საჰელის მიერ. ეს მოსაზრებები მეცნიერებაში <u>ნორმად</u> არის მიღებული, ჩემი ოპონენტები კი ამას პირიქით „**<u>ამტკიცებენ</u>**“! ასე, რომ კარაბადინები ფარმაკოპეების წინასახე არასოდეს ყოფილა. ამ ელემენტარულ უვიცობაში მხილებულმა ჩემმა ოპონენტმა „აკადემიკოსმა“ მდგომრეობა კიდევ უფრო სასაცილო გაიხადა. იგრძნობა, რომ მას, ერთადერთს, ძალიან ეშინია, ჩემთან პოლემიკის წარმოებისა, ასე ვთქვათ, გატენილ, დამიზნებულ თოფზე უფრო. რა უნდა ქნას მან ამის შემდეგ? პოლემიკაში წაგებული ბრძოლა მოსვენებას უკარგავს ამ ჭირვეულ ოპონენტს! და აი, ახალი მაპროვოცირებელი სტატია გამოჩნდა ჟურნალ „ფარმაცევტული მაცნეს“ 2007 წლის ივნის-ივლისის ნომერში სათაურით“: „**<u>საკითხში გარკვევისათვის – ფარმაკოპეა და კარაბადინი“,</u>** რომელსაც ხელს ჩვენი ოპონენტი, პროფ. ბიძინა ჭუმბურიძე კი არ აწერს, არამედ სტატია ფარმაცევტული სარედაქციო საბჭოს წევრების სახელით არის გამოქვეყნებული, ასეა ბოლოს მიწერილი ჟურნალ „ფარმაცევტული მაცნეს“ ამ სტატიაზე „<u>სარედაქციო საბჭო“</u>. საბჭოს წევრებს ჩემთან გასაყოფი არაფერი აქვთ! წარმოგიდგენიათ, ჩვენი ბიძინა მაკრიტიკებს, მაგრამ ჩემი იმდენად ეშინია, რომ მარტოკა, მარტოდმარტო ვერ ბედავს ჩემი სახელისა და გვარის ხსენებას, ეშინია. აი, ციტატა მისი დაწერილი სტატიიდან ჟურნალში **<u>‘საკითხში გარკვევისათვის „კარაბადინი და ფარმაკოპეა“</u>**: ‘შინაარსობრივად იდენტური ნაშრომი ნამდვილად არ არის, <u>თუმცა კი ერთ-ერთი ავტორი დაჟინებით მოითხოვს</u> (რომელი ავტორი? ვინაა ეს „ერთ-ერთი ავტორი“, თუ არა სოკრატ სალუქვაძე?), <u>უარგუმენტოდ!</u> (დაუკვირდით, ცილისწამებას „უარგუმენტოდ მოითხოვს!“ **ს.ს.**) ვაღიაროთ კარაბადინებისა და ფარმაკოპეების იდენტურობა“ ამას წერს ბატონი ოპონენტი ისე, რომ ჩემი საკუთარი სახელის და გვარის ხსენებას ვერ ბედავს, იგი ამოეფარა სარედაქციო საბჭოს წევრების სახელს. ამ არაკვალიფიციური მსჯელობით საკუთარი თავი ხომ მოიჭრა, მოიკვეთა, ამის შემდეგ ჩრდილს აყენებს სარედაქციო საბჭოს წევრებს. დარწმუნებული ვარ, <u>ამ უღიმღამო სტატიის</u> **<u>„კარაბადინი და ფარმაკოპეა“</u>**, ვითომ **<u>‘საკითხში გარკვევისათვის“</u>**, შედგენაში სარედაქციო საბჭოს არც ერთ წევრს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ სარედაქციო საბჭოს წევრი, რიგით მეათე მეცა ვარ და, სად გაგონილა, საკუთარი თავის წინააღმდეგ ავტორი პროვოკაციულ სტატიას აქვეყნებდეს?! თუ რაიმე სიტყვიერი შეთანხმება მოხდა, ეს ალბათ იმიტომ, რომ ბატონი

ბიძინა ასეთ ულტიმატუმს წაუყენებდა სარედაქციო საბჭოს ზოგიერთ წევრს: „მხარი დამიჭირეთ სოკრატ სალუქვაძის წინააღმდეგ ბრძოლაში, თორემ ხმას არცერთს არ მოგცემთ ხარისხის მომნიჭებელ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და ყველა დისერტაციას ჩაგიგდებთო!“ ქაღალდი ყველაფერს იტანს და სარედაქციო საბჭოს ზოგიერთი მერყევი წევრი თავის დაქნევით შეიძლება დაეთანხმა ჩვენს ბიძინას, თორემ სარედაქციო საბჭოს წევრების სახელით ამ სტატიის გამოქვეყნება შეუძლებლად მიმაჩნია. ფაქტი სახეზეა, სტატია რამდენიმე თვის წინ გამოქვეყნდა, მე პასუხის გაცემის საშუალებას არ მაძლევენ! ამიტომ ისღა დამრჩენია, კვლავ ულმობლად ვამხილო, წამალთმცოდნეობის ისტორიის თვალსაზრისით, ჩვენი ოპონენტი არაერთ მიუტევებელ შეცდომაში, სარედაქციო საბჭოს წევრებს კი ბოდიში მოვუხადო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანს ხელი არ აქვს მოწერილი ამ არაკვალიფიციურ, შეცდომებით აღსავსე სარედაქციო ცილისმწამებელ რეცენზია–წერილზე. ერთი კი ნათელია, ჩემს მეცნიერულ მოსაზრებებს 1998 წლის 21 ივნისს ხარისხის მომნიჭებელ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ყველამ, 15-ვე წევრმა დადებითი ხმა მისცა და ხარისხიც მომანიჭეს. ამჟამად სრულიად საწინააღმდეგო სტატიაზე ხელის მოწერას გამოვრიცხავ, ხომ არსებობს დისერტაციის ექსპერტების სამეცნიერო დასკვნა, რომ **„შუა საუკუნეების ქართულ სახელმწიფოში კარაბადინები იგივე მოვალეობას ასრულებდა, რასაც დღეს XX საუკუნის სახ. ფარმაკოპეები ასრულებენ წამლის მომზადების ტექნოლოგიის, დოზების მითითების, რეგლამენტის, წამლის ხარისხის და წამლის ფორმების სტანდარტების თვალსაზრისით“!!!**

რა თქმა უნდა, ერთი ნათელია, XX საუკუნის სახ. ფარმაკოპეების რედაქცია იხვეწებოდა, სრულყოფილი ხდებოდა და იღებდა თანამედროვე სრულყოფილ სახეს, გამორიცხულია 400, 500, 700 და 900 წლის წინ ქართული რედაქციით შედგენილი კარაბადინები სიტყვა–სიტყვით ტექსტუალურად იმეორებდეს, ან სავსებით შეესაბამებოდეს XX საუკუნის სახ. ფარმაკოპიას ტექსტებს! ეს მე არსად არ მითქვამს და ამ სხვადასხვაობის ვერ დანახვა ჩემი ოპონენტის, <u>პროფ. ბიძინა ჭუმბურიძის მთავარი შეცდომაა!</u> ამაში თუ სარედაქციო საბჭოს წევრები ბატონ ბიძინას ემხრობიან, აქვე ვაცხადებ, მე ეს არსად და არასოდეს არ მითქვამს და არც დამიწერია, ამიტომ ეს სტატია ძალიან დაბალი კვალიფიკაციის ავტორის ხელით არის დაწერილი და გასაღებულია **<u>„სარედაქციო საბჭოს წევრების“</u>** სახელით, ყოველ შემთხვევაში, ეს აშკარად ჩანს! მიუტევებელ შეცდომებს გზადაგზა წარმოვაჩენ. პოლემიკის მიმდინარეობა კორექტული მინდა იყოს, თუ შევძელი, თუმცა სარედაქციო საბჭოს წევრების მოშველიება და ამით მათი კოლექტიური აზრით ამ ერთი ჭირვეული პოლემიკოსის ნააზრევად შემოსაღება გაჭირვების ბრალი არის! თუ ასეთი ვაჟკაცი ბრძანდებით, ბატონო ბიძინა, ვისაუბროთ ერთი-ერთზე, თუმცა ასი თანაავტორიც რომ მოგეხმაროს, ჩემს მაკრატელივით მჭრელ ლოგიკას მაინც ვერსად გაექცევით, ვინაიდან ალბათ გაგიგონიათ, „მართალი კაცი ქვაზე მაგარიაო“, ვნახოთ, ვიმსჯელოთ, ვამხილოთ გზადაგზა ბატონ ბიძინა ჭუმბურიძის მიუტევებელი შეცდომები

და არაკვალიფიციური მსჯელობები. XVI საუკუნის შემდეგ ლაპარაკია დავით ლუარსაბის ძე ბაგრატიონის „იადიგარ დაუდის“ ხელნაწერზე. ფაქტობრივად, ამ ხელნაწერის შემდეგ სრულყოფილი კარაბადინი ქართულ ენაზე აღარ შედგენილა, რასაც წინ უსწრებს ზაზას და მახარებლის „კარაბადინი“ (XV ს.), ავერო სის „წიგნი საქიმო “ XIII საუკუნის დასაწყისისაა. იმაზე ადრინდელია „უსწორო კარაბადინი“ – XI თუ, ზოგი მონაცემებით, X საუკუნის ძეგლი ხელნაწერი, რომლის ავტორად ქანანელის დასახელება დღესდღეობით უარყოფილია. ამ ხელნაწერი კარაბადინების ტექსტების შედარებით ცდილობს ბატონი ბიძინა დაასაბუთოს ტექსტობრივი სხვადასხვაობა XX საუკუნეში გამოცემული რუსულენოვან ფარმაკოპეასთან, (აქვე განვმარტავ, რომ სხვა ენაზე გამოცემული სახ. ევროპული ფარმაკოპეები ბატონ ბიძინას ტექსტობრივი ანალიზის ჩატარების მიზნით ჯერჯერობით ხელში, საერთოდ არ აუღია! **ს.ს.**) და რადგანაც სხვადასხვაობა 900 და 400 წლის წინათ შედგენილ ქართულ ხელნაწერებსა და რუსულ ენაზე გამოცემულ XX საუკუნის სახელმწიფო ფარმაკოპეის მახასიათებლებს შორის სხვადასხვაობა ნახა, აქედან აკეთებს დასკვნას: XX ს-ის სახ. ფარმაკოპეა და შუა საუკუნეების ხელნაწერი კარაბადინების ტექსტების ანალიზით ირკვევა, რომ სხვადასხვა შინაარსის წიგნებია და მახსიათებლები ერთი და იგივე ნამდვილად თურმე არ არის! ამიხსნას ვინმე პირუთვნველმა კაცმა, მე რა შუაში ვარ? ეს რომ ასე იქნება, ამაში ვინ ედავება ბატონ ბიძინას? რა თქმა უნდა, სხვა ტექსტით და იდეებით იქნება დაწერილი XX საუკუნის სახ. ფარმაკოპეა და სულ სხვა არქიტექტონიკისა იქნება შუა საუკუნეებში შედგენილი ხელნაწერი კარაბადინების ტექსტების და მახასიათებლების შედარებების შედეგები. ძალიან სახიფათოა ასეთი შედარებითი ტექსტუალური ანალიზი და, თუ ამას ვერ გრძნობს ჩვენთან მოპაექრე ოპონენტი, კეთილი ინებოს, აღიაროს, ეს მთავარი რომ გამორჩა მხედველობიდან: შუა საუკუნის კარაბადინის ტექსტები პირდაპირ მიუთითებს: „აქა დაიწყების კარაბადინი, რომელიც მოიცავს კაცთა ყველა ჭირის სამკურნალოდ წამლების მომზადების წესებს, თავის თმითგან ვიდრე ფეხისა ფრჩხილებამდეო“. რა თქმა უნდა, იგი მოიცავდა ზოგადად მედიცინის ყველა დარგს: ჰიგიენის, გინეკოლოგიის, თერაპიის, ქირურგიის, ოტორინოლონგოლოგიის, ზოგადად ყველა შინაგან თუ გარეგან სნეულებების სამკურნალო მეთოდებს. მომდევნო შუა საუკუნეებში ფარმაკოპეებიც და კარაბადინებიც მეფე ლირივით გაძარცვული აღმოჩნდა, ვითარცა „ლირი ყველასგან მიტოვებული“ და სახ. ფარმაკოპეას: დარჩა მხოლოდ ის მახასიათებლები, რომელსაც ბატონი ბიძინა ჩამოთვლის XX ს-ის ფარმაკოპეის მახასიათებლების სახით. თუმცა მთავარი მაინც გამორჩა მხედველობიდან: სიტყვა-სიტყვით რა არის „ფარმაკოპეა“? VII, VIII, IX და X გამოცემა ფარმაკოპეებს შორის განსხვავება ძალიან დიდია და რა მოხდებოდა, რომ შუა საუკუნეების კარაბადინებსა და XX საუკუნის სახ. ფარმაკოპეის რედაქციებს შორის იყოს სხვადასხვაობა? და, თუ არის, განსხვავებები რა თქმა უნდა, ეს ბუნებრივია, მაგრამ ჩვენ ხელთ უნდა ავიღოთ XX საუკუნის 70-იან წლებში გამოცემული ისლამური ინგლისურენოვანი ფარმაკოპეის ტექსტი ლევინის რედაქციით და იქ წავიკითხავთ, რომ „როგორც შინაარსობრივად, ასე

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით და ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიურ ინსტიტუტებში

სამეცნიერო კონსულტანტები:

— **ირაკლი ივანეს ძე თოფურია,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

— **შუშანა ხუსეინის ასული ფუტკარაძე** — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ექსპერტი:

— **გივი სიმონის ძე თურმანაული,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები:

1. **რამაზ მიხეილის ძე შენგელია,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

2. **ბაადურ ქრისტეფორეს ძე რაჭველიშვილი,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

3. **ჯანგირ ალექსანდრეს ძე მამალაძე,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

წამყვანი ორგანიზაცია — თბილისის ექიმთა დიპლომის შემდგომი გადამზადების სამედიცინო აკადემია.

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის "29" 06 14⁰⁰ სთ-ზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შექმნილი ერთჯერადი სადისერტაციო საბჭოს m 07.10 c N1 სხდომაზე (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 33)

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის "7" 05

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი ნ. გონგაძე

ამ საბუთით ირკვევა, რომ პროფ. რამაზ შენგელია ოფიციალური ოპონენტი იყო რამაზ სურმანიძის დისერტაციის დაცვისას, ამიტომ ვალის გადახდის მიზნით რ. შენგელიას დავალებით რამაზ სურმანიძემ უარყო კარაბადინისა და ფარმაკოპეის იდენტურობა და დაწერა არაკვალიფიციური რეცენზია ჩემს წინააღმდეგ და უძველესი ფარმაკოპეის თარიღად რუსული სახელმწიფო სამხედრო ფარმაკოპეა აღიარა XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასტამბული, ეს მაშინ, როცა შუმერული და ეგვიპტური ფარმაკოპეები ქრისტეშობამდე 2300 და 2000 წლის წინანდელად ითვლება. ეს თარიღი მედიცინის ისტორიაში ნორმაა.

ტერმინოლოგიის თვალსაზრისით საქმე გვაქვს ორ სხვადასხვაენოვან სახელმძღვანელოსთან“, რომლებიც დავასახელეთ ევროპული ინტერნაციონალური ტერმინის თვალსაზრისით: „ფარმაკოპეა იგივეა, რაც აღმოსავლეთმცოდნეობის ლექსიკონური განმარტებების თვალსაზრისის კარაბადინები ანუ აკრაბედინები“. ეს მე თვითკრიტიკულად გადავამოწმე ისეთ ცნობილ აღმოსავლეთმცოდნესთან, როგორიც ბრძანდება პროფ. გოჩა ჯაფარიძე. თუ ბატონ ბიძინას ეს არ სჯერა, წავიდეს ეგვიპტეში, სადაც ამჟამად ბატონი გოჩა საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩია, პირამიდებსაც ნახავს და იმაშიც დარწმუნდება, რომ უცხო სიტყვათა განმარტებების ერთადერთი საშუალება დღემდე მეცნიერებაში მხოლოდ და მხოლოდ ლექსიკონია, რომ არაფერი ვთქვათ კონტექსტების დეტალურ შედარებით ანალიზზე! ასე, რომ სოკრატ სალუქვაძე უარგუმენტოდ გარეშე საზოგადოებრივ სამსჯავროზე გადაუმოწმებელ საკითხებს არავითარ შემთხვევაში არ გამოიტანს! დავიჯეროთ ერთი რამ, შუა საუკუნეებში, როცა კარაბადინებს დაავადებათა კომპლექსური მკურნალობის თვალსაზრისით უნივერსალური მოთხოვნები ჰქონდა წაყენებული „კაცთა ყველა ჭირის სამკურნალოდ“, მაშინ, ბუნებრივია, კარაბადინების რედაქციები მოიცავდა მედიცინის ყველა დარგის ელემენტებს, **მაგრამ მაინც საერთო ტექსტის 60%-ზე მეტი კარაბადინებში წამალთფირმების მომზადების, ანუ ფარმაკოლოგიურ საშუალებათა დამზადების ფარმაკოპეულ რეკომენდაციებს ჰქონდა დათმობილი. ეს აქსიომა პროფესორ-აკადემიკოსს, რომელსაც ხელთ უპყრია თითქმის 65 წლებზე მეტ ხანს სახ. ფარმაკოპეა, ვერაფრით ვერ შევასმინე, ბაგრატიონთა სამეფო კარზე სამედიცინო საზრისის წევრებისათვის რა დანიშნულებასაც ასრულებდა ხელნაწერი კარაბადინები! იგივე ფუნქციას, იგივე დანიშნებას ასრულებს დღეს წამლების ფორმების მომზადების წესების სარეკომენციო იურიდიული კოდექსების წიგნი-ფარმაკოპეა!** შუა საუკუნეებში, რა თქმა უნდა შექმნილი არ იყო უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმი**! ეს იცის ჩვენმა ბიძინამ, მაგრამ თავისი თავი ბრძოლაწაგებულის ამპლუაში არ უნდა რომ წარმოგვიდგინოს, ამიტომ რაც შეიძლება ჭირვეულობს და ჭირვეულობს, პატივს არ სცემს იმ სამეცნიერო ტიტულებს და ხარისხებს, რომლებსაც იგი ფლობს, ალბათ, იმდენს ვეღარ ხვდება, რომ ასეთი პრიმიტიული მსჯელობა არაკვალიფიციური, შეზღუდული აზროვნების შედეგია, შეუფერებელია მეცნიერების დოქტორისა და პროფესორისათვის (!). ეს იყო ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, როცა ორმა დოქტორმა და ერთმა მეცნიერების კანდიდატმა ერთდროულად შემომიტიეს, მაგრამ მე, რიგითმა პროვიზორმა, სამეცნიერო ხარისხის იმჯერად არ მქონემ, საკადრისი პასუხი გავეცი სამთავეს! მაპატიეთ, რომ ამას კვლავ ვიმეორებ.

ძვირფასო მკითხველო, თქვენც განსაჯეთ, როცა სამი კაცის ჭკუას მე ერთადერთი შევრჩი ხელში და სამთავეს ბრძოლა მოვუგე წარმატებით, როცა ოპონენტებმა თავი დამარცხებულად იგრძნეს, მაშინ სხვა რედაქციებში მოისურვეს კვლავ ცილისმწამებელი რეცენზიების დაჯღაბნა! ისე, რომ ჩემთვის კვლავ არ მოეცათ პასუხის გაცემის საშუალება,

რაც ცალ კარში, თამაშს მოგვაგონებდა. ამის შესახებ მე ზემოთ უკვე მოგახსენეთ, ტავტოლოგია აღარ არის საჭირო, მაგრამ... ამჯერადაც ასე უნდათ – უპასუხოდ დავთმო ეს უაღრესად უსუსური და ულოგიკო რეცენზია. ასე მაგალითად: ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, ქალბატონმა ლიანა სამყურაშვილმა დაწერა მეცნიერისათვის ასეთი შეუფერებელი ფრაზა: „რა საჭიროა კარაბადინების ლექსიკოგრაფიული განმარტება, კარაბადინი რომ კარაბადინია, ეს ისედაც ყველამ კარგად იცისო“ (ყველამ ისედაც კარგად როგორ იცის, ამას ქვემოთ მოგახსენებთ, **ს.ს.**)! რის საპასუხოდ ქალბატ. ლ. სამყურაშვილს ასეთი პასუხი გავეცი: „პალეოგრაფისტ-პროფესიონალს არაპალეოგრაფისტი მკვლევარისგან პროფესიული, ობიექტური პრეტენზიების და ბრალდებების წაყენება, ანუ კარაბადინების ლექსიკოგრაფიული განმარტება თუ არ იყო აუცილებელი და არ არის საჭირო? თქვენ ამაოდ დამაშვრალხართ თბილისიდან ბეირუთამდე და პირიქით! (ამ ქალბატონმა უმაღლესი განათლება ბეირუთში მიიღო და განმარტებით ლექსიკონებზე უმდაბლესი წარმოდგენაც კი ვერ შეიძინა! **ს.ს.**)“. მაშასადამე, ამ „სპეციალისტმა“ ხელის ერთი მოსმით უარყო აღმოსავლეთმცოდნეთა ლექსიკონები და კვალიფიკაცია,თვით ხელნაწერეთა ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის, აწ განსვენებულ პროფ. ილია აბულაძის განმარტება, რომელიც თანდართულია „სამკურნალო წიგნი-კარაბადინის“ მეორე ნაწილის 1950 წლის პუბლიკაციის 478-ე გვერდზე. აქვეა გამოქვეყნებული ასეთი განმარტება: **„კარაბადინი“ 11,37 სამკურნალო წიგნია (საბა), წამლეულობის წიგნი – ფარმაკოპეა (ფარმაცევტული პრეპარატების დამზადების საშუალებათა აღწერა)“.** ეს არ ესმის აღმოსავლეთმცოდნე ქალბატ. ლიანა სამყურაშვილს და ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ სულხან-საბა ორბელიანს თურმე რომ არ შეედგინა თავისი „სიტყვის კონა“ და იქ არსებული განმარტება: „კარაბადინი“ უცხო სიტყვაა, ქართულად მას სამკურნალო წიგნი ჰქვია“. ეს თურმე საჭირო არ ყოფილა, რადგანაც ქალბატ. ლიანა სამყურაშვილს თუ დავუჯერებთ, „რა საჭიროა კარაბადინის ლექსიკოგრაფიული განმარტება, ეს ისედაც ყველამ კარგად იცის „კარაბადინი რომ კარაბადინია“! „სპეციალისტის“ უმეცრებანი და უვიცობანი სადამდე შეიძლება მივიდეს? ასეთი რამ ჯერჯერობით არსად შემხვედრია ქალბატონი ლიანა ხელის ერთი მოსმით სპობს, აცამტვერებს ლევინის რედაქციით გამოცემულ ისლამურ საერთაშორისო ენციკლოპედიურ ლექსიკონს, საუბარი აღარ არის, იაგელოს, ბარანოვის, რუბინჩიკის, ასლანიანის, შუბოვის და სხვათა მიერ შედგენილ განმარტებით ლექსიკონებზე (!) დიპლომატებს, ელჩებს, მეცნიერებს, ლექსიკოგრაფებს განმარტებითი ლექსიკონები თურმე აღარ სჭირდებათ (კარგად დავიმახსოვროთ სულხან-საბას განმარტებითი ლექსიკონი, იგი ბატ. ბიძინასთან პაექრობისას დაგვჭირდება. **ს.ს.**). კომენტარები რომ არ გავაგრძელო, ისედაც ყველაფერი ნათელია, რა განზომილების მეცნიერ-ოპონენტთან გვაქვს საქმე, მაგრამ სარედაქციო საბჭოს წევრების სახელით გამოქვეყნებულ სტატიაში 8 მახასიათებელი მოაქვს XX საუკუნეში დასტამბულ სახ. ფარმაკოპეის რედაქციიდან ბატ. ბიძინას და

მთავარს ტოვებს მახასიათებლების გარეთ, რომელია იგი? „ფარმაკონ“ წარმომავლობით ეგვიპტურია, დღეს ბერძნული სიტყვაა და „წამალს“ ნიშნავს, ხოლო „ჰოიაო“ ბერძნულია და ნიშნავს „ვეკეთებ“. ე.ი. „ფარმაკოპეა“ თავიდან ბოლომდე ელემენტარული ლექსიკოგრაფიული განმარტებით სიტყვა-სიტყვით ‘წამლის კეთებას“ ნიშნავს. ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს, რომ წამლის კეთება თუ დამზადება გამიზნულია ავადმყოფების გამოსაჯანსაღებლად და მიუხედავად ამისა, ბატ. ბიძინას თუ დავუჯერებთ, „ფარმაკოპეას“ – სამკურნალო წიგნი რომ ვუწოდოთ, ეს დანაშაულია? ასეთი მსჯელობა, მისი მხრიდან, აბსურდია, არაკვალიფიციური მსჯელობაა? იქნებ აგვიხსნას ვინმე კაცმან პირუთვნელმან, თუ ფარმაკოპეა გვაძლევს რეკომენდაციას წამლის დამზადების შესახებ და ეს წამალი ავადმყოფს ენიშნება გამოჯანსაღების მიზნით, მაშინ რა ყოფილა ფარმაკოპეა? ვპასუხობ: წიგნი, რომელიც მიგვითითებს, როგორ გავამზადოთ წამლის ფორმა, რომელიც მიგვითითებს ერთჯერად დოზაზე, სადღედამისო დოზაზე ამავე დროს – მკურნალობის ხანგრძლივობაზე, ასეთ წიგნს ქართულად (ბერძნული ენიდან ზუსტი თარგმანის საფუძველზე) ქართულად **სამკურნალო წიგნი** ჰქვია და ეს სკოლის მერხის პროგრამა 80 წელს გადაცილებული მეცნიერის ცნობიერებამდე როგორ დავიყვანო, მეთოდი ვერ მომიძებნია! იქნებ, ჩემო მკითხველო, თქვენ მიშველოთ?

სტუდნეტებს უკითხავენ ლექციებს ქართული რედაქციით შედგენილ კარაბადინებზე და ლექციის წამკითხველმა პროფესორმა არ იცის სამკურნალო წიგნი, კარაბადინი და ფარმაკოპეა იდენტური ცნობები რომ არის, აქაც უგულებელყოფენ ლექსიკონით სარგებლობას, არ იციან, ვერ არჩევენ ერთი მეორისაგან იმუნიტეტს, მიკრობიოლოგიურ ფენომენს ფარმაკოლოგიური პროცესის ადაპტაციისაგან, წერენ მონოგრაფიებს ძველი კოლხური მედიცინის ისტორიაზე და გერმანელ პროფ. კურტ შპრენგელს აბრალებენ, თითქოს მას ეკუთვნოდეს ტერმინის **„კურა მედიანას“** შემოტანა მედიცინის ისტორიაში, ეს მაშინ, როცა „კურა“ ნიშნავს კურნებას და „მედიანა“ ‘**საშუალოს**“. ასეთ შეფასებას საერთო არაფერი აქვს კოლხელი მედეას სამედიცინო მემკვიდრეობასთან. ეს რომ დავწერო რომელიმე საერთაშორისო ჟურნალში, ხომ მოგვეჭრა თავი ევროპის დონეზე, ქართველი მედიკოსები სამედიცინო ტერმინოლოგიაში ვერ ერკვევიანო. ამას მე არ გავაკეთებ, მაგრამ თუ მაიძულებთ, თქვენ ხომ არც ერთი დასანდობი ხართ, ამას იმსახურებ, მაგრამ მე სამშობლოს ღალატზე ხელს ვერ მოვაწერ. ჰოდა, დაფიქრდით, რას ჩადიხართ?

საერთოდ, რა შეიძლება ითქვას? ორი წლის წინ თხოვნა-წინადადებით მივმართე ხელნაწერთა ინსტიტუტის ადმინისტრაციას იმის თაობაზე, რომ XIII საუკუნის დასაწყისით დათარიღებული ავერო სის „წიგნი სააქიმო “ თარგმნა ხოჯაყოფილმა (1206 წ.). ამ ნათარგმნი ტექსტის დედანი დღეისათვის არ არსებობს, მაგრამ წინამდებარე ხელნაწერი გადაწერილია XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე. ხელნაწერის VI გვერდს ამშვენებს ფაქსიმილური ავტოგრაფი **„არქიმანდრიტი გერმანე“**. ხელნაწერის ვარიანტი ქართული დამწერლობის ნუსხა-ხუცურითაა შესრულებული. რა თქმა უნდა, ქართული დამწერლობის ამ ვარიანტით ძირითადად საეკლესიო მედიცინის წარმომადგენლები და ბერ-მონაზვნები

სარგებლობდნენ, ხოლო „**<u>არქიმანდრიტი</u>**“ ეკლესიის წინამძღოლს ნიშნავს! **<u>ვინ იყო, არქიმანდრიტი გერმანე,</u>** რომლის წყალობითაც ამ ხელნაწერის ერთადერთმა ვარიანტმა მოაღწია ჩვენამდე?

მე კარგად ვიცნობ ჩემს ტენდენციურ ოპოზიციას, რომელიც თეთრის შავად მოჩვენებას ცდილობს ჩემი გამოკვლევების კომენტარების წარმოებისას, ამიტომ სიფრთხილეს გამოვიჩენ და თუ 100%-იანი არგუმენტი არ მაქვს ხელთ, პირველი წყაროს სახით, არავითარ შემთხვევაში ასეთ მოსაზრებას სიახლეების სახით საზოგადოებრივ სამსჯავროზე არ გამოვიტან! წავიკითხე თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომი, ასევე „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომი. ამ პუბლიკაციებში ვნახე ისტორიული წყაროები, რომ 1472 წელს მოღვაწეობდა ოქროპირ მაღალაძე და მას ჰყავდა სამი ვაჟიშვილი - მახარებელი, ზოსიმე და ალექსანდრე. ამ წყაროში შეცდომაა დაშვებული. მახარებელ ოქროპირიძე მაღალაძის ოთხი შვილი – გერმანოზი, მარკოზი, ეგნატი და დიმიტრი წარმოდგენილია ოქროპირის ვაჟიშვილებად. ამ შეცდომის გასწორების საშუალებას იძლევა აკადემიკოს ისიდორე დოლიძის რედაქტორობით გამოცემული „ქართული სამართლის ძეგლების“ მესამე ტომში, საბუთი № 36, 1470 წლით დათარიღებული: **<u>„წყალობის წიგნი „დავით კათოლიკოზისა მახარებელ მაღალაძისადმი“</u>**. წიგნის 214-215-ე გვერდებზე ვკითხულობთ: „**<u>თქვენ მაღალაძეთა მღვდელსა მახარებელსა და თქვენთა შვილთა: გერმანოზს, მარკოზს, ეგნატის და დიმიტრის</u>** (არ აქვს ამ საბუთს რაიმე დასაეჭვებელი და უდავოა, რომ ეს ასეა, დავძენთ, ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლა სახიფათოა (ეს არ ესმის ჩემს ოპონენტს! **ს.ს**).

XV საუკუნის მეორე ნახევარში 1470 წლის შემდეგ გერმანოზი, იგივე გერმანე ხომ შეიძლება, სასულიერო პირი, ეკლესიის წინამძღოლი – **<u>არქიმანდრიტი</u>** გამხდარიყო? აქვე მოგახსენებთ, რომ მამამისი მახარებელი აქამდე, ზაზას სამკურნალო წიგნის - კარაბადინის მექანიკური გადამწერად იყო აღიარებული, თანაც „ივანიასძედ“ მხოლოდ იმიტომ, რომ უმემკვიდრეოდ გადაშენებულია. (1391 წლიდან) ივანიძეების სამართალმემკვიდრეებად და მათი ადგილ-მამულის ჩამბარებლები მაღალაძეები იწოდებოდნენ „ახალ ივანიასძეებად“. ამიტომ ჩემს წინამობედ მკვლევარებს, „ივანიასძე“ - გვარი ივანიძეებისა მახარებლის მამის სახელად წარმოიდგინეს, რაც ამ პირველწყაროში საქმის ვითარების სწორად ამოუკითხაობის გამო მომხდარი შეცდომა იყო, თორემ 1472 წლით გაცემულ საბუთში მახარებლის მამის სახელი ოქროპირი გახლავთ, ესეც მე გავარკვიე. **<u>ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ხელნაწერი კარაბადინი Q ფონდი № 877 მკურნალმა ზაზამ რომ დაწერა და შემდეგ გადასაწერად გადასცა მახარებელ მაღალაძე, ასეთი დოკუმენტი არ არსებობს! ჩენამდე ამ ხელნაწერის ერთადერთი ვარიანტია მოღწეული და მას არა თუ პირი, ასლიც არ გააჩნია, ვკითხულობ სახალხოდ: როგორ შეიძლება მახარებელი, მხოლოდ მჩხრეკალ-გადამწერად წარმოვიდგინოთ,</u>** როცა ამ საქმეს ნათელი მოეფინა ჩემს მიერ ჩატარებული ექსპერტიზით - ფანიაშვილების სიგელ-

გუჯარის ტექსტთან შედარებით: 1008 გვერდი მახარებელს ეკუთვნის ზაზას კარაბადინად მიჩნეული ხელნაწერის 1368 გვერდიდან? მაპატიეთ, მაგრამ ყველა ჩემი წინამორბედი მკვლევარის შეცდომებს მე როგორ გავასწორებ? ასეთი განცხადება ტრაბახში არ ჩამომართვათ, ასეა და რა ვქნა, რამდენი შეცდომა გავასწორე, მაგრამ ბატონ ბიძინას ვერ შევასმინე, რომ მე მხოლოდ საბუთებით ვსაუბრობ და დასკვნებსაც საბუთებით ვაკეთებ!

ზემოთ მითითებული წყაროებით ვამტკიცებ, რომ გერმანე მაღალაძე XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა. „წიგნი სააქიმო ს“ ხელნაწერი ამ საუკუნეების ხელნაწერ ძეგლად არის მიჩნეული ხელნაწერთა ინსტიტუტის ცნობარში და რადგანაც ეს ასეა, ამიტომ ყური დამიგდეთ და მოგახსენებთ შემდეგს:

1. არქიმანტრიტის თანამდებობა მაღალაძეებს მემკვიდრეობით ერგებოდა,
2. „წიგნი სააქიმო ს“ VI გვერდზე ვკითხულობთ: „არქიმანდრიტი გერმანე“.
3. ზემოთ მითითებული ორი წყაროდან ვადგენთ, რომ გერმანე - გერმანოზი მახარებლის უფროსი ვაჟიშვილია.
4. ვიცით, რომ ნუსხა-ხუცურით წერდნენ სასულიერო პირები.
5. ვიცით, რომ ზაზას ხელნაწერად აღიარებული კარაბადინის 1008 გვერდი გერმანოზის მამის მახარებლის დაწერილია - ამას წყალი არ გაუვა. ეს ჩემს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგებია მახარებლის ავტოგრაფის მიგნების საფუძველზე. იგი გაცემულია 1491 წელს, მაშასადამე, ამ დროს მახარებელი სამეფო კარზე მოქმედი მდივან-მწიგნობარია (გთხოვთ გაითვალისწინოთ, ამ დროს სათვალე საქართველოში არავის ჰქონდა, არავინ ატარებდა, ასეთი ოპტიკური იარაღი პირველად ღრმად მოხუცებულ ერეკლე II-ს ჩამოუტანეს ევროპიდან, ამას მოგვახსენებს პროფ. დ.მეგრელაძე. **ს.ს.**).
6. ხომ შეიძლებოდა ქადაგს, ჯვარისმტვირთველს და მღვდელს, სასულიერო პირს მახარებელს, უფროსი ვაჟიშვილისათვის, გერმანოზისთვის ესწავლებინა ნუსხა-ხუცურით წერა-კითხვა და გერმანეს მოეხდინა „წიგნი სააქიმო ს“ გადაწერა, იმ ერთადერთი ვარიანტისა, რომელმაც ჩენამდე მოაღწია? ამიტომ ხელნაწერთა ინსტიტუტის ადმინისტრაციაში შევიტანე განცხადება დახმარებისათვის, რომ იქნებ მეცნიერ-თანამშრომლებს ხელში ჩაუვარდეთ გერმანე მოხარებელისძე მაღალაძის ავტოგრაფი ნუსხა-ხუცური ვარიანტი, ამის შემდეგ დავსხდეთ ერთად და მოვახდინოთ გერმანეს ავტოგრაფის შედარება „წიგნი სააქიმო ს“ იმ ერთადერთ ვარიანტთან, რომლის გარდა ჩვენ ხელთ აღარ არის ამ ძეგლის სხვა ვარიანტი, თუნდაც ის, რომელიც ხოჯაყოფილმა 1206 წელს ჭყონდიდელის დავალებით თარგმნა. ამიხსენით, ძვირფასო და ობიექტურო მკითხველო, საკითხის ასეთ ჭრილში დაყენება დანაშაულია? არა მგონია, ამისათვის ლანძღვა-გინება და ჟურნალის ფურცლებზე ორი ოპონენტის 5-გვერდიანი ტენდენციური რეცენზიის

მოძღვნა **<u>(პროფ. რამაზ სურმანიძის და ფილ.მეც.კანდიდატ ლია სამყურაშვილის)</u>**

– მეკუთვნოდა?

საქმე თურმე სულ სხვაგვარად ყოფილა!

გამოაშკარავდა, ჩემი კოლეგები და ჟურნალ "ფარმაცევტული მაცნეს" სარედაქციო საბჭო ჩასაფრებული მყოლია პროვოკაციული რეცენზიის გამოქვეყნების მიზნით და 5-გვერდიანი ტექსტით ჟურნალში ორმა ავტორმა შემომიტია ერთდროულად! დიდი ბრძოლა დამჭირდა, ორი ტენდენციური ოპონენტისათვის 5-გვერდიანი ცილისწამების საზღაურად ორ გვერდზე შემოკლებული და შემჭიდროებული პასუხი გამეცა! გამოდის, რომ ჩემი კოლეგები მებრძვიან რედაქციის საშუალებით და ჩემს პროვოცირებას არ ერიდებიან. ის-ის იყო, დოდის ცხენივით პირში ლაგამი ამოვდე ჩემს პროვოკატორ ოპონენტებს, რომ კვლავ ამ რედაქციაში გამოჩნდა **<u>'სარედაქციო საბჭოს</u>**" ხელმოწერით ბ-ნ ბიძინა ჭუმბურიძის ნაცოდვილარი, ისე რომ პასუხის გაცემაზე დღემდე ხელს მიშლიან და მოიგონეს კომუნისტური მთავლიტის მეთოდებით ობსტრუქციონიზმი, სიმართლის თქმაში ხელის შეშლა და ხაზოგადოებას წაართვეს ობიექტურად იმის განსჯის საშუალება, რომ გამოქვეყნებული პასუხით გარკვეულიყო, ვინ რითი სუნთქავს და რეცენზია ობიექტურია თუ აშკარა ცილისწამებაა? ერიჰაა!!! მე ხელთ მიპყრია ბატონ რამაზ სურმანიძის სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი – მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია 07.00.10. გრიფი - მედიცინის ისტორია, რომლის ოფიციალური ოპონენტები ბრძანდებოდნენ:

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ შენგელია

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბაადურ რაჭველიშვილი და

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯანგირ მამალაძე.

ბატონი რამაზ სურმანიძე, რაც თავი მახსოვს, ჩემი გულითადი მეგობარი იყო და არის, მაგრამ ჟურნალ „ფარმაცევტულ მაცნეში" დაწერილი ულოგიკო რეცენზია ჩემს წინააღმდეგ „ხელმა ხელი დაბანა და ორივემ პირიო" წაქეზებით ყოფილი ოფიციალური ოპონენტის, პროფ. რამაზ შენგელიას კარნახით უნდა იყოს დაწერილი. არც იმას გამოვრიცხავ, ქალბატონ ლიანა სამყურაშვილის „რეცენზიაც" დაკვეთით იყოს ჩემს წინააღმდეგ გამოქვეყნებული, მაგრამ რა დაამტკიცა თითოეულმა მათგანმა, გარდა საკუთარი უვიცობისა?

ჩემს საწინააღმდეგო ცილისწამებაზე რატომღაც მთავლიტის დასკვნა საერთოდ არ იყო საჭირო, პასუხზე კი მთავლიტია საჭირო? დავბრუნდით კომუნისტურ წყობაში? ეს ხომ ეწინააღმდეგება ჰელსინკის კავშირის, პარიზის ქარტიას და ჟენევის კონვენციას სიტყვის თავისუფლებაზე?

პასუხი ისედაც დიდი მოცულობის გამომივიდა, მაგრამ ბატონი ბიძინა ჭუმბურიძის კვალიფიკაციის შესახებ უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას წამალთმცოდნეობისა და მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით, მოვიყვან მისი ინიციატივით სარედაქციო საბჭოს სახელით გამოქვეყნებული რეცენზიიდან XX საუკუნის სახ. ფარმაკოპეის და

შუა საუკუნეების კარაბადინების მახასიათებლების ურთიერთ შედარებას. ეს ხომ აბსურდია, თუნდაც იმიტომ, რომ წარმოუდგენელია თანამდეროვე სახ. ფარმაკოპეების ტექსტები და შუა საუკუნეების ხელნაწერი კარაბადინების მახასიათებლები (მათ შორის რამდენიმე საუკუნეა სხვაობა) ურთიერთს დაემთხვეს! (**ს.ს.**!!!) თანაც სიტყვა „ფარმაკოპეა“ პირდაპირი თარგმანით ბერძნულიდან ქართულად „წამლის კეთებას“ რომ ნიშნავს, ეს განზრახ ან უვიცობის გამო გამოტოვა? აქვე აღვნიშნავ, რომ საჰელისა და თალმიდის კარაბადინები (განსაკუთრებით – თალმიდის. **ს.ს.**) სანიმუშო იყო სახელმძღვანელოდ არაბეთის ყველა აფთიაქისათვის! რატომ? თუ კარაბადინების მიხედვით არ ამზადებდნენ არაბეთის აფთიაქებში წამლის ფორმებს? ბატონ ბიძინას მაინც ვერ დავაჯერე, შუა საუკუნეებში კარაბადინები ფარმაკოპეის ფუნქციას რომ ასრულებდა.

ოპონენტი ბ. ჭუმბურიძე ერთი მეორისაგან ვერ არჩევს ქართული კარაბადინების ავტორს და მთარგმნელს, რაც იმას ნიშნავს, სტუდენტმა ფარმაცევტულ ფაკულტატურზე ვერ გაარჩიოს ერთი მეორისაგან მჟავა და ფუძე და მატრიკულში მაინც მაღალი ნიშნის ჩაწერის პრეტენზია გააჩნდეს! აკადემიკოსი და პროფესორი წერს: **„კარაბადინის ავტორები“** და შემდეგ პირველი დასახელებულია „**ხოჯაყოფილი**“! ახლა ჩავიხედოთ ექიმ ლადო კოტეტიშვილის გამოკვლევაში: „მედიცინა ძველი საქართველოში, XIII საუკუნე“, რომელიც აპარატის სახით თანდართულია 1936 წელს გამოცემული „წიგნი სააქიმო “ მეჩვიდმეტე გვერდიდან 45-ე გვერდამდე. ამ გამოკვლევის XXIII გვერდზე საქართველოს მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელი ექიმი ლადო კოტეტიშვილი წერდა: ‘წინამდებარე „წიგნი სააქიმო “ ეკუთვნის ავერო სს და წარმოადგენს მისი შესანიშნავი შრომის თავისუფალ თარგმანს, ანუ უკეთ - განცხადებას ქართულ ენაზე“. ავერო სი გაქცეულა ქ. ფეცში, ჩრდილოეთ აფრიკაში, მაროკოში. მისი გარდაცვალების წლად 1206 წელია დასახელებული. სწორედ ამ წლით თარიღდება (1206 წ.) არაბულიდან ქართულად ხოჯაყოფილის მიერ ხელნაწერის თარგმნა. მსოფლიო მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელი გერმანელი პროფ. კურტ შპრენგელი „წიგნი სააქიმო ს“ ავტორად ავერო სს თვლიდა. ძვირფასო მკითხველო, ღირს პოლემიკის გაგრძელება იმ ოპონენტთან, რომელიც „წიგნი სააქიმო ს“ ავტორად ხოჯაყოფილს მიიჩნევს, და ავტორს და მთარგმნელს კი ვერ არჩევს ერთი მეორისაგან? მაპატიეთ, მაგრამ მე პროფ. კ. შპრენგელის და ექიმ ლადო კოტეტიშვილის უფრო მჯერა. აკადემიკოს ბიძინა ჭუმბურიძეს მთელი ცხოვრების მანძილზე სხვისი შრომების გადაწერის და პლაგიატობის მეტი არაფერი გაუკეთებია. რას წერს „წიგნი სააქიმო ს“ ავტორი ხოჯაყოფილიაო“. ეს უმეცარი შეცდომა რედაქციას და „სარედაქციო საბჭოს“ მაინც ხომ უნდა გაესწორებინა, რომლებიც, როგორც ჩანს, ჩემი ‘**შეცდომების**“ მხილებით არიან დაინტერესებულნი და თუ რაიმე საეჭვო ნახეს, წინასწარ, ნაადრევად ზეიმობენ! მაგრამ რომ არ გამოსდით? თავი რომ არ შეგაწყინოთ, აქვე მოვიყვან ციტატას **‘შინაარსობრივად ფარმაკოპეაზე გაცილებით მეტის მომცველია კარაბადინი“** და შემდეგ **„იმის მტკიცება, რომ „კარაბადინი ფარმაკოპეის იდენტურია, ნამდვილად**

<u>უსაფუძვლოა და რეალურად „კარაბადინის“ დაკნინება გახლავთ“...</u> შემდეგ თვითონვე მისულა ბატონი ბიძინა ჭეშმარიტებამდე: **<u>„არა გვგონია, რომ ასეთ მტკიცებებს რაიმე სიკეთის მოტანა შეეძლოსო“</u>**, კარგია, თუ ამ დასკვნამდე საკუთარი ჭკუით მიბრძანდით, ჩვენო **<u>‘მოძღვარო“,</u>** ბატონო ბიძინა!

ბუნებრივია, ობიექტური მკითხველი იკითხავს, რაშია საქმე: პროფ. ბ. ჭუმბურიძისა და წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების მკვლევარ სოკრატ სალუქვაძეს შორის ოდესმე ხომ უნდა დამთავრდეს ეს გაუთავებელი პოლემიკა? უფრო სწორად, გაუთავებელი მტრობა! შეძლებისდაგვარად ასეთნაირად ვპასუხობ: ჯერ კიდევ 1978 წლის 8 ივნისს პროფ. ბ. ჭუმბურიძე სათავეში ჩაუდგა ჩემი სადისერტაციო ნაშრომის წართმევას, დაიხმარა ამ საქმეში ფარმაცევტული ქიმიის კათედრის ყოფილი გამგე, პროფ. ა. მშვიდობაძე. თვითონ პლაგიატ დისერტანტს, ნ. გოგიძეს კონსულტანტად დაუდგა და თავისი პროვილეგირებული მდგომარეობით მიითვისა ჩემს მიერ მოფიქრებული საინტერესო დისერტაბელური თემა ჩვენს ქვეყანაში ფარმაცევტული ინდუსტრიის განვითარების თაობაზე! ასეთი რესპუბლიკური გაერთიანების შექმნის შემდეგ, ქართველ სტუდენტებს ევროპის დემოკრატიულ ქვეყნების ფარმაცევტული მრეწველობის ქარხნების საამქროებში აღვზრდიდით. ისინი იტყოდნენ თავიანთი კვალიფიკაციით გადამწყვეტ სიტყვას საქართველოში ფარმაცევტული მრეწველობის აღორძინების საქმეში, მაქსიმალურად გაიზრდებოდა მზა წამლის ფორმების კოეფიციენტი და მიზანდასახულად იქნებოდა გამოყენებული მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეული; გარდა ამისა, ფარმაცევტული რესპუბლიკური გაერთიანება მოახდენდა არაერთი სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკულ რეალიზაციას და ფაქტიურად დისერტაციების დაცვა აღარ იქნებოდა რაღაც თვითმიზნური ილუზია. თუ ასე მოხდებოდა, ბატონმა ბიძინამ ამ უაღრესად ბოროტმა, ხარბმა და გონებაშეზღუდულმა, იდეურად უაღრესად ღარიბმა, დარგის ლიდერობაზე თავგამოდებულმა, უნიჭო, უნიათო პიროვნებამ ჩემი საქმიანი წინადადების უკან საკუთარი პირადი კონკურენტი დაინახა და მიზნად დაისახა ჩემი, როგორც პიროვნების სამოღვაწეო არენიდან გაქრობა და ჩაქოლვა, საერთოდ გზიდან ჩამოშორება!

მას თითქოს განგება დაეხმარა – დარგის გამორჩეული, ერთპიროვნული ლიდერი პროფ. პეტრე გელბახიანი წაიქცა. მან რექტორის თანამდებობაზე მუშაობისას შეცდომები დაუშვა და ბიძინამ უსახელო წერილების ჯღაბნის საფუძველზე საზოგადოებრივი აზრი კაი გვარიანად მოამზადა რექტორ პეტრე გელბახიანის წაქცევისათვის! ბატონ არისტარხს მე საყვარელ ძმისშვილში - ნუგზარ მშვიდობაძეში არ გამოვერჩეოდი, მან ნაკადხელად დამნიშნა და ერთგულად მზრდიდა საკუთარი პედაგოგიური გამოცდილებით! მაგრამ ჩემი თავი ათასი მაქინაციით ჩემს აღმზრდელს შეაძულა. ასეთი კაცთმოძულეობის და ადამიანთა შორის მტრობის დანერგვის დიდი ოსტატი გახლავთ პროფ. ბ. ჭუმბურიძე. დიახ, მტრობაში დიდი ნიჭი აქვს ამ გაუგონარ ფარისეველს.

ეკონომიკის ინსტიტუტში დატრიალებული ტრაგედიით პროფ. ბ.ჭუმბურიძემ არაერთ წარმატებას მიაღწია. ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა ამ ინსტიტუტის დირექტორთან, ბატონ ვალერიან მელქაძესთან, რომელიც ამავე დროს მაშინდელ მთავრობასთან დაახლოებული კაცი იყო და ამავე დროს საქ. კპცკ-თან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭოს თავმჯდომარე ბრძანდებოდა – ყოვლისშემძლე კაცი! ეს ერუდირებული პიროვნება მე მეხმარებოდა ფარმაცევტული თუ სამედიცინო სამრეწველო გაერთიანების შექმნაში. ამისათვის ორი თანამშრომელი მომამაგრა ასეთი რესპუბლიკური გაერთიანების შექმნისათვის ეკონომიკური დასაბუთების მომზადებასა და შედგენაში, რაც იმ დროს მთავარი არგუმენტი იყო, რაიმე უწყების ჩამოყალიბებისათვის, ამის შემდეგ ამუშავდა **ბოროტი ბიძინას ზრახვები და მისწრაფებები**. დისერტაცია, რა თქმა უნდა, წამართვეს, ეს მაშინ, როცა ამ თემაზე მონოგრაფია ჩემს მიერ არის გამოცემული. თქვენვე განსაზღვრეთ, წინგის ავტორი მე გახლავართ და სამეცნიერო ხარისხის მფლობელი ეკონომიკური დასაბუთების თანამონაწილე ფსევდოდისერტანტი ნათელა გოგიძე? ამ მტკივნეულ საკითზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, მაგრამ ერთს გულწრფელად მოგახსენებთ. ამ ძარცვის შემდეგ, 1979 წელს, ბატონმა ბიძინამ მოისურვა ჩვენს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიაში წევრ-კორესპონდენტად გასვლა! თქვენვე განსაზღვრეთ, ჩემს ძარცვის ინიციატორს გავუშვებდი აკადემიაში? არა, ჩემო ბატონებო! დავწერე ერთნახევარ გვერდზე ღია წერილი – განცხადება, რომ პროფ. ბ. ჭუმბურიძის აკადემიაში არჩევა დიდი ივანე ჯავახიშვილის, აკად. ექვთიმე თაყაიშვილის, აკად. იოველი ქუთათელაძის და სხვათა საფლავების მოთხრის ტოლფასი იქნებოდა! ამიტომ არჩევნებში მონაწილე 18 მეცნიერს მივმართე, ამ კაცის აკადემიაში არჩევაზე თავი შეეკავებინათ. დავწერე ასეთი ფრაზა: „პროფ. ბ. ჭუმბურიძემ თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანის წარმოებაში დანერგა კონტრაცეპტინული ტრაცეპტინის სერიული წესით გამოშვება. ე.ი. შვედი მეცნიერის, აფთიაქარ კარლ შეელეს მიერ მიღებული ღვინის მჟავა დაატაბლეტა. ნედლეული საერთოდ არ იყო მისი მიღებული და ამ „პრეპარატზე“ ქარხანა რეკლამაციას რეკლამაციაზე ღებულობდა.

ქვევრში ხომ არ ვიჯექი? დავწერე სიმართლე ასეთი კომენტირებით: „უმჯობესი იქნებოდა, პროფ. ბ. ჭუმბურიძეს ეზრუნა ჩვენი თანამემამულეების სიცოცხლის გახანგრძლივების ფარმაკოლოგიურად ეფექტური პრეპარატის დანერგვაზე. არა თუ ემბრიონის ჩანასახშივე მოსპობისათვის თუნდაც იმ ავბედითი წარსულის საკომპენსაციოდ, რასაც ადგილი ჰქონდა მონღოლი, თურქი თუ სპარსი ასიმილატორების მხრივ. დიახ, ქართველი ხალხი დღეს უნდა გამრავლდეს, არათუ მის ჩანასახშივე მოსპობის მცდელობის პრეპარატს ვაწარმოებდეთ“. დაბოლოს ასეთი დასკვნა დავწერე: **„როგორც ჩანს, ნამდვილად გვჭირდება ემბრიონის ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება, მაგრამ წინასწარ, საშოში ვინ განსაზღვრავს, როგორც თვითონაა ასეთი ბოროტი, გარეწერი და „ჟულიკი“ რომ იბადება-მეთქი.** ამ ინფორმაციას მივაყოლე ჩემი ორი წიგნი – ერთი იმ თემაზე, რომელიც წართმეულ დისერტაციას ეხებოდა და მეორე ვარძიაში აფთიაქის არსებობის

შესახებ. ბიძინა ჭუმბურიძე კენჭისყრის ცერემონიალიდან მოხსნეს, იგი ექსორიაქმნილი, გაძევებული იქნა ისე, რომ შემდეგ აკადემიისაკენ, როგორც იტყვიან, **„პირი აღარ უქნია“,** დაავიწყდა ეროვნული აკადემიის მისამართი და ბიოსამედიცინო აკადემიაში აარჩევინა საკუთარი თავი! **ძვირფასო და ობიექტურო მკითხველებო**: ამ ფაქტის შემდეგ ეს გაბოროტებული არაკაცი ჩემს შრომებზე კარგს დაწერს რაიმეს? პირიქით, იპარავს ჩემს შრომებს. ასე, მაგალითად: მე ინტუიციური ვარაუდით კასპის და მცხეთის რაიონებში ორი აფთიაქი აღმოვაჩინე, არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე, თანაც ჩემი სახსრებით. ბატონმა ბიძინამ ექიმ ლადო აბაშიძესთან ერთად თბილისის ენციკლოპედიაში სტატია გამოაქვეყნა, საზოგადოებას ამ ორმა „გენიოსმა“ მიაწოდა ცნობა, ამ ევრიკის ავტორი სოკრატ სალუქვაძე კი არ არის, არამედ ზემოთ დასახელებული **ვაი მეცნიერები**! საქმე გაკეთებულია!!! ენციკლოპედია დაბეჭდილია. სტატიაზე ხელს აწერენ ეს პლაგიატი „ავტორები“. მიდი და ეძიე ამის შემდეგ, ვინ არის აფთიაქების აღმოჩენის ავტორი (უყარე კაკალი, ოღონდ ქვეყანა მთლად ჩალით არაა გადახურული და ეს ყველამ უნდა იცოდეს. **ს.ს.**). გარდა ამისა, ჩემი ძარცვის შემდეგ გამოვეცი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე უნიკალური ფერადი პლაკატი და კედლის ვიზუალური კალენდარი სამედიცინო თემატიკაზე. პუბლიკაცია მართლაც საერთაშორისო პოლიგრაფიულ დონეზე იყო გამოცემული და საქართველოს ყველა აფთიაქში გამოიფინა. ამ უნიკალური პლაკატისა და კალენდარის გამოცემის გამო ლანძღვა-გინებებს და უარყოფითი რეცენზიის შედგენას სათავეში ჩაუდგა ‘**ჩვენი**“ ბიძინა. **განა დისერტაციის წართმევა არ იყო საკმარისი?** ამიტომ ვაცხადებ სახალხოდ, თანაც ხმამაღლა, ბატონი ბიძინას ‘რეცენზიებს“ სიმართლესთან და მეცნიერულ ობიექტურობასთან საერთო არაფერი აქვს! ვთხოვოთ მას საჯაროდ: განაგდოს საკუთარ სხეულში დაბუდებული სატანური ძალა და იცხოვროს ისე, როგორც უნდა ცხოვრობდეს მართლმადიდებელი ქრისტიანი ქრისტეს ათი მცნების შესაბამისად, ვინაიდან მე ნეტარქმნილი და დევნილი ვარ სიმართლის თქმის გამო და ამიტომ არ ვიკადრებ არავითარ შემთხვევაში საზოგადოების წინაშე სამსჯავროზე რაიმე ტყუილი ვთქვა. ვწერ მხოლოდ სიმართლეს, მაგრამ მგლის თავზე სახარების წაკითხვას ოდესმე ჰქონდა მოწონება თუ მნიშვნელობა?

ბატონმა ბიძინამ ვერც ერთი პოლემიკა ვერ მომიგო. არენაზე თავისი ყოფილი სტუდენტი რომ გამოუშვა, გაბითურებული უკან გავუგზავნე!

ვერც ამ ალოგიკური სასაცილო რეცენზიის ტექსტით მომიგებთ თქვენ ბრძოლას, ჩვენო ბიძინავ! რამდენიმე ფუთი წიგნი მაქვს წაკითხული წამალთმცოდნეობის და მედიცინის ისტორიის სფეროში და ვხედავ, თქვენ ამჟღავნებთ უვიცობას და „წიგნი სააქიმო ს“ ხელნაწერის ავტორი ხოჯაყოფილი გგონიათ! ეს შეცდომები წიგნში ჩაუხედავობით, არაკომპეტენტურობის გამო მოგდით! „წიგნი სააქიმო ს“ ავტორი ხოჯაყოფილიაო, რომ წერთ ავერო სის ნაცვლად! თქვენი არაკვალიფიციური მსჯელობები აქვე ბოლომდე უნდა ვამხილო. ასე, მაგალითად: „უსწორო კარაბადინში“ 18 დასახელების

წამლის მომზადების ფარმაკოპეული რეკომენდაციაზე არის საუბარი, ექიმი ლადო კოტეტიშვილი „წიგნი სააქიმო ს“ შინაარსიდან 23 დასახელების წამლის მომზადების ფარმაკოპეულ რეკომენდაციაზე საუბრობს, მე ვამატებ 24-ე დასახელების წამალს ანტიდოტ „მითრიდატუმს“! ზაზა ფანასკერტელის დაკვეთით მახარებელ ოქროპირისძე მაღალაძის მიერ შედგენილ ყველაზე ვრცელ და სრულყოფილ სამკურნალო წიგნ-კარაბადინ-ფარმაკოპეაში 25 დასახელების წამლის მომზადების ფარმაკოპეული რეკომენდაციაა მიცემული და ამ ძეგლში ანტიბიოტიკების, სტერილური ხსნარების, ამპულების, ვიტამინების და პროსტაგლამდების გარდა შუა საუკუნებში რაც იყო ცნობილი, ყველაფერი მასშია მოტანილი. დავით ლუარსაბის ძე ბაგრატიონის „იადიგარ დაუდის“ ფურცლებზე ზემოთ დასახელებული ძეგლებიდან ყველა წამლის მომზადების ფარმაკოპეული რეკომენდაციებია მოცემული (თანაც მუხრანის ბაგრატიონებს ზაზა ფანასკერტელის და მახარებელ მაღალაძის კარაბადინზე ხელი არ მიუწვდებოდათ. ეს მინდა იცოდნენ, საერთოდ, მკვლევარებმა, იმიტომ, რომ იადიგარ დაუდი ზაზასა და მახარებლის ხელნაწერისაგან დამოუკიდებლად არის შედგენილი. კარაბადინი ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილის მკვლელობის შემდეგ (1676წ.) ხელში ჩაიგდეს მუხრანის ბაგრატიონებმა. ვახტანგ VI-მ შთამომავლობისათვის ამ ძეგლის შემონახვის საქმეში ძალიან ბევრი გააკეთა როგორც ჩანს ეს კარაბადინი რესტავრაციის შემდეგ 1724 წელს რუსეთში ემიგრაციაში წაიღო. **ს.ს.**) და დამატებით მცენარეული ნაყოფებისგან მომზადებული მურაბების, სიროფების და სწორი ნაწლავის სამკურნალწამლო საშუალებათა მომზადების რეკომენდაციებია მოცემული (!) (ამერიკელმა დიდმა დოკუმენტალისტმა სემიუელ ნოა კრამერმა შუმერებში არქეოლოგიური გათხრების წარმოებისას აღმოაჩინა 13 კერამიკული ფირფიტა, რომელზეც უძველესი დამწერლობის ვარიანტით 13 რეცეპტია ამოკითხული კომპეტენტური დოკუმენტალისტი მკვლევარი სემიუელ კრამერი მსოფლიოს წინაშე აცხადებს,რომ ებერსის მიერ აღმოჩენილ ეგვიპტურ პაპირუსზე დაწერილ 2000 წლის წინანდელ ფარმაკოპეაზე 300 წლით უხნესი შუმერული ეს ფარმაკოპეა გახლავთო. თქვენ, ბატონო ბიძინა, ანალიზის უნარი ძველ ხელნაწერებზე კომენტარების წარმოებისას ისე დაგიკარგავთ, რომ ქართული ხელნაწერი კარაბადინის ტექსტების 60%-ზე მეტი ადგილი წამლების მომზადების ტექნოლოგიური პროცესების აღწერას, დოზების მითითებასა და სხვა ფარმაკოპულ რეკომენდაციებს რომ უჭირავს საგნისთვის ნამდვილი სახელი მაინც ვერ შეგირქმევიათ! სხვას რომ ყველაფერს თავი გავანებოთ ლექსიკონის განმატებებს უარყოფით! ეს ხომ გაუგონარი **<u>აგნოსტიციზმი და სკეპტიციზმია?</u>** იმას მივაღწიე, რომ თქვენ აღიარებთ: „კარაბადინი და ფარმაკოპეა ცოტათი ჩამოგავს ურთიერთსო“, თითქოს ცოტა საერთო რამ არის მათ შორისო - კიდევ კარგი, რაღაც ცოტა რომ მაინც შეგასმინეთ 30 წლის მეცადინეობის მანძილზე!

თქვენ, ბატონო ბიძინა, გრძნობთ, რომ ვერაფრით ვერ ახერხებთ ჩემთან პოლემიკის მოგებას და ცოცხალი თავით არ გინდათ დამარცხებულის ამპლუაში ყოფნა. გირჩევთ

დაყაროთ ფარ-ხმალი, ვინაიდან იმ ცოდნის „ბაგაჟით“, რაც თქვენ გაგაჩნიათ, პოლემიკას ვერ მომიგებთ. უმჯობესია, საკუთარ მეცნიერულ ტიტულს და ხარისხს სცეთ პატივი, ვინაიდან სასაცილოა აკადემიკოსი, პროფესორი, დოქტორი აღმოსავლეთმცოდნეთა ლექსიკონურ განმარტებებს უარყოფდეს! ასევე სასაცილოა მეოცე საუკუნის თანამედროვე ფარმაკოპეებზე წინ აყენებდეთ შუა საუკუნეების კარაბადინებს, რომლებიც შარლ პეროს ზღაპრების შთაბეჭდილებებს ტოვებს. ერთი ამიხსენით, შუა საუკუნეების ენდოკრინოლოგიური ჩანასახების, **<u>თახვის ყაირის გამოყენება</u>** შეიძლება შეადარო თანამედროვე ევროპულ ენდოკრინოლოგიის ფარმაცევტული ინდუსტრიას? გეპარინის წარმოებას იცნობდნენ კარაბადინის ავტორები? სისხლის შემცველებს და ვიაგრას წარმოებას, ადრენო-კორტიკო-ტროპული ჰორმონის წარმოებას, პრედნიზოლონის ტაბლეტების, ამპულებისა და მალამოების სამკურნალო თვისებებს იცნობდნენ შუა საუკუნეების კარაბადინების შედგენის ავტორები?

გავიხსენოთ, XII საუკუნეში ბაღდადის ქრისტიანული სკოლის ეპისკოპოსმა **<u>თალმიდმა</u>** როცა შეადგინა არაბეთის ყველა აფთიაქისათვის სანიმუშო კარაბადინი! რატომ? თუ არაბეთის აფთიაქებში წამლის ფორმებს კარაბადინების რეკომენდაციებით არ ამზადებდნენ? ხაზგასხმით უნდა აღინიშნოს კარაბადინების ღირსებების შეფასების თვალსაზრისი, რომ ამ ძეგლებში მოცემულია წარმართული ხანიდან ადამისა და ევას სამოთხის ბაღის ბინადარი ყველა ის სამკურნალო მცენარე, რომლებიც, როგორც კაცობრიობის გამოცდილება გამოიყენება მეცნიერებაში და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების შემცველობის დადგენის შემდეგ მეცნიერული რეკომენდაციით იყენებენ XX საუკუნის სახ. ფარმაკოპეები, თორემ კარაბადინების პრიმიტიული მეთოდებით მკურნალობა შუა საუკუნეებში იყო საინტერესო. დღეს, XX საუკუნის სახელმწიფო მეცნიერული ფარმაკოპეები შეიძლება, როგორც რაციონალური მარცვალი მეცნიერულად გადამოწმებისა და დეტალურად შესწავლისა და შემდეგ, **<u>გადამოწმების</u>** ფარმაკოპეის თანამედროვე რედაქციებში სტატიების სახით შეიტანონ, როგორც მეცნიერული რეკომენდაცია! ასე, რომ არაფრით აღარ შეიძლება შუა საუკუნეების მოძველებული რეკომენდაციები თანამედროვე მეცნიერულ ფარმაკოპეების რეკომენდაციებზე წინ დავაყენოთ! ბატონო ბიძინა, სასტიკად ცდებით, რაც მოგიპოვებიათ, ყველაფერს წყალში ნუ ჩაყრით, შუა საუკუნეების დონეზე ნუ დაეშვებით. გთხოვთ! ეს თქვენთვისაა უმჯობესი!

ჩვენი ოპონენტის, ბატონ ბიძინა ჭუმბურიძის მიერ „მოწოდებული საპოლემიკო თემის ‘**<u>საკითხში გარკვევისათვის ფარმაკოპეის და კარაბადინის“</u>** მახასიათებლების შედარებისას დაშვებულია მიუტევებელი შეცდომები. ასე მაგალითად: „თავად სახელწოდება „ფარმაკოპეა“ ლექსიკოგრაფიული განმარტებით „ფარმაკონ“ წამალია, „პოიაო“ წამლის კეთებას რომ ნიშნავს, ეს გამორჩენილია მხედველობიდან. ამიტომ, ამ ჭირვეულ ავტორს როცა სჭირდება, იშველიებს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს და მის კლასიკურ განმარტებას: **<u>‘კარბადინი – სამკურნალო წიგნია</u>**“ და ამას გვთავაზობს კარაბადინების

შუა საუკუნეების ავტორების მოსაზრებად (1), რაოდენ სასაცილოდ გამოიყურება ჩემი ლექტორი, ბატონი ბიძინა ჭუმბურიძე (1).

ხალხნო! ყური დამიგდეთ! სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა ტანძიაში 1658 წელს და გარდაიცვალა 1725 წელს! „სიტყვის კონა“ მან შეადგინა XVII საუკუნის ბოლოს და ირანულ-არაბული წარმოშობის ამ სიტყვას, კარაბადინს ქართულად **„სამკურნალო წიგნი“** უწოდა. რა გამოდის ასეთი მსჯელობით? ამდგარან სარკოფაგიდან შუა საუკუნეების ხელნაწერი კარაბადინების ავტორები და საიქიოში სულხან-საბას კარნახით თავიანთი ხელნაწერებისათვის ქართული სახელწოდება „სამკურნალო წიგნები“ შეურქმევიათ (!) თუ ბიძინას დაუჯერებთ, ზაზა ფანასკერტელისათვის სულხან-საბას დიდი საყვედური უთქვამს, რომ, მართალია თავისი ხელნაწერის 11 და 37 გვერდებზე, ეს ავტორი ახსენებს **„კარაბადინს“**, მაგრამ მკურნალ ზაზა ფანასკერტელს უნდა გაეთვალისწინებინა: დაიბადებოდა დიდი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა და ამ ხელნაწერს ქართულად „სამკურნალო წიგნს“ დაარქმევდა! ეს ლაფსუსი ვერ გაითვალისწინა **„დიდმა ლექსიკოგრაფმა“** (!) ბატ. ბიძინა ჭუმბურიძემ და ზაზა ფანასკერტელისა და მახარებელ მაღალაძის კარაბადინს დაარქვა „სამკურნალო წიგნი“? ყველაფერი ეს როგორი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს (?) **თურმე ასე მომხდარა, ნებისმიერი ქართული ხელნაწერების შემთხვევაში ავტორები კარაბადინებს „სამკურნალო წიგნებს“ უწოდებდნენ და ეს ქართული ტერმინი მათთვის სულხან-საბა ორბელიანის დაბადებამდე ცნობილი ყოფილა და სულხან-საბა აქ არაფერ შუაშია, რომელმაც იმოგზაურა ევროპაში და საფრანგეთში, გაეცნო ბერძნულ, ანუ ელინურ განმარტებას „ფარმაკოპეის“** შესახებ, გამოიტანა დასკვნა და დაგვიწერა, **„კარაბადინი უცხო სიტყვაა და ქართულად მას „სამკურნალო წიგნი“** ჰქვია“-ო. საკუთარი სისულელის ნათქვამისა ოდესმე ხომ უნდა შერცხვეს ბატონ ბიძინა ჭუმბურიძეს? თანაც იმის უარყოფა, რომ „ფარმაკოპეა“ ქართულად თითქოს „სამკურნალო წიგნს“ არ ნიშნავდეს? იქნებ ქართული კარაბადინის შემდგენელი ავტორები მოხვდნენ სულხან-საბა ორბელიანთან საიქიო სასუფეველში და ბოდიში მოუხადეს მას: „შენი შერქმეული სიტყვა ქართული „სამკურნალო წიგნი“ გამოგვრჩენია მხედველობიდან და ამიტომ ეს ხელნაწერები კარაბადინების (!) სახელწოდებით მოვიხსენიეთო!!! ეხ, ჩემო ბატონო ბიძინა, ნეტავ იცოდეთ თქვენ თვითონ რას წერთ, ან რას მიედ-მოედებით! რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ „წამალთა რეცეპტები და მათი მომზადების წესები მხოლოდ კარაბადინებს ეხებოდეს“ და XX საუკუნის სახ. ფარმაკოპეებს არა? სახელწოდება - „სამკურნალო წიგნი და კარაბადინი“ – ეს ძველი სახელწოდება, თითქოს შენი შერქმეული იყოს კარაბადინების ერთ-ერთ მახასიათებელზე! ასევე უნდა მოვიყვანოთ კიდევ ერთი თქვენი სასაცილო „**არგუმენტი**“; თურმე „**შუა საუკუნეების კარაბადინების ავტორები თავიანთ თხზულებებს ფარმაკოპეას კი არა, ‘სამკურნალო წიგნებს“ უწოდებდნენ.**“ თურმე სულხან-საბა ორბელიანის დაბადებამდე ეს ქართველმა ავტორებმა იცოდნენ? ძილის წინ ჰქონდათ ასეთი სიზმარი ნანახი! როგორი სასაცილო „მკვლევარი“ ხართ

თქვენ, ჩემო „მოძღვართ-მოძღვარო“! აქვე მინდა ის გითხრათ, რომ ირანულ და არაბულ უღელქვეშ მგმინავმა ქართველმა ჩვენმა წინაპრებმა თუ არ იცოდნენ „სამკურნალო წიგნის“ ევროპული - ინტერნაციონალური სახელწოდება, რომლის ფუძე ეგვიპტური ღვთაების ტოტის ფრესკის ქვეშ არსებული წარწერიდან – „ფარმაკონიდან“ მოდის და ჯერ ბერძნებმა ჰიპოკრატეს ეპოქიდან „ფარმაკონს“ წამალი უწოდოს, დაამატეს მას სიტყვა „პოიაო“ „კეთება“ და აქედან დაინერგა ტერმინი „ფარმაკოპეა“ ძველმა ლათინებმა ეს ტერმინი ბერძნულიდან უცვლელად ლათნური შრიფტით გადაბეჭდეს, დაუმატეს სახელმწიფო იურიდიული სტატუსი და საერთაშორისო ინტერნაციონალურ ტერმინად გამოაცხადეს! კოლონიურ მდგომარეობაში მყოფ ჩვენს წინაპრებს თქვენ ულტიმატუმს უყენებთ, რომ მათ კარაბადინებისთვის ფარმაკოპები ვერ დაურქმევიათ? ვიყავით ევროპულ კულტურას შუა საუკუნეებში ამ დონეზე ნაზიარები, რომ ფარმაკოპეა ქართულად „სამკურნალო წიგნის“ ტოლფასი შესატყვისი წიგნია - წამლის მომზადების კანონიკური ცნობარი? თუ შუა საუკუნეებში ვერ ვიყავით ასეთ დონეზე, აღარც დღეს განვმარტოთ, რომ ეს ასეა?

ბატონო ბიძინა! გთხოვთ საკუთარ თავს ასე ქვეყნის სასაცილოდ გზა-შარაზე ნუღარ დადებთ!

თანაც სხვა დროს გთხოვთ, ქართველი მთარგმნელი გაარჩიოთ ნაღდი ავტორისაგან, კარგად დაუკვირდეთ ფარმაკოპეისა და კარაბადინების მახასიათებლის ჩამოთვლა-შედარებას და დაიყვანეთ იგი თქვენს ცნობიერებამდე, რომ მათი მახასიათებლები დღესაც ძალიან ბევრ შემთხვევაში ურთიერთის მსგავსია, ხოლო დღევანდელობის მეცნიერული თვალსაზრისით შუა საუკუნეების კარაბადინები შარლ პეროს ზღაპრებს მოგვაგონებს და ამიტომ შედარება XX საუკუნის სახ. მეცნიერულ ფარმაკოპეებთან, იმთავითვე სახიფათოა. ბოდიში, მაგრამ ბაგრატიონთა სახელმწიფო დონეზე ეს საკითხი ვერ წყდებოდა და მათი მრავალსაუკუნოვანი მეფობის დროს ქართული სამედიცინო საზრისის წევრებისათვის უცხო იყო ევროპული ფარმაკოპეის შედგენის კონსტრუქცია. ვერ ვიყავით ევროპულ სამედიცინო კულტურას ასე კარგად ნაზიარები. ამიტომ ქართველი კარაბადინების ავტორები ასეთი შინაარსის საგნებს თუ ფარმაკოპეების სახელწოდებით ვერ მოიხსენებდნენ, ამის გამო საკუთარ თავს უწიგნურად ნუ მოვნათლავთ, გაგახსენებთ, რომ ევროპული კულტურის შესწავლის და კონტაქტების მიზნით ბაგრატიონებმა პირველ დესპანად ნიკიფორე ირუბაქის ძე ჩოლოყაშვილი გაგზავნეს იტალიაში. შემდეგ საფრანგეთში, ლუდოვიკო XIV-ის სამეფო კარზე, რიგში მეთხუთმეტე იყო სულხან-საბა ორბელიანი, საფრანგეთის მეფე ციცას, კატას რომ ეფერებოდა! ამიტომ ჩვენს წინაპრებს დაუსაბუთებელ ბრალდებებს ნუღარ წაუყენებთ, ვინაიდან სულერთია, რეგვენთა შეგონება ძნელი საქმეა, თორემ აიღეთ ხელში, ბატონო ბიძინა, ხელნაწერი ფონდი № 877-ის მეორე ნაწილი 177-ე რექტო გვერდიდან 684-ე ვერსო გვერდამდე 1950 წლის გამოცემა. ჩახედეთ 478-ე გვერდზე თანდართულ ლექსიკონურ განმარტებას, რომელიც ცხონებულ სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის, ამ

განმარტების პირველი და მეორე ნაწილები ცნობილი ენათმეცნიერის (XX საუკუნეში) პროფ. ილია აბულაძისა! იქ ასეთი განმარტებაა: **<u>‘კარაბადინი 11,37 სამკურნალო წიგნია (საბა) წამლეულობის წიგნი - ფარმაკოპეა (გესმით, ბატონო ბიძინა! სულხან-საბას და პროფ. ილია აბულაძის განმარტება?)</u>** (ფარმაცევტული პრეპარატების დამზადების საშუალებათა აღწერა). ეს რომ ასეა ევროპელი მკითხველისათვის 1800 წელს (ე.ი. 208 წლის წინ. **ს.ს.**) გაარკვია მსოფლიო მედიცინის ისტორიის საკითხების მკვლევარმა, გერმანელმა პროფ. კურტ შპრენგელმა თქვენ მხოლოდ 208 წლით რომ ჩამორჩებოდეთ ევროპელ კომპეტენტურ სპეციალისტებს, რაღა გვიჭირდა? თქვენ აცხადებთ, რომ **<u>„ქართული კარაბადინების ავტორები თავიანთ თხზულებებს - ხელნაწერ კარაბადინებს – სამკურნალო წიგნებს უწოდებენო</u>**“ (ეს დაამტკიცეთ და მე კალამს დავდებ, შევწყვეტ პოლემიკას. **ს.ს**). ეს სულხან-საბას დაბადებამდე ასე ყოფილა თურმე? გთხოვთ სხვა დროს საკუთარი თავი ასეთ სასაცილო მდგომარეობაში აღარ ჩაიგდოთ! დანარჩენი სხვა დროს იყოს.

შემდეგ ჩვენი ოპონენტი აკადემიკოსი ბიძინა ჭუმბურიძე მთელი მონდომებით „**<u>ამტკიცებს</u>**“, გინდა თუ არა, შუა საუკუნეების კარაბადინები უმაღლესი დონის სახელმძღვანელო წიგნებია (იმ დროისათვის შუა საუკუნეებში, დიახ, ჩემო ბატონო!), ვიდრე XX საუკუნის სახელმწიფო ფარმაკოპეები“! ეტყობა დღეს (გუშინ მითუმეტეს. **ს.ს.**) კარგად ვერ ჩაუხედავს შუა საუკუნეების ხელნაწერ კარაბადინებში და წარმოდგენა არ ჰქონია იმ უნიკალურ სტანდარტების წიგნზე, რომელიც დღეს იურიდიული სტანდარტების კანონიკურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს აფთიაქში მომუშავე ყველა თანამშრომლისა და, საერთოდ, ჯანდაცვის სისტემის უწყების თანამშრომლებისათვის. ეტყობა ბატონ ბიძინას დაავიწყდა იგივეობის რეაქციები რთული წამლის ფორმების შემდგენელობაში, დაავიწყდა თვისებითი და რაოდენობითი მეთოდებით ქიმიური ანალიზის საკითხები და ის ეტალონური სტანდარტების ხსნარები შედარებითი ანალიზის წარმოებისას! ჩემში განცვიფრებას იწვევს ამ აკადემიკოსის მოსაზრება, რომელიც ცდილობს, დაამტკიცოს თუნდაც სიზმარში, შუა საუკუნეების კარაბადინები მეცნიერული თვალსაზრისით უფრო მაღლა დგას თანამედროვე სახ. ფარმაკოპეების რედაქციებზე და იქ მოცემულ მეცნიერულ შეხედულებებზე! ავიღოთ ამ დოკუმენტების შედარება ურთიერთთან, თუნდაც ენდოკრინოლოგიური თვალსაზრისით, შუა საუკუნეებში ჰორმონალურ-ორგანოთერაპიული მეთოდებით მკურნალობა რომ თანამედროვე ფარმაკოპეებთან შევადაროთ, აშკარად იგრძნობა პრიმიტიულ დონეზე იყო!

ჩემს ოპონენტს მხედველობიდან რჩება მთავარი: შუა საუკუნეებში კარაბადინებს წაყენებული ჰქონდათ უნივერსალური მოთხოვნები, იგი მოიცავდა მედიცინის ყველა დარგს მცირე-მცირე რაოდენობით და ძირითადი აქცენტი მაინც წამლის ფორმების მომზადების ხელოვნებაზე იყო გადატანილი, რაც დაკვირვებულ მკვლევარ-ანალიტიკოსს არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან. გარდა ამისა შუა საუკუნეების კარაბადინები სხვა დონეა თანამედროვე სახელმწიფო ფარმაკოპეებთან შედარებით და ეს მეცნიერების კომპლექსია. ხატოვნად თუ ვიტყვით, იგი ევერესტია – მწვერვალია და ამის დაუნახაობა და ჩემს მიმართ იმის დაბრალება, რომ მე თითქოს რეალურად კარაბადინების **<u>„დაკნინებას</u>**

ვაწარმოვებ“, უსაფუძვლოა, უსაფუძვლოა თუნდაც იმიტომ, რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სხვა დონეა (ძალიან დაბალი. **ს.ს.**) შუასაუკუნეების კარაბადინები დღევანდელ ფარმაკოპეებთან შედარებით!

დიდად პატივცემულო ბატონო ბიძინა! თქვენ ასაკოვანი მეცნიერი, სამეცნიერო ხარისხისა და ტიტულის მფლობელი ბრძანდებით და... ჩემი დიდი მისწრაფება და სურვილია განვმარტო შემდეგი: XX საუკუნის ფარმაკოპეა მეცნიერების უმაღლესი მწვერვალია (ნაშრომებია). ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფო ფარმაკოპეებში მოცემულია XXI საუკუნემდე აღმოჩენილი ყველა საკითხი და მეცნიერულად დასაბუთებული სიახლეები, შესაბამისი მეთოდები. თქვენი მცდარი შეხედულება, რომელიც პირუთვნელად უნდა ვამხილო. თანამედროვე მეცნიერულ სახელმწიფო ფარმაკოპეებთან შედარებით ჩვენ სრულებითაც არ ვამტკიცებთ შუასაუკუნეების ხელნაწერი კარაბადინების უპირატესობას, ვინაიდან ისინი ისედაც კნინობითი ფორმებია თანამედროვე მეცნიერული მიღწევების თვალსაზრისით, როგორ გითხრათ, მაგრამ ვიმეორებ კარაბადინები შარლ პეროს ზღაპრებს მოგვაგონებენ. ამ პასუხს, თქვენ რომ გიყვართ სიტყვა “არგუმენტი”, სწორედ რომ არგუმენტებით და ფაქტებით დაგიდასტურებთ. აქ სიმკვეთრისათვის მოგიყვანთ არაერთ მაგალითს. შუა საუკუნეების ნებისმიერი ქვეყნის კარაბადინი და მათ შორის ქართული რედაქციით შედგენილი ასეთი შინაარსის ხელნაწერი ძეგლის – კარაბადინის შემდგენელი ავტორები არ იცნობდნენ სამკურნალო მცენარეების შემცველ იმ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების თანამედროვე სახელწოდებებს, რომლებსაც მეცნიერული ფარმაკოგნოზია ითვალისწინებს ტერმინოლოგიის თვალსაზრისით. აი მათი ზოგიერთი სახელი: ალკალოიდი, გლიკოზიდი, საგულე გლიკოზიდები, სტეროიდული საპონინები, ტრიფერმენტული საპონინები, ტანიდები ანუ მთრიმლავი ნივთიერებები, კუმარინები, კატეხინები, ვიტამინები, ანტრაქინონები და მათი წარმოებულები, ცხიმოვანი და ეთეროვანი ზეთები და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების არათუ სახელწოდებებს არ იცნობდნენ შუა საუკუნეების ხელნაწერი კარაბადინების შემდგენელი ავტორები, არამედ ისინი არ იცნობდნენ ამ ნივთიერებების ემპირულ და სტრუქტურულ ფორმულებს. წარმოდგენა არ ჰქონდათ მთელ რიგ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე და არ იცოდნენ ასკილი თუ 15%-მდე ასკორბინის მჟავას, ვიტამინ **C**-ს შეიცავდა, ბუნებრივია, არ იცოდნენ ვერცხლის სარკის რეაქცია ამ ვიტამინის იგივეობის რეაქციაზე. წარმოდგენა არ ჰქონდათ დრაგენდორფის რეაქტივზე და საერთოდ არაფერი იცოდნენ იგივეობის რეაქციებზე, წარმოდგენა არ ჰქონდათ თვისებით და რაოდენობით განსაზღვრის მეთოდებზე, **არგენტომეტრიაზე, იოდომეტრიაზე, პოლარიმეტრიაზე,** ასევე, როგორ უნდა მოვთხოვოთ შუა საუკუნეების კარაბადინების შემდგენელ ავტორებს რაიმე წარმოდგენა მენდელეევის ელემენტების პერიოდულ სისტემაზე, თუნდაც ბერცელიუსის მარილწარმომქმნელ ჰალოგენებზე: ბრომზე, იოდზე, ქლორზე და მათ რთულ შენაერთებზე. შუა საუკუნეებიდან XIX და XX საუკუნის მეცნიერ ენთუზიასტებმა გაამდიდრეს კაცობრიობის ისტორია პერმნენტულად მეცნიერების აღმოჩენებით. მკურნალმა ფარმაკოლოგებმა სამკურნალო პრაქტიკაში დანერგეს ახალ-ახალ აღმოჩენათა შედეგები, ეს

მაშინ, როცა კარაბადინების ავტორებს წარმოდგენა არ ჰქონდათ ანტიბიოტიკებზე, ვიტამინებზე, სტერილურ ხსნარებზე, ამპულებზე. სისხლის შემცველ პრეპარატებზე, პროსტაგლანდინებზე და სხვა ისეთ მეცნიერულ სიახლეებზე, რომლებითაც გაჟღენთილია XX საუკუნის სახელმწიფო ფარმაკოპეები და თქვენ ამბობთ, რომ **მე, სოკრატ სალუქვაძე, ვაკნინებ შუა საუკუნეების ხელნაწერ კარაბადინებს?** ეს ხელნაწერები ხომ ისედაც დაბალი დონეა თანამედროვე ფარმაკოპეასთან შედარებით. **შუა საუკუნეების კარაბადინები თითქოს უფრო მეტი ღირებულებისაა თანამედროვე ფარმაკოპეასთან შედარებით? ამას სრულ ჭკუაზემყოფელი მეცნიერი ჟურნალში დაწერს? რამდენადაც არ უნდა გძულდეს მართლის მთქმელი თქვენი ყოფილი სტუდენტი სოკრატ სალუქვაძე?** მითხარით შეიძლება შევადაროთ თანამედროვე ფარმაცევტული ინდუსტრიული ენდოკრინული პრეპარატების არსენალს შუა საუკუნეების ორგანო თერაპიისა და ენდოკრინოლოგიის ჩანასახები? აქედან თქვენ გამოიტანეთ დასკვნა, რამდენად სწორია მეცნიერულად, შუა საუკუნეების კარაბადინების და თანამედროვე ფარმაკოპეის რედაქციის ურთიერთთან შედარება უხეშად რომ ვთქვათ, შეიძლება ველოსიპედისა და ბალისტიკური რაკეტის ურთიერთთან შედარება? ბატონო ბიძინა, ჟანგბადს იცნობდნენ შუა საუკუნეების კარაბადინების შემდგენლები. **ეს მე ვაკნინებ შუა საუკუნეების კარაბადინებს თუ თქვენ ბერავთ საპნის ბუშტს?** თქვენ ნახევარ საუკუნეზე მეტია **(65 წელია),** ფარმაცევტული ქიმიის (თქვენ ისიც არ იცით, რომ ფარმაცეფტული ქიმია ქართულად წამალთმცოდნეობის ქიმია გახლავთ. **ს.ს.**) კათედრაზე მოღვაწეობთ, ვფიქრობდი, რომ ფარმაკოპეის რაობა და მეცნიერული ფასეულობები მაინც იცოდით **თურმე ამ სტანდარტების სახელმწიფო კრებულზე – ფარმაკოპეაზე წარმოდგენა არ გქონიათ და უფრო მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო შუა საუკუნეების კარაბადინები ყოფილა! რა უბედურებაა ეს ჩვენს თავზე?**

კარაბადინების ავტორებს ინსულინზე, საერთოდ წარმოდგენა ჰქონდათ? ბატონო ბიძინა, დაანებეთ თავი საპნის ბუშტის ბერვას და შუასაუკუნეების კარაბადინების მახასიათებლების შედარებას XX საუკუნის კალსიკური ფარმაკოპეების მახასიათებლებთან! გაიხსენეთ, განსხვავებები VIII და IX, მით უმეტეს X გამოცემა ფარმაკოპეების რედაქციებსა და ტექსტებს შორისაც სხვაობები დიდია! არა თუ თანამედროვე ფარმაკოპეასთან მიმართებაში ქართული კარაბადინების რედაქციებსა და ტექსტებს შორის! მშვიდობით ბატონო ბიძინა! თქვენს უნიჭო, არაკვალიფიციურ „რეცენზიას“ მე პასუხს აღარ გავცემ. წერეთ და იკითხეთ. სხვა გამოსავალს თქვენს დონეზე ვეღარ ვხედავ!

დამიჯერეთ, თქვენი ამ ცოდნის მარაგით პოლემიკას ვერ მომიგებთ! წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების ცოდნა პატრონტაშივით „ფალასკასავით“ მაქვს წელზე შემორტყმული, როცა დამჭირდება, იმ ვაზნას გავისვრი, რომელიც ყველაზე მაგრად დაიქუხებს, ამიტომ გირჩევთ გაჩერდეთ, თორემ კიდევ უფრო სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებით.

ზემოთ ნათქვამის მიუხედავად, მე ვიმეორებ იმას, რასაც ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე მოგვახსენებდა: „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“ და თქვენ, ბატონო

ბიძინა? თქვენი რეცენზიიდან ვადგენ, რომ სულ არაფერი გცოდნიათ, თორემ შუა საუკუნეების კარაბადინები შეიძლება სადად მოაზროვნე მეცნიერმა XX საუკუნის ფარმაკოპეაზე წინ დააყენოს? საზოგადო, ობიექტურ მკითხველს მივცეთ საშუალება განსაჯოს, ჩვენს შორის სადაო საკითხებში სიმართლე ვის მხარეზეა!

ბატონო ბიძინა! თქვენ ჩემი ბატონი არასოდეს ყოფილხართ, თქვენ ჩემი ლექტორი იყავით და ამიტომ მე სასტიკად ვნერვიულობ იმ სიმართლის დაწერაზე, რაც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, ამ ობიექტურ რეცენზია-პასუხში მომგებიან ქულებს არ დავეძებ, პირიქით, დიდ უხერხულობას ვგრძნობ. თქვენი ლექტორი იყო პროფ. პეტრე გელბახიანი, რომელმაც თქვენ მოსკოვიდან დოქტორის დიპლომი ჩამოგიტანათ, უფროსი ვაჟიშვილი სამკურნალო ფაკულტეტზე მოგიწყოთ, უმცროსი – ფარმაცევტულზე, სანაცვლოდ თქვენ, როგორც უმადურმა, უსახელო წერილები ჯღაბნეთ მის სახელზე (!) და როგორც ექსპერტმა, მონაწილეობა მიიღეთ მის სადოქტორო დისერტაციის ჩამორთმევაში! არის ამ საქციელში კეთილსინდისიერი ქცევის ნასახი? ამიტომ სიმართლის თქმა არც ჩემგან გაგიკვირდეთ, მით უმეტეს, თქვენ მე სამეცნიერო ხარისხი კი არ დამაცვევინეთ, არამედ პირიქით, ჩემი იდეური დისერტაბელური შრომა სხვას მიაკუთვნეთ და ეკონომიკური დასაბუთების თანამონაწილეს მიანიჭეთ სამეცნიერო ხარისხი. გაიძვერა ხართ თქვენ ყოველივე ამის შემდეგ, ამიტომ მოიმკეთ ის, რაც დაგითესიათ. იცოდეს საზოგადოებამ ვინ ვინ არის!

თქვენ, ბატონო ბიძინა! მინდა გაგახსენოთ, რომ 28 წლის წინათ ჟურნალ „საბჭოთა მედიცინაში“ ხელს აწერდით ტენდენციურ სტატიას სათაურით „მეცნიერებაში მეტი სიზუსტისა და კეთილსინდისიერებისათვის“ და ხაზგასმით სათაურშივე აღნიშნავდით თქვენს თანამზრახველებთან ერთად მეცნიერებში სიზუსტისა და კეთილსინდისიერების დაცვას, ე.ი. მე მიყენებდით კოლექტიურ ბრალდებას, თითქოს არ ვიყავი „კეთილსინდისიერი“ და არ ვიცავდი სიზუსტეს! ასეთ ბრალდებას უფრო სწორად, ცილისწამებას რომ არ მოერიდეთ ჩემი მისამართით, ელემენტარული ეთიკით მეცნიერებაში სიზუსტე და კეთილსინდისიერება, პირველ რიგში, თქვენვე ხომ უნდა დაიცვათ? განა თქვენი მხრივ ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ყაჩაღურად წართმევას რაიმე საერთო აქვს **<u>კეთილსინდისიერებასთან</u>**? თქვენ ხომ საფლავში გაძარცვეთ თქვენი აღმზრდელი პროფესორი არისტარხ მშვიდობაძე და მიითვისეთ მისი დამხმარე სახელმძღვანელოს ‘ფარმაცევტული ქიმიის სახელმძღვანელოს“ 31 თაბახი, დაარქვით ამ მოპარულ წიგნს **<u>„ფარმაცევტული ქიმია“,</u>** თითქოს დაამატეთ მას 18 თაბახი მოცულობის რუსულენოვანი წიგნებიდან ნათარგმნი ლიტერატურა და საკუთარი მონოგრაფიის ეგიდით გამოეცით! ასეთ საქციელს რაიმე საერთო აქვს კეთილსინდისიერებასთან? ისიც საეჭვოა, 18 თაბახი მოცულობის დამატებები ამ წიგნში თქვენია თუ ბატონ არისტარხს ეკუთვნოდა ახალი რედაქციით ამ წიგნის მეოთხედ გამოცემისათვის (!) ? არც მეტი, არც ნაკლები, ამ „სახელმძღვანელოს“ ტექსტის 39% გეკუთვნით თქვენ და 61% ეკუთნოდა აწ განსვენებულ პროფ. ა. მშვიდობაძეს. ელემნტარული სამეცნიერო ეთიკის ნორმით ამ წიგნის ტიტულზე

უნდა ეწეროს ‘ეს დამხმარე სახელმძღვანელო შესაბამისი რუსულენოვანი წიგნებიდან ქართულად თარგმნეს პროფ. ა. მშვიდობაძემ და პროფ. ბიძინა ჭუმბურიძემ“! თანაც სახელმწიფო პრემიის თანხიდან 61% პროფ. ა. მშვიდობაძეს ეკუთვნოდა (მისი ოჯახისათვის უნდა გაგეგზავნათ ეს თანხა ოფიციალურად, ფოსტის თუ რომელიმე ბანკის საშუალებით! თუ მეცნიერებაში კეთილსინდისიერებაზეა საუბარი! მაინცადამაინც თუ აუცილებელი იყო ამ კომპილაციურ – ნაძარცვავ სახელმძღვანელოს შედგენაში სახელმწიფო პრემიის გაცემა! განა ასეთი საქციელი თქვენი მხრიდან (რაც ჩაიდინეთ!) თქვენი აღმზრდელის მიმართ რაიმე კუთხით შეესაბამება მეცნიერებაში **<u>კეთილსინდისიერებას</u>**? ანდა სიზუსტესთან აქვს რაიმე საერთო თქვენს იმ საქციელს, რომ ერთიმეორისაგან ავტორი და თანაავტორი ვერ განგისხვავებია და რეალური ავტორი და მთარგმნელი ერთი მეორეში აგირევიათ. რუსულენოვან წიგნებზე ნამდვილი ავტორების გვარების ნაცვლად თქვენი, მთარგმნელის გვარი ბიძინა ჭუმბურიძე მიგიწერიათ! ასევე „წიგნი სააქიმო ს“ ავტორი ავეროისი ვერ **<u>გაგირჩევიათ მთარგმნელი ხოჯაყოფილისაგან?</u>** დაგიკარგავთ წიგნის რაობის ანალიზის უნარი და შუა საუკუნეების კარაბადინების ტექსტების ნახევარზე მეტი წამალთ ფორმების მომზადების ფარმაკოპეულ რეკომენდაციებს რომ ეხება, ზოგიერთ მაგთანში 25 დასახელების წამლის მომზადებაზეა საუბარი და ეს წიგნები საერთაშორისო ენაზე ფარმაკოპეა რომ არის საგნის ნამდვილი სახელი ვერ დაგირქმევია? თქვენი არ იცი და აღარც ჩემი განმარტებისა გესმის? ეს ხომ გაუგონარი **<u>კრეტინიზმი</u>** და გონებრივი შეზღუდულობის აშკარა გამოვლინებაა თქვენი მხრივ? ასეა, სხვას რომ მოუწოდებთ სიზუსტისა და მეცნიერული კეთილსინდისიერებისაკენ ჯერ თვითონ უნდა იყოთ კეთილსინდისიერი, პატიოსანი და შემდეგ უნდა შეეცადოთ სხვათა დამოძღვრას (!), თორემ, ხომ ხედავთ, ყველაფერი ბუმერანგივით უკან დაგიბრუნდათ და თავი გაუგონარ, სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდეთ! ასეა, სიმართლეს ჟანგი არ ეკიდება! გეშინოდეთ განკითხვის დღისა, იგი აუცილებლად გესტუმრებათ! მე კი, ჩემი სიმართლის ერთ დეციმილიგრამსაც ვერ დაგითმობთ!

ვინმე მართლმადიდებელი ქრისტიანი - ალბათ შეგეკითხება: რას ერჩოდით თქვენს ყოფილ სტუდენტს სოკრატ სალუქვაძეს, სადისერტაციო ნაშრომი რომ წაართვით და ეს ახალგაზრდა კაცი ინფარქტის პირას მიიყვანეთ, ანერვიულეთ და შაქრიანი დიაბეტი აჰკიდეთ?

სოკრატ სალუქვაძე

P.S. დავუშვათ, ძალიან გავბრაზდი და ჩემი მისამართით ტენდენციური, არაობიექტური რეცენზიების ავტორების მხილება მოვისურვე საერთაშორისო ევროპულ საცნობარო ჟურნალში. სახელდობრ, ქართველი ვაი-მეცნიერი ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი ვერ ხდება, რომ შესაბამის ეპოქასთან მიმართებაში კარაბადინები და ფარმაკოპეები იდენტური მცენებებია, ასევე, ეს „**<u>სწავლული კაცი</u>**“ ვერ არჩევს კარაბადინის მთარგმნელს და ნამდვილ ავტორს ერთიმეორისგან, თანაც უგულებელყოფს

აღმოსავლეთმცოდნეთა მიერ შედგენილი ლექსიკონებით სიტყვების განმარტებას, ლექსიკონით სარგებლობას, წარმოდგენა არა აქვს თანამედროვე საერთაშორისო, ინტერნაციონალურ ფარმაკოპეის მნიშვნელობაზე და საერთოდ ამ საერთაშორისო ინტერნაციონალური მნიშვნელობის ტერმინზე!

ასევე უვიცობები სუფევს თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიის კათერაზე.

ნუ მაიძულებთ, ევროპის ცნობარების დონეზე მიწასთან გაგასწოროთ თქვენი უაღრესად დაბალი კვალიფიკაციის გამო! ხელმეწიფება და დავწერ ამას, იცოდეთ, არ გემუქრებით! აქვე კიდევ მინდა შევეხო ავტორისა და მთარგმნელის არცოდნას, ერთიმეორეში არევის და ამის შესახებ სიტუაციაში მკაფიოდ გავარკვიო ბატონი ბიძინა ჭუმბურიძე. „სააქიმო " არაბულ-სპარსული სიტყვაა და ძველი ქათულით „**მკურნალს**" ნიშნავს! „აქიმი"-ც, „ხაკიმი"-ც ქართულად „მკურნალს" ნიშნავს! ამ თხზულების ავტორი ავერო სია, რომელსაც ვერ ხედავთ თქვენ, ბატონო ბიძინა და ქართულად მთარგმნელს ხოჯაყოფილს ასაღებთ ავტორად, წიგნში საერთოდ, ჩაუხედაობის გამო! (ილიკოს, ილარიონისა და ზურიკელასი არ იყოს, ამას რაღაც ეშველება, მაგრამ თვით ბატონ ბიძინას რა ეშველება?). სიტუაციაში გარკვევის მიზნით ობიექტური მკითხველი და საზოგადოება უნდა მოვიწვიო არბიტრად: მედიცინის ისტორიის სპეციალისტებისათვის ცნობილია, რომ „წიგნი სააქიმო "-ს ავტორი ავერო სია და 1206 წელს ეს არაბულენოვანი ხელნაწერი, ხოჯაყოფილმა გადმოთარგმნა ჭყონდიდელის დავალებით! ეს საკითხი გარკვეულია, მაგრამ იმას რაღა ეშველება, რომ ბიძინა ჭუმბურიძის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილ ყველა წიგნს, იმ ადგილას, სადაც ნამდვილი ავტორის გვარი უნდა იყოს მოხსენებული, ყველგან ბ. ჭუმბურიძე აწერია? გვარები აორთქლებულია მთარგმნელ ბ. ჭუმბურიძის მიერ! ასე რომ ის წიგნები, რომლებსაც ავტორად ბ. ჭუმბურიძე აწერია, არც ერთი მისი არ გახლავთ, ისინი ყველა რუსულიდან ნათარგმნია და ამ წიგნებს ტიტულზე ასედაც უნდა ეწეროს: **„ესა და ეს წიგნი რუსულიდან, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, სტუდენტებისათვის თარგმნა ბ. ჭუმბურიძემ".** საკითხის გარკვევისათვის მოვიყვანოთ მკაფიო მაგალითი. პროფ. არისტარხ მშვიდობაძემ სამჯერ გამოსცა კომპილაციური ხასიათის დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფიის ეგიდით, **რედაქტორი ბ. ჭუმბურიძე,** რომელიც მოიცავდა 31 თაბახს და წიგნს აწერია **„ფარმაცევტული ქიმიის სახელმძღვანელო"**. პროფ. ა. მშვიდობაძე გარდაიცვალა და ამის შემდეგ გამოიცა **ბ. ჭუმბურიძის ავტორობით** ისევ კომპილაციური სახიათის ეს დამხმარე სახელმძღვანელო სათაურით **„ფარმაცევტული ქიმია"** ესეც კვლავ მონოგრაფიის ეგიდით და ეს **ნაცოდვილარი**, ვითომ მონოგრაფია, სინამდვილეში დამხმარე სახელმძღვანელო **მოიცავს 49 თაბახს (!)** (?) (შევნიშნავთ: **მონოგრაფიაში სხვა რაოდენობის ჰონორარი გაიცემა, დამხმარე სახელმძღვანელოში – უფრო ნაკლები ს.ს.).** ჩავატაროთ ამ წიგნების პოლიგრაფიული ანალიზი. ბ. ჭუმბურიძის მიერ მოპარული წიგნი, როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ, მოიცავს 49 თაბახს. აქედან 31 თაბახი ეკუთვნოდა პროფ. ა. მშვიდობაძეს და ბიძინა ჭუმბურიძის მიერ დამატებულია 18 თაბახი, ისევ რუსულენოვანი წიგნებიდან გადმოთარგმნილი (!). (თქვენვე განსაზღვრეთ ქიმიური ნივთიერებების ემპირული და სტრუქტურული ფორმულების გადმოთარგმნა რაოდენ „**<u>სიძნელეებთან</u>**“ იქნებოდა დაკავშირებული? **ს.ს.**). კვლავ ობიექტური მკითხველს მინდა მოვუხმო განსჯისათვის. ამ მრავალგზის ნაცოდვილარი, კომპილაციური ხასიათის სახელმძღვანელოდან, მონოგრაფიად, რომ არის მკითხველის „წინაშე წარმოდგენილი (ისიც არ დაგავიწყდეთ, „**<u>კომპილაცია</u>**“ ლათინური სიტყვაა და ქართულად „**<u>ძარცვას</u>**“ ნიშნავს ს.ს.). 49-თაბახიდან პროფ. ა. მშვიდობაძეს ეკუთვნის 31 თაბახი, მაშასადამე, საერთო მოცულობის **<u>61%</u>** ბ.ჭუმბურიძის მიერ დამატებული ნათარგმნი ტექსტი შეადგენს 18 თაბახს, ისიც საკითხავია – ეს მაინც მისი თუ არის? ე.ი. საერთო მოცულობის 39%-ი. აგვიხსნას ვინმემ, კაცმან პირუთვნელმან, ნათარგმნ, კომპილაციური ხასიათის წიგნს ეკუთვნის სახელმწიფო პრემია? თანაც 100% თანხისა თანაავტორ ბიძინა ჭუმბურიძეს როგორ ეკუთვნოდა? - ჩვენი ღრმა რწმენით სახელმწიფო პრემიის საერთო თანხის 61% აწ განსვენებულ პროფ. ა. მშვიდობაძის ოჯახს ეკუთვნოდა, ხოლო 39% ბ. ჭუმბურიძისათვის უნდა გადაეცათ, თუ მაინც და მაინც აუცილებელი იყო ამ ნაძარცვ დამხმარე სახელმძღვანელოში სახელმწიფო პრემიის გაცემა! სადა ხართ თქვენ, საზოგადოების ძვირფასო და ობიექტურო მკითხველებო? თუ ბ. ჭუმბურიძეს საკუთარი კათედრის გამგის, მისივე აღმზრდელის პროფ. ა. მშვიდობაძის საფლავში გაძარცვისათვის, აშკარა მეკობრეობისათვის სახელმწიფო პრემია „პოდნოსით“ მიართვეს, ასეთი მტაცებელი თავის ყოფილ სტუდენტს - სოკრატ სალუქვაძეს დისერტაციას არ წაართმევდა? არსებობს ვარიანტი, რომ დაინდობდა? ამის შემდეგ თქვენ გჯერათ, რომ ეს პიროვნება (თუ ბიძინას, საერთოდ, პიროვნება შეიძლება უწოდოს კაცმა. **ს.ს.**). მეცნიერულ რეცენზიებს ობიექტურად დაწერდა ჩემზე? ჩვენ ვიცით, რომ უფალი მოწყალეა და ღმერთი ყველაფერს ხედავს! რამეთუ დიდი შოთა რუსთაველი წერდა: „მაგრამ ბოლოს ლხინსა მისცემს, ვიცა პირველ ჭირსა გაძლებსო“. ამინ! ამინ! ამინ!

სიმართლის დადგენისა და მეტი სიმკვეთრისათვის ხელში ავიღოთ ბ. ჭუმბურიძის 1957 წელს ქ. თბილისში გამოცემული წიგნი „წამალთა თვისობრივი ქიმიური ექსპრესანალიზი“. ამ მონოგრაფიის წინასიტყვაობაში იმჯერად დოცენტი ბ. ჭუმბურიძე წერდა, „წიგნის შედგენის დროს (ერთი წუთით: „წიგნის შედგენის დროსო“!! წერს დოც. ბ. ჭუმბურიძე. დიახ, წიგნი შედგენილია თუ შესაბამისი რუსი ავტორებისაგან არის ნათარგმნი? ს.ს.) ფართოდაა გამოყენებული ა. ოსადჩენკოს ზემოთ დასახელებული სახელმძღვანელო „Внутриаптечный контроль качества лекарств“ და ბ. კალიაჩკინას, მ. პერელმინის და ნ. იუროვას „Материалы по анализу концентратов и лекарственных форм„ ამ უკანასკნელი შრომიდან ზოგიერთი ადგილი თარგმანის სახითაა მოტანილი“! ამ ლიტერატურულ ქურდობას თვითონვე აღიარებს ჯერ კიდევ მაშინ ახალგაზრდა დოც. ბ. ჭუმბურიძე, რომ ამ წიგნში „ამ უკანასკნელი შრომიდან ზოგიეთი ადგილი

თარგმანის სახითაა მოტანილი“. ბოდიში, მაგრამ „ზოგიერთი ადგილი“ კი არა, არამედ ზემოთ დასახელებული 4 რუსი ავტორის შრომებიდან ყველაფერი სიტყვა სიტყვით ჯერ გადმოთარგმნა, მერე საკუთარ „მონოგრაფიად“ აქცია. თორემ არ არსებობს არც ერთი წამლის ექსპრეს ანალიზის საინდიკაციო რეაქცია, ბ. ჭუმბურიძის სახელობის რომ იყოს! ბუნებრივია, დღის წესრიგში დგება ასეთი შეკითხვა: ვინ ბრძანა, რომ ნათარგმნი ლიტერატურა აიკრძალოს? არა, ბატონო ბიძინა! პედაგოგიკაში არავის აუკრძალავს არც დამხმარე სახელმძღვანელოს შედგენა და არც ნათარგმნი


ბ. ი. ჭუმბურიძე

სპეგ-2000
შემოწმებულია

ნამალთა
თვისებრივი ქიმიური
ექსპრეს-ანალიზი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ

საქმედგამი
თბილისი
1957

ამ წიგნზე ავტორად წარმოდგენილია დოცენტი ბ. ჭუმბურიძე, ხოლო ნამდვილი რუსი ავტორები აორთქლებულია. ავტორად წარმოდგენილი პიროვნება სინამდვილეში მხოლოდ მთარგმნელია.

ლიტერატურის გამოყენება. ასეთი საქმიანობა ყველასთვის ნებადართულია, მაგრამ მეცნიერებაში თქვენ, თქვენს თანამზრახველებთან ერთად, ხომ გახსოვთ, მე რომ მომიწოდეთ: „მეტი სიზუსტისათვის და კეთილსინდისიერებისათვის“. თქვენ ხომ თვითონ უნდა იყოთ კეთილსინდისიერი და ზუსტად იცავდეთ მეცნიერულ სიზუსტეს, მეცნიერული ეთიკით? ამიტომ თქვენს ამ ნაცოდვილარ „**მონოგრაფიას“** ყდაზე ავტორების ნაცვლად კი არ უნდა ეწეროს თქვენი გვარი **„ბ. ჭუმბურიძე“**, არამედ უნდა ეწეროს **„ეს დამხმარე სახელმძღვანელო თარგმნა (ანდა შეადგინა) დოც. „ბ. ჭუმბურიძემ“** შეგეძლოთ, იქვე სათაურშივე ჩამოგეთვალათ რუსი ავტორები: ა. ოსადჩენკო, ბ. კოლიაჩკინა, მ. პერელმინი და ნ. იუროვა. ასე იქცევიან პატიოსანი ავტორები მეცნიერებაში, მაგრამ ‘წიგნი სააქიმო “-ს ავტორი ავერო სი ვერ გაარჩიეთ

მთარგმნელი ხოჯაყოფილისგან. ამ წიგნშიც თქვენი, მთარგმნელის გვარი ავტორად არის წარმოდგენილი, ხოლო 4 რუსი ავტორის გვარი ქართულად გამოცემულ წიგნზე **<u>აორთქლებულია</u>** და მთარგმნელი ბ. ჭუმბურიძე ავტორად არის წარმოდგენილი, ამას საზოგადოების თვალში ნაცრის შეყრა ჰქვია, ხოლო იურიდიულ ენაზე ინტელექტუალური საკუთრების მოპარვა-ქურდობა, როგორც ეს თქვენ თქვენი აღმზრდელი პროფ. ა.მშვიდობაძის მიმართაც ჩაიდინეთ! დღესვე გაუგზავნე სახელმწიფო პრემიის თანხიდან 61% პროფ. არისტარხ მშვიდობაძის ოჯახს, თორემ სასამართლოს წესით გადაგახდევინებთ ამ მითვისებულ თანხას და საზოგადოებრივ გაკიცხვასაც არ დაგაკლებთ. გესმით! თქვენ ასე გეკუთვნით, თქვენი საქციელის გამო! ქვეყანა ჩალით დახურული ხომ არ გგონიათ?



ამ წიგნთან და ბ. ჭუმბურიძის დისერტაციასთან დაკავშირებით უნდა გამოიყოს კომპეტენტური კომისია და ჩატარდეს ექსპერტიზა იმის თაობაზე, ამ მეცნიერულმა რეკომენდაციამ მოიტანა რაიმე სარგებლობა, თუ ყველაფერი ეს არის ბლეფი?

მეორე მაგალითისათვის ავიღოთ თქვენი წიგნი „იონცვლითი პოლიმერების ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების გამოკვლევა მედიცინაში მათი გამოყენების მიზნით“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964 წელი. გამოიყოს მეცნიერთა კომპეტენტური კომისია და შეფასდეს, საერთოდ, იონცვლითი პოლიმერების პრაგმატიზმი მედიცინაში თუ შეადგენს ათი თეორის თანხის საღირალის

მოგებას? ბიძინას „იონიტებმა“, ამ სადოქტორო „დისერტაციამ“ დანერგვის და მოგების თვალსაზრისით ერთი თეთრის მოგება თუ მოიტანა რომელიმე აფთიაქში და ერთი ლიტრა სახელმწიფო ფარმაკოპეული მოთხოვნების თვალსაზრისით ვარგისიანი, გამოხდილი წყალი თუ მოგვაწოდა? ვაცხადებ პრინციპულად, სახალხოდ, არა! მაშ რად გვინდოდა ასეთი თვითმიზნური **„სადოქტორო დისერტაცია“,** რომელსაც „ვაკ“-ი, საერთოდ, არ ამტკიცებდა და მაშინდელმა ქ. თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის რექტორმა პროფ. პ. გელბახიანმა პროტექციის გზით და ელიუტინთან პირადი ნაცნობობით დოქტორის დიპლომი ჩამოუტანა ნამდვილად უღირს დოქტორანტს, ბიძინა ჭუმბურიძეს! ამის შემდეგ ობიექტურმა მკითხველმა განსაჯოს, რამდენად ეთიკურია ბიძინა ჭუმბურიძის იმ კომისიის დასკვნაზე ხელმოწერა, რომელმაც ბრალდებულ პ. გელბახიანს მეცნიერების დოქტორის ხარისხი ჩამოართვა? რა გამომდინარეობს ასეთი დასკვნებიდან ობიექტურად? **ბრალდებული პ. გელბახიანი არ ყოფილა ობიექტური თავმჯდომარე ხარისხის მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოში, რომლის წარდგინებით ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრებმა დისერტანტ ბ. ჭუმბურიძეს დოქტორის ხარისხი მიანიჭა, რასაც „ვაკ“-ი არ ამტკიცებდა. და აშკარა პროტექციის გზით ყოფილმა რექტორმა, უღირს მეცნიერს ბ. ჭუმბურიძეს დოქტორის დიპლომი ჩამოუტანა მოსკოვიდან (ეს ცნობილი გახმაურებული ფაქტია ს.ს.). ასეთი უკანონო გზით მიღებული სამეცნიერო დოქტორის ხარისხი საქართველოს ეროვნულმა მეცნიერებათა აკადემიამ უყოყმანოდ უნდა ჩამოართვას ბ. ჭუმბურიძეს! ჯერჯერობით იმიტომ, რომ ეს დისერტაცია წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი და პროტექციონიზმის გზით იურიდიულად არასწორი, კანონსაწინააღმდეგო წესით მიღებული (!). ამას მე სიმართლის სახელით მოვახსენებ საზოგადოებას, ვინაიდან სადოქტორო დისერტაცია მეცნიერებას უნდა ამდიდრებდეს თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, და ეს არაფრის მთქმელი თვითმიზნული „დისერტაცია“ 40 წელზე მეტია, ვითომ დაინერგა პრაქტიკაში! ვითომ გაგვამდიდრა თეორიულად და პრაქტიკულად? მაგრამ არც ერთი თვალსაზრისით 5 თეთრი სარგებლობა ამ “შრომამაგიერ ბოდვას“ საზოგადოებისთვის მოუტანია.** ეს ობიექტური განცხადებაა. ასე მარტივი რომ იყოს ფარმაკოპეული ორჯერ გამოხდილი წყლის მიღება, მაშინ განა ისეთი რთული ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებით და სქემების მოფიქრებით იქნებოდნენ დაკავებულები იტალიელი კომპეტენტური სპეციალისტები? აიღებდნენ რომაელი მეცნიერები ერთ მუჭა იონიტებს, ჩაყრიდნენ თავდაყირა დამონტაჟებულ კონუსურ ონკანიან პლასტმასის „ჩანებში“ და მიიღებდნენ ორჯერ გამოხდილ ფარმაკოპეულ გამოხდილ წყალს (!) სააფთიაქო ქსელისათვის! არა, ბატონებო!

სამწუხაროდ, ისე მარტივად არ დგას საკითხი, როგორც **ვაი-მეცნიერს, ვითომ მეცნიერს,** ბიძინა ჭუმბურიძეს წარმოუდგენია მეცნიერებაში მცდარი გზით სიარული? რუსულად ამას „პაკაზუხობა“ ჰქვია. მოვითხოვ, საბოლოო მეცნიერული დასკვნისათვის ექსპერტიზას. წინასწარვე ვარ დარწმუნებული, მეცნიერებისათვის **ერთი დეციგრამი** სიკეთე არ მოუტანია ბიძინა ჭუმბურიძის ექსპერიმენტს და „მეცნიერულ“ რეკომენდაციებს, თორემ ვერავინ დამასწრებდა იონიტების გამოყენებას აფთიაქში და ამ იდეის პრაქტიკულად რეალიზაციას. თქვენვე განსაჯეთ რამდენი ელექტროენერგია დაიზოგებოდა ორჯერ გამოხდილი წყლის მიღებაზე და დისტილატორების (წყლის გამოსახდელი აპარატების), ჯერ დამზადება და შემდეგ დამონტაჟების ეკონომია ხომ მილიონობით ხარჯებს აგვაცილებდა? ეს რომ ასე იყოს (!) მაშინ ბ. ჭუმბურიძე ტექნიკური გადატრიალების რევოლუციონერი იქნებოდა და მისთვის სახელმწიფო პრემიის მინიჭებაზე საწინააღმდეგოდ ხმას ვინღა ამოიღებდა! აღარ იქნებოდა პროფ. ა. მშვიდობაძის ოჯახისათვის სახელმწიფო პრემიის თანხის 61% დასაბრუნებელი. ბ. ჭუმბურიძე მეცნიერის გუდაფშუტა ფიტულია და სხვა არაფერი.



პროფესორ ა. მშვიდობაძის ეს წიგნი 31 თაბახის მოცულობისაა. მისი თავიდან ბოლომდე გადაწერისა და მითვისებისას ნასარგებლები ლიტერატურის დასახელება იურიდიულ ალიბად ვერ გამოდგება. ვიმეორებ, კომპილაცია ლათინური სიტყვაა და ქართულად ძარცვას ნიშნავს. მიცვალებულის გაძარცვა არაკეთისინდისიერებაა, რაზეც სამართლიანი იურიდიული დასკვნა სამართალდამცავებმა უნდა გააკეთონ.

საქართველოს სსრ პროკურატურა

საბრალდებო დასკვნა

№ 6103–74 საქმეზე

პეტრე გედევანის ძე ბელბასიანის

და სხვათა მიმართ

დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186 მუხლის II ნაწილით და 189 მუხლის II ნაწილით

დაიწყო — 14 თებერვალი 1974 წ.
დამთავრდა — 29 ოქტომბერი 1975 წ.

ტომი № 1



იმავე ხასიათის და სათაურით თითქმის იმავე ამ სახელმძღვანელოს „ავტორი“ „აკადემიკოსი“ პროფ. ბიძინა ჭუმბურიძე გახლავთ, რომელმაც წინამორბედი ავტორისაგან 31 თაბახი მოცულობის წიგნი თავიდან ბოლომდე გადაწერა 18 თაბახი დაუმატა, თქვენვე განსაზღვრეთ ემპირიული და სტრუქტურული ფორმულების თარგმნა რაოდენ „სიძნელეებთან“ იქნებოდა დაკავშირებული და სხვისი ნაშრომის ასე აშკარად მითვისებისათვის, ჩალით დახურულ ქვეყანაში ბიძინა ჭუმბურიძეს სახელმწიფო პრემია მიანიჭეს. იურიდიული სიმართლის თვალსაზრისით ამ პრემიის თანხიდან 61 პროცენტი პროფესორ ა. მშვიდობაძეს ეკუთვნოდა და 39 პროცენტი ბ. ჭუმბურიძეს. სათქმელია ისიც, რომ ამ წიგნის ტიტულზე და არა ყდაზე უნდა ეწეროს ჯერ პროფესორი ა. მშვიდობაძე და შემდეგ პროფესორი ბ. ჭუმბურიძე, იმის აღნიშვნით, რომ ეს სახელმძღვანელო ნათარგმნია შესაბამისი რუსულენოვანი მონოგრაფიებიდან ქართველი სტუდენტებისათვის, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო.

ჟურნალში „ფარმაცევტული მაცნე-მედია“ ბიძინა ჭუმბურიძე ქართული ფარმაციის პატრიარქს უწოდებს, სულიერი მოძღვრობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ იგი ქართული ფარმაციის დამანგრეველი, მოღალატე გაპონი უფროა, ვიდრე სულიერი მოძღვარი. იხილეთ მისი ფაქსიმილე ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანება №127 /ო 6/IV 1994 წლისა. სადაც მინისტრის ბრძანებაზე მთავარი სააფთიაქო სამმართველოს გაუქმების შესახებ დაკლაკნილი-დახვეული გველივით ბიძინას ფაქსიმილეა გრიფია ე.წ. თანხმობა ამ უწყების გაუქმების თაობაზე, რითაც ფაქტიურად 5 000 თანამემამულე ამ უწყებაში უმუშევარი დარჩა. დავით გურამიშვილის წაბაძვით თუ ვიტყვით: აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის ნაშენები ადმახეული ბ. ჭუმბურიძემ დადმა აფარცხა, მოგვითხარა სამმართველო ძირფესვიან ამოიღო. ასეა ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდებოდა. ღვანკითის შევარდენმა პოეტმა ვარდენ ყიფიანმა ასეთი ლექსი დატოვა ანდერძად.

„მუხამ თქვა წალდი ვერ მომჭრის
ვერც ნაჯახი და ცულიო,
რომლის ყურეში არ იყოს
გაყრილი ჩემი გულიო„

დღეს პროვიზორის დიპლომის ასლსს პროფესიონალები ას ლარად აქირავებენ და აფთიაქს პროფანები მართავენ. ყოჩაღ ბატონო ბიძინა. ნამდვილი „სულიერი მოძღვარი“ ბრძანდებით, ვინაიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის 15 მოკავშირე რესპუბლიკიდან არავის ასე უღმერთოდ არ მოუსპია მთავარი სააფთიაქო სამმართველოები. დარწმუნებული ვარ მთავარი სააფთიაქო სამმართველო, რომ არ გაუქმებულიყო, არც თბილისის ნომერ პირველი აფთიაქი-მუზეუმი მოისპობოდა.

- ჯ.ოთრია - საბუღალტრო აღრიცხვა ანგარიშგების გან. უფროსი
- რ.მახარაძე - ფარმაციისა და ფარმწარმოების გან. უფროსი
- ა.ჯავახიშვილი - მთავარი სპეციალისტი იურისტი
- ვ.ახობაძე - მთავარი საყფოიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილე
- ბ.ყუბურიძე - საბერძნეთი უნივერსიტეტის კათედრის გამგე
- ვ.ერიაშვილი - საბერძნეთი უნივერსიტეტის დოკენტი
- გ.ხანდაძე - რესპუბლიკური ქიმიურ ანალიზური laboratory-ის გამგე
- კ. ჩიკაშუა - ფიზიოსის 23-ე აფთიაქის გამგე

5. დაევალოს კომისიას ერთი თვის ვადაში უგრუნველყოს მთავრობის ვადგენილებით გათვალისწინებულ-ფარმაკოლოგიური, წორმატიული და ინფექციური მასალების მომზადება.

6.1. მთავარი საყფოიაქო სამმართველოს გაუქმებასთან დაკავშირებით შეიქმნას საექსპერტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ვ.ახობაძე - მთავარი საყფოიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილე კომისიის თავჯდომარე
- ჯ.ჯინჯოლავა - მთავარი საყფოიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილე თავჯდომარის მოადგილე.
- ფ.ფეინეფაძე - საყფოიაქო სამმართველოს მთავარი ბუღალტერი
- შ.რობაქიძე - მთავარი საყფოიაქო სამმართველოს გან. გამგე

6.2. საექსპერტო კომისია დაექვემდებაროს ცენტრალურ კომისიას.

6.3. დაევალოს საექსპერტო კომისიას ორი თვის ვადაში ჩაატაროს მთავარი საყფოიაქო სამმართველოს ექსპერტიზის საბუთები და აბსოლუტურ დაკანონებით უგრუნველყოს:

ა) საერთის სრული ინვენტარიზაცია;

ბ) მატერიალურ ფასეულობათა სრული აღწერა და დროებით პასუხისმგებელ პირებზე ხელშეკრულებით ჩაბარება;

გ) შესაბამისი ფინანსადების მაკონტროლებელ პრესაში;

დ) საანგარიშსწორებო ანგარიშების ინვენტარიზაცია და დახურვა;

ე) ყველა საანგარიშსწორებო ანგარიშის დახურვა, რაზეც წარიღებით ეცნობოს შესაბამის საბანკო დაწესებულებებს;

ვ) დოკუმენტაციის არქივის წესით დამუშავება და შესანახად გადაცემა რესპუბლიკური არქივისათვის.

6.4. საექსპერტო კომისიას წესა დაერთოს ექსპერტიზის პერიოდზ შეინარჩუნოს მთავარი საყფოიაქო სამმართველოს ის მუშაკები, რომლებიც აღნიშნული საბუთების ჩასაბარებლად აუცილებელია, ამასთან ბრომითი

ხელშეკრულების საფუძველზე ამ საბუთების ჩასაბარებლად მოიწვიოს სხვა მუშაკებიც.

7. დაევალოს ცენტრალურ კომისიას ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს გასახილველად საქართველოში სახელმწიფო ფარმაცევტული სისტემის რეორგანიზაციის მოდელისა და დარგში პრივატიზაციის პროგრამის წინადადებები.

8. მოცემული ბრძანების შესრულებას გავაკონტროლებ პირადად.

მინისტრი ჯორბენაძე

მკითხველო დააკვირდით მთავარი სააფთიაქო სამმართველოს გაუქმების შესახებ მინისტრის ბრძანების ტექსტის მესამე გვერდს. ყოფილი მინისტრი, ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე ამ ბრძანებას ხელს არ აწერს, ვინაიდან მან იცის მაინცა და მაინც სასახელო საქმე არ არის მთავარი სააფთიაქო სამმართველოს გაუქმება, რომელიც ქართველმა ხალხმა: კახელმა მევენახეებმა დასავლეთ საქართველოს მეჩაიეებმა და მეციტრუსეებმა, ჭიათურის მადაროელებმა და შემდეგ რუსთავის და ზესტაფონის მეტალურგებმა შრომით და ოფლით შექმნა, ჩამოაყალიბა და მის გაუქმებაზე ხელს არ აწერს ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე. მისი გვარის გასაწრივ ჯოხია ჩამოსმული და ბრძანებაზე რომელიღაც ჯანიშინი აწერს ხელს ამ „ისტორიულ“ ბრძანებას. ხოლო დააკვირდით ამ გვერდს აქვეა ფარმაციის პატრიარქის ბატონი ბიძინა ჭუმბურიძის თანხმობის გრიფი.

ბატონო პატრიარქო! თქვენ რომ წერთ თითქოს სოკრატ სალუქვაძე შუასაუკუნეების კარაბადინებს **აკნინებსო** და თუ თქვენ ვინმე დაგიჯერებთ 21-ე საუკუნის კარიბჭესთან ეს ძველი წერილობითი ძეგლები ფარმაკოპეებზე მაღლა დგასო ეს როგორ? ბატონი ზაზა ფანასკერტელი იცნობდა ამპულებში ჩამოსხმულ თხევად ჟანგბადს? ანდა ხომ არ იყო ძამას ხეობაში სამედიცინო ჟანგბადის წარმოების საამქრო და ჟანგბადის ბალიშების ნაცვლად გუდასტვირით თურმე ნიკანდრო ქირია - ექსპედიტორი არიგებდა ჟანგბადს სოფელ წინარეხის, ნიჩბისის და ძამას ხეობის აფთიაქებში? ეს ყველაფერი სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს. გახსოვთ პატრიარქო! ჯანსუღ კახიძის „შვიდკაცაში“ თენგიზ კორინთელი ჩვეული ბანით რომ როხროხობდა „საბრალოა ყველა ქალი, ვინც ჩვენ ერთგულად დაგვსახა და მე სიცილითა ვკვდებით, მეცინება ხა ხა ხა ანუ საბრალოა ყველა სტუდენტი და რექტორი, ვინც თქვენ ლექტორობა დაგაბრალათ. მშვიდობით ბატონო ბიძინა,! ღმერთმანი შუასაუკუნეების კარაბადინებს მე ვაკნინებ, თორემ ისინი მეცნიერული თვალსაზრისით ასი თავით სჯობს, მაღლა დგას მეოცე საუკუნის მეცნიერულ ფარმაკოპეებს. ვაი ჩვენს პატრონს. ბატონო ბიძინა! ჩემს ჯიბრზე და ჯინზე ასეთ სისულელეებს ნუღარ დაწერთ. ნუთუ ვერ გრძნობთ რომ შუასაუკუნეების კარაბადინების ტექსტების მახასიათებლებისა და მეოცე საუკუნის უნივერსალური ფარმაკოპეების ტექსტების მახასიათებლებს შორის განსხვავებები იქნება თუნდაც იმიტომ, რომ ფარმაკოპეების არქიტექტონიკა და რედაქცია საუკუნეების მანძილზე პერმანენტულად სრულყოფილი ხდებოდა! მიდი მიდი ჩვენო ბიძინა მაგ მოლიპული გზა შენი უკვდავების ტაძართან მიგიყვანს.

დააკვირდით ამ ფაქსიმილეს, იცანით? ეს ბიძინა ჭუმბურიძის პირადი ხელმოწერა გახლავთ მინისტრის ბრძანებაზე თანხმობის მიზნით, რომლითაც გაუქმდა მთავარი სააფთიაქო სამმართველო. სირცხვილო სადა ხარ შენ? სადა ვარ და ბიძინა ჭუმბურიძესთან, თუმცა მან სირცხვილის გრძნობა დიდი ხნის წინათ დაკარგა. მე ვეკითხები „ფარმაციის პატრიარქს“ სადღაა: დედაქალაქის № 1 აფთიაქი-მუზეუმი სადღაა №№ 1, 2-ე, 3-ე, 4-ე, 15-ე, 19-ე, 24-ე და დედაქალაქის ტრადიციული სხვა აფთიაქები? აქვე იმასაც ვკითხულობთ საქართველოს აფთიაქებში ასე ხელაღებით ტრადიციული წამლების დამზადება საასტისტენტოებში რომ გაუქმდა ეს ეკადრება ნამდვილ პატრიარქტს - სულიერ მოძღვარს დარგისას? ყოჩაღ, ყოჩაღ ბატონო ბიძინა, შენ ხარ და შენი ნაბადი.

отказался от таблетирования и "филиксан" не выпускается в виде таблеток.

Мало того, за последние 15 лет завод получает большое количество рекламаций от заказчиков, ввиду - в одних случаях, токсичности "филиксана", а в других, и наиболее часто, ввиду неэффективности его как антигельминтного средства.

Объяснение этого кроется в том, что, как известно, непорошкованное корневище папоротника не может храниться долго - действующие вещества его разлагаются или изменяются быстро, за три месяца.

То же самое, ясно, происходит и с "филиксаном", который упомянутые действующие вещества содержит в сухом виде.

Эфирный же экстракт корневища, в маслах которого растворены действующие вещества и масляные растворы сухих извлечений (как например, "филмаронол") сохраняют терапевтическую активность до I года, потому что масла предохраняют от разложения действующие вещества корневища.

Исходя из всего вышеизложенного считаем, что изобретение Н.Г. Гелбакиани - способ изготовления препарата "филиксан" не имеет существенной новизны и не дает положительного эффекта. Поэтому авторское свидетельство № 98641, выданное Минздравом СССР с приоритетом от 6 февраля 1953 года, по нашему мнению, должно быть аннулировано.

Член-корр. АМН СССР
заслуженный деятель науки
доктор медицинских наук
профессор — МАРУАШВИЛИ Г.М.

Доктор фармацевтических наук
профессор — ЧУМБУРИДЗЕ Г.В.

Кандидат медицинских наук
доцент — ХВЕДЕЛИДЗЕ Г.В.

Кандидат биологических наук
старший научный сотрудник — ГОГОЛАДЗЕ Т.В.

Кандидат фармацевтических наук
доцент, и.о. зав. кафедрой
технологии лекарств — ЧХАТАРАШВИЛИ Л.Е.

Заслуженный деятель науки,
доктор фармацевтических наук,
профессор — МШВИДОБАДЗЕ А.Е.

ზემოთმითითებული კომისიის წევრების დასკვნით და ხელმოწერებით პროფ. პ. გელბახიანს ჩამოერთვა საავტორო მოწმობა.

2) следует отметить, что на основе материалов ин-
токсикационного, которая была в обсуждении АМН, и результатов
чего последовало ошибочное утверждение И.Гонгадзе в отношении
тора, в настоящее время живы её бывший председатель академии
ГССР проф.М.Н.Гегешидзе и бывший член той же комиссии проф.А.Б.
Мжавдобадзе. Из этих двух, профессор Мжавдобадзе в настоящее вре-
мя признал, что препарат "филиксол" по существу на отношении
"филиксол"-а также большинством с другими выводами наших коллегий.
Что касается акад.А.Гегешидзе, то к нему лично ни мы не обраща-
ли по этому вопросу, т.к. как патолого-анатом он не является ком-
петентным в вопросах, связанных с доказательной дисциплиной И.Гонгадзе.

Член-корреспондент АН ГССР
Доктор биологических наук
профессор — Ш.Н.Гегешидзе

Академик АН ГССР
доктор химических наук
профессор — А.М.Арешидзе

Академик А.Н. ГССР
доктор химических наук
профессор — Г.В.Цицишвили

Доктор химических наук
профессор — Р.А.Лордкипанидзе

Член-корреспондент АН ГССР
доктор биологических наук
профессор — Г.А.Ониани

Член-корреспондент АН ГССР
заслуженный деятель науки
доктор медицинских наук — Ш.Шатирашвили

Доктор фармацевтических наук
профессор — Б.Ш.Чигогидзе

Кандидат биологических наук
старший научный сотрудник — Г.З.Гоголадзе

Кандидат фармацевтических наук
доцент, и.о. зав.кафедрой
технологии лекарств — Л.К.Чихаришвили

Кандидат медицинских наук
доцент — Г.Г. Хропанидзе.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სწავლულ ექსპერტთა სამეგრელოს
ჩამოერთვა ბატონ პეტრე გელბახიანს ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო
ხარისხი. დოვიკური იქნება ბატონ პეტრე გელბახიანის თავმჯდომარეობით და თოსნობით
მინიჭებულ დოქტორის ხარისხს თუ ჩამოვართმევთ ბიძინა ჭუმბურიძესაც, მითუმეტეს
„ვაკ“-ის თავმჯდომარესთან ერთად ნაცნობობით და აშკარა პროტექტორობით
ბატონმა პეტრე გელბახიანმა ფარმაცევტული მეცნიერების დოქტორის დიპლომი ჩამოუტანა
მისკოვიდან ამ უკანასკნელს. მართლაც ეფორს უკანასკნელ არაკეს - ბიძინა ჭუმბურიძეს.

ზემოთდასახელებული კომისიის წევრების დასკვნით და ხელმოწერებით პროფ. პ. გელბახიანს ჩამოერთვა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის წოდება, რაზედაც ხელს აწერს პროფ. ბ ჭუმბურიძე. თქვენ თვითონ განსაზღვრეთ, რამდენად ეთიკურია ასეთი საქციელი, როცა ბ. ჭუმბურიძე დოქტორიცა და პროფესორიც პროფ. პ. გელბახიანის ხელშეწყობით გახდა. ეს ხომ აშკარა უმადურობაა.



ბერძნული ტროპარის მიხედვით „წმიდა გიორგი“ სნეულთა მკურნალი იყო. დაე, ყოველ თქვენთაგანს ფარავდეს საკურნებელი მადლი წმიდა გიორგისა, ამბობს მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე.

ჩვენგან წავიდა ალტერნატიული-ტრადიციული მედიცინის უგადლო სახალხო მკურნალი - ჯუმბერ ჯაფარიძე

ჩემს უბის წიგნაკში აფორიზმებთან, ტელეფონების ნომრებთან და სხვადასხვა მისამართებთან ერთად ჩაკრული მაქვს დიდი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის სურათი, რომელიც ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და ერმა შარავანდედით შემოსა ყველა ლიხაურელი მოვალეა ჯეროვანი პატივი მიაგოს ზნეკეთილ თანასოფლელს და მე, მისი სახელობის საშუალო სკოლის კურს დამთავრებულმა უბის წიგნაკში ჩაკრული ვატარო



შარავანდედით მოსილი წმინდანი ერის მეჯურჭლეთუხუცესი დიდი ექვთიმე თაყაიშვილი ხატი სოფელ ლიხაურიდან

მისი სურათი. ეს მოვალეობაა ჩემი, ასევე თითოეულმა ქართველმა ხატად ქცეული ღვთის კაცის ექვთიმე თაყაიშვილის სახიერება ძეწკვით კისერზე ჩამოკიდებული უნდა ატაროს და ჩვენ მისგან ვისწავლოთ პატრიოტიზმი, შეუპოვრობა, უანგარობა და მეცნიერული

გულითად მეგობართა გალერეა სოკრატ სალუქვაძის უბის წიგნაკიდან

იაშა მახარაძე

ჯუმბერ ჯაფარიძე



ვაჟა წიქარიძე

ვახტანგ გაჩეჩილაძე

ანგელატ რუსეიშვილი

ჭეშმარიტების ძიება, 'სულ ბოლო ამოქშენამდე". ამ უხანო წუთისოფელში დიდება მის მშობლიურ სოფელ ლიხაურს, რომელიც ადგილის დედად, წმინდა ტოპონიმად არის ქცეული სრულიად საქართველოში. აქვე მაქვს ჩაკრული.

ხუთი მეგობრის სურათი, ესენია: იაშა მახარაძე, რომელიც ჩემი ფიქრების მუდმივი თანამგზავრია და მის წასვლას ამ წუთისოფლიდან დღემდე ვერ შევრიგებივარ, იგი ცოცხლობს ჩემს ფიქრებში, ჩემს განცდებში... ხშირად ვქეიფობთ ერთად, ხან მატარებელში ვართ, ხან მსუბუქ მანქანაში... გამომეღვიძება და თურმე სიზმარში ვხედავ ჩემს გულითად მეგობარს, მეორე სურათი ჩემი მეგობრის და მამიდაშვილის ვაჟა წიქარიძისაა. ვაჟა მოსკოვში ცხოვრობდა რამდენიმე წლის მანძილზე და ახლახან დაბრუნდა გორის რაიონის სოფელ ატენში, ვაჟა თანამდგომი და მანუგეშებელი კაცია. უფალს ვევედრები ჩემი ვაჟა დიდხანს კარგად ამყოფოს... მომდევნო სურათში ვახტანგ გაჩეჩილაძეა, რომლის მსგავსი ადამიანი, კეთილშიბილი და მოყვასი ძნელია დაასახელო.. იგი პროფესიით ექიმი-მკურნალია ოკულოლოგი პროფესორი, მაგრამ უფრო სწორად ძმაკაცობის და მეგობრობის პროფესორი-აკადემიკოსია, თავმდაბალი, დაუზარელი, პურმარილიანი, მუდამ მობრძანდი, ნამდვილი **„ანტრე"** კაცია, არაფერი შეშურდება მეგობრისათვის და ყოველთვის ყალყზე შემდგარი ლომია, ვის რა დაეხმაროს მუდამ ამაზე ფიქრობს... ერთ ბრძენს ჰკითხეს: რომელია უფრო საყვარელი ამ ქვეყნად ძმა თუ მეგობარიო? ბრძენმა უპასუხა: უდაოდ ძმა, თუ ის მეგობარიც არის! უფალმა-ღმერთმა ვახტანგ გაჩეჩილაძე მუდამ კარგად მიმყოფოს. ეს ვედრებაა ჩემი...

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩემს უბის წიგნაკში 6 სურათია და ამ სურათებს პაგინაცია არ გააჩნია... მომდვნო სურათი ეკუთვნის ჩემი ბავშვობის მეგობარს - ჯუმბერ ჯაფარიძეს. თითქმის 73 წლის მეგობრობის მანძილზე ამ ჩემი ძმაკაცისაგან ნამცეცი წყენა არ მახსოვს, ისეთი ბუნება, როგორც მას ახასიათებდა, რჩეულთა ხვედრია, მისი ბაგეტუჩი არასოდეს წარმოსთქვამდა ვინმეს მიმართ საყვედურს. მშენებელი-ინჟინერი კაცი იყო, ცნობილ პიროვნებასთან შალვა გიორგაძესთან მუშაობდა, ბადიაურში წყლის კომუნიკაციების მოგვარებაზე, შემდეგ მშობლიურ სოფელ ლიხაურში დაბრუნდა, დაქორწინდა, მას ორი ვაჟიშვილი შეეძინა: კოტე და ჯიმი.

ჯაფარიძეების ოჯახი ტრადიციულად წყალმანკის წამალს ამზადებდა, ციროზი თუ არ იყო სხვა ყველა შემთხვევაში მკურნალობის შედეგები დადებითი იყო და დღესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეხვდებით სოფელ ლიხაურში,ნიაბაურის უბანში მოქალაქეებს, რომლებიც შეგეკითხებიან: „სად ცხოვრობს ჯუმბერ ჯაფარიძე"? მას ყველა იცნობდა როგორც უებრო მკურნალს. მის ოჯახში დამზადებულ წამალს ჯაფარიძეების წყალმანკის წამალს ეძახიან დღეში 800 გრ უნდა მიიღო და მკურნალობის კურსის ჩასატარებლად 15 დღეა საჭირო, ე.ი. სულ 12 ლიტრის დალევაა აუცილებელი. წარმოიდგინეთ გულის პერანგში სითხის ჩადგომა - ეს ხომ ინფარქტზე უარესი დაავადებაა, ან თავის ქალას კანს შორის ჩამდგარი სითხე, ან პლევრის ღრუში, ან მუცლის არეში, ან მუხლში სითხის ჩადგომა ხომ საშინელებაა? აი, გურიაში კვირის თავს რომ ეძახიან ე.ი. მენისკის დაავადებას. ჯაფარიძეების საგვარეულო ამ წამალს მე, როგორც წამალთმცოდნეობის ისტორიის მკვლევარმა დავარქვი დეკოკტუმ ჯუმჯიმკოტე ანუ ჯუმბერის, ჯიმის და კოტეს სახელობის ნახარში, რომელიც უკვე პატენტირებულია. მე მყავდა მამიდაშვილი, ძალიან კარგი ბიჭი - რამინ ბაქანიძე, რომელსაც გულის პერანგში სითხე ჩაუდგა. ქირურგებმა იჩქარეს გულზე ოპერაცია გაუკეთეს, პერანგი შემოაჭრეს. ავადმყოფი დაიღუპა. დღესაც ვნაღვლობ და ვდარდობ იმიტომ, რომ რამინისთვის ორი

გვაბრა ბოთლი ჯაფარიძეების წამალი მიგვეწოდებინა, იგი დღესაც ცოცხალი იქნებოდა.

სამეზობლოში ცნობილი იყო ჯუმბერის ქველმოქმედება, დახმარება, ფულის სესხება, ზოგჯერ ივიწყებდა ვის რამდენი ასესხა და უკან დაბრუნებას არავის შეახსენებდა. ჯუმბერი მოქეიფე, პურმარილიანი კაცი იყო ქეიფი უყვარდა საკუთარ მოედანზე და არც გასვლით მატჩებზეც უარს არ იტყოდა. 73–ე წლის თავზე ცხოვრების კიბის საფეხური ჩაუტყდა, ჩვენგან წავიდა ინჟინერი და ტრადიციული მედიცინის მკურნალი. 2008 წლის 5 ოქტომბერს მის ცხედართან ოჯახში სამი ნაკურთხი სანთელი მივიტანე: ერთი კუბოს თავთან ავანთე - ცხარე ცრემლები წამსკდა... მეწყინა ჩემი გულითადი მეგობრის გარდაცვალება. შემებრალა ჯუმბერის დამარხვა. გაბზარული ხმით ასე ვთქვი მის ცხედართან: ჩვენო ჯუმბერ! ერთ სანთელს აქვე გინთებ, მეორეს ჯვრის ღვთისმშობლის ეკლესიაში, წმინდა მარიამს შევევედრები შენი სული ნათელში ამყოფოს-თქო, მესამე სანთელი ანთებული საფლავის შავი ქვის წვეტზე მივაკარი, სადაც დედამისის შუტუს, მამამისის კოტეს, ძმის ჩანგას (ბადრის) და ბებიამისის ელენეს საფლავებია, ჯუმბერის გათხრილი საფლავის გვერდით. ხმა ვერ ამოვიღე გულში კი ასე ვიფიქრე: საიქიოს წყვდიადი გაგინათოს ამ სანთელმა... თუმცა შენი თანაკლასელები: ლევან ლონჯარია, რობერტ გოგოლიშვილი და სხვები შემოეგებებოდნენ...

ჩვენი ჯუმბერი მშვენიერ ლექსებს წერდა,ძირითადად,პატრიოტულს სახოტბოს და საბუნებისმეტყველოს, ჩვენს ჯუმბერს შვილიშვილი მოესწრო და მას ასეთი ლექსი მიუძღვნა:

‘შვილიშვილს ველოდებოდი დაიბადა გოგონა,

ყველას ბიჭი ეგონა და მეც ასე მეგონა,

მშვენიერი გოგონაა არ აკლია სიმშვენე,

ღმერთო დიდი გამიზარდე ანგელოზი ელენე“ – ასე მოასწრო სიკვდილის წინ ელენეს დალოცვა.

ჩემო ჯუმბერ! სანამ სული მიდგას ამ წუთისოფელში ‘სულ ბოლო ამოქშენამდე“ შენი სახიერება ჩემი გონებიდან არ გამოვა, არ ამოიშლება და შენი სურათი ჩემი უბის წიგნიდან ვერსად გადაადგილდება. მე წარსულ დროში არასოდეს მოგიხსენებ - შენ ცოცხალი ხარ ჩემს ფიქრებთან ერთად, ისე როგორც იაშა მახარაძე და ჩემი მშობლები, თუმცა მამაჩემი სტეფანე ამბაკოს ძე სალუქვაძე მამაშენის ძმაკაცი - ერთად რომ კალმახობდნენ და ნოკიფეს ხიდთან ბადით დაჭერილ კალმახებს ორად გაყოფდნენ ძმაკაცები: ერთი მათგანი გარიგებულ თევზთან ზურგით დადგებოდა, მერე (ორივე ერთი იყო, პირველ-მეორე მათ შორის თურმე არ არსებობდა ს.ს.) – ეს თევზი ვისიაო – იკითხავდა მამაშენი კოტე და მამაჩემი ეტყოდა შენი ან ჩემიო და თურმე ნანადირევი გრამი-გრამში იყო გარიგებული.

ჩემს უბის წიგნაკში ასევე ჩაკრულია ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქ-ტორის ანგელოტ რუსეიშვილის სურათი. ჩემი ძმაკაცის ამაგს, ასი წელიც რომ ვიცოცხ-ლო, ალბათ, ვერ გადავიხდი!

მაგონდება ასეთი ეპიზოდი. თბილისის №1 აფთიაქ-მუზეუმში მესტუმრნენ ლიხაუ-რელები: აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე და დოქტორი ანგელოტ რუსეიშვილი. აფთიაქ-ში - მუზეუმის მმართველის სავარძელიდან ასე მომეჩვენა თითქოს ერთმანეთს შეხვდნენ შოთა რუსთაველის გმირები: ტარიელი და ავთანდილი. ამ ორი ქართველის გარეგნული ვაჟკაცური იერ-სახე, ფიზიკური ახოვნებ, ჩაცმულობა შუა საუკუნეების რაინდების შთაბე-ჭდილებას ტოვებდა ჩემს ცნობიერებაში. მხატვარ სერგო ქობულაძის ფერწერულ ტილოზე

ტარიელის და ავთანდილის შეხვედრა გამახსენდა... დღეს ორთავეს გულში სტიმულა-ტორები აქვთ ჩასმული, რათა ერს დიდხანს ემსახურონ ამინ... ამინ... ამინ... რაც შემეხება მე ღალატს წინამდებარე ჯირკვლიდან მოველი, თუმცა ადამიანი მთვარეზე დაჯდა, მაინც არ იცის როდის წავა ამ წუთისოფლიდან... მამაჩემის ბიძაშვილს - დიომიდე სალუქვაძეს პოეზია უყვარდა, მისგან ასეთი ფრაზა დამამახსოვრდა: 'დავბერდი და გადავხუცდი, ამ ქვეყანას რაღას უცდიო". 73 მოვღუნე და 74-ეში შევდგი ფეხი... ფოლადის იოსებ სტალინი ამ ასაკში მოწმალა ავსულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა... ცხოვრებაში იმდენი ავხორცი შემხვედრია, მათი ულაზათო საქციელით კაცს შეიძლება ინსულტი დაემართოს, ვინაიდან ცუდი საქციელი ხომ შხამზე უარესია, თუმცა ადამიანი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ წინასწარ ვერ განსაზღვრავს სხეულის რომელი ანატომიური ორგანო უღალატებს... ქვედა კიდურის თითების ამპუტაციაც არ არის გამორიცხული განგრენის გამო. ასეა, ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდება. ჯერჯერობით გული სად მაქვს ვერ ვგრძნობ, ამიტომ ვარ გულმაგარი და ვფიქრობ ჩემი გული დიდხანს არ მიღალატებს. ინფარქტი ჯერჯერობით შორსაა ჩემგან, მაგრამ თუ ჯუმბერისთანა მეგობრები ვკარგე გზა-გზა, მაშინ ჩემი აზრი და ფიქრი ვიღას გაუზიარო? თუ რაიმეს ვცოდავ უფალო ჩემო შეიწყალე შენი ცოდვილი შვილი, 'მომეც მიჯნურთა სიტურფე... და ცოდვათა შემსუბუქება მუნ თანა წასატანისად"... ასეა,ბრძენი სულ სიკვდილზე ფიქრობს და ლოთი გამარჯვებასა. მეგობრებო ძნელია ამ წუთისოფელში ნოდარ დუმბაძის, შოთა ნიშნიანიძის ზაურ ბოლქვაძის, გურამ ფანჯიკიძის, ანა კალანდაძის, ჰამლეტ გონაშვილის, ზურიკო აბზიანიძის, ანზორ სალუქვაძის, შოთა სალუქვაძის, ეთერი სალუქვაძის, რეზო სალუქვაძის, პეტრე ჯიბლაძის, ეროსი მანჯგალაძის, ირაკლი უჩანეიშვილის და რომელთა რიცხვს დაემატა ტრადიციული მედიცინის კაშკაშა ვარსკვლავის სახალხო მკურნალი ჩვენი ჯუმბერი და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი მეგობარი კაცი დააკლდა ჩემს ცნობიერებას საქართველოს და თბილისს.

დაეშვა ლამაზ სპექტაკლის ფარდა,ჩვენ,ძმაკაცებს ერთმანეთი როგორ გვიყვარდა... მშვიდობით ჩემო ჯუმბერ... დაგვლოცე... ადრე არ მოგვაკითხო ბევრი საქმეა გასაკეთებელი... ძმური სიყვარულით გემშვიდობები მე

სოკრატ სალუქვაძე

მეცნიერებაში უკუღმართი საქციელი მკაცრად უნდა ვამხილოთ, რომ აქ ვეღარ ბოგინობდნენ სახელსა და დიდებას

დახარბებული ვაი მეცნიერები

ანუ

<u>რეცენზია ხარისხის მაძიებელ ქალბატონ იამზე სახამბერიძის დისერტაციაზე სათაურით: "შხამები და შხამსაწინააღმდეგო საშუალებები ქართულ ტრადიციულ მედიცინაში; შედარებითი რეტროსპექტული ანალიზი და თანამედროვე გამოყენების პერსპექტივები"</u>

დისერტაცია F 2176 1 A 2012

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტი

დისერტაცია ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის

სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

2004 წელი

მეცნიერული ხელმძღვანელები: აკადემიკოსი რამაზ შენგელია და აკადემიკოსი ბიძინა ჭუმბურიძე. დისერტაციის დაცვა მოხდა 2004 წლის 31 იანვარს 14 საათზე, ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე.

მე ვაცხადებ პრეტენზიას, პირველ რიგში, დისერტანტთან და დისერტაციის ექსპერტების წინაშე, ასევე მეცნიერ ხელმძღვანელებთან: აკადემიკოს რამაზ შენგელიასთან და აკადემიკოს ბიძინა ჭუმბურიძესთან. განცვიფრებული ვარ, არა მგონია ოფიციალური ოპონენტი ბატონი პროფ. <u>**ვაჟა ერიაშვილი,**</u> რომელმაც <u>**ყოვლად შეუძლებელია**</u> წამალთმცოდნეობის ისტორიაში არ იცოდეს ჩემი, <u>**სოკრატ სალუქვაძის**</u> გვარის ხსენების გარეშე სადისერტაციო შრომა იყოს წარმოდგენილი ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს წინაშე და ეს ნაკლი ვერც ექსპერტებმა შეამჩნიოს და ვერც ოფიციალურმა ოპონენტებმა.

ამჯერად თავს ვიკავებ აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილის წინაშე, ვინიდან მას როცა გავესაუბრე, აღარ ახსოვს 'ვიყავი თუ არა ამ დისერტანტის – იამზე სახამბერიძის ოფიციალური ოპონენტიო" მიუხედავად ამისა ავტორეფერატზე ოფიციალურად ფიგურირებს ბატონი ბადრი რაჭველიშვილი. დისერტაციის დაცვას მე არ დავსწრებივარ, თორემ დაცვის პროცესში ნამდვილად შევაჩერებდი! (ს.ს.).

წინასწარვე ვაცხადებ შემდეგს: დასახული საკითხის პრობლემის გადაჭრას დისერტანტი ვერ პასუხობს და მისი ოფიციალური მეცნიერული ხელმძღვანელები დისერტანტთან ერთად მხილებული არიან ისეთ მძიმე და-ნაშაულში, რომელიც მეცნიერებაში ცნობილია ლათინური სიტყვის – <u>**პლაგიატის**</u> სახელწოდებით. ჩემი

მეცნიერული შრომებიდან დისერტაბელური თემატიკის მითვისებაში, ვინაიდან ჩემი მონოგრაფია, საერთოდ, მითითებული არც არის ნასარგებლებ ლიტერატურაში და ფაქტობრივად დისერტაცია დასა-ხულ მიზანს ვერ პასუხობს, მეცნიერული პრობლემა გადაჭრილი ვერ არის (!).

ქვემოთ მსჯელობისას მე ამას ლოგიკურად დავამტკიცებ. მძიმე შედეგების შესახებ ობიექტურად იმსჯელოს ჩვენი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტებმა და კომისიამ, დაწეროს სწორი მეცნიერული ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ ობიექტური დასკვნა და მიღებულ იქნეს ობიექტური გადაწყვეტილება. ამჟამად ამ დისერტაციის სარჩევიდან შევეხოთ ორ საკითხს:

1. მედიცინისა და ფარმაციის ისტორიის კვლევა საქართველოში (!) და
2. **<u>"შხამები და შხამსაწინააღმდეგო საშუალებები ძველ ქართულ ტრადიციულ მედიცინაში"</u>**, რომლის ბოლოში მიწერილია კვლევის შედეგები.

ვნახოთ კვლევის რა შედეგები მიუღია დისერტანტს და მის მეცნიერხელმძღვანელ აკადემიკოსებს? თავიდანვე მოგახსენებთ შედეგები სასაცილოა, სატრალი რომ არ იყოს.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია დასახელებული დისერტაციის I ქვესათაური ასევე ვერ არის გამართული ეროვნულ-ქართული ტერმინით, აჯობებდა რომ იყოს: **<u>'წამალთმცოდნეობისა და მედიცინის ისტორიის საკითხების კვლევა ძველ საქართველოში</u>**". აქვე ვაცხადებ მეცნიერული პრინციპულობით საქართველოში წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების კვლევა წარმოუდგენელია ჩვენი ფუნდამენტური მონოგრაფიის მითითების გარეშე, თუნდაც ნასარგებლები ლიტერატურის სახით, რომელიც გამომცემლობა 'ხელოვნებამ" გამოსცა 1987 წელს სათაურით: **<u>'ს.სალუქვაძე - წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე"</u>**. ამის გარდა საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტირიის საკითხებზე დამატებით, სულ ცოტა 5 მონოგრაფია მაქვს გამოცემული, რასაც ემატება 45-მდე მეცნიერული შრომების პუბლიკაცია და ამიტომ წარმოუდგენელია მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის შრომების განზრახ დაუსახელებლად (ჩემი გვარის და შრომების დასახელების გარეშე). დაიწეროს ამ სფეროში დისერტაციის **<u>'ლიტერატურული მიმოხილვა"</u>** და იგი იყოს ობიექტური(!). ეს მაშინ როცა ამ დისერტანტის ერთ-ერთ მეცნიერხელმძღვანელს პროფ. ბიძინა ჭუმბურიძეს თითქმის ყოველდღიურად ხელთუპყრია ეს ჩემი მონოგრაფია და 1987 წლის შემდეგ შურით და სიხარბით ლამის შარდს სისხლი გააყოლოს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამ სრულიად უიდეო 'პროფესორმა" გადაწერა პროფ. ა. მშვიდობაძის კომპილაციური ხასიათის ნათარგმნი დამხმარე სახელმძღვანელო სათაურით 'ფარმაცევტული ქიმიის სახელმძღვანელო" (რომელიც სამწუხაროდ **<u>მონოგრაფიის</u>** ეგიდით გამოიცა) მოცულობით 31 თაბახი, წინა ორი გამოცემის რედაქტორი თვითონვე იყო, რასაც ახალი რედაქციით გამოცემისას დამატებული აქვს 18 თაბახი და 1994 წელს გამოსცა სათაურით 'ფარმაცევტული ქიმია", რომლის ავტორად წარმოდგენილია

პროფ. ბიძინა ჭუმბურიძე! ჩვენი ღრმა რწმენით ორივე შემთხვევაში ამ წიგნის ტიტულზე უნდა ეწეროს '...შესაბამისი **<u>რუსულენოვანი ლიტერატურის თარგმნით დამხმარე სახელმძღვანელო შეადგინა პროფ. ა. მშვიდობაძემ'</u>**. პროფ. ა.მშვიდობაძე ამ წიგნის ორ თუ სამჯერ გამოცემის შემდეგ გარდაიცვალა და საფიქრებელია მოდევნო ახალი რედაქციით გამოცემისათვის დამატებით 18 თაბახი მოცულობის მასალები პროფ. ა. მშვიდობაძის მიერ ჩაბარებული იყო მომდევნო გამოცემის მიზნით რედაქტორ ბიძინა ჭუმბურიძესთან და იგი სავარაუდოა 1994 წლის გამოცემაში მითვისა პროფ. ბ. ჭუმბურიძემ, ვინაიდან მისგან ასეთი მოქმედება არ არის გასაკვირი, რამეთუ იგი არც ერთ ფეხის ნაბიჯზე სანდო მეცნიერი არ გახლავთ! ამის დამტკიცება დღეს შეუძლებელია, მაგრამ **<u>ფაქტი სახეზეა, რომელსაც წყალი არ გაუვა</u>**. სახელდობრ, პროფ. ბიძინა ჭუმბურიძის ამ 49-თაბახიან დამხმარე სახელმძღვანელოს აწერია **<u>'ფარმაცევტული ქიმია"</u>**, პროფ. ა. მშვიდობაძის წიგნს ეწერა 'ფარმაცევტული ქიმიის სახელმძღვანელო" ერთიც და მეორეც შეგნებული "შეცდომით" მონოგრაფიის ეგიდით გახლავთ გამოცემული, ეს მაშინ, როცა დამხმარე სახელმძღვანლოს ეგიდით შედგენილი წიგნი არ არის მონოგრაფია, ვინაიდან ერთ შემთხვევაში ჰონორარი სხვა პრეისკურანტით გაიცემა, მეორე შემთხვევაში ავტორს მონოგრაფიაში ჰონორარი სხვა თანხით (უფრო მეტი) ეკუთვნის, და რაც მთავარია პროფ. ბიძინა ჭუმბურიძის მიერ თითქმის იმავე შინაარსის და იმავე სათაურით დამხმარე სახელმძღვანელოს ტიტულზე უნდა ეწეროს არა მისი გვარი, არამედ ჯერ პროფ. ა. მშვიდობაძის გვარი და შემდეგ პროფ. ბ. ჭუმბურიძის გვარი, თანაც ტიტულზე, როგორც დამხმარე სახელმძღვანელოს შემადგენლებისა და არა როგორც მონოგრაფიის ავტორებისა!

პატიოსნება და მეცნიერული ეთიკა, ამ ელემენტარული სტატუსის დაცვას მოითხოვს ნებისმიერი ავტორისაგან! ამ შემთხვევაში სხვისი საავტორო უფლება მითვისებულია!

სიმართლისათვის აქვე გთავაზობთ წინგის პოლიგრაფიულ ანალიზს. ამ ორი ერთნაირი შინაარსის დამხმარე სახელმძღვანელოში 31 თაბახი ეკუთვნის პირველ შემდგენელს, პროფ. ა. მშვიდლობაძეს, ხოლო მოპარული, პლაგიატში მხილებული წიგნის ავტორს პროფ. ბ. ჭუმბურიძეს ეკუთვნის 18 თაბახი (ისიც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საკითხავია ეს არის თუ არა მისი? ს.ს.). გამოდის რომ პროფ. ა. მშვიდობაძის ამ ბოლო 1994 წლის გამოცემამდე ეკუთვნოდა ტექსტის 61% სახელმძღვანელოს თაბახებისა, ხოლო პროფ. ბ. ჭუმბურიძეს ეკუთვნის 39% ამ წიგნიდან და თუ მაინც და მაინც (31 თაბახის მითვისების ფაქტი მაქვს მხედველობაში ს.ს.) აუცილებელი იყო სახელმწიფო პრემიის გაცემა, მაშინ თანხის 61% აწ განსვენებული პროფ. ა. მშვიდობაძის ოჯახს უნდა გადასცემოდა, ხოლო 39% პრემირებული თანხიდან უნდა მიეღო პროფ. ბიძინა ჭუმბურიძეს! ჩემს მიერ ჩატარებული პოლიგრაფიული ანალიზის და თანხების **<u>სწორად განაწილებას</u>** უეჭველად, ასე მიმაჩნია წყალი არ გაუვა და თუ (სათუო აქ არაფერია ს.ს.) მართალს ვლაპარაკობ ქურდობაში მიღებული სახელმწიფო პრემიის **<u>ლაურეატობა უნდა ჩამოერთვას ამ უღირს ადრესატს ბ. ჭუმბურიძეს</u>**. როცა პროფ. ბ.

ჭუმბურიძე საკუთარ აღმზრდელს საფლავში ძარცვავს, იგი რას უზამდა საკუთარ აღზრდილ ყოფილ სტუდენტს - სოკრატ სალუქვაძეს! ქვემოთ მე დავამტკიცებ დისერტაბელური თემის სათაური და იდეა აღებულია ჩემი მონოგრაფიიდან, მაგრამ დასახული მიზანი თემის დისერტაბელური და რეტროსპექტული სიახლე მეცნიერული რეკომენდაციით ანტიდოტების რეალურად და პრაქტიკულად გამოყენების შესახებ ვერ არის მეცნიერულად დასაბუთებული. პრობლემაზე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაცია ფაქტიურად არ გალხავთ მოწოდებული, არ ჩანს არც ანტიდოტის რეცეპტი და მით უმეტეს რეალური წამლის ფორმა, თუნდაც ერთი პრეპარატი! ამ ფაქტს ჩვენ ლოგიკურად დავასაბუთებთ თანმიმდევრულად ჩვენს ობიექტურ რეცენზიაში. ამჟამად კი დავამტკიცოთ, თვით წარმოდგენილი დისერტაციის არც სათაური და არც იდეა-თემატიკა არ ეკუთვნის არც დისერტანტს, არც მის მეცნიერულ ხელმძღვანელებს: პროფ. რამაზ შენგელიას და პროფ. ბ. ჭუმბურიძეს, თუნდაც იმიტომ, რომ დისერტანტის გამოქვეყნებულ ორ შრომაში არ ჩანს, რომ ამ თემატიკაზე საერთოდ მუშაობდა დისერტანტი ქალბატონი იამზე სახამბერიძე.

სიმკვეთრისათვის და ობიექტური მეცნიერული ანალიზის მიზნით აქვე მინდა მოვიტანო დისერტანტ იამზე სახამბერიძის დისერტაციის სათაური: "შხამები და შხამსაწინააღმდეგო საშუალებები ქართულ ტრადიციულ მედიცინაში: შედარებითი რეტროსპექტული ანალიზი და თანამედროვე გამოყენების პერსპექტივები". ამ დისერტაციის სათაურის გაცნობის შემდეგ აქვე მოვიყვან ციტატას ჩემი მონოგრაფიის შესავლის მესამე გვერდიდან: **<u>'კაცობრიობისათვის, საერთოდ, საინტერესო და საყურადღებოა დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ჩაყენება. ძველ ქართულ კარაბადინებში და სამედიცინო ხასიათის წერილობით ძეგლებში დაცული მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ყველა როდია დღეისათვის მეცნიერულად ახსნილი და სამკურნალო პრაქტიკაში დანერგილი. ამ მხრივ წარსულის გამოცდილებათა საიდუმლოების გახსნა დღესაც დაუცხრომელი შესწავლის საგანია".</u>** როგორც ხედავთ დისერტაციის იდეური სათაური ჩემი მონოგრაფიიდან გახლავთ აღებული სიტყვების შეცვლით და გადაადგილებით, რაც მეცნიერებაში სამწუხაროდ ამ 'დისერტაციის" მეცნიერ ხელმძღვანელთა მოსაზრებებიც კი პლაგიატორებისათვის დამახასიათებელი მანერაა. ამის გამხელისათვის დისერტანტის ავტორეფერატიდან შევადაროთ წინადადებები სიტყვები, სათაურში დისერტანტი წერს: 'ქართულ ტრადიციულ მედიცინაში" ეს სიტყვები შეცვლილია ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ ციტატაში **<u>'ძველ ქართულ კარაბადინებში",</u>** როგორც ხედავთ სიტყვები 'ქართულ ტრადიციულ მედიცინაში" და ამ სიტყვებით შეცვლილა ჩემი გამონათქვამი 'ძველ ქართულ კარაბადინებში", სამ-სამ სიტყვიანი ორი ფრაზის შედარებისას აზრობრივი მსგავსება აშკარაა. ხოლო ზემოთ მოყვანილი ჩემი მონოგრაფიიდან ასეთი გამოთქმა: 'მნიშვნელოვანი რეკომენდაციები დღეისათვის ყველა როდია მეცნიერულად ახსნილი და სამკურნალო პრაქტიკაში დანერგილი". შეცვლილია სიტყვებით: 'რეტროსპექტული ანალიზი და თანამედროვე (ამ დროს

უმჯობესი იქნებოდა, ‘თანამედროვეობაში მათი“ ს.ს.) გამოყენების პერსპექტივებით“ აქ იდეური მსგავსება გამხელილია. ახლა მივიყვანოთ ქვესათაური ჩემი მონოგრფიიდან, რომელიც 1987 წელს გამოქვეყნდა და რომლის 443-453 გვერდებზე 18 წლით ადრე გამოქვეყნებულია: ‘მოწამვლის საწინააღმდეგო ანტიდოტების ანუ თერიაყების მომზადების და მკურნალობის მიზნით მათი გამოყენების საკითხი ძველ ქართულ კარაბადინებში“. როგორც ვხედავთ ამ ფრაზების შედარებისას აშკარად გამხელილია სათაურებშივე შინაარსობრივი მსგავსება და ამის შემდეგ მოვახდინოთ ტექსტების შედარება ჩემი მონოგრაფიების ქვესათაურებსა და ამ ნაცოდვილარი დისერტაციის ტექსტებს შორის. დისერტაციის სათაური, როგორც ზემოთ ვიუწყებოდით ასეთია: “შხამები და შხამ-საწინააღმდეგო საშუალებები... შედარებით რეტროსპექტული ანალიზი და მათი თანამედროვე გამოყენების პერსპექტივები“. ეს სათაური აღებულია ჩემი მონოგრაფიის ქვესათაურიდან, სადაც ვკითხულობთ ‘მოწამვლის საწინააღმდეგო ანტიდოტების ანუ თერიაყების მომზადების და მკურნალობის მიზნით მათი გამოყენების საკითხები ძველ ქართულ კარაბადინებში“. როგორც ზემოთ მოგახსენეთ ‘ძველ ქართულ კარაბადინებში“ შეცვლილია სიტყვებით: ‘ქართულ ტრადიციულ მედიცინაში“, ხოლო ‘მოწამვლის საწინააღმდეგო ანტიდოტების ანუ თერიაყების მკურნალობის მიზნით გამოყენების საკითხები“, შეცვლილია სიტყვებით ‘შხამები და შხამსაწინააღმდეგო საშუალებები“... შეცვლილია სიტყვებით ‘რეტორსპექტული ანალიზი და თანამედროვე გამოყენების პერსპექტივები“. ჩემი იდეის ‘მნიშვნელოვანი რეკომენდაციები“ შეცვლილია ‘ძველი ტრადიციებით“, ხოლო ‘აღდგენა-განახლების და თანამედროვე პრაქტიკაში პრეპარატის დანერგვის მცდელობა“ შეცვლილია ლათინური სიტყვებით “შედარებითი რეტროსპექტული ანალიზი“ და ამ უცხო სიტყვის გამოყენება ეკუთვნის ორ ‘აკადემიკოს“ და ‘ნოვატორ“ დისერტანტს. როგორც შედარებითი ანალიზით და ლოგიკით ირკვევა დისერტაციის სათაურიდან და ჩემი მონოგრაფიიდან ქვესათაურების აზრობრივი, შინაარსობრივი და იდეური მსგავსება ამ სათაურებს შორის აშკარაა, ხოლო ერთი უცხო სიტყვის ჩამატება, ძველი ტრადიციული პრეპარატების ‘<u>**აღდგენა-განახლების**</u>“ მცდელობა ანუ ‘<u>**რეტროსპექტული ანალიზი**</u>“ დისერტაციის სიახლეების მოწოდების თვალსაზრისით საკმარისი არ არის. ეს ყველაფერი ძველი ქართული კარაბადინების ტექსტუალური ანალიზის მიხედვით ჩემს მიერაა გაკეთებული მონოგრაფიის იმ ქვესათაურებში, რომელიც ზემოთ უკვე დავასახელე და ამ დისერტაციის ჰორიზონტზე გამოჩენამდე ჩემი მონოგრაფიის 18 წლით ადრე გამოცემა საკმარისი დრო გახლდათ იმისათვის, რომ სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი გაცნობოდა ჩემს ამ შრომას, როგორც დისერტანტი, ასევე მისი ‘მეცნიერ ხელმძღვანელები“ და სიტყვების შეცვლით იგივე იდეა ჩემზე სქოლიოს მითითების გარეშე წარმოადგინეს დისერტაციის სახით, ეს მაშინ, როცა ჩემი გვარი და მონოგრაფია არც შესავალში და არც ნასარგებლებ ლიტერატურაში, საერთოდ, მითითებული არ გახლავთ.

დისერტაციის მეცნიერული ხელმძღვანელები გახლავთ: აკადემიკოსი რამაზ

შენგელია და აკადემიკოსი ბიძინა ჭუმბურიძე. ამ დისერტაციის დაცვა შედგა 2005 წლის 31 იანვარს. მე ამ ახალგაზრდა დისერტანტთან, კაცმა თქვას, ძალიან ბევრი სადაო მაქვს, მაგრამ განსაკუთრებული, სამართლიანი პრეტენზიები მის მეცნიერულ ხელმძღვანელთა მისამართით უნდა განვაცხადო: – დისერტაციის მეშვიდე გვერდზე მოცემულია ლიტერატურული მიმოხილვა, სადაც მითითე-ბულია 'მედიცინისა და ფარმაციის ისტორიის კვლევა საქართველოში". ჯერ ერთი უცხო სიტყვის 'ფარმაციის ისტორიის" ნაცვლად თითქმის სამ ათეულ წელზე მეტია, ჩვენ პრაქტიკაში დავნერგეთ ქართული ტერმინი 'წამალთ-მცოდნეობის ისტორია" და ამ ლიტერატურულ მიმოხილვაში დისერტანტი, საერთოდ, არ ასახელებს ჩვენს ფუნდა-მენტურ მონოგრაფიას წამალთმცოდ-ნეობის ისტორიაში, რომლის სათაურია: როგორც უკვე მოგახსენეთ **'სოკრატ სალუქვაძე წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითა-რების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე",** გამომცემლობა 'ხელოვნება" 1987 წელი. სადაც წამალთმცოდნის, ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის პოზიციიდან გაანალი-ზებულია შუა საუკუნეების ოთხივე წერი-ლობითი წყარო, კარაბადინები. მოცემულია ამ წერილობით ძეგლებში დეტა-ლური ანალიზი წამალთფორმების შესახებ (იხ. ქვესათაურები ამ მონოგრაფიაში და რაც მთავარია, ჩემი დისერტაცია და ავტორეფერატი!) '**წამალთფორმები**, მათი შემადგენელი კომპონენტები და მათი მომზადების ტექნოლოგიური პროცესები ძველ ქართულ კარაბადინებში" (გვ. 391-424).

ამის გარდა, ამავე მონოგრაფიაში მოცემულია მეორე ქვესათაური 'მოწამვლის საწინააღმდეგო ანტიდოტების ანუ თერიაყების მომზადებისა და მკურნალობის მიზნით მათი გამოყენების საკითხები ძველ ქართულ 'კარაბადინებში" (443-453 გვ.) ბოდიში, მაგრამ ბიძინა ჭუმბურიძე ვერაფერს გამომაპარებს, მით უმეტეს წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხებზე, ეს ყველამ მინდა იცოდეს! ჩემი მოსაზრება 'მოწამვლის საწინააღმდეგო ანტიდოტები და თერიაყები" შეცვლილია სიტყვებით "შხამები და შხამსაწი-ააღმდეგო საშუალებებით". უბრალოდ აქ ლათინური ტერმინები ქართული სიტყვებით არის შეცვლილი. ეს არ არის ქვეყნის დაქცევა, მაგრამ დისერტანტს და მის მეცნიერულ ხელმძღვანელებს ამ საკითხში არავითარი სიახლე არ ეკუთვნის და შინაარსობრივად და აზრობრივად სხვის ნაშრომზე **ასეთი იდეური დამთხვევა მხოლოდ დამთხვეული დისერტაციის ავტორს ძალუძს**, რომ არაფერი ვთქვათ არაერთხელ პლაგიატში მხილებულ მის მეცნიერ-ხელმძღვანელებზე.

ამის გარდა, წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხებზე ჩვენ 6 წიგნი გვაქვს გამოცემული და რეცენზიებით მეცნიერული რეკომენდაციით და კონსულტაციებით, კომპეტენტურ სპეციალისტებთან შევათანხმეთ, რომ ყოვე-ლივე ამას ეწოდოს 'წამალთმცოდნეობის ისტორია". შესანატრია ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობის მეცნიერ სპეციალისტებმა: პროფ. იულონ ლომოურმა, დ. გედევანიშვილმა, ს. ჩოლოყაშვილმა, ათინოგენ მენაღარაშვილმა, ივანე სარი-შვილმა, ირაკლი ანჯაფარიძემ, გ. დეკაბრელევიჩმა და სხვებმა) 'პედოლოგიას" ქართული შესატყვისით უწოდა –

‘ნიადაგმცოდნეობა“. ზემოთ დასახელებულ ‘აკადემიკოს მეცნიერებს“: რ. შენგელიას და ბ. ჭუმბურიძეს ძნელად თუ შევასმენთ, რომ ‘ფარმაციის ისტორიის“ ნაცვლად დაკანონდეს ‘წამალთმცოდ-ნეობის ისტორია“. მით უმეტეს, ამ ტერმინზე ყურადღების გამახვილება დისერტანტს უნდა მოეხდინა! მეშვიდე გვერდზე ხარისხის მაძიებელი დისერტანტი ქალბატონი იამზე სახამბერიძე მოგვახსენებს, რომ ‘სისტემური კვლევა ტოქსიკოლოგიის ისტროიის ხაზით ჯერ არ ჩატარებულა“. იმ დროს, როცა ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორმა და პროფესორმა ლია ადეი-შვილმა რამდენიმე წელი მიუძღვნა ამ საკითხის - ტოქსიკოლოგიის კვლევა-ძიებას და წარმოდგენილია მეცნიერული შრომები ფუნდამენტური მონოგრაფიის სახით, ბრმები უნდა იყვნენ ხარისხის მაძიებელი და მისი ხელმძღვანელები, რომ წინამორბედ მკვლევართა ტიტანური შრომები ამ სფეროში უგულებელყონ და **<u>ახ. წელთაღრიცხვა</u>** მათი ‘მეცნიერული კვლევა-ძიების“ დაწყებიდან დაკანონდეს! თანაც წინამორბედ მკვლევარებზე ასეთი გამოთქმა, ‘სისტემური კვლევა ტოქსიკოლოგიის ისტორიის ხაზით ჯერ არ ჩატარებულა“-ო ასეთი გამოთქმა სინამდვილეს არ შეესაბამება (სახეზეა 43-გვერდიანი ჩვენი გამოკველვა ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაში ს.ს.) ეს მაშინ, როცა ანტიდოტებისა და თერიაყების საკითხი ჩვენს მიერ ისე დეტალურად არის განხილული, რომ ამ თვალსაზრისით ქართულ კარაბადინებში (ამ ურწმუნო თომებს ეს ვერ გავაგებინე, რომ ‘კარაბადინი“ ‘ფარმაკოპეის“ ტოლფასი ცნებაა. ს.ს.). ანტიდოტ მითრიდატოსის ანუ ‘თერიაყის“ იგივე ‘საჩინო წამლის“ მითრიდატუმის შეტანა ქართულ კარაბადინებში 700 წლით უსწრებს ევროპის მოწინავე ქვეყნების სახელმწიფო ფარმაკოპეებში ანტიდოტ მითრიდატუმის შეტანის თარიღს და მთავარი კურიოზული ფაქტი ის არის, რომ XVII საუკუნის II ნახევრიდან ევროპის სახელმწიფო ფარმაკოპეებში რეგისტრირებულია ანტიდოტი მითრიდატუმი, და როცა ქართულ კარაბადინში 700-500 და შესაბამისად 200 წლით ადრეა რეგისტრირებული ასეთი წამლის მოხმარება, ქართულ ‘კარაბადინში“ ე.ი. გაცი-ლებით ადრე! იგი თურმე ‘ფარმაკოპეა“ არ ყოფილა, რადგან ქართველი ავტორების მიერ ეს ხელნაწერები ‘კარაბადინის“ სახელწოდებით მოიხსენება! რა გაეწყობა? ამ ‘მეცნიერებს“ ისე შეუძლიათ გაიარონ რიყიან ჭალაში, რომ ლოდებიც ვერ შეამჩნიონ და თავიანთ დისერტანტებს წამალთმცოდნეობის ისტორიის მიმოხილვაში არც მეცნიერ ხელმძღვანელთა გვარის ხსენება დაავიწყდეთ, არც საკუთარი მამა (პროფ. მ. შენგელია. ს.ს.) და არც არაკომპეტენტური ზოგიერთი დილეტანტისა, ასეთი ტენდენციურობა ობიექტური მეცნიერებისათვის შეუწყნარებელია, ხოლო სუბიექტური ტენდენ-ციონიზმის მორევში ჩაძირულებს საკუთარი ‘მე“ ობიექტურ რეალობასთან დამოკიდებულების ნორმად აქვთ წარმოდგენილი, რასაც, სამწუხაროდ, რეალობასთან და მეცნიერებაში ობიექტურობასთან საერთო არაფერი აქვს.

ვამზადებთ, ვზრდით ასეთ დისერტანტებს და შემდეგ გვიკვირს, საიდან მოდის ასეთი სუბიექტური ტენდენციონიზმი და უკუღმართობაო. როდემდე უნდა გაგრძელდეს ამ **<u>‘ვაი-მეცნიერების“</u>** მიერ წყლის ნაყვა? უ. შექსპირის არ იყოს ‘საკითხავი აი, ეს

არის“!

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მეცნიერებაში ადგილი აქვს სუბიექტურ ტენდენციურობას, მაგრამ ასეთი მოსაზრებები რეალურ პოსტულატებად ვერასოდეს დაკანონდება (იხ. იამზე სახამბერიძის ავტორეფერატის ყდის ქსეროასლი). სამწუხარო ფაქტი ის გალხავთ, რომ ბიძინა ჭუმბურიძის ტენდენ-ციურობა და ბოროტი ზრახვები ცნობილია ფარმაცევტულ მეცნიერებაში, მაგრამ მან აიყოლია შედარებით ახალგაზრდა მეცნიერი, ბატონი რამაზ შენგელია და ამ მცდარი ბილიკით ატარებს მას, ნაცვლად დიდი მეცნიერულ შარაგზაზე სიარულისა. საჭიროა ყველამ ძირს დაიხედოს და საკუთარი თავი იხსნას უფსკრულში გადაჩეხვისაგან! ეს თქვენ გეხებათ ბატონო რამაზ! სანამ გვიანი არ არის განაგდე სატანა თქვენი სხეულიდან!

აქ მე ვხედავ მეცნიერული ეთიკის უხეშ დარღვევას, ვინაიდან შეიძლება ვინმეს ვინმე არ მოსწონდეს, მაგრამ ჭეშმარიტი მეცნიერი მეცნიერული ჭეშმარიტებას აქსიომებს და პოსტულატებს ყველაფერზე მაღლა უნდა აყენებდეს. ამ ავტორებს საკუთარი ‘მე“ მეცნიერულ ჭეშმარიტებაზე და პოსტულატებზე მაღლა უნდათ, რომ წარმოგვიდგინონ! რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, მიუწვდომელი უტოპია გახლავთ და სხვა არაფერი.

‘სოკრატ სალუქვაძეს თქვენი დისერტაციის საერთო მიმოხილვაში საერთოდ ნუ მოიხსენიებთო“, ‘<u>საერთოდ ამ გვარს გვერდი აუარეთო</u>“, ამას ნერგავს ბ. ჭუმბურიძე. <u>**მაგრამ, ასეთ ტენდენციურ მითითებას არ დაექვემდებარა თავის სადისერტაციო გამოკვლევაში ქუთაისელი ქალბატონი ნინო აბულაძე და მან წამალთმცოდნეობის ისტორიკოსთა მკვლევარებს ჯეროვანი ადგილი მიუჩინა, ჩამოთვალა თავის სადისერტაციო გამოკვლევაში და არ მოერიდა მეცნიერთა სიის ჩამონათვალში ჩემი გვარის ს. სალუქვაძე და ჩემი შრომების დასახელებას, დისერტანტმა ნინო აბულაძემ ეს ობეიქტური მეცნიერული პრინციპებიდან გამომდინარე აღნიშნა და არ მოერიდა ტენდენციური ოპონენტისაგან მოსალოდნელ უარყოფით ხმას. ფარული კენჭისყრის პროცესში! ასეთი ობიექტური მოქმედება იწვევს, პირველ რიგში, დისერტანტისადმი სიმპათიებს და, საერთოდ, მეცნიერებში ჭეშმარიტებისადმი ღირსმსახურების დამკვიდრებას და პატივისცემას იმსახურებს, რაც ყველასათვის მისაბაძი ნორმა უნდა იყოს!**</u>

АВ
2222

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ი.ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

იამზე სახამბერიძე

შხამები და შხამსაწინააღმდეგო საშუალებები ქართულ ტრადიციულ მედიცინაში: შედარებითი რეტროსპექტული ანალიზი და თანამედროვე გამოყენების პერსპექტივები

15.00.01. – წამალთა ტექნოლოგია და ფარმაცევტული
საქმის ორგანიზაცია

ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2004



ნაშრომი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები: – შენგელია რამაზ,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი

– ჭუმბურიძე ბიძინა,
ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქ-ტორი, პროფესორი,
საქართველოს მედიკო-ბიოლოგიური და სამედიცინო
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი

ოფიციალური ოპონენტები: – ერიაშვილი ვაჟა,
ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქ-ტორი, პროფესორი.
(15.00.01)

– რაჭველიშვილი ბაადურ,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი
(07.00.10)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 21 იანვარს 14 — საათზე,
საქართველოს მეცნირებათა აკადემიის ი.ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს Far.15.01.№1. სხდომაზე (380059, თბილისი, პ. სარაჯიშვილის ქ. №36).
დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს მეცნირებათა აკადემიის ი.ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (380059, თბილისი,პ. სარაჯიშვილის ქ. №36).
ავტორეფერატი დაიგზავნა 2004წ. 24 დეკემბერს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი ,
ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი /დ. ტურაბელიძე/

დავუშვათ, რომელიმე მკვლევარმა წარუდგინა სამეცნიერო საბჭოს დისერტაცია ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოპოვებისათვის, მაგრამ ისტორიულ ლიტერატურის მიმოხილვაში არ მოიხსენია, დავუშვათ, მოსე

გოგიბერიძე ან შალვა ნუცუბიძე. რა თქმა უნდა, ასეთი დისერტანტი გამოხატავს მეცნიერებაში ელემენტარული სტატუსისადმი უპატივ-ცე-მულობას, ეთიკის ნორმებიდან გადახვევას! მით უმეტეს, ამას თუ შეგნებულად აკეთებს! შედარება შეიძლება, ერთობ მაღალფარდოვანი გამომივიდა, მაგრამ არავის გადაჭარბებულად არ მოეჩვენოს ის ფაქტი, რომ წამალთმცოდნეობის ისტორიაში ჩემს გარდა, სხვა ავტორთა მეცნიერული ფუნდამენტური ნაშრომები არ არსებობს და ამიტომ ჩემი ნაშრომების შეგნებულად გვერდის ავლა ჭეშმარიტების მსახურებად მეცნიერებაში არ ჩაითვლება. ასეთ ტენდენციურობას ბიძინა ჭუმბურიძე წლების მანძილზე შეგნებულად ჩადის, რაც ჭეშმარიტების გზიდან აშკარა გადახვევა გახლავთ და მეტი არაფერი; სამწუხაროდ ასეთ მრუდე გზაზე სიარულში, ვიმეორებ, აიყოლია ბატონი რამაზ შენგელია. ასეთი გამოვლინებები სასურველ შედეგს არ მოიტანს და ისიც უნდა შევახსენო ამ **'მეცნიერებს"**, რომ მრუდე საქმე ბუმერანგივით მათ უკან დაუბრუნდებათ! ჩემ მხრივ დასანანია ის ფაქტი, რომ ასეთ მრუდე გზით სიარულს ნუღარ გააგრძელებს ბატონი რამაზ შენგელია, ხოლო 85 წლის ასაკს მიღწეული ბიძინა ჭუმბურიძის გამოსწორება, რომ ძნელი საქმეა, ამაში, ალბათ, მკითხველი ადვილად დამეთანხმება. ამჯერად ეს ვიკმაროთ!

გადავიდეთ დისერტაციის ტექსტის დეტალურ განხილვაზე და მოვახდინოთ ჩემი მონოგრაფიის ქვესათაურებიდან შედარება დისერტანტის ტექსტის ძირი-თადი ნაწილის ქვესათაურის ტექსტებთან. ეს მაშინ, როცა ზემოთ მოყვანილი ციტატებით დავამტკიცეთ იდეური და აზრობრივი მსგავსება ჩემი მონოგრაფიის ქვესათაურსა და დისერტანტის სადისერტაციო სათაურის ტექსტთან, როცა ჩემს მიერ მოხმობილი ლათინური ტერმინები ქართული გამოთქმებითაა შეცვლილი და ძირითადი იდეა აღდგენა-განახლება შეცვლილია ლათინური გამოთქმებით, **'რეტროსპექტულით"**. **ეს ფაქტია, რაც 'ქურდისა და მამლის კუდის" იგავ-არაკს მოგვაგონებს**.

ამას ვწერ იმის გარკვევის მიზნით, რომ გავაანალიზოთ ამ დისერტაციის მეცნიერული ხელმძღვანელები: აკადემიკოსები თუ ნასარგებლები ლიტერა-ტურული გამოყენების წესს სქოლიოში ჩემი გვარის მითითებისას გულმავიწ-ყობას იჩენენ თუ საერთოდ, არ იცავენ მეცნიერებაში მიღებულ ამ ელემნტარულ წესს, მაშინ დავაზუსტოთ დისერტაბელური თემის იდეა ვისგან არის აღებული და თუ არის მითითებული ჩემი ფუნდამენტური მონოგრაფია, რომელიც წამალთმცოდნეობის ისტორიაში ჯერჯერობით ერთადერთია და თუ დისერტანტი არ გვასახელებს ეს ხომ პლაგიატში მამხილებელი ძირითადი არგუმენტია? ამ რეცენზიის შესავალში ბრალდების მიზნით მე მომყავს დამაჯერებელი ციტატები, რომლითაც ირკვევა თვით სათაური და სადისერტაციო ნაშრომის იდეა ჩემი წიგნიდან გახლავთ გადაწერილი, ეს მაშინ როცა ჩემი გვარი არ ფიგურირებს არც ლიტერატურულ მიმოხილვაში და არც ნასაგებლებ გამოყენებულ წყაროში. სამწუხაროდ დასმულ საკითხზე მეცნიერულად პასუხი საერთოდ არ არის გაცემული და, რაც მთავარია, არ არის მოცემული მოწამვლის შემდეგ რომელი ანტიდოტი იქნეს გამოყენებული. მოწამვლის კონკრეტულ შემთხვევაში ავადმყოფის

მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით! "შედევრად" უნდა ჩავთვალოთ ავტორეფერატის მე-18 გვერდი, სადაც ვკითხულობთ შემდეგს: **'რაც შეეხება კლასიფიკაციებს მოწამვლის მიზეზებია:**

1. შხამიანი საწამლავის და ძლიერ მოქმედი ნივთიერებების მიღება".

დისერტანტს და მის მეცნიერულ ხელმძღვანელს ეს 'დასკვნა" რეკომენდაცია რომ არ მიეცათ კაცობრიობის სამკურნალო ხელოვნება ჩიხში იქნებოდა მოქცეული! ღრმა მეცნიერული დასკვნა თანდათან გაღრმავებულია მომდევნო საკითხში. თურმე კლასიფიკაციის თვალსაზრისით მოწამვლის მიზეზიც შხამი ყოფილა! საკითხავია, ამაში ვინმეს ეჭვი ოდესმე ეპარებოდა?

2. 'სამკურნალო საშუალების გადაჭარბებული დოზა" და **აქვეა მოცემული 'ლოგიკური აზროვნების" აპოგეა. თურმე მოწამვლის მიზეზი ყოფილა 'უხარისხო და უვარგისი კვების პროდუქტის გამოყენება"** წარმოიდგინეთ "შხამიანი ცხოველების ნაკბენი" ეს გახლავთ ამ დისერტაციის სიახლე. შემდეგ ავტორეფერატის მე-19 გვერდზე დისერტანტი წერს: **'თეროაკი" (თეროაყი) იქვე კვლავ ფრჩხილებში თრიაქი" უნდა ვიხმაროთ შხამიან ცხოველთა ნაკბენის საწინააღმდეგო საშუალებების აღნიშვნისათვის, ხოლო დანარჩენს - უბრალოდ შხამსაწინააღმდეგო საშუალება - ანტიდოტი ვუწოდოთ". შეიძლება ასეთ მოსაზრებაში ტერმინოლოგიის თვალსაზრისით დაეთანხმოს კაცი, მაგრამ გზადაგზა ვნახოთ, როგორ მეცნიერულ ვულგარიზებასთან გვექნება საქმე.**

სადისერტაციო დასკვნებში ამის შემდეგ არც ერთი ანტიდოტი მითითებული არ არის კონკრეტული მოწამვლის დროს მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით, ან თუნდაც განეიტრალებისათვის!!! სად არის დისერტაციის ძირითადი ლაიტმოტივი "შედარებითი რეტროსპექტული ანალიზი და თანამედროვე გამოყენების პერსპექტივები? აი, თუნდაც ერთი კონკრეტული მაგალითი 'გიურზას" ნაკბენის დროს შრატის 'ანტიგიურზინის ინექცია შხამის განეიტრალების მიზნით"! რაც დღეს რადიკალური საშუალებაა!

დისერტანტის მეცნიერული '**რეკომენდაცია"** ასეთია. **'თუ მომავალში ვინმეს შხამიანი გველი უკბენს, მან წინასწარ უნდა მიიღოს ანტიდოტი"!** (დალიოს თუ წაისვას? ეს არ ჩანს. ს.ს.) **'რთული წამლის ფორმა, რომელშიც შედის შხამიანი გველის ხორცი, ან ხვლიკის ხორცი"** 'მაგრამ რა დოზით და საერთოდ ანტიდოტის რთული წამლის ფორმაში არც ერთი კომპონენტი არ არის დასახელებული, დოზა არ გახლავთ მითითებული. თანაც ჰომეოპათიის და ფიტოთერაპიის თვალსაზრისით თითოეული კომპონენტის დოზა და პროცენტული კონცენტრაცია მითითებული არ გახლავთ! იგი შესწავლილი, საერთოდ, არ არის კლინიკური ექსპერიმენტის და დაკვირვების შედეგების მიხედვით! არ გახლავთ მოცემული არავითარი ფარმაკოლოგიური ექსპერიმენტის შედეგები! დისერტანტს და მის მეცნიერულ ხელმძღვანელებს ასე აქვთ წარმოდგენილი შხამიანი გველის სხეული თავსქვემოთ კუდამდე თითქოს მთლიანად შხამიანი იყოს! ეს ხომ უმეცრებაა? არაფერი ვიცით ამ

დისერტაციიდან შხამიანი გველის ხორცი ‘ანტიდოტში“ რა დოზით უნდა იქნეს აღებული. ამიტომ ამ ნაშრომში რეტროსპექტული პერსპექტივა, საერთოდ არ ჩანს. რა თქმა უნდა კაცობრიობის წარსულის გამოცდილების მეცნიერულად გადასინჯვა და განახლება მისასალმებელია, მაგრამ აქ საამისოდ არავითარი მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაცია არ ჩანს. სამწუხაროდ არც დისერტანტის და არც მისი მეცნიერხელმძღვანელების ნააზრევიდან არ ჩანს შხამიანი გველის ხორცი შეიცავს თუ არა შხამს და მისი მიღება პირის ღრუს გზით არის რეკომენდებული? რა თქმა უნდა აქ საუბარი უნდა იყოს უთაო თავწაცლილი გველის ხორცზე, რომლის სანერწყვე ჯირკვლებშია შხამი.

აი, აქ იყო საჭირო ბატონი ბ. რაჭველიშვილთან კლინიკურ პროცესებზე ფარმაკოლოგიურ დაკვირვება. მაგრამ საამისოდ ამ მიმართულებით არც ერთი ექსპერიმენტი არ ჩატარებულა, ანდა რომელი პაციენტი დათანხმდებოდა საკუთარი თავი ამ მოძველებული 150 წლის წინათ უარყოფილი ექსპერიმენტის მსხვერპლი გაეხადა. ასეთი ექსპერიმენტი მგონი ფაშისტების კონცლაგერებშიც არ ტარდებოდა გაუბედურებული ტყვეების სხეულზე! ნათქვამია ‘მტყუანს კარამდე მიყევიო“.

გადავფურცლოთ ქართული ენციკლოპედია და იქ ამოვიკითხავთ, რომ “შხამიანი გველის თავში ქვედა და ზედა ყბებს შორის აქვს სანერწყვე ჯირკვალი, რომელიც სადინარით დაკავშირებულია ღია ღარიან გველის კბილებთან. გველის კბილები წვრილია და კიდევ უფრო წვრილია კბილზე სადინარი ღარები“. კბენის მომენტში, მას შემდეგ როცა გველი მსხვერპლს ესხმის თავს წვრილი კბილების წვრილი ღარიდან გველი ახერხებს მსხვერპლის სხეულში მოათავსოს შხამის მიკრო დოზა, რომელიც სავსებით საკმარისია, დაუშვათ, მინდვრის თაგვისთვის. კბენის შემდეგ თაგვი იწყებს ბარბაცს და უგონოდ ეცემა. ამის შემდეგ გველი მსხვერპლს ყლაპავს და გაცემულ შხამსაც იბრუნებს თაგვის გადასანსვლის შემდეგ.

უდავოა, რომ დისერტანტი ანტიდოტ ‘მითრიდატუმს“ პირის ღრუს გზით მისაღებად გვთავაზობს ფხვნილს სახით (?),ფხვნილის თუ მალამოს სახით? გაუგებარია. მაგრამ ჰომეოპათიური დოზის მითითების გარეშე, დოზები არც ‘მითრიდატუმის“ არც ერთ კომპონენტზეა მითითებული და ამიხსენით, რომლი მეცნიერული რეკომენდაციაზეა აქ საუბარი? პასუხი გაგვცეს, ან დისერტანტმა, ან მეცნიერ-ხელმძღვანელ-აკადემიკოსმა, ან ყველამ ერთად! რომელ ანტიდოტ ‘მითრიდტუმზეა“ აქ ლაპარაკი და როგორია სტაციონარში ასეთი ანტიდოტის მიღებისას კლინიკურ-ექსპერიმენტული ცდების შედეგები? ან რომელ ცხოველზე მოხდა ასეთი ანტიდოტის მიღების შედეგად დაკვირვება და როგორია ასეთი მეცნიერული დაკვირვების შედეგები? დისერტაციაში ასეთი მიმართულებით არც ერთი კონკრეტული მაგალითი არ გახლავთ მითითებული. მაშ სად არის რეტროსპექტული პერსპექტივა? ან კონკრეტული მაგალითი ამ რეკომენდაციის პერსპექტივის თვალსაზრისით, ან შედარებითი რეტროსპექტული ანალიზის შედეგები? ხომ არ დააბნიეს მკითხველი ამ ანტიმეცნიერულ ლაბირინთებში? ან თვითონვე ხომ არ დაიბნენ ბრინჯის მარცვლებივით! არის აქ რაიმე მეცნიერული

რეკომენდაცია? ვაცხადებ შემდეგს: დღეისათვის სახეზე გვაქვს ექსპერიმენტალური მედიცინის ასეთი შედეგები, რომელსაც წყალი არ გაუვა:

დაუშვათ ნადირობის დროს რომელიმე მონადირეს უკბინა შხამიანმა გველმა გიურზამ! კობრამ! წინდახედულ მონადირეს ჩანთაში უდევს შპრიცი და ანტიდოტური შრატი - 'ანტიგიურზინი" და გველის კბენის შემთხვევაში სასწრაფოდ ხდება ანტიგიურზინის შრატის ინექცია, რაც სიცოცხლის გადარჩენის აბსოლუტურ გარანტიას იძლევა. ვარ ასეთი ეპიზოდის შემსწრე: ნადირობის დროს მონადირე ძაღლს უკბინა გიურზამ და ძაღლის პატრონმა მონადირემ გადაარჩინა ძვირფასი მონადირე ძაღლი ამტიგიურზინის ინიექციით. ვიმეორებ ერთ-ერთ ნარკომანს სახის არეში უკბინა გველმა (ეს თბილისში მოხდას.ს.) დაკბენილი ადამიანი ანტიგიურზინით გადარჩა, ვინაიდან შრატის ინექცია ძალიან ჩქარა მოხდა. მე ამის შემსწრე ვიყავი პირადად! მაშ პრობლემა გველის კბენისაგან ანტიგიურზინის ინექციით სიცოხლე თუ გარანტირებული გვაქვს, რაღა საჭიროა ალქიმიური დონის მისნობა, ან ძვირფასი მეტალის ოქროს მიღების და '**ფლოგისტონის თეორიის"** შუა საუკუნეების დრონიდელი მცდარი შეხედულების მსგავსი ანტიმეცნიერული რეკომენდაციების ძიება XXI საუკუნის კარიბჭესთან? თანაც პრაქტიკულად, კონკრეტულად ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე? ვის სჭირდება ასეთი თვითმიზნური წყლის ნაყვა. დროის უქმად ხარჯვა - უშედეგოდ!

ეს არის ფამილარული, იაფფასიანი პოპულიზმი, როგორც დისერტანტის, ასევე მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი '**აკადემიკოსების**" მხირდან. რასაც, არც მეტი, არც ნაკლები, მე მეცნიერებაში როგორც ზემოთ მოგახსენეთ წლის ნაყვას ვეძახი. აქვე მინდა დიდი ბოდიში მოვიხდი ამ დისერტაციის ოფიციალური ოპონენტის პროფ. ვაჟა ერიაშვილის მიმართ, იგი ჩემი მეგობარია, ამავე დროს ჩემი დისერტაციის დაცვისას ოფიციალური ოპონენტი ბრძანდებოდა. ბატონო ვაჟა! ვერ დავიჯერებ თქვენ ჩემი მონოგრაფის ქვესათაური რომ მაინც არ გქონდეს გადანათვალიერები და გეკითხებით – რატომ არ ვარ სადმე დასახელებული, რატომ მიეცით დადებითი დასკვნა ამ მოპარულ დისერტაციას? ან სად იყვნენ კომპეტენტური საბჭოს წევრები? მთვარიან ღამეში მთლად ბნელოდა?

ასევე, ბატონი აკადემიკოსი ბაადურ რაჭველიშვილის კომპეტენტურობაში, ერუდიციაში არაფერია ეჭვმისატანი, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა დისერტაციას რომ ერთვოდეს კლინიკური ექსპერიმენტის შედეგი, თუნდაც რომელიმე გველის და ხვლიკის ხორციანი ანტიდოტის შესახებ.

პროფ. ლია ადეიშვილის მოსაზრებების გათვალისწინებაც იყო აუცილებელი, ვინაიდან ამ სპეციალისტებს - ოფიციალურ ოპონენტებს ცხადია შუამდგომლობა აქვს გაწეული ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს ნევრების წინაშე და პროფ. ვაჟა ერიაშვილს უნდა მიეცა დისერტანტისათვის მითითება ნასარგებლებ ლიტერატურაში სოკრატ სალუქვაძის შრომების მოხსენებისა, ვინაიდან საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიაში შეუძლებელია დისერტაციის ლიტერატურული

მიმოხილვა და არ ფიგურირებდეს, არ დასახელდეს მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის გვარი, რომელიც ბოლონიის დეკლარაციის საფუძველზე დღეს ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი არის. ამიტომ დისერტაცია იდეურად პალგიატის '**ნასიკეთავრია**", რაშიც დისერტანტი იამზე სახამბერიძე და ასევე მისი მეცნიერული ხელმძღვანელები აკადემიკოსები: ბიძინა ჭუმბურიძე და რამაზ შენგელია მხილებული გახლავთ, ვინაიდან ჩემს მონოგრაფიაში განხილულია '**უსწორო კარაბადინი**" და მასში 18-მდე წამლის დასახელებაა ჩამოთვლილი. ასევე განხილულია '**წიგნი სააქიმოი**", რომელშიც ექიმი ლადო კოტეტიშვილი 23 წამლის სახელწოდებას აღნიშნავს და ჩვენ ვამატებთ 24-ე წამლის სახელწოდებას 'მითრიდატუმს". ასევე ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაში დეტალურად ვიხილავთ მახარებლის და ზაზას სამკურნალო წიგნს - კარაბადინს ფარმაკოპეას - და ვასახელებთ 25-მდე სახელწოდების სამკურნალო საშუალებას, დეტალურად ვეხები '**მითრიდატომის მაჯუნის**" დახასიათებას, როგორც შუა საუკუნეების ანტიდოტს და აქვე მივუთითებთ, რომ ევროპის მოწინავე ქვეყნების ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ სახ. ფარმაკოეებში 200 წლით გვიან გამოჩნდა ანტიდოტ 'მითრიდატუმის" ხსენება, ხოლო ქართველ მკურნალებს კარაბადინებში იგი უფრო რთული შემადგენლობით 700 წლით ადრე შეჰქონდათ, ხოლო '**წიგნი სააქიმოში**" იგი 400 წლით ადრეა ნახსენები, თუ '**უსწორო კარაბადინი**" X ან XI საუკუნის ძეგლია მაშინ ანტიდოტი მითრიდატუმი 700 და 600 წლით ადრე მოიხსენება ამ ძეგლში, გარდა ამისა ჩემს მონოგრაფიაში 46 გვერდი უჭირავს ძველ ქართულ კარაბადინებში ანტიდოტური წამალთფორმების შესახებ კომენტარებს. როგორც დისერტანტი და ასევე მისი მეცნიერული ხელმძღვანელები გვერდს უვლიან 17 წლით ადრე გამოქვენებულ კომენტარებს ჩემს მონოგრაფიაში და მასში როგორც წამალთფორმების შესახებ მსჯელობას, ისე ურცხვად თითქოს ჩემი გამოკვლევები მათთვის უცხო იყოს და იგი საერთოდ, თითქოს არ არსებობს! ამის შემდეგ დეტალურად მინდა შევეხო დისერტანტის პირველ ნაშრომს, სათაურით '**სახამბერიძე იამზე - თერიყებისა და მითრიდატუმის შესახებ**" (საქართველოს სამედიცინო მოამბე, 1999 წელი, №5-6 გვ. 157-162. წინამდებარე პუბლიკაციის სქოლიოში მითითებულია: **'სტატია რეცენზირებულია პროფ. რამაზ შენგელიას მიერ". ამიტომ ამ სტატიაზე იურიდიული პასუხისმგებლობა ეკისრება პროფ. რამაზ შენგელიას, თუნდაც იმიტომ რომ, 1999 წელს ჯერ კიდევ იამზე სახამბერიძე არ იყო სამეცნიერო ხარისხის მფლობელი. პლაგიატში მეცნიერისთვის ასეთ შეუფერებელ საქციელში ნასარგებლები ლიტერატურის მითითების გარეშე ჩემი შრომის მითვისების ფაქტით ბატონი რამაზ შენგელია მხილებული მყავს ექიმ ნანა თურმანიძესთან ერთად მონოგრაფიის გარმოცემაში, სადაც ჩემი ნაშრომი თურმანიძეების შესახებ** სათაურით **'ისტორიული ცნობები თურმანიძეების შესახებ" პირწმინდად არის გადაწერილი და მითვისებული ჩემი მონოგრაფიის მითითების გარეშე (!) იქვეა ჩემს მიერ მოპოვებული სურათებიც გამოქვეყნებული თურმანიძეების ფრესკა და მათი აყვავებული საგვარეულო ჯვრითურთ, ასე რომ გაჭრილად რომ ვთქვათ ლიტერატურული ქურდობა რამაზ**

შენგელიას მხრივ არ ახალია ძველია. ასეთ მძიმე ბრალდებას, რა თქმა უნდა, სხვა ფაქტებითაც სჭირდება დამტკიცება. აი, რას წერს აკადემიკოს რამაზ შენგელიას მიერ რეცენზირებულ შრომაში ქალბატონი იამზე სახამბერიძე ჟურნალის 158-ე გვერდზე "მითრიდატემ ყველა ანტიდოტის შეერთებით შექმნა ერთი, (რა? ალბათ ერთი ანტიდოტი ს.ს.), რომლის მიღება უზრუნველყოფდა აუცილებელ იმუნიტეტს" და იქვე 'ამის შესახებ პლინიუსი წერდა: 'მითრიდატე იღებდა წამლებს, შხამებს, შხამს, რომ გამოემუშავებინა იმუნიტეტი". სად გაგონილა, ანტიდოტი ფარმაკოლოგიური საშუალება რომ იმუნიტეტს გამოიმუშავებს? ეს ხომ გაუგონარი უმეცრებაა?

„გიორგი თურმანიძე მეუღლე გულფიქრა და ძე მათი თურმანი", ასეთი შინაარსის ასომთავრული ქარაგმული წარწერები შემოგვრჩა მაიაკოვსკის რაიონის სოფ. წითელი ხევის დევიძეების და დემეტრაძეების ეკლესიაში, რომელიც ადრე თურმანიძეების საგვარეულო ეკლესია ყოფილა.

დააკვირდით ამ ფრესკას იგი ტრადიციული მკურნალების თურმანიძეების ფრესკაა, ჩემს მიერ აღმოჩენილი, რომელიც 1987 წელს შევიტანე ჩემს ფუნდამენტურ მონოგრაფიაში 504 გვერდიდან 509 გვერდამდე ქვესათაურით „ისტორიული ცნობები თურმანიძეების შესახებ". აქვე მოგახსენებთ, რომ ქართული წამალთმცოდნეობის და მედიცინის ისტორიის მკვლევარები ვალში ვიყავით სახელგანთქმული ტრადიციული მკურნალების თურმანიძეების მისამართით. ეს მდუმარების ყინული მე დავამსხვრიე და პროფესორ რამაზ შენგელიამ 1992 წელს გამოსცა რა წიგნი ნანა თურმანიძესთან ერთად ამ ფრესკის ჩემს მიერ ანოტირებული ტექსტი მან მიითვისა და შეეცადა მკითხველთა წინაშე საკუთარ გამოკვლევად გაესაღებინა. რამაზიკო ამ საქციელს სახელი იქნებ თქვენ გამოუნახოთ!



სოფელ წითელი ხევის ეკლესიაში ჯვრის სამკლავეებზე ტალღისებური ზიგზაგებია გველის მსგავსი გამოსახულებით. ლეგენდის მიხედვით ეს შეიძლება წმინდა ნინოს თმაა, რომლითაც მან დაწნა ჯვარი ვაზისა. მეორე თქმულების მიხედვით ამ ჯვრით წმინდა ნინო გველს შეეხო, ჯვრით გველი აიყვანა და ნინოს გველმა არ უკბინა. სავარაუდოა, ამ ჯვარზე ეს ეპიზოდია აღბეჭდილი. სხვა მოსაზრებით ჯვარზე გველის გამოსახულება თურმანიძეების სამკურნალო ტრადიციებსაც ესადაგება. გველის თავი თვალითურთ ჯვარზე აშკარად შეიმჩნევა უფრო დაზუსტებული მოსაზრებისათვის, სიტყვა ხელოვნებათმცოდნეებს და მედიცინის ისტორიკოსებს ეკუთვნით.

დააკვირდით ამ სურათს სადაც აღბეჭდილია თურმანიძეების საგვარეულო აყვავებული ჯვარი, რომელიც ბაღდათის რაიონის სოფელ წითელ ხევშია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ფასადზეა. ბატონი რამაზ შენგელიას თანაავტორობით გამოცემულ წიგნზე ეს ჯვარი ვერსოყდაზეა გამოტანილი თითქოს ისეთი პრიორიტეტით, რომ ამ ჯვრის აღმოჩენა და მისი თურმანიძეებისადმი მიკუთვნება მას ეკუთვნოდეს! თანაც ჩემს მიერ ანოტირებული ტექსტი ამ ორიგინალური ჯვრის შესახებ სიტყვა-სიტიყვითაა გადაწერილი ისე, რომ ხუთი წლით ადრე დასტამბულ ჩემს ფუნდამენტურ მონოგრაფიას სქოლიოში არ მიუთითებს და თუ მას დავუჯერებთ, ეს ტექსტი თითქოს მასვე ეკუთვნის. ასეთ მოქმედებას ლექსიკოგრაფი მიხეილ ჭაბაშვილი ლათინურ სიტყვა „პლაგიატს“ უწოდებს. და თუ ვინმეს მეცნიერებაში პატიოსანი გზით სურს სიარული მან ქრონოლოგიურ უპირველეს გამოკვლევაზე სქოლიო უნდა გააკეთოს და სხვისი ნაშრომი საკუთარ გამოკვლევად ვერ უნდა აღიაროს. ეს ბატონო რამაზ თქვენ უფრო გეხებათ, დოქტორს, პროფესორს და აკადემიკოს, ვიდრე ახალბედა რიგით ექიმ ნანა თურმანიძეს.



აყვავებული თურმანიძეების საგვარეულო ჯვარის ამოცნობაში თითქოს პრიორიტეტი ბატონ რამაზ შენგელიას ეკუთვნოდეს, ასე ოინბაზურადაა ამ წიგნის ვერსო ყდაზე ჩემგან მოპარული განმარტებითი ტექსტის იდეა მრჭყალებში ჩასმის გარეშე.

პლინიუსი გადაბრუნდებოდა საფლავში, თუნდაც იმიტომ, რომ **ამ სისულელეს მას მიაწერენ**. ასეთი არასწორი მეცნიერული კონცეფცია ჯერ **კიდევ 1979 წელს დაადასტურა** პროფ. **მ. შენგელიამ თავის მონოგრაფიაში სათაურით 'უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა“,** სადაც თითქოს ანტიდოტის მიღება **გამოიმუშავებდა იმუნიტეტს“** (?) ხალხნო ნუ შემშლით! **ფარმაკოლოგიური საშუალება ადაპტაციას იწვევს და არა იმუნიტეტს** (!) იმუნიტეტი აშკარა მიკრობიოლოგიური ცნებაა, რომელიც ფაგოციტოზის ფენომენთან არის დაკავშირებული, რაც ცოცხალ ორგანიზმში ანტისხეულების, ფაგოციტოზური ფენომენის და სხეულში ბუფერული, დამცველი ფუნქციების გამომუშავების უნართან არის დაკავშირებული. ეს პირველად რუსმა მეცნიერმა ივანე მეჩნიკოვმა შეამჩნია, რისთვისაც მას ნობელის პრემია მიენიჭა. იმუნიტეტის გამომუშავების კლასიკური მაგალითია: ყვავილის აცრა ანუ ვაქცინაცია, რის აღმოჩენასაც ინგლისელ მეცნიერს ედურად ჯენერს მიაწერენ. მაგრამ არაერთი ევროპელი მეცნიერის (ასე მაგალითად გიულდენშტეტი) წყალობით და წერილობითი დასკვნებით სამცხელი ხალხური მედიცინის წარმომადგენლები ხარისჭისაშვილები

და ადუაშვილები გაცილებით ადრე ინგლისელ ე. ჯენერზე იცნობდნენ იმ ფაქტს, რომ მწველავი მწყემსი ქალები სამხრეთ საქართველოში მცხოვრებლები ყვავილით ორჯერ არ ავადდებოდნენ, რომელ დაკვირვებასაც მოჰყვა ის ფაქტი, რომ ყვავილით დაავადებული ხბოს ყვავილოვანი იარიდან იღებდნენ ნაცხს, შრატს ათავსებდნენ ხარის მოკლე რქაში და ყურთან ახლოს ათავსებდნენ ასაცრელი ბავშვის ან მოზრდილის ჭრილობაში!

ყვავილით დაავადებული ხბოს ნაცხიდან აღებული ყვავილის ჩხირს (ინფექციურ ჩირქს) პაციენტის მცირე ჭრილობაში. ასეთი ვაქცინაციით - აცრით - მოზრდილები და ბავშვები ადვილად გადაიტანდნენ ინფექციური ყვავილით ხელოვნურად შეყრილ დაავადებას, ანუ ხბოს სხეულში შეჭრილი ყვავილის ჩხირის ვირულენტობა, გამძლეობა შესუსტებულია და მისი ხელოვნურად შეყრისას ადამიანს სხეულში, **<u>იოლად გადასატანი ‘სახადი“ გახლავთ</u>**, ვინაიდან ამ ინფექციური დაავადების შემდეგ ადამიანის ორგანიზმში წარმოიქმნება დამცავი ბუფერული სხეულები - ე.წ. ანტისხეულები და ისინი ასევე იცავენ ადამიანის ორგანიზმს სენის ხელმეორედ შეყრისაგან, ისევე როგორც ერთგული გუშაგები - მეციხოვნეები იცავენ მშობლიურ ციხე-გალავნებს უცხო ტომების ჯარისჯაცების შეღწევისაგან. ეს არის იმუნიტეტის კლასიკური სახე - მაგალითი, ნიმუში. იმუნიტეტის საკითხს და მისი ფენომენის შესწავლას XX საუკუნის მეორე ნახევრის ბოლოს დაუბრუნდა ცნობილი ქართველი მეცნიერი პროფ. იური მალაშხია და მან დაამტკიცა, რომ იმუნიტეტის გამომუშავებაში მონაწილეობენ თავის და ზურგის ტვინიდან გამოსული ნერვული დაბოლოებები და ისინი ხელს უწყობენ ორგანიზმში იმუნურ შეუღწევადობის გამომუშავებას. მიზეზს ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ამ ქართველ და უცხოელ არაერთ ავტორზე შეფერხდა ნობელის პრემიის გაცემა - ამის შესახებ სხვა დროს. ასე რომ, **<u>იმუნიტეტი</u>** მიკრობიოლოგიური პროცესია და ანტიდოტი ‘მითრიდატუმი“ ვერაფრით ვერ გამოიწვევს იმუნიტეტის გამომუშავებას, მაშ რაშია საქმე? რას იწვევს ‘**<u>მათროდიტოსის მაჯუნი</u>**“ ანუ ანტიდოტი მითრიდატუმი? აქ საუბარია **<u>ფარმაკოლოგიურ პროცესზე, შეგუებაზე, შეჩვევაზე,</u>** ე.წ. **<u>ადაპტაციაზე</u>**! გავიხსენებ სტუდენტობის წლებს. პროფ. ვლადიმერ ანთაძესთან! სტუდენტს გამოცდების დროს რომ ვერ აეხსნა იმუნიტეტის ფენომენი და პროცესი იგი ვერ განესხვავებინა ფარმაკოლოგიური პროცესის **<u>ადაპტაციისაგან</u>**. დავსძენ, რომ ნიშანს ‘სამიანს“ ასეთი სტუდენტი ვერ ეღირსებოდა და ან ის ფარმაკოლოგიური პროცესი სტუდენტს ვერ აეხსნა პროფ. გიორგი ცქიმანაურისთვის, ან პროფ. გრიგოლ გვიშიანისთვის, არც ეს მეცნიერები დაუწერდნენ რაიმე ნიშანს მატრიკულში ასეთ სტუდენტს. ამ ხალხმა სტუდენტობის დროს ეს საგნები ჩააბარეს? მე ეჭვი მეპარება. დისერტანტს მესამე კურსის სტუდენტის ცოდნაზე მეტი მოეთხოვება და ამ დროს ეს დონეც არ მჟღავნდება!

ავიღოთ მაგალითისათვის ნარკომანია. ეს უმძიმესი მავნე ჩვევაა კაცობრიობისა. ადაპტირებულმა ნარკომანმა შეიძლება ერთდროულად 10 ამპულა 5%-იანი მორფინის ინიექცია აიტანოს და არ დაიღუპოს, მაგრამ 10 ამპულა მორფინის ინიექციისაგან ცხენმა შეიძლება დაიძინოს და აღარ გამოიღვიძოს ან იგივე დაემართოს კამეჩის ზაქს. ადამიანს ამ ექსპერიმენტისათვის მე ვერ გავიმეტებ (!). მაგრამ ადაპტაცია და იმუნიტეტი სხვადასხვა ცნებებია!

ასე რომ იმუნიტეტი - მიკრობიოლოგიური პროცესია და ადაპტაცია ფარმაკოლოგიური პროცესი! **<u>ისინი ჰგვანან ერთი მეორეს, მაგრამ ისინი</u>**

<u>დიამეტრალურად განსხვავდებიან ერთი მეორეისაგან</u>. ამაში ცდებოდა პროფ. მ. შენგელია, ამაში ცდებიან: დისერტანტი იამზე სახამბერიძე და მისი ამ ნაშრომის რეცენზენტი აკადემიკოსი რამაზ შენგელია. ანტიდოტი - მიტრიდატუმი ადაპტაციას გამოიმუშავებს და არა იმუნიტეტს ჩემი ასეთი დასკვნა შეუვალია, სწორია და ამიტომ ვაგებ პასუხს ნებისმიერი კომისიის წინაშე **<u>და ამას ნულარ მივაწერთ პლინიუსს!</u>** იმუნიტეტის და ადაპტაციის ერთი მეორეში არევა **<u>სერიოზული მეცნიერული შეცდომაა.</u>** ეს მე გავარკვიე 'ჟურნალისტის საკითხების №7-8 ტომში სათაურით 'რამდენიმე შენიშვნა 'უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინის" ავტორს პროფ. მ. შენგელიას". ასე, რომ ეს საკითხი არც პროფ. მ. შენგელიამ იცოდა, არც აკადემიკოს რამაზ შენგელიამ იცის და ამ არასწორ მცდარ მოსაზრებას თავზე ახვევენ ხარისხის მაძიებელ იამზე სახამბერიძეს! **<u>ეს ხომ შეუწყნარებელი უვიცობაა! ცოდვის განუკითხაობაა!</u>** ჟურნალ 'საქართველოს სამედიცინო მოამბეს" №5-6 ნომერში ამავე გვერდზე გამოქვეყნებულია მეცნიერისათვის სრულიად შეუფერებელი საქციელი! სქოლიოს მითითების გარეშე, ვლინდება აკად. რ. შენგელიას აშკარა მხილება **<u>პლაგიატობაში</u>** ჩემი იდეის მითვისებაში ოინბაზური კოლხური მეთოდით! სახელდობრ სტატიაში ვკითხულობთ შემდეგს: **<u>'აქედან იწყება შხამებისა და ანტიდოტების დამზადების ხელოვნების გავრცელება ევროპაში, რასაც საფიქრებელია, რომაელებმა, მისი პირველწყაროს, მედეას გამო 'მედიცინა" უწოდეს".</u>** აქაც სერიოზული უზუსტობაა. რუსი მეცნიერი ვალერი კრიკოვი თავის მონოგრაფიაში მეთორმეტე გვერდზე გვიწერს, რომ სიტყვა 'მედიცინა" ბერძნულ წყაროებში ანტიკური ხანიდან გვხვდებაო. ძირითადად ეს მოსაზრება მისაღებია, ვინაიდან კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცების და მედეას საბერძნეთში გადასახლების შემდეგ რამდენიმე ათეული წელია გასული და გამოჩნდა ბერძნული მეტყველებაში მედეას სახელთან ეტიმოლოგიურ კავშირში 'მედიცინის" ხსენება, მაგრამ ამისათვის არც იტალიაში - რომში იყო წასვლა საჭირო და არც საბერძნეთში - უფრო ზუსტად ქვემოთ მოგახსენებთ. ამ გრამატიკულად გაუმართავი წინადადებით ბატონი რამაზ შენგელია მე მართმევს მისი დისერტანტის წყალობით ჩემს ცნობილ კონცეფციას იმის თაობაზე, რომ მკურნალობასთან დაკავშირებული საქმიანობას მედიცინა რომ ეწოდება, ეს ეტიმოლოგიურად მედეას სახელს უკავშირდება. ამის შესახებ 1979 წელს საერთაშორისო სიმპოზიუმზე რუსულ-გერმანული და გერმანულ-რუსული საერთაშორისო სიმპოზიუმზე მოხსენება მაქვს გაკეთებული.

ე.ი. სახელის მედეას და მედიცინის ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ მე ოფიციალური განცხადება გავაკეთე ჯერ კიდევ 1977 წელს შემოდგომაზე თბილისში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე დევიზით: 'რუსულ-გერმანული და გერმანულ-რუსული სამედიცინო კულტურული კავშირები. არსებობს ამ სიმპოზიუმის მსვლელობის აუდიოჩანაწერი და შესაბამისი სტენოგრამა ჩემი გამოსვლიდან! შემონახული მაქვს სატელევიზიო ჟურნალი 'მოამბიდან" დოკუმენტური კინოფირი. ამავე დროს გადაღებულია ტელეფილმი 'მითი და რეალობა", რომლის ტექსტის წამყვანი მე გახლავართ და ამ დოკუმენტური ფილმის სცენარი ჩემი მონოგრაფიიდან არის დაწერილი, უმეტეს ნაწილი ჩემი კარნახით!

გარდა ამისა, 1980 წელს გამომცემლობაში 'ხელოვნება" გამოიცა ჩემი და გივი

საყვარელიძის ერთობლივი ნაშრომი კედლის ვიზუალური კალენდარი სამედიცინო თემატიკაზე სათაურით 'ძველი ქართული სამედიცინო წყაროები და ხელსაწყოები", რასაც ახლავს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე კალენდრის შესავლის სამ გვერდზე ტექსტი სათაურით **'წამალთმცოდნეობისა და მკურნალობის საკითხები ძველ საქართველოში"**. ამ ტექსტის პირველსავე აბზაცში ვკითხულობთ შემდეგს: 'თანამედროვე სამედიცინო დისციპლინის - ჰიგიენის წარმოშობა უშუალოდაა დაკავშირებული ძველ ბერძნულ ლეგენდად ქცეული პერსონაჟის ასკლეპიოსის (ლათინურად იგივე ესკულაპის) ქალიშვილის ჰიგიას სახელთან. ასევე ეგვიპტეში ღმერთ თოთის (ტოტის) ფრესკის, გამოსახულების ქვეშ იყო წარწერა '**ფარმაკონ**", რაც ეპოქალური გაგებით 'მფარველს", 'მხსნელს" ნიშნავდა, ხოლო სიტყვა '**ფარმაკონში**" ჰიპოკრატეს (460-377 ძვ. წ.) ეპოქიდან წამალი იგულისხმებოდა. თანამედროვე გალენური ანუ ჯამობრივი პრეპარატების შესახებ მოძღვრება დაკავშირებულია რომაელი ექიმის კლავდიუს გალენიუსის სახელთან (ახ. წ. 131-201 წლები).

კოლხურ-იბერიული მედიცინა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. თუ ჰიგია-ჰიგიენა, გალენი-გალენიკა, ტოტი – 'ფარმაკონ" - ფარმაცია, ფარმაკოლოგია, ფარმაკოგნოზია, ფარმაცევტული ქიმია და თვით ფარმაკოპეა შესაბამისი სიტყვის ფუძიდან არის ნაწარმოები და მეცნიერული დისციპლინა 'ვენეროლოგიის" მკურნალობის მეთოდები ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების ინფექციურ-ვენეროლოგიური დაავადებების შესახებ ბალახების, ყვავილების და სიყვარულის ქალღმერთის ვენერას საელიდან არის ნაწარმოები, ასევე არსებობს ვერსია, რომ მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას **მედიცინა** რომ ეწოდება, მედეა და მედიცინა ურთიერთ შინაარსობრივად დაკავშირებული სიტყვები უნდა იყოს, მით უმეტეს '**მედიცე**"-ბერძნული სიტყვაა და ქართულად '**ექიმ ქალს**" ნიშნავს, 'მედეა რომ მკურნალი ქალბატონი იყო ეს სადაო არ არის"! ამის შემდეგ **ბატონი, აკადემიკოსი რამაზ შენგელია აძლევს** დასკვნას, თავის ხარისხის მაძიებელ იამაზე სახამებერიძის დისერტაციის საკვალიფიკაციო შრომაში (და წარმოიდგინეთ) მეცნიერ-ხელმძღვანელი და ექსპერტი პროფესორი, თანაც დღეს აკადემიკოსი რამაზ შენგელია დადებით შეფასებას აძლევს თავის მომავალ დისერტანტს, მეცნიერ ხელმძღვანელის რანგში, რომ **'მედეასა და მედიცინას შორის ეტიმოლოგიური კავშირის იდეის დადგენაში თუ ტერმინის დაარსებაში პრიორიტეტი თითქოს რომაელებს ეკუთვნოდეს!** ტერმინი 'მედიცინა" არგონავტების მიერ ოქროს საწმისის გატაცებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ბერძნულ ცივილიზაციაში ჩაისახა (პროფ. ვ. კრიკოვის აზრით ძვ. წ. XII საუკუნიდან) და მეცნიერულად ანალოგიური ფაქტით ეს ჩემს მიერ არის დამტკიცებული.

ზემოთ მე მოვიყვანე ციტატა 1999 წელთან შედარებით 19 წლით ადრე გამოქვეყნებული ჩემი და გივი საყვარელიძის ერთობლივი ნაშრომიდან, მით უმეტეს ამ კალდენდრის გამოცემა იმითაც იყო ცნობილი, რომ იგი მაშინდელი საქ. კაპ. ცკ-ის პირველი მდივნის ბატონ ე. შევარდნაძის ხელმოწერილი დადგენილებით გამოიცა, რომელიც იქცა (უფრო სწორად აქციეს. ს.ს.) კრიტიკის ობიექტად მედიცინის ისტორიის კათედრაზე და სამი საათი შესვენების გარეშე მლანძღეს, თუ შეუსვენებლად მლანძღა პროფ. მ. შენგელიამ. იქვე ბრძანდებოდა ბატონი რამაზ შენგელია და ამიტომ

გამოროცხულია მან რომ თითქოს **არ იცოდეს** (ცხადია იცოდა ს.ს.) ამ უპირველეს და უპირატეს ლიტერატურულ წყაროზე ციტირებას რომ არ აკეთებს, რაზედაც მას და მისსავე დისერტანტს სქოლიო, მითითება აუცილებლად უნდა გაეკეთებინათ! ჩემი შრომა გააბიაბრუეს, მიჩქმალეს და **მედეა და მედიცინის ურთიერთ ეტიმოლოგიური კავშირი რომაელებს მიაწერეს**! ეს ხომ კოსმოპოლიტიზმსა და **პლაგიატში** აშკარა მამხილებელი ფაქტია? ამ ფაქტს ვერც დისერტანტი და ვერც მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი '**აკადემიკოსი**" რამაზ შენგელია ვერსად გაექცევა! მლანძღველთა შორის თავისი '**ამალით**" იქვე ბრძანდებოდა პროფ. ბ. ჭუმბურიძეც! ეს მწარე ფაქტია მისთვის, ვისაც სწამს, რომ მეცნიერებაში უპირველეს ლიტერატურაზე სქოლიოს მითითება აუცილებელია(!) ამის გარდა ეს მოსაზრება მე ორ გერმანულ ჟურნალში დავბეჭდე. მედეას სურათის მედიცინის ემბლემად აღიარების მიზნით და არგუმენტად მოვიშველიე ტიმ სევერინის განმეორებითი **ლაშქრობა XX საუკუნის მიწურულში.** ასე რომ ამ საინტერესო თეორიაში **'მედეასა და მედიცინის ეტიმოლოგიური კავშირში მე როგორც მკვლევარს მოზიარე არ მყავს (გარდა გივი საყვარელიძისა. ს.ს.) და ამ იდეას ამაოდ რომაელებს ნუღარ მიაწერს ბატონი რამაზ შენგელია(!) და მისი პლაგიატი დისერტანტი იამზე სახამბერიძე!** აქ აშკარად დარღვეულია ჩემი საავტორო უფლება და მითვისებულია ჩემი **ინტელექტალური საკუთრება (!)**. რაზედაც სქოლიოს მითითება მეცნიერებაში ელემენტარული ეთიკის ნორმაა!

მედეას სახელისა და მედიცინის ეტიმოლოგიურ კავშირზე სამეცნიერო გამოკვლევაში ქრონოლოგიური პრიორიტეტი მეკუთვნის მე სოკრატ სალუქვაძეს და არა პროფ. რამაზ შენგელიას და მის პლაგიატ დისერტან იამზე სახამბერიძეს.

საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე სვამს საკითხს: 'რომელ ენაზე საუბრობდნენ მეფე აიეტის ოჯახის წევრები?" და აღიარებულია ერთხმად ამ სასაუბრო ენის სამართალმემკვიდრე თანამედროვე მეგრულია. მაგრამ ანალოგიური ფაქტების ანალიზით ამ კალენდარზე თანდართულ ტექსტებში, რაც გამოვაქვეყნეთ, მომაქვს ასეთი ციტატა, იმის შესახებ, რომ ეტიმოლოგიურად **მედიცინა მედეას სახელს უნდა უკავშირდებოდეს!!!** აი, ეს ციტატაც 'თანამედროვე სამედიცინო დისციპლინის ჰიგიენის დაარსება უშუალოდაა დაკავშირებული ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟ ასკლეპიოსის (იგივე ესკულაპის) ქალიშვილის ჰიგიას სახელთან, ისე როგორც ყველაფრის სამკურნალო საშუალებას 'პანაცეა" ეწოდება და ეს ტერმინი ესკულაპის მეორე ქალიშვილის პანაცეას სახელთან არის დაკავშირებული, ასევე რომაული ქალღმერთის ვენერას სახელთან დაკავშირებული ვენეროლოგია. ძველ ეგვიპტეში ღმერთი ტოტის ფრესკის ქვეშ იყო წარწერა 'ფარმაკონ", რაც ეპოქალური გაგებით 'მფარველს" 'მხსნელს" ნიშნავდა, ხოლო სიტყვა 'ფარმაკონში" წამალი იგულისხმებოდა ჰიპოკრატეს ეპოქიდან (ძვ.წ. V-IV საუკუნეებიდან).

აქედან გახლავთ ნაწარმოები (წარმოშობილი) ტერმინი 'ფარმაცია" და სამკურნალო ხელოვნების ისეთი დარგები როგორებიცაა: 'ფარმაკოგნოზია", ფარმაკოლოგია, 'ფარმაცევტული ქიმია", 'ფარმაკოპეა" და ა.შ. კოლხურ-იბერიული მედიცინა ერთ-ერთი უძელესი რომაა მსოფლიოში ამას გვაუწყებს მსოფლიო მედიცინის ისტორიის უპირველესი მკვლევარი და ისტორიკოსი გერმანელი პროფესორი კურტ შპრენგელი 1792 წელს თავის სახელგანთქმულ მონოგრაფიაში 'სამკურნალო

გამოყენებითი ხელოვნების ისტორიის ცდა“, ხოლო გერმანელი ცნობილი ლექსიკოგრაფი პაპე განმარტავს, რომ ‘მედიცე“ ბერძნული სიტყვაა და ქართულად ეს **ექიმ ქალს** ნიშნავს. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდანვე, რომაელი ექიმის კლივდიუს გალენიუსის ეპოქიდან (131-201 წ.) დაარსდა ტერმინი გალენიკა- რომელშიც იგულისხმება ჯამობრივი პრეპარატების შესახებ მოძღვრება.

თუ ჰიგია-ჰიგიენა, პანაცეა-პანაცეა, ვენერა-ვენეროლოგია, ტოტი-ფარმაკონ, ფარამაცია, ფარმაკოლოგია, ფარმაკოგნოზია, ფარმაცევტული ქიმია, ფარმაკოპეა, გალენი-გალენიკა და ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ეს ტერმინები შესაბამისი სახელების თუ გვარების ფუძიდან არის ნაწარმოები, არსებობს ვერსია, რომ მედეა-მედიცე-ექიმი ქალი-მედიცინა ურთიერთ შინაარსობრივ კავშირში უნდა იყვნენ“. ეს მოსაზრება დაფიქსირდა გამომცემლობა ‘ხელოვნებაში“ დასტამბული კედლის ვიზუალურ სამედიცინო კალენდარში 1980 წელს! სხვათაშორის ეს კალენდარი მთავლიტის დომინირების კკომუნისტურ ეპოქაშია. კპ-ცკ-ის პირველი მდივნის ბატონ ედუარდ შევარდნაძის ხელმოწერილი დადგენილებით არის დასტამბული. ამ კალენდრის გამოცემისათვის მედიცინის ისტორიის კათედრაზე 3 საათი მლანძღეს, რომელსაც ესწრებოდა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკი ბატონი რამაზ შენგელია და რატომ იჩენს გულმავიწყობას ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ზრდილობისათვის უნდა ვთქვათ, გაუგებარია, თორემ ყველაფერი გასაგებია. ეს უკუღმართი კაცის ხელობაა! 1980 წელს დაკანონებული კონცეფცია 1999 წელს რატომ დაავიწყდათ? ბატონი რამაზი ვერ იტყვის, რომ იგი არ იცნობს ამ სამედიცინო კალენდრის პუბლიკაციას, ვინაიდან ჩემი წაბაძვით მან ასეთი კალენდარი გამოსცა. **<u>მედეას და მედიცინის ეტიოლოგიურ კავშირზე გამოცემული მაქვს მეცნიერული შრომა საერთაშორისო გერმანულ ჟურნალ ‘კავკაზიშე პოსტაში“</u>** და დაფიქსირებული მაქვს დისერტანტ იამზე სახამბერიძეზე გაცილებით ადრე ეს იდეა, რასაც ავტორი და მისი ხელმძღვანელი, ვითომ კოლხური ეშმაკობით რომაელებს მიაწერენ სქოლიოსა და არგუმენტის გარეშე. რატომ? ამ დროს 2004 წლამდე ეს მოსაზრება ‘მედეა და მედიცინა“ ჟურნალში ‘ფარმაცევტული მაცნე – მედია“ მაქვს გამოქვეყნებული, ბატონ რამაზი მაინც რომაელებს მიაკუთვნებს ამ ჩემს მიგნებას. ფუი, ასეთ ვაი ქართულ მეცნიერებას. კაცური კაცობა და ობიექტურობა მითხარით, თორემ XX საუკუნის მიწურულში, არც კუპონების ინფლაცია გვაკლდა და არც ბანდიტები! დასანანია პროფ. მიხეილ შენგელიას ოჯახში აღზრდილი ახალგაზრდა კაცი ამას, რომ კადრულობთ, თორემ ყველაფერი შენს სინდისზე იყოს. ისიც, ექიმ ნანა თურმანიძის თანაავტორად რომ ჩაუჯექი წიგნში თურმანიძეების საგვარეულოზე, რომ გამოიცა, თბილისში 1992 წელს ‘ქართული ეროვნული მედიცინა და თურმანიძეები“ და თქვენ სურათები და მისი ანოტაციები ჩემი წიგნიდან მოიპარეთ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, და ფსევდო მეცნიერმა თურმანიძეებზე ჩემს მეცნიერულ შრომაზე სქოლი საერთოდ არ გააკეთეთ! ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ პლაგიატობაა? შეუწყნარებელია ასეთი საქციელი მეცნიერებაში შენგან თორემ, ნანა თურმანიძეს ეს შეიძლება შეეშალა, შენ კი შეგნებულად მოიმოქმედე და თქვენ როგორც მეცნიერების დოქტორს არ გეპატიებათ. სურათებიც ჩემი წიგნიდან გადაიტანეთ და ჩემი მეცნიერული შრომები სიტყვა-სიტყვით თქვენ რომ გადაწერეთ ჩემი ფუნდამენტური მონოგრაფიიდან, იქნებ რაიმეს ტყუილს ვწერ? რადაცის უნდა შეგრცხვეს, თორემ შუბლზე სინდისის და სირცხვილის ძარღვი თუ გაგიწყდა მერე

ცხოვრება თურმე ადვილია, ვაი ჩვენს ასეთ პროფესორს და პროფესორის ვაჟიშვილს! ურცხვობას! გაიძვერობას! აშენდი ამ იდეის მითვისებით!

იურიდიულ ცნობარში პირდაპირაა განმარტებული 'მკვლევარი თუ არ მიუთითებს პირველ წყაროზე, საიდანაც გამომდინარეობს სიახლე - იგი პლაგიატია!" დიახ, სქოლიოს გარეშე სხვისი შრომის მითვისება დაუშვებელია მეცნიერებაში. ასეთნაირად არის ლექსიკოგრაფ მიხეილ ჭაბაშვილის წიგნშიც განმარტებული. თუ მკვლევარი წერს სიახლეს და არ მიუთითებს პირველწყაროზე,საიდანაც ეს სიახლეა აღებული, ლათინურ ენაზე მას პლაგიატი ჰქვიაო! და რამდენი ასეთი ჩამოგითვალო, რომ ჩემს შრომებს ითვისებ სქოლიოს გარეშე და საკუთარ მეცნიერულ შრომებად ასაღებ? თუნდაც ეს არაფრის მთქმელი იამზე სახამბერიძის დისერტაცია! გარდა ამისა, თქვენ თბილისის ქარვალსაში მოაწყვეთ მედიცინის ისტორიაზე ფოტოდოკუმენტების გამოფენა და ჩემი ინტელექტუალური საკუთრება - წამალთმცოდნეობის ანუ სააფთიაქო მუზეუმის კოლექცია ჩემი ნებართვის გარეშე იქ გამოფინეთ არა განცალკევებულად, არამედ მიმოფანტე საგამოფენო საერთო კოლექციაში და კედელზე მიაწერეთ სოკრატ სალუქვაძის და თამაზ დვალის კოლექცია არის გამოყენებულიო! როგორ კადრულობთ ამას? თქვენ როგორც დოქტორი მაღლა უნდა იდგეთ ჩვეულებრივ ფოტოგრაფზე ედუარდ გიგილაშვილზე, მაგრამ იგი წაახალისეთ დანაშაულში და ჩემი კოლექცია მოაპარინეთ, საერთო სამედიცინო კოლექციაში ჩართეთ. ამ დროს მე აფთიაქი-მუზეუმი ჩამომართვეს, იქიდან ტენდენციურად გამომასახლეს და თქვენ დრო იხელთეთ ფოტოგრაფთან ერთად და ჩემი კოლექცია 40 წლის მანძილზე ნაგროვები '**დაითრიეთ**", მიითვისეთ, როგორც '**პაკაზუხამ**" და მტაცებლობა ჩაიდინეთ, თანაც უვიცობა გამოამჟღავნეთ – ირმის რქა ძვლის ნივთი, გველის და ადამიანის გამოსახულებით **ამულეტი** - სისხლის ასაღებ ხელსაწყოდ გაასაღეთ! იქნებ მოაწყოთ დემონსტრაცია და გვაჩვენეთ ცხენის, ან ხარის კისერზე ჩამოკიდებული ამ ამულეტით როგორ შეიძლება სისხლის აღება? ანდა იმ დროს წარმართულ ხანაში იცოდნენ კი სისხლის აღება და ჰემატოლოგიური ანალიზი? სისხლის ჯგუფები აგერ XX საუკუნის დასაწყისში დაადგინა ჩეხმა მეცნიერმა იანსკიმ! **არ გახლავთ ირმის ეს რქა სისხლის ასაღები ხელსაწყო. მედტექნიკის იარაღების ცოდნის თვალსაზრისით!** ეს უვიცობაა და მეტი არაფერი: თქვენ ხომ იცით, თავიდან ვინ დაუშვა ეს შეცდომა? მაშინ თქვენც დაუშვით შეცდომა – უვიცობა და სისულელე გამოამჟღავნეთ! ეს შეცდომა, რომ გადმოამღერეთ ამით სისულელეს სისულელე დაუმატეთ. ეს პროფესორს და მით უმეტეს აკადემიკოსს ნამდვილად არ გეკადრებათ! სამედიცინო ტექნიკის ცოდნას თავისი კრიტერიუმები გააჩნია და ამის ცოდნა აუცილებელია.

ბატონო რამაზ! კოლხური ფინტები კარგი იყო თქვენი სახელისა და გვარის მოზიარის, ფეხბურთელის მიერ დინამოს სტადიონზე, მაგრამ მეცნიერებაში ასეთი 'ფინტები" თქვენ არ გამოგადგებათ, და აი, რატომ? ამას ახლავე მოგახსენებთ. თქვენ შეაცდინეთ ფოტოგრაფი ედუარდ გიგილაშვილი. იგი გადაიბირეთ, მოისყიდეთ, მიატანინეთ მედიცინის ისტორიის მუზეუმში ჩემი სააფთიაქო სამუზეუმო კოლექციის ნეგატივები და სურათები. თქვენ თუ ნეგატივი გინდოდათ, გეთქვათ, მოგეთხოვათ და მოგცემდით. მე როცა დამჭირდა პირველი ქართველი ფარამცის მაგისტრის, ივანე ტყეშელაშვილის მაგისტრობის დიპლომის ასლი თქვენ გთხოვეთ იგი და ამ მაგისტრის დიპლომის ფიცის ტექსტი თქვენ მომეცით, რომელიც № 1 აფთიაქ-მუზეუმის კედელზე

მქონდა გამოფენილი! გარდა ამისა მე, რადგანაც გამებნა ბერლინიდან მიღებული პროფ. კ. შპრენგელის I ტომის პირველი ქვესათაურის 13 გვერდიანი შესავლის ორი გვერდი, თქვენ მათხოვეთ ეს წინგი, მე კოლექცია აღვადგინე! აქვე მოგახსენებთ, თქვენ თუ ვარძიის აფთიაქის ფოტოსურათი გინდოდათ, ეს ნეგატივი არის თუ არა ე. გიგილაშვილის საკუთრება? განვიხილოთ! მე დავიქირავე ტრანსპორტი, შევიძინე საწვავი, შევქმენი მცირერიცხოვანი ექსპექდიცია, მაშინ ვარძიაში სპეცსაშვის გარეშე ფეხსაც ვერ შეადგამდი, ვიზრუნე საშვის მოპოვებაზე, ნათესავს ვთხოვე ექსპედიციაში მანქანით წამყოლოდა ვარძიაში, სანამ ბატონი ირაკლი ციციშვილი ვარძიაში არსებული აფთიაქის შენობაში შესასვლელად კიბეს მიაშენებდა და ამ თახჩებიან აფთიაქს მუზეუმად გამოაცხადებდა! თოკით ჩაუშვი ჩემი ნათესავი ინჟინერი ვაჟა წიქარიძე და ფოტოგრაფი ედუარდ გიგილაშვილი ვარძიის აფთიაქის შენობაში და ასე მოვიპოვეთ რაკურსით გადაღებული ვარძიის აფთიაქის სურათები, ეს ნეგატივები, როგორც ჩანს ერთი არ იყო და შენთან მოიტანა თქვენი დაკვეთით ძმაკაცობაში მაგრად ხელშეშლილმა იმ ფოტოგრაფმა! ამიხსენით ჩემი ნებართვის გარეშე არავის არ აქვს ამ ჩემი ინტელექტუალური საკუთრების მითვისების უფლება, მით უმეტეს ყველა ნეგატივში მე ედუარდ გიგილაშვილთან ანგარიში გასწორებული მაქვს და მისთვის ნეგატივებისა და ხელობის ფული გადახდილი მაქვს. პუბლიკაციის შემდეგ ჰონორარიც გადახდილი მაქვს. სააფთიაქო კოლექციაზე მე ვაცხადებ მონოპოლიას და იგი ჩემი ინტელექტურლური საკუთრებაა!

იცით ბატონო რამაზ! ვარძიის თახჩებიანი ნაგებობის სათავსოში თოკით ჩაუშვი ფოტოგრაფი ედუარდ გიგილაშვილი და ინჟინერი ვაჟა წიქარიძე. მე ზედა სართულზე ჩამოვჯექი და უფალს შევევედრე ასე: უფალო! ჩემი სული მიიღე როცა გინდოდეს, მხოლოდ ეს ბიჭები უხიფათოდ უკან დამიბრუნე-თქო - აი, ასეთი, ღვთის წინაშე ვედრებით - მომიპოვებია აფთიაქის სამუზეუმო კოლექცია და შენ იგი ხელაღებით მიგაქვს ჩემი ნებართვის გარეშე. რა უფლებით? ეს ასე რომ არ შეიძლება განა შენ ეს არ იცი? იცი, მაგრამ ავკაცობას ჩადიხართ!

მეორე მაგალითი 30 წელი ვაგროვებდი გერმანელი პროვიზორების ფოტოდოკუმენტებს, ხან უნივერსიტეტში, მათ შთამომავალი სტუდენტებთან, ხან რადიოთი გამოსვლით ვიბარებდი აფთიაქში გერმანელი პროვიზორების ნათესავებს! ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მოვაგროვე მათი ფოტოდოკუმენტები. ასე მაგალითად, უნივერსიტეტის აუდიტორიაში ლექციების წაკითხვისას ამოვიკითხე გვარი ჩემი სტუდენტისა **ნატაშა ოტტენი**, რომელიც აღმოჩნდა ფერდინანდ კარლ ოტტენის შთამომავალი, შვილთაშვილი, ვესტუმრე ოჯახში და მათხოვეს ოტენის მაგისტრობის დიპლომის დედანი და არაერთი ფოტოსურათი. ასეთი მეთოდებით მოვიპოვე 15-მდე გერმანელი პროვიზორის ფოტო დოკუმენტები, იმჟამად წიგნს ვცემდი და ამ სურათების ნეგატივები ამ საქმის უდიდეს მცოდნეს, გვერდში მდგომ ბიჭს (ამჟამად, უკეთურს) ნეგატივები გამოვამჟღავნებინე, შევაქმნევინე კოლექცია ფოტოგრაფ ედუარდ გიგილაშვილს, თავისი ხელობის კარგ მცოდნეს, მასალის და ხელობის ფული გადახდილი მაქვს ამ ჩემს ყოფილ ძმაკაცთან, მაგრამ ერთმა '**მეგობარმა**" მისსავე სახელოსნოში მთხოვა (ეს გახლდათ **თამაზ დვალი** ს.ს.). ვაპირებთ გერმანულ-ქართულ კულტურულ კავშირებზე წიგნის გამოცემას. მათხოვე შენი კოლექციიდან გერმანული აფთიაქარების სურათები და შენ თანაავტორად გამოგიყვანთ ამ წიგნშიო! მე ჩემი ნებით მივეცი თამაზ დვალს რამდენიმე სურათი

ხელშეკრულების გარეშე და იგი დღემდე მიმალავს იმ წინგნს, რომელშიც ჩემი კოლექციიდან აქვს გამოქვეყნებული სურათები, რა თქმა უნდა სქოლიოს გარეშე და ამ კაცს - **ასეთ კაცს“ (!)**, თუ რაღაც სხვას, თქვენ ასახელებთ ჩემი გვარის გვერდით **‘კოლექციონერად“** ქარვასლას სამედიცინო გამოფენაში და თქვენ ამ გზით აპირებთ ფონს გახვიდეთ ცხოვრებაში? **მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს ესეც ბრძენთაგან თქმულიაო.** პირდაპირ გეტყვით **ჯიბგირობა** არავის გამოსდგომია მეცნიერებაში და არც თქვენ გამოგადგებათ! ეს კარგად დაიხსომეთ!

მე კი არა ‘ტიტანიკი“ ჩაიძირა, შენ ობიექტურობა და კაცური კაცობა მითხარ თორემ, ერთი დრო ვის შერჩენია? ავლაბრელ ისედაც ხულიგანს დანაშაულში კიდევ წახალისება სჭირდებოდა თქვენგან? 30 წელი ვმეგობრობდი ედუარდ გიგლაშვილთან, ვინ მოსთვლის რამდენი მასალის შეგროვებაში დამხმარებია, ასევე საქინფორმისათვის ოპერატიული კორესპოდენციების მიწოდებაში, ლამის კოსმოსში მიშვებდა ჩემი მეგობარი ასაფრანად და ... რა? აფთიაქიდან მოკვეთილ კაცს განა ფასი დამეკარგა? აღარ არის საჭირო სოკრატ სალუქვაძე რაიმე პრაგმატიზმის მიზნით? ჩამისაფრდით? დრო იხელთეთ? წაიღეთ ჩემი კუთვნილი კოლექციის ნეგატივები? დამცინით? მაგრამ გახსოვდეთ მაღალი ღმერთი ყველაფერს ხედავს! ღალატით ჩემზე დიდი ბუმბერაზები იალაფეს თურმე, **‘მაგრამ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს!“** რომ მახსოვდეს იოტისოდენი არავისგან არაფერი მიმითვისებია სქოლიოს გარეშე, ასეა პატიოსანი მუშაობა, ამაღლებს ჩემს პიროვნებას, თქვენ კი გიამბობთ გზადაგზა რაებს ჩადიხართ! შეჩერდით! ასე არ გამოვა იცოდე! ერთი და ორი შემთხვევა, რომ იყოს ასეთი თაღლითობისა ჩემი შრომების მისამართით, კაცმა შეიძლება თვალი მოხუჭოს, მაგრამ ჩემი შრომების მითვისება შენ და ბიძინა ჭუმბურიძემ სისტემად გადააქციეთ და ამ ბოლო დროს ჩემი სამუზეუმო კოლექციის მითვისებაც მოახერხეთ, ჩემი ნებართვის გარეშე! ყოჩაღ! ბარაქა შენს ‘ვაუკაცობას“! მიდი და მოდი, მაგრამ იცოდე სიცრუეს მოკლე ფეხები აქვს და სიყალბის ფაქტები როცა მოგიგროვდება განკითხვის დღეც დაგიდგება ისე, რომ ადვოკატიც აღარ გეყოლება! რომც გყავდეს ვეღარ დაგიცავს!

მედეას და მედიცინის ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ როგორც ზემოთ მოგახსენეთ მე დოკუმენტური ფილმიც მაქვს გადაღებული ‘მითი და რეალობა“, რომელიც ეთერში არაერთხელ გავიდა, ხოლო XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ამის შესახებ მე გამოქვეყნებული მაქვს რეცენზირებული მეცნიერული შრომა, რომელშიც ასეა ჩემი მოსაზრება ჩამოყალიბებული და ამიტომ ბატონ რამაზ გმართებდათ თარიღობრივი უპირველესი ჩემი მოსაზრება საკუთარ რეცენზიაში სქოლიოთი მიგეთითებინა! რა გაეწყობა, როცა მეცნიერს ხელი ეშლება თარიღობრივად უპირველეს მოსაზრებებზე და პუბლიკაციებზე სქოლიოს მინიშნება, ჩემი მოსაზრების ბრჭყალებში ჩასმა, მაგრამ ამას რომ არ აკეთებს ‘მეცნიერი“ იგი **მამალი პლაგიატია, მის დისერტანტთან ერთად!** ასეთია ჩემი ობიექტური დასკვნა. აქვე აღვნიშნავდი, რომ უმჯობესი იქნებოდა **მამათქვენის** შეცდომებით აღსავსე მონოგრაფია ‘უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინის“ შესახებ წიგნი გაგესწორებინა, გაგეწმინდა შეცდომებისაგან, ხარვეზებისაგან და ახალი რედაქციით გამოგეცა, ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე არ ვიჩენ სუბიექტურ ტენდენციურობას, ისეთს, რომ სხვის შრომაში დადებითი არაფერი დავინახო. ვახუშტი ბატონიშვილი მოგვახსენებდა დამასკელი

ბრძენი სტოიკის სიტყვებს: ‘არა არს არცა ერთი ეგრეთი წიგნი, რომელიცა რაიმე ნაწილი სარგებლისა არა მოვიღოთ რა“! ცხვრის სისხლის გადასხმა ადამიანისათვის ჰემატოლოგიის ანბანის არ ცოდნას ნიშნავს და დათვისყურა სააფთიაქო სალბი არასოდეს ყოფილა. ესეც ფარმაკოგნოზიის ანბანის არცოდნაა! გაასწორე ეს წიგნი: იმუნიტეტი და ადაპტაცია განასხვავე ერთიმეორისაგან. დისერტაციაში მე ვხედავ ქალბატონ იამზე სახამბერიძის თვითმიზნურ, რაღაც ილუზიურ გატაცებას და არავითარ მეცნიერულ სიახლე ამ შრომაში გადაწყვეტილი არ გახლავთ. ამიტომაა იგი მიუღებელი და ანტიმეცნიერული შრომა. ეს როგორ მოგივიდათ, თავს ანგარიშს უკეთებთ? არა მგონია!

გადავხედოთ ევროპული წამალთმცოდნეობის ისტორიაში ანტიდოტ მათროდიტოსის გამოყენების თანმიმდევრობას. როგორც ცნობილია ანტიდოტ მათროდიტოსის გამოყენება წარმართული ხანის და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე დაინერგა და იგი მითრიდატე პონტოელის სახელთანაა დაკავშირებული. უდავოა, რომ მითრიდატე პონტოელი შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ეთნოსთა წარმომადგენელია, ვინაიდან შავ ზღვას წარმართულ ხანაში პონტოს ანუ ეუქსიონის ზღვა ერქვა და არ არის გამორიცხული მითრიდატე კოლხურ ეთნოსს რომ განეკუთვნებოდა. მის შვილებს ქართული ფუძის სახელები ერქვათ. ასე მაგალითად ‘მახარე“. ამას წერდა პროფ. მ. შენგელია. ეს ამ პიროვნების მოსაზრებაა, საერთოდ, ანტიდოტის გამოყენება და მისი სამკურნალო პრაქტიკაში დანერგვა, მაგრამ ეს ფენომენი იმუნიტეტს თუ ფარმაკოლოგიურ ადაპტაციას ემსახურებოდა. ამას ვერც დისერტანტი არჩევს ერთი მეორისაგან და მით უმეტეს ვერც მისი მეცნიერ ხელმძღვანელები. ანტიდოტ მითრიდატუმის რეტროსპექტული ანალიზი და მისი სამკურნალო პრაქტიკაში გამოყენება ახ. წ. XVII საუკუნის მეორე ნახევარში რომ დაიწყეს, ევროპელებმა, ეს ფაქტი ნათლად ჩანს გერმანულ, ფრანგული, ინგლისურ და სხვა მოწინავე ქვეყნების სახ. ფარმაკოპეებში და ფარმაცევტულ საამქროებში ტონობით მზადდებოდა ასეთი სახელწოდების ანტიდოტი, რომელიც 200 წელი გრძელდებოდა ე.ი. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამოღებული იქნა ეს ნაკლებად ეფექტური ანტიდოტი წარმოებიდან და შესაბამისად სახელმწიფო ფარმაკოპეებიდან. აქვე აღვნიშნავ, რომ ‘საჩინო წამალი“ ანტიდოტი ‘მითრიდატუმი“ 200 წლით ადრე აქვს შეტანილი ქართული რედაქციით შედგენილი კარაბადინში ქადაგ მახარებელ მაღალაძეს და ბრძენთმთავარ ზაზა ასპანიძე ფანასკერტელს. ამის შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენთ.

ამ ეტაპზე, ჩვენს მიზანს წარმოადგენს გავარკვიოთ ევროპელების მიერ 150 წლის წინათ უარყოფილი ტრადიციული მედიცინის აღდგენა ანუ რეტროსპექტული მეთოდით მითრიდატუმის მკურნალობაში დაბრუნება XXI საუკუნის კარიბჭესთან რამდენად მეცნიერულია და ფარმაკოლოგიური ეფექტურობის თვალსაზრისით არის თუ არა შედეგიანი? ხომ არ გახლავთ ეს ფამილარული პოპულიზმი მეცნიერებაში? დისერტანტს, რომ ეს საკითხი მეცნიერულ ექსპერიმენტის შედეგებით გქონდეთ დამტკიცებული, ხმას არ ამოვიღებდით და სადაოც არაფერი იქნებოდა, მაგრამ თავიდანვე ვხედავ აქ საქმე გვაქვს თვითმიზნურ, იაფფასიან მეცნიერულ პოპულიზმთან, ეს რომ ასეა ამას ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი გადავხედოთ ტრადიციულ მედიცინაში გველის შხამის ანუ როგორც დისერტანტის ‘რეკომენდაციიდან“ “შხამიანი

გველის ხორცი“, საერთოდ, შიგნით მისაღებად პეროს per os გზით არის თუ არა რეკომენდებული? ყოფილ საბჭოთა კავშირში ‘N“ რაოდენობით შემოჰქონდათ ‘გიურზას“ კობრას შხამზე დამზადებული მალამობი: ვიპროტოქსინი და ვიპრაკუტონი გერმანიიდან იმპორტის გზით შემოჰქონდათ, მაგრამ არც ერთი მათგანი შიგნით მისაღები წამლის ფორმა არ გახლავთ, ასევე ჩეხური წარმოების: ‘ვირაპინის“ მალამო არის სამკურნალო პრაქტიკაში დანერგილი. იყო ვიპერგლოგენის ამპულები საინიექციო (ალბათ, ასეპტიკური წესით მომზადებული და თანაც ძლიერ განზავებულ ჰომეპათიური წესით, თორემ გველის შხამი მოხარშვისას, გასტერილებისას, ინაქტივირებას განიცდის ს.ს.) მკურნალობისათვის განკუთვნილი დღესაც გამოიყენება. საუბარია დეციმილიგრამებში განზავებული პრეპარატზე რადიკულიტის მკურნალო-ბისათვის. ასევე დღეს სამკურნალო ტრადიციულ ხელოვნებაში დანერგილია საინიექციო პრეპარატი შრატი ‘ანტიგიურზინი“ და აქედან გამომდინარე არავითარი აუცილებლობას აღარ წარმოადგენს გველის ნაკბენის ანტიდოტ ‘მითრი-დატუმით“ მკურნალობა, თანაც პროფილაქტიკის მიზნით წინასწარ, ეს მაშინ, როცა არ ვიცით გველი უკბენს თუ არა იმ ადამიანს, რომელსაც წინასწარ შხამიანი გველის ხორცით ვმკურნალობთ. ერთი, ეს მეთოდი გამოსცადეთ საკუთარ თავზე, როგორი იქნება? ეს პრობლემა დღეს საერთოდ მოხსნილია ისეთი ეფექტური შრატის - ‘ანტიგიურზინის“ პრაქტიკაში დანერგვის გამო. ამიტომ გაუგებარია უკან დაბრუნება პრიმიტივიზმისაკენ რაღა საჭიროა? ასე რომ, 150 წლის წინათ ევროპელების მიერ წარმოებიდან ამოღებული ანტიდოტ მითრიდატუმის წარმოება როგორც არაეფექტური პრეპარატისა და გაუგებარია რაღა წარ-მოების განახლება და მისი ამ მოძველებული არაეფექტური პრეპარატის შემობრუნება ტრადიციულ მედიცინაში? ამიტომ ეს გახლავთ არამეცნიერული მეთოდით წყლის ნაყვა. ამიტომ არავითარი მეცნიერული რეკომენდაცია ამ დისერტაციაში დასახული პრობლემის გადასაწყვეტად, მით უმეტეს, ექსპერიმენტით დამტკიცებული არ გახლავთ, თანაც ისიც ვერ არის გარკვეული ანტიდოტ მიტრიდატუმში ‘შხამიანი გველის ხორცის მიღებაზეა საუბარი პეროს per-os გზით თუ გველის ხორცის სხეულის იმ ნაწილზეა საუბარი, რომელიც შხამს, საერთოდ, არ შეიცავს, ვინაიდან გველის შხამი გააჩნია თავის იმ ნაწილს სანერწყვე ჯირჯვალში, რომელიც ქვედა და ზედა ყბის გასაყარზე - ზღვარზეა მოთავსებული და ღარიანი კბილების სადინარის საშუალებით კბენისას გველი ახერხებს მსხვერპლის სხეულში მცირე რაოდენობით შხამი-ტოქსინი კანქვეს ‘**<u>შეუშხაპუნოს“</u>**, ყოვლად დაუშვებელია ამ შხამის თუნდაც ჰომეოპათიური მეთოდით ძლიერ განზავებული ეს შხამი მოხდეს ადამიანის სხეულში per- os გზით. მაშასადამე, არც შხამიანი გველის ხორცი და არც ხვლიკის ხორციანი ანტიდოტი მიტრიდატუმის გამოყენება კლინიკურ ექსპერიმენტული დასაბუთების გარეშე ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია, თუნდაც იმიტომ, რომ ევროპულმა კლასიკურმა მედიცინამ ეს პრიმიტიული მეთოდი 150 წლის წინათ წარმოებიდან ამოიღო. იგი როგორც უვარგისი და ანტიმეცნიერული, უარყოფილია, დაწუნებულია!

დისერტანტ იამზე სახამბერიძის ამ საჟურნალო სტატიაში რამაული ექიმის კლავდიუს გალენიუსის დაბადების წელიც კი არ არის ზუსტად მოყვანილი, ვინაიდან ეს დიდი რომაელი მეცნიერი 131 წელს დაიბადა, რომელიც 201 წელს გარდაიცვალა. ძველი ქართულ კარაბადინებში იგი მოიხსენიება ჯალილოზის და გალიანოზის

სახელწოდებით, რატომღაც დისერტანტი 'გალენოსს" უწოდებს რომელიც თითქოს 130 წელს დაიბადა. დაუშვათ დაუზუსტებელია კ. გალენის დაბადებისა და გარდაცვალების წლები. ეს კიდევ არაფერი! მაგრამ აქაც ჩვენი შრომების დასახელებას არც სტატიის ავტორი და არც რეცენზენტი აკად. რ. შენგელია საჭიროდ არ მიიჩნევენ, ეს მაშინ, როცა მედეა და მედიცინა რომ ურთიერთთან ეტიმოლოგიურ კავშირშია. ეს ჩვენს მიერ არის დადგენილი ანალოგიური ფაქტების შედარებით და ეს წერილობით დაგვიდასტურა ისეთმა ცნობილმა მეცნიერმა, როგორიც გახლავთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. დიმიტრი კორძაია და ჩვენი პრიორიტეტი ამ პატიოსანმა მოღვაწემ ამ საკითხში წერილობითი რეცენზიით დაგვიდასტურა. რაც შეეხება ანტიდოტ თერიაყის რეკომენდაციას და მის დოზირებას, იგი თურმე ნუშის (ალბათ ნუშის გულზეა ლაპარაკი. ს.ს.). ეგვიპტური მარცვლის, ან ბერძნული კაკლის წონა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ რთული მრავალკომპონენტიანი წამლის ფორმის შემადგენელი კომპონენტების დოზირებაზე აქ საერთოდ არაფერია ნათქვამი (!). შემდეგ კი ამ 'ნაშრომში" ანტიდოტების 8 რეცეპტზეა ლაპარაკი, მათ შორის ერთი 41 ინგრედიენტიანი ყოფილა, მეორე 64 ინგრედიენტს შეიცავდა, მესამე – 54-ს, მეოთხე – 48-ს, მეხუთე ხვლიკიანი ანტიდოტი 'ლიზარდი" 42 ინგრდიენტს შეიცავდა, მაგრამ არც ერთი ანტიდოტი მითრიდატუმის კომპონენტი ანუ ინგრედიენტი გაშიფრული არ არის და არც მათი დოზებია მითითებული. ავტორები, ალბათ, ანტიდოტ მითრიდატუმის მიღებას per-os გზით გულისხმობენ, მაგრამ დოზა არც შხამიანი გველის ხორცზეა მითითებული და როგორც ზემოთ მოგახსენეთ არც ერთი შემადგენელ ინგრედიენტზე, მაშინ აგვიხსნას ამ დისერტაციის, როგორც ავტორმა, ასევე მეცნიერული ხელმძღვანელებმა, რომელ რეტროსპექტულ აღდგენა-განახლებაზეა აქ საუბარი? მით უმეტეს არც ერთი კომპონენტის წარმოება დღეს აღარ ხდება და არც იციან რომელია ეს კომპონენტები! საერთოდ ამ 'დისერტაციის" მესვეურებმა 'ავტორმა", 'მეცნიერ-ხელმძღვანელებმა" იციან ლათინური სიტყვა 'რეტროსპექტულის" მნიშვნელობა? ან სახელდობრ, რომელიმე ანტიდოტი არის აღმოჩენილი და განახლებული, თანაც ექსპერიმენტით დამტკიცებული ან კლინიკურად შემოწმებული? ეს მაშინ, როცა ევროპულმა სახ. ფარმაკოპეებმა 1840 წლის წინ უარყვეს ანტიდოტი მითრიდატუმი! შრომის ავტორი ჯიუტად მიუთითებს, რომ სამკურნალო პრაქტიკაში ამ სახელწოდებით გამოიყენებოდა **<u>დემოკრიტეს ანტიდოტი</u>** (იხ. ამ შრომის 59 გვერდი, აქ მითითებულია, რომ მცენარეულ ინგრედიენტებთან ერთად ანტიდოტში გამოყენებული ორგანოთერაპიული ორგანოები **<u>თახვის სასქესო ორგანო (ჯირკვალი)</u>** გველისა და ხვლიკის ხორცი, იხვის სისხლი და სხვა, მაგრამ რეტროსპექტული ანალიზის შემდეგ რა დოზით? ეს თურმე სხვა დისერტანტმა უნდა გაარკვიოს? რატომ? რაში მდგომარეობს ანტიდოტის განახლება-აღდგენა? ეს პრობლემა, ვიმეორებ ამ "შრომაში" არ არის გადაწყვეტილი! გასაგებია, რომ ანტიდოტ '**<u>გალენში</u>**" შედის შხამიანი გველის ხორცი (რა დოზით? თანაც per os-ს გზით მისაღებად თუ გარეგანი? არადა არც ესაა გარკვეული რა დოზებში შეიძლება ამ წამლის ფორმის მიღება?).

ნაშრომის ავტორი ჯერ გვთავაზობს ანტიდოტ 'მითრიდატუმს" ანტიდოტ 'გალენს", ანტიდოტ 'დემოკრიტეს" და რომ ისინი შეიცავენ შხამიან გველის ხორცს, ან ხვლიკის ხორცს (დოზის მითითებაზე ზედმეტია ლაპარაკი), მაგრამ ამავე 159-ზე

გვერდზე ასეთი ალოგიკური დასკვნაა დაწერილი ‘ანტიდოტი არასოდეს არ შეიცავს გველის ხორცს, თერიაკი ხვლიკის ხორცს“.საინტერესოა, ავტორი და მისი ხელმძღვანელები როდის არიან მართლები? გაუგებარია.

მადლობა ღმერთს, რომ ავტორი წერს ‘გველის ნაკბენის სამკურნალოდ ‘გალენი“ (ალბათ ანტიდოტზეა საუბარი. ს.ს.). მალამოს სახით - ვარდის ზეთში განზავებული“ გამოიყენება მაშინ აგვიხსნან მალამოს გამოყენება როგორ შეუწყობდა ხელს ‘**<u>იმუნიტეტის</u>**“ გამომუშავებას და შემდეგ“ **<u>გველის ხორცი გამოიყენებოდა არა კვერაკების, არამედ ფხვნილების სახით“</u>**, მაგრამ გარედან მოსაყრელად თუ Per-os-გზით მისაღებად, ამაზე დუმს დისერტანტი - კაი დროს გაატარებდა ავადმყოფი შხამიანი გველის ხორცის ფხვნილის შიგნით მიღების შემდეგ და ამას ჰქვია თურმე ანტიდოტის აღდგენა-განახლება და **<u>იმუნიტეტის გამომუშავება!</u>** როცა ვერ არჩევენ ერთი მეორისაგან იმუნიტეტს – მიკრობიოლოგიურ პროცესს და ფარმაკოლოგიურ ადაპტაციას, მაგრამ ჰომეოპათიური დოზები გაშიფრული კომპონენტებისა, რომ მაინც მიეთითებინა მაშინ ჩვენ რაღა გვიჭირდა?

გავაანალიზოთ მორიგი “**<u>შედეგრი</u>**“, რომელიც გამოქვეყნებულია ამ ჟურნალის 160 გვერდზე. ბოლოდან პირველი აბზაცი ‘გალენი“ და ‘მითრიდატუმი“ შეიცავდა ანტისეპტიკურ, მასტიმულირებელ და მატონიზირებელ სამკურნალო საშულებებს, ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა ‘ოპიუმი“, რომელსაც ახასიათებს დამაწყნარებელი მოქმედება“.

ხალხნო მოგვხედეთ! SOS... SOS... SOS. ოპიუმის ანუ ამფიონის ალკალოიდებს, რომ ახასიათებს დამაწყნარებელი მოქმედება ამ ფრაზას ვეთანხმები ამ წინადადებაში და ეს კლასიკური ფარმაკოგნოზიის და ფარმაკოლოგიის ანბანია, ეს რომ ასეა, ამას სადაოდ არავინ მიიჩნევს, მაგრამ ისეთი ანტიდოტები, რომლებიც შეიცავდა მატონიზირებელ, მასტიმულირებელ და ანტისეპტიკურ საშუალებებს ესენი, ყველანი ერთად, **<u>იმუნიტეტის გამომუშავებლებს წარმოადგენენო</u>** (!!!) მასში რაღა მათი ანტაგონისტი ანთიმონი ანუ ოპიუმი გვჭირდება წამლის ფორმაში? რამდენი ასეთი ურთიერთ გამომრიცხავი ალოგიკური აზრები ჩამოვთვალო ამ შრომამაგიერ ‘მეცნიერულ“ რეკომენდაციაში ანუ რეტროსპექტულ ანალიზებში? კიდევ კარგი, რომ მკვლევარებს არ დაავიწყდათ დიურეზული საშუალების გამოყენება და აქვე აღვნიშნავ ევროპულ სახ. ფარმაკოპეებში იხსენიება ანტიდოტი მითრიდატუმი XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე და იგი თურმე ნაღდად ფარმაკოპეაა და ქართული რედაქციით შედგენილი ‘**<u>კარაბადინი“</u>** XV ს. მეორე ნახევარში რომ იხსენიება 57 კომპონენტის შემცველი **<u>‘საჩინო წამალი ანტიდოტი მითრიდატუმი. იგი თურმე ბერძნულ-ლათინური საერთაშორისო ტერმინით- სინონიმით წოდებული ფარმაკოპეა არ ყოფილა!</u>** თქვენ ოჯახაშენებულები თქვენ თუ არ იცით, ჩახედეთ უცხო სიტყვების შესაბამის ლექსიკონებში და გაიგეთ, ქართულ ტერმინს **<u>‘სამკურნალო წიგნს</u>**“ სპარსულად და არაბულად – კარაბადინი შეესაბამება და ბერძნულად და ლათინურად **<u>ფარმაკოპეა!</u>** უმჯობესია ჯერ ეს ისწავლონ ამ მეცნიერ-ხელმძღვანელებმა და შემდეგ მოკიდონ ხელი დისერტანტის დამოძღვრას!!! ჩვენი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მესვეურები უყოყმანოდ დამერწმუნებიან, რომ ნამდვილად აჯობებდა კოსმოპოლიტიზმისაგან გათავისუფლება, ე.ი. მეცნიერული ტექსტური ანალიზით დაგვედგინა, რომ შუა საუკუნეების ქართული კარაბადინების 60%-მდე ტექსტისა

დათმობილი აქვს ფარმაკოლოგიურ საშუალებების მომზადების ფარმაკოპეული რეკომენდაციებს და მეცნიერთა ჯგუფმა როცა ეს არ იცით, მათი თვალთახედვის ისარი მოკლე რომაა და ამას მტკიცებულებანი აღარ სჭირდება. ამას ჰქვია 'ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდა"-ს - ანდაზა.

ერთი საკითხის შეფასებას და გადაწყვეტას მოვითხოვ პრინციპულად: ავიღოთ ხელთ 1979 წელს გამომცემლობა 'საბჭოთა საქართველოში" გამოცემული პროფ. მიხეილ შენგელიას მონოგრაფია: **<u>უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა</u>**" გადავფურცლოთ იგი და წავიკითხოთ რა წერია შავით თეთრზე 79 გვერდის პირველი აბზაცში. მედეას 'იმდროინდელ კოლხეთსა და იბერიაში როგორც ირკვევა (საიდან ირკვევა? ს.ს.). ცხვარი წმინდა ცხოვლად ითვლებოდა, ამიტომ თურმე 'მკურნალობის მიზნით სწორედ მისი სისხლი გამოეყენებინათ ადამიანისთვის გადასასხმელად" სამკურნალოდ! 'წმინდაო უფალო!". ისმინე ვედრება ჩემი...

თურმე მედეას ეპოქაში ძვ. წ. XV აუკუნეში ცხვარი წმინდა ცხოველი იყო... ამიტომ ცხვრის სისხლი გამოეყენებინათ ადამიანის გადასასხმელად". დღეს როცა ჩეხი მეცნიერის იანსკის მიერ მოწოდებულია სისხლის გადასხმის სქემა ოთხივე ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანებისთვის, რომელსაც ემატება რეზუს უარყოფითი სისხლის მქონე ორსული ქალისთვის ემბრიონის შენარჩუნების გამო პროფილაქტიკური მკურნალობა და ეს სპეციფიკაც გასათვალისწინებელია, ამ დროს, უფრო სწორად 1979 წელს **<u>მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. მიხეილ შენგელია გვიწერდ</u>**ა: 'მეფე აიეტის და მედეას ეპოქაში ცხვარი წმინდა ცხოველი იყო" და ამიტომ 'მისი სისხლის გადასხმა ადამიანისათვის" თურმე შესაძლებელი იქნებოდა! აუ! აგლუტინაციის რეაქციით და სისხლის ლიზისის მოვლენით ადამიანი იქვე არ დაიღუპებოდა? ობიექტურ მეცნიერულ დასკვნების დაწერისათვის აკადემიაში გამოყოფილმა კომისიამ იმსჯელოს, როცა ჰემატოლოგიის ანბანის გათვალისწინება უგულებელყოფილია, ასეთი მცდარი რეკომენდაციების მოწოდებისას! ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ თუ მე არ ვეკუთვნი იმ ტენდენციურ ოპონენტებს, რომლებიც სხვის ნასრომში დადებითს ვერაფერს ხედავენ, აკადემიკოს რამაზ შენგელიას მიერ რეცენზირებულ შრომაში, რომელსაც ქალბატონ იამზე სახამბერიძის მიერ გახლავთ გამოქვეყნებული ჟურნალ 'საქართველოს სამედიცინო მაცნეში" 1999 წლის №5-6-ში პირველსავე აბზაცში წერია: 'იმდროინდელი რომის იმპერიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მცირე აზიას, სადაც ბერძნულ მოსახლეობაზე ქართული ეთნოსის გალვენაც საგრძნობი იყო" (!) ასეთი მოსაზრება მოსაწონია და იგი ეხმიანება არამარტო პროფ. კ. შპრენგელის მოსაზრებას, რომელმაც მსოფლიო მედიცნის ისტორია 'უძველესი კოლხური მედიცინის" ისტორიის აღწერით დაიწყო, არამედ პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფ. ს.ნ. კრამერი კაცობრიობის ისტორიას იწყებს შუმერებიდან: მესოპოტამიურ-ბაბილონური ცივილიზაციიდან და კაცობრიობის უძველესი პრიმიტიული ფარმაკოპეაც აქვე იქნა აღმოჩენული. ინგლისში გაკეთებული საერთაშორისო სიმპოზიუმზე მოხსენებაში პროფ. მიხეილ შენგელიამ კი პირიქით გააკეთა: მესოპოტამიურ-ბაბილონური ცივილიზაცია უშუალოდ კოლხურ ცივილიზაციასთან კავშირში კი ვერ განიხილა, არამედ ამ ცივილიზაციის შედეგიაო! არც ამით შავდება არაფერი. ჩვენი ეროვნული ცივილიზაციის აღიარების თვალსაზრისით, მაგრამ არაქართველი მეცნიერების მიერ ნაბოძები სუვენირი ჩვენი ეორვნული სამედიცინო კულტურის შესახებ მერყეობის

გარეშე გავიზიაროთ და მიმნიშნებელი სქოლიოს საშუალებით გაგვეზიარებინა მათი მხარდაჭერა, კარგი იქნებოდა ბატონი რამაზ შენგელიას მიერ, მაგრამ იტალიაში საერთაშორისო სიმპოზიუმზე პროფ. კ. შპრენგელის სქოლიოს მოშველიება ბატონმა რამაზ შენგელიამ არ მოისურვა და ქართული სამედიცინო არქეოლოგიური მასალა ბერძნული ცივილიზაციის დანამატად გამოაცხადა. ვეკითხები მას პელაზგები ვინ იყვნენ? ფესტოსის დისკო რაზე მიგვითითებს? სუსტია ასეთი მოხსენებები ჩვენი თვითმყოფადი კულტურის საერთაშორისო დონეზე წარმოჩენის საქმეში. საკმარისი იყო ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი ციტატის მოშველიება აკადემიკოს რამაზ შენგელიას მიერ რეცენზირებულ დისერტანტ იამზე სახამბერიძის სამეცნიერო პუბლიკაციაში, მაგრამ ეს მან არ ისურვა 'დაავიწყდა" დასაგმობი უნდა დავგმოთ და რაციონალური მარცვალი ავიტაცოთ. საპატრიარქო რადიო 'ივერიაში" ბატონი რამაზ შენგელია მონაწილეებს მორალური კოლდექსის განხილვაში, მას არ მოსწონს ტელეარხებში პორნოგრაფიის ელემენტები, უხამსობა, ავსიტყვობა და სიბილწე, ერთი სიტყვით სამართლიან მონოლოგს გვიკითხავს, თანაც მიესალმება საზოგადოების თავშეყრის ადგილებში მამხილებელი ვიდეოკამერების დადგმას, ეს ნამდვილად საჭიროა, ვეთანხმებით. ამ მონოლოგის კითხვის შემდეგ კარგი იქნება თუ ერთი ვიდეო აპარატით საკუთარ საქმიანობას გადაიღებს და გაითვალისწინებს სხვისი ნაშრომის მითვისებას რა ცუდი შედეგები შეიძლება მოჰყვეს! თუ მეცნიერებაში პატიოსნებაზეა ლაპარაკი, უნდა გვახსოვდეს ამას სქოლიოს მითითება სჭირდება. საწინააღმდეგო საქმიანობას და **<u>'მამალ პლაგიატობას"</u>** ჯერ ამ საკითხს მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და შემდეგ მორალის თემაზე რადიო და ტელე საუბარი უფრო დამშვენდება ყოველი ჩვენგანს, მით უმეტეს ბატონ რამაზ შენგელიას!

დასკვნა
ქალბატონ იამზე სახამბერიძის დისერტაციაზე და მის 'მეცნიერულ" ხელმძღვანელ 'აკადემიკოსებზე"

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში დისერტანტის მიერ დასახული მეცნიერული პრობლემა გადაჭრილი არ არის, ვერ არის მოწოდებული არც ერთი შხამსაწინააღმდეგო რეალური ანტიდოტი, რომლის პრაქტიკულად გამოიყენება, რომ შეიძლებოდეს რაიმენაირ მოწამვლის შემთხვევაში. არც ერთი ანტიდოტის გამოყენების საკითხი მეცნიერული ექსპერიმენტის წესით სტაციონარში შესწავლილი და აღდგენილ-განახლებული, ანუ რეტროსპექტული საკითხი დესერტაციაში რჩება განუხორციელებელი.

ანტიდოტ მათროდიტისის მაჯუნის აღდგენა-განახლების საკითხი უპერსპექტივოა, საერთოდ, ფარმაკოლოგიაში და სამკურნალო თერაპიაში, ვინაიდან ევროპის მოწინავე ქვეყნების სახ. ფარმაკოპეებმა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როგორც მოძველებული, ნაკლებად ეფექტური ანტიდოტი ამოიღეს, როგორც საამქროების წარმოებიდან, ასევე, აღარ შეიტანეს როგორც ანტიდოტი თავიანთ სახ. ფარმაკოპეაში. თქვენვე განსაჯეთ, დაუშვათ ვინმეს შეიძლება შხამიანმა გველმა უკბინოს და ამისათვის წინასწარ უნდა ისარგებლოს ანტიდოტი მითრიდატუმით, რომლის შემადგენელი კომპონენტების წარმოება უკვე დიდი ხანია წარმოებიდან მოხსნილია, მათ როგორც მოძველებულს,

არაეფექტურსა და უვარგისს აღარავინ ამზადებს! 150 წლის წინათ ამაზე ევროპამ უარი თქვა! თუ ვინმეს მომავალში, დაუშვათ შხამიანი გველი უკბენს, ამისათვის წინასწარ შხამიანი გველის და ხვლიკის ხორცი სხვადასხვა კომპონენტთან ერთად ფხვნილის შემცველი მალამოთი მოიხმაროს და ეს თურმე ადამიანის სხეულში იმუნიტეტს გამოუმუშავებს (?)!!! მსგავსი სისულელე ჯერჯერობით არც ერთ დისერტაციაში არ წამიკითხავს და თურმე ამისათვის წინასწარ შხამიანი გველის ხორცი ან ხვლიკის ხორცი გამოიყენოს?! ამ ექსპერიმენტისათვის ფაშისტურ კონცლაგერებში ტყვეებს არ გაიმეტებდნენ გესტაპოს კაციჭამიები! ან რა აუცილებელი და რა საჭიროა ასეთი წინასწარი ღონისძიება, ეს მაშინ როცა, თუ ვინმეს გიურზა უკბენს პრობლემა მოხსნილია, ვინაიდან ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს საინექციო შრატი ‘<u>ანტიგირუზინი</u>“ და დაზარალებული მოქალაქის სიცოცხლის შენარჩუნება და <u>უსაფრთხოება **გარანტირებულია**</u>! ამიტომ არავითარი აუცილებლობა არ არის ანტიდოტი **<u>მითრიდატუმის</u>** სამკურნალო პრაქტიკაში განახლება-დაბრუნების მცდელობა, ვინაიდან ეს საკითხი მოხსნა დღის წესრიგიდან სამკურნალო ხელოვნებაში ისეთმა სასწრაფო რადიკალურმა და ეფექტურმა საშუალებამ, როგორიც გახლავთ შრატი ‘ანტიგიურზინი“, ამიტომ თუ ვიღაცას მომავალში გველი უკბენს, წინასწარ ამისათვის ნორმალური ადამიანი ‘**<u>ადაპტირებული</u>**“ გვყავდეს შხამიანი გველის ხორცით და შხამიანი ხვლიკის ხორცით, მით უმეტეს დოზა რომელიმე კომპონენტისა, საერთოდ, უცნობია როგორც დისერტანტისათვის, ასევე მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი ‘აკადემიკოსებისათვის“. ვკითხულობ სახალხოდ, ვაი რა საოცრად გაოცებული ვარ ასეთი უვიცობებით, რომელიმე მათგანი ასეთი საბედისწერო ექსპერიმენტისათვის საკუთარ შვილებს გაიმეტებენ? ეს ‘დისერტაცია“ მეცნიერული რეკომენდაციის მაგიერი **<u>შიზოიდური ბოდვაა,</u>** ეს არანორმალური გამოვლინების განუმეორებელი შემთხვევაა. მე მაინტერესებს, რას იტყვიან ამ ანომალურ გამოვლინებაზე კომპეტენტური სპეციალისტები. იქნებ მე დავკარგე ნორმალური აზროვნებისა და ანალიზის უნარი, ან ამ მეცნიერ-ხელმძღვანელმა, თავის გონებადაბინდულ დისერტანტთან ერთად, აღარ იციან რას მიედებ-მოედებიან?! მოხდეს, ვიტყოდი, ამ აშკარა სისულელის სამაგალითო განხილვა, პრინციპულად იქნეს შეფასებული ეს ანომალიური გამოვლინება, რომ ამ ‘**<u>დისერტაციის</u>**“ მესვეურებმა ნამდვილად არ იციან რა არის მიკრობიოლოგიური ფენომენი **<u>იმუნიტეტი</u>** და რა არის ფარმაკოლოგიური პროცესი - **<u>ადაპტაცია</u>**? როგორმე ახლა მაინც გავაგებინოთ, რომ ანტიდოტი მითრიდატუმი ქიმიური და ენდოკრინოლოგიური კომპონენტებით აღსავსე რთული წამლის ფორმაა და ეს შხამსაწინააღმდეგო ანტიდოტი ორგანიზმში არადროს არ გამოიმუშავებს **<u>იმუნიტეტს</u>**, ის მხოლოდ ანტიდოტი (დაუკვირდით თვით ამ სახელს) ‘ანტი-დოტი“ მოგვცემს ადაპტირებას, შეჩვევას, შეგუებას და ამის არევა მიკრობიოლოგიურ ფენომენ იმუნიტეტში **<u>სერიოზული შეცდომაა</u>**! საჭიროა ჯერ ისწავლოს ამ დისერტაციის ყველა წარმომადგენელმა (დისერტანტმა და მისმა მეცნიერ-ხელმძ-ღვანელმა ელემენტარული ნორმა მეცნიერებაში, თუნდაც სხვის ნაშრომით სარგებლობისას აუცილებელია, სქოლიოში ავტორის მითითება, რასაც დისერტანტი არ ასრულებს და ეს სიყალბე მოსწონთ ხელმძღვანელ ‘აკადემიკოსებსაც“. მაშასადამე, პლაგიატი მეცნერებაში ვერ უნდა ბოგინობდეს! აქვე აღვნიშნავთ, რომ მედეა-მედიცინის ეტიმოლოგიური კავშირის გამორკვევა ანალოგიური ფაქტების ანალიზით საქართველოში ეკუთვნის მკვლევარ

სოკრატ სალუქვაძეს. დანარჩენ ავტორთა მცდელობა ამ საკითხის გარკვევისათვის დღემდე ყველა მარცხით დამთავრდა. და ამიტომ საჭირო იყო 20 წლით ადრე გამოქვეყნებულ ჩემს ნაშრომზე მითითება სქოლიოში აუცილებელი და არა ოინბაზურად ამისათვის იტალიაში გაქცევა! ამიტომ ეს სადისერტაციო აბდაუბდა დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს, რომელსაც არც ფარმაცევტულ მეცნიერებასთან და არც მედიცინის ისტორიასთან საერთო არაფერი აქვს, ვინაიდან ყოველივე გახლავთ პრიმიტიული აზოროვნების გამოვლინების განსაკუთრებული შემთხვევევა. ვაცხადებ მთელი სერიოზულობით – არავითარი მეცნიერული რეკომენდაცია ამ წერილობით მონაჩმახში არ არის. თვით სათაური ჩემი წიგნიდან არის აღებული და ჩემი მონოგრაფია საერთოდ არ არის დასახელებული ნასარგებლებ ლიტერატურაში. ამიტომ დისერტანტი და მისი მეცნიერ-ხელმძღვანელები დედალი პლაგიატები არიან. დისერტაციის სათაური და თვით იდეა – ანტიდოტის აღდგენა-განახლება ანუ როგორც თვითონ ამბობენ – **<u>რეტროსპექტულობა</u>**, მთლიანად აღებულია ჩემი - სოკრატ სალუქვაძის მონოგრაფიიდან, მაგრამ პრობლემა დასახული მიზნისა, საერთოდ პირველ საფეხურამდეც და, მით უმეტეს, ბოლომდე ვერ არის მიყვანილი. მსგავსი სისულელე, დისერტაციად გაფორმებული, ჯერ არსად შემხვედრია.

ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემური დოქტორი,
ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი,
აკადემიკოსი *სოკრატ სალუქვაძე*

P.S. ქალბატონ იამზე სახამბერიძის დისერტაციაში მეცნიერ-ხელმძღვა-ნელე-ბი ‘აკადემიკოსები“: ბიძინა ჭუმბურიძე და რამაზ შენგელია მიკრო-ბიოლოგიაში და ფარმაკოლოგიაში სამედიცინო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდნეტის ცოდნასაც ვერ ამჟღავნებენ, ვინაიდან ფარმაკოლოგიურ ადაპტაციასა და მიკრობიოლოგიურ იმუნიტეტს ერთიმეორისაგან ვერ ასხვავებენ...

უფალო ღმერთო! შენ შეიწყალე ორთავე შინა ცხოვრებითა ყველა ცოდვილი შვილი. ამინ... ამინ... ამინ...

ამას ჰქვია ბავშვის ნიფხავივით ჩასვრილი მეცნიერება და მისი მთავარი პამპერსი ნაძირალა **<u>‘ბიჭუმბი</u>**“ ბრძანდება. ეს კიდევ ვითომ არაფერი, მაგრამ ბ-ნი რამაზ შენგელია ალბათ ფიქრობს მთვარიან ღამეში თითქოს ბნელა, თუმცა რამაზიკოს მინდა შევახსენო ‘მკრთალი ნათელი სავსემ მთვარისა“ ხანდახან ალაზნის ველზე წამოიხრება ხოლმე, ანუ ქალბატონ ნანა თურმანიძეს წიგნში თანაავტორად ჩაუჯდა და ჩემი ფუნდამენტური მონოგრაფიიდან მზითებად რომ წაიღო თურმანიძეების ფრესკა და მათი საგვარულო აყვავებული ჯვრის სურათი ანოტირებული ტექსტებით ბრჭყალებში ჩასმის გარეშე და ჩემი გვარის მითითებით სქოლიო საერთოდ არ გააკეთა, ეს როგორ იყო-თქო – ვკითხულობ საჯაროდ? თუ ვინმეს მეცნიერებაში პატიოსანი გზით სიარული სურს, პრიორიტეტულ მეცნიერულ ნარკვევზე სქოლიოს მითითებაა საჭირო და ვინაც ამას არ აკეთებს ლექსიკოგრაფი მიხეილ ჭაბაშვილი თავის ლექსიკონში ასეთი საქმიანობის მოქმედ ‘გმირებს“ **<u>პლაგიატებს</u>** უწოდებს... ‘მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ფარავსო“ - ასე მწარედ მოთქვამდა სამშობლოდან შორს გადახვეწილი პოეტი დავით გურამიშვილი. უფრო დიდი ბრძენი სულმნათი შოთა რუსთაველი კი

წერდა: ‘მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“.

რამაზ ბატონო! ბიძინამ დამსახურებული პლაგიატი გაგხადა, დაგავიწყდა, რომ მეცნიერებაში ნასარგებლებ ლიტერატურაში სათანადო სქოლიოს მითითებაა საჭირო, ვინაიდან ‘ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“ - ესეც ბრძენთაგან თქმულა.

P.S.S. აქვე მინდა გავიხსენო რამდენიმე ეპიზოდი ჩემი სტუდენტური ცხოვრებიდან:

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტში მიკრობიოლოგიის კათედრის გამგე პროფ. ვლადიმერ ანთაძე მესამე კურსის სტუდენტს მატრიკულში ნიშანს არ დაუწერდა, თუ სტუდენტი ვერ ახსნიდა ფაგოციტოზის, ანტისხეულების და იმუნიტეტის ფენომენს, თანაც თუ ვერ განმარტავდა, რუსმა მეცნიერმა ივანე მეჩნიკოვმა მიკრობიოლოგიაში როგორ დაიმსახურა ალფრედ ნობელის პრემია და ზოგადად სტუდენტი ვერ განმარტავდა ინფექციურ დაავადებას ყვავილს რატომ ერქვა ‘სახადი“ და რატომ არ ემართებოდა ადამიანს (მწყემსს, მწველავ ქალებს) მეორედ ყვავილის ინფექციური დაავადება! რაში მდგომარეობს იმუნიტეტის ბიოლოგიური მექანიზმი - ამის არ ცოდნის გამო სტუდენტს პროფ. ვლ. ანთაძე ერთი წლით ისევ ტოვებდა მესამე კურსზე, ხოლო ფარმაკოლოგიის კათედრაზე პროფ. გრიგოლ გვიშიანი მესამე კურსის სტუდენტს ფარმაკოლოგიაში მეორედ რომ მაინც ჩაებარებინა გამოცდა, საშემოდგომოდ გადაუტანდა, თუ სტუდენტი ვერ განმარტავდა ადაპტაციის, შეჩვევის და შეგუების ფარმაკოლოგიურ მექანიზმს, ან რა არის სინერგიზმი? ამ საკითხებზე ნათელი წარმოდგენა, ცოდნა თუ არ ჰქონდა!

ზემოთ დასახელებული დისერტაციის მიხედვით არ რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ დისერტანტს და მის ხელმძღვანელ პროფესორებს, აწ ‘აკადემიკოსებს“ ეს საგნები საერთოდ თუ აქვთ ჩანაბარები სტუდენტობის წლებში, და თუ ჩააბარეს როგორ ეშლებათ, როგორ ერევათ ურთიერთში იმუნიტეტი და ადაპტაცია? აი, ეს არის უვიცობების აშკარა გამოვლინებების ფაქტები.